

ԱՐԵՎԱՏՅԱՆ ԿՐՈՅՑԻ ԽԱՅՄՈՒՄԱ



K 81.676/3

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ԱՐԵՎԱՏՅԱՆ ԿՐՈՅՑԻ

I





# ალექსანდრე ჩახალი

ჭ

## თხზულებაზონა პრეზენტი

K 3  
K 8/676

ორ ცოდნა  
ორივი


I


### ლექსენტი

1909-1939

საქართველოს გარემონტულობა  
«საბჭოთა საქართველო»

19 თებერვალი 58





## ალექსანდრე აბაშელი მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის საუ- კუთხის რსტატი რიცხვს ეკუთვნის.

თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში იღვწილა იგი შშობლიური შეტერლობის საჩრდა-  
ელზე და თავისი შთაგონებული, მაღალნიჭიერი შემოქმედებითი  
შრომით მან ძეირფასი წყლილი შეიტანა თანამედროვე ქართული  
პოეტური კულტურის, ქართული საბჭოთა ლიტერატურის სახელო-  
ვანი ტრადიციების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების საქმეში.

მისი შემოქმედებითი ცხოვრება ჩვენი საუკუნის პირველი ათ-  
წლეულის მიწურულში დაიწყო. ამ დროისათვის ახალგაზრდა პო-  
ეტს დაგროვილი პეონდა ცხოვრების მდიდარი გამოცდილება, განვ-  
ლილი პეონდა მშრომელი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერები-  
სათვის ბრძოლის გზა, უღარიბესი გლეხობის წიაღიდან გამოსულმა,  
მან აღრეულ ბავშვობაშივე იგემა მთელი უკუღართობა და სიმა-  
ხინჯე ბურუუზიულ-მშემამულური წყობილებისა, რომელიც მაშინ  
ჩვენს ქვეყანაში მძვინვარებდა. ამიტომაც უკვე სიკაბუკის წლებში  
იგი დაუკავშირდა მოწინავე მუშებისა და რევოლუციური დანწყო-  
ბილი ახალგაზრდობის წერებს, დაეწაფა მარქსისტული ლიტერატუ-  
რის შესწავლას და მაღლე ჩაება იმ დიად რევოლუციურ მოძრაობაში,  
რომელმაც ჩვენი საუკუნის დამდეგს უკვე ფართოდ მოიცვა საქარ-  
თველოს მუშათა კლისის და უღარიბესი გლეხობის მასები. 1902  
წლიდან, თერამეტი წლის აღ. აბაშელი უკვე იწყებს მარქსისტული  
იდეების პროპაგანდას ბათუმის ნაეთის გადამუშავებულ ქარხნებ-  
ში და აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სოფლებში. მან აქტიური  
მონაწილეობა მიიღო 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლებში, რის  
გამოც იგი 1906 წელს დაპატიმრეს და ქუთაისის საგუბერნიო ცა-  
ხეში ჩაამწყედიეს. ხუთი თვის შემდეგ გაასამართლეს და ციმბირში  
გადასახლეს. გადასახლებაშიც აღ. აბაშელი აგრძელებდა რევოლუ-  
ციურ მუშაობას. მისათვის იქაც მას მეტის მოხელეები აპატიმრებ-  
დნენ და გადასახლების ახალ ადგილებში გზავნიდნენ. 1908 წელს  
იგი გამოიქცა ციმბირიდან და სამშობლოში დაბრუნდა. ამ დროს  
საქართველოში, ისე როგორც რუსეთის მაშინდელ მთელს იმპერი-

აში, სასტიქი რეაქცია მძვინვარებდა. 1905 — 1907 წლების რეაქციულუ-  
ციით უაღრესად დაშინებული და ამასთანავე თავისი დროებით გა-  
მარჯვებით გათავსედებული თვითმპურობელური ხელისუფლება  
დაუზოგვავად უსწორებდა ანგარიშს ხალხის საუკეთესო შეინდებს,  
მასიურად სახრჩობელებზე პეიდებდა, კატორლასა და გადასახლე-  
ბაში გზავნიდა, ციხეებში მწყვდევდა რევოლუციის მონაწილეებს.  
რეაქციის შავი ძალები აღვირახსნილად თარეშობდნენ და მათ გა-  
აფორებული იერიში მოპერნდათ ყოველსაცე ჯანსაღსა და პროგრე-  
სულზე ცხოვრების ყოველ სფეროში.

ასეთ საზოგადოებრივ ვითარებაში დაიწყო შემოქმედებითი  
მოღვაწეობა ალექსანდრე აბაშელი, ბუნებრივია, რომ თავის პირ-  
ველსაც ლექსებში იგი მღელვარე სიძულვილით ასახავდა ბნელსა და  
სუსხიან სოციალურ სინამდვილეს და გამოხატავდა ხალხის პროტეს-  
ტსა და შეურიგებელ გულისწყვობის რეაქციის ძალების მიმართ.  
სწორედ ამ ნიადაგზე დაუკავშირდა ალ. აბაშელი ქართულ ლიტე-  
რატურაში ამ წლებში ჩამოყალიბებულ ე. წ. „დემოკრატიული პო-  
ეზიის“ სკოლას, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები — ნოე  
ჩხიერებე, გიორგი ქუჩიშვილი, ვარლამ რუხაძე, სოლომონ თავაძე  
და სხვ. — ერთგულად აგრძელებდნენ იროდიონ ევდოშევილის იდე-  
ურ-შემოქმედებითს ტრადიციებს.

როგორც ცნობილია, ქართველი „დემოკრატიული პოეტების“ შე-  
მოქმედებაში რეაქციული წყობილებისადმი პროტესტისა და მძულ-  
ვარების მოტივებთან ერთად მძლავრად გამოიხატა უიმედობისა და  
გულგატეხილობის ის განწყობილებანი, რომელთაც მოიცეს ინტე-  
ლიგენციის გარკვეული ფენები რეაქციის წლებში. ასეთი განწყო-  
ბილებანი ნიადაგს ამზადებდნენ მწერლობაში ანტირეალისტური  
მიმართულების გაერცელებისათვის, მწერლობის გამოთავსისათვის  
რეალური სინამდვილის თვემატიკისა და პრობლემებისაგან. შეიძლე-  
ბა ითქვას, რომ „დემოკრატიულ პოეტთა“ შორის ასეთი ტენდენცია  
მოდერნისტული ხელოვნების პოზიციებთან დაახლოებისა ყველაზე  
ღრმად და თანმიმდევრულად სწორედ ალექსანდრე აბაშელის შე-  
მოქმედებაში გამოვლინდა. ამ მხრივ პოეტი დაუახლოვდა ამ პერიო-  
დის ქართული პოეზიის გამოჩენილ წარმომადგენლებს: გალაკტიონ  
ტაბიძეს, იოსებ გრიშაშვილს, სანდრო შანშაშვილს, რომელთაც  
დიდი როლი შესარტულეს რეაქციის წლების ქართულ ლიტერატუ-  
რაში მოღვაწისტულ-დეკადენტური პრინციპების დანერგვაში და  
ამასთანავე ქართული პოეტური კულტურის განახლებაში. ეს პრო-  
ცესი, როგორც ცნობილია, უკიდურესობამდე განავითარა „ცისფერ  
ყანწელთა“ პოეტურმა სკოლამ.



საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვებისთანავე აღმართული სანდრე აბაშელი მეშაობას იწყებს კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელ სხვადასხვა სახელმწიფო ბრიტისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მაგრამ მისი შემოქმედებითი ცხოვრების გარდაქმნა, საბჭოთა ლიტერატურის იდეურ-შემოქმედებითს პოზიციებში მისი გაღმოსვლა ერთბაშად და უმრავისნეულოდ როდი მომხდარა. ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების პირებლ პერიოდში აღ. აბაშელი წლების მანძილზე იყო ერთ-ერთი მეთაური ე. შ. „აკადემიური მწერლობის კავშირისა“, რომელიც იერთიანებდა მაშინ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სალიტერატურო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისადმი ყველაზე უარყოფითად გაწყვბილ მწერლებს. მხოლოდ ოცნების წლების მეორე ნახევრიდან იჩინა თავი აღ. აბაშელის პოეზიაში საბჭოთა სინამდვილის ოქმებისადმი და თანამედროვეობის დიადი იდეებისადმი მისწრავებამ. ოცდაათიანი წლების დამდეგიდან კი მან ერთ-ერთი თვალსაჩინო აღვილი მოიპოვა მოწინავე ქართველ საბჭოთა პოეტებს შორის. მაღლ იგი საბჭოთა პოლიტიკური ლიტიკის პირველხარისხოვან ისტად მოგვევლინა. მისი პოეტური ინდივიდუალობის საცეკვეთსო თვისებანი განსაკუთრებული სისრულით გამოვლინდნენ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში.

სამამულო ომის წლებში აღ. აბაშელი შთაგონებულად ისახავდა და ადიდებდა ჩეენი ხალხის უმაგალითო გმირობასა და თავდაღებას, დაუცხრომლად მღეროდა ჩეენი სამართლიანი საქმის გამარჯვების წრფელ საგალობელს. მისი მომწოდებელი, საგმირო საქმეებისათვის აღმაგზნებელი პოეტური სიტყვა ღრმად წელებოდა ფრონტისა და ზურგის მებრძოლის გულს, ცხოველ გამოძახილს პოულობდა ხალხში. ეს იყო პოეტის ვრცელი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ყველაზე ბრწყინვალე ეპიზოდი, რომელმაც ნათლად გვიჩვენა, რომ ხანდაზმულობას გავლენა ეერ მოეხდინა პოეტის შთაგონებაზე, ეერ შეენელებინა მისი გულისძვერა, პირიქით, რაც დრო გადიოდა, მეტის სისახსით და ორგანულობით ეუფლებოდა აღ. აბაშელის პოეზიას ჩეენი გმირული ეპოქის სული.

ამიტომაც, არავისათვის ყოფილა მოულოდნელი და გასაკვირი, როდესაც თავის საიუბილეო საღამოზე, 1944 წლის ოქტომბერში ლექსად წარმოთქმულ სამადლობელ სიტყვაში აღ. აბაშელმა თქვა:

„მესმის მებრძოლი დღის მოწოდება:  
სკრინეს კალამი, როგორც ხაჯალი  
კიდევ მიწყვია გულში ზოდებად  
ლექსების ოქტომბერში“.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტად და  
ძაბულობით უსმენდა და მეტი თანხმოვანებით პასუხობდა აღ. ამა-  
შელი ჩვენი მებრძოლი თანამედროვეობის მოწოდებას. სწორედ ამ  
გზით მოიპოვა მისმა პოეზიამ ნამდვილი რეალისტური კლერიკი, ცო-  
ცხალი სინამდვილის წიაღიდან მოსული თემებისა და სახეების სამყა-  
როთი გამდიდრდა იყო.

თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის უკანასკნელ პერიოდში  
ჩაწერდა მთელი სიღრმით აღ. აბაშელი ჩვენი ღროვის დიად სიმარ-  
თლეს, რამაც ახალი ნათელი მოქმინა და ახალი სიცოცხლე შთაბერა  
მის პოეზიას. აღ. აბაშელის პოეტური ინდივიდუალობისათვის უკ-  
ხო იყო ისეთი ლირიკული ოღზნება, რომელიც უცილი იყეოთებს  
და დაცხება ხოლმე, რომელიც ერთბაშად „დახარჯავს“ შემოქმე-  
დის გულში დაგროვილ „ლექსების ოქროს“ და შემდეგ ამ პირველი  
ელვარების გამონაშექმით ცხოვრობს.

აღ. აბაშელი, პირველყოვლისა, ფხიზელი შემოქმედი იყო, რო-  
მელიც დაუსრულებლივ ამდიდრებდა თავის შთავონებას ცოცხალი  
სინამდვილის გრძნობით. იგი უპირატესად აზრისა და რწმენის პო-  
ვნი იყო, რომელიც „გონების თვალით“ შეპყურებდა სამყაროს.  
მის პოეზიაში გრძნობა ყოველთვის აზრის საპექტით არის განათე-  
ბული. აზრობრივისა და გრძნობადის მუდმივს შეთანაბრებაში მდგო-  
მარეობს აღ. აბაშელის პოეტური ბუნების ერთი ძირითადი თავისე-  
ბურება. ამიტომაც, მისი პოეტური სამყარო ღრმა შინაგანი ქანონ-  
ზოგიერებით არის მოწესრიგებული. აღ. აბაშელის პოეზიაში ჩვენ  
ეერაფერს კონკრეტ შემთხვევითსა და მოულოდნელს, ალოგიკურსა  
და აუქსნელს, ბუნდოვანსა და გაუგებარს. თავისი აზროვნებისა და  
შემოქმედების განვითარებაში მას აქვს გარდატეხათა პერიოდები,  
მაგრამ მისთვის უცხოა „გარეება“, სულიერი მთლიანობის რჩევა,  
შაშინაც კი, როცა პოეტი უმძაფრეს სულიერ დრამას გამოხატავს,  
ეკადურესი უიმედობისა და სასოწარქვეთილების ტკივილებს გად-  
მოვცემს, იგი ახერხებს შეინარჩუნოს მცენერეტელი და მოაზროვნე  
შემოქმედის მდგომარეობა, შინაგანი მთლიანობა და წონასწორობა.

მისი სულიერი სამყაროს ეს თვისებანი გამოხატულებას ბო-  
ლობენ პოეტური ფორმის სფეროშიაც, აქაც ცველაფერი ღრმად მო-  
ფიქრებულია. იგი ფლობს ფერების ზესტად განაწილებისა და შე-  
ზავების ხელოვნებას. მას უაღრესად გამახვილებული პოეტური  
სმენა ახასიათებდა, ამიტომაც მისი ლექსი ყოველთვის კეთილსმო-  
ვანად უღერს, მელოდიურობით არის გამსჭვალული. აღ. აბაშელის  
პოეტური ისტატობა უწყუარ გემოვნებასა და ლექსის მაღალ კუ-  
რუას ემყარება. პოეტური გამოსახულების საშუალებათა სფეროში

მას იშვითად თუ უპოვნით დისპროპორციებს, „ჩევარული სტრუქტურული კონებს“, ცარცელ, არაფრისმთქმელ ფრაზებს თუ სახეებს — მათ შემთხვევაში „პოეტურ შეონებს“. სახეობრივი სისტემა მის ლექსებში ყოველ-თვის ანრიბრივი შინაარსით არის ნაკარნახევა და განპირობებული.

ჩვენთვის უცნობია ოლ. აბაშელის ლიტერატურული მოწიფეობის, პოეტური ვარჯიშისა და წრევთნის პერიოდი. 25 წლის ჭაბუკი შემოვიდა ქართულ პოეზიაში და თავის პირველსავე ლექსებში გამოჩნდა, როგორც უკვე დავაკაცებული პოეტური ხმის, საკუთარი მსოფლშეგრძნობის, ღრმად ინდივიდუალური აქცენტისა და თემატიკური სამყაროს მეონე ხელოვანი. უკვე მაშინვე მოიპოვა მან ალიარება და მოწონება, მტკიცედ დამკეიძრია საკუთარი აღვილი შეობლიური ლიტერატურის განვითარებაში.

მას შემდეგ პოეტმა ერცელი და რთული, ღრმა წინააღმდეგობებით მოცული შემოქმედებითი გზა განვიღო. ამ გზის ღირსეულ დაგვირგვინებას მისი უკანასკნელი წლების პოეტური მოღვაწეობა წარმოადგინდა.

ჩვენი საექუნის ოცდაათიანი წლებიდან ალექსანდრე აბაშელი ჩვენი აღორძინებული სამშობლოს, ჩვენი დიადი თანამედროვეობის დაუცხრომელი მხატვარი და მეხოტე გახდა. თავის უმაღლეს თანამდებარებას პოეტი მეგეარად გამოხატავდა:

„ქრისტეს ნიავი, ბალი მღეროდეს,  
ჩემიც ისმოდეს მწყობრში ძაბილი,  
ჩვენს წმინდა კერის შეე დასკეროდეს  
სამარადისოდ ნისლგადაყრილი.

და შემოსილი შიორია ალით,  
თოელიან მთების ცაშდე სული  
ბრწყინველეს ქართლი — ფირზის თეალი,  
კაფესილნის ბრთლში ჩისმელი“.

შემოქმედებითი ცხოვრების ამ სიმაღლიდან პოეტი გაბედულად თვალს უსწორებდა საკუთარ წარსულს და სრული უფლებით ამბობდა:

„სხივი და ჩრდილი გარდასულ დღეთა  
შე ჩემს ლექსებში დაებინავე,  
ახლა მომავალ დღეებსაც გხედივ,  
არწივებითი რომ მოურინავენ“.

მართლაც, სხივისა და ჩრდილის, ნათელისა და ბნელის შეურიგებელი ჭიდილი დღიდანს შეაღვენდა ალ. აბაშელის პოეტური

მსოფლიშეგრძნობის საფუძველს და განსაზღვრავდა მისი პოეზიას, თემებისა და სახეების თავისებურებას. დიდხანს პოეტი ბოლმითა და გულისწყრომით აღსავს ჰანგებში დასტიროდა ნათელის ჩაქრობის, წყვდიადის ზემის, მიიღულოდა მზის წიაღისაყენ. ქვეყნად დამკვიდრებული ბნელეთის უძლეველობის შიშით შეპყრობილს, მას ხშირად უცდია გაქცეოდა მიწიერ სამყაროს და ზეციურ ლაუფარდებში გადახიზულიყო. უმედობისა და სასოწარევეთის ბერუსით მოცულმა, მან ერთბაშად როდი იგრძნოდა და განიცადა თავისი ქვეყნის ცხოვრებაში ნათელი და მზიური საწყისის საბოლოო და გარდაუვალი გამარჯვება. მაგრამ როდესაც ახალი ცხოვრების შარავანდედმა ძლევამოსილად შეანათა პოეტის სულიერ სამყაროში, ალ. აბაშელი ღრმა რწმენით და წრფელი აღფრთოვანებით ამეტყველდა ქვეყნად პოსული მარადიული გაზაფხულის საღიდებლად. სწორედ ამ სიძლერებში მიაღწია პოეტმა შემოქმედების უჩრდილო სიხარულს და ნამდვილ ხალხურობას.

საბჭოთა პოეზიის უბირველეს ისტატებთან ერთად ალექსანდრე აბაშელი სთხზავდა შთავონებულ პიმნს ჩვენი დიადი აწმყოსადმი და კიდევ უფრო სრულყოფილი და სხივმოსილი მომავლის დღეებისადმი.

ალექსანდრე აბაშელის პირველი ლექსი „ზამთარი და ზაფხული“ 1909 წლით არის დათარიღებული. მასში დახატულია ალეგორიული მნიშვნელობის სურათი, ნათელზე ბნელის გამარჯვებისა, ქვეყნად შეკი წყვდიადის გაბატონებისა:

„მნათობთა შეფეს ცხოველმყოფელს, მზეს სხივდიადსა,  
შევი ლრუბლების მძიმე გროვა ეფარებოდა,  
შეელი ზეწარი გაეშალა ფართოდ წყვდიადსა,  
სიცოცხლეს ძალა შეუმნიერებლად ეპარებოდა“.

თავის ამ პირველ პოეტურ ნაწარმოებში ალ. აბაშელმა მკაფიოდ გამოხატა ის იდეურ-მხატვრული კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო მისი ლექსების პირველ კრებულს „მზის სიცილი“.

„მზის სიცილის“ ლირიკული გმირი თავისი სოციალური გარემოცვისადმი მღელვარე გულისწყრომით, შეურიგებელი უქმავოფილებით არის მოცული. მას განუცდია ქვეყნის განახლების ნათელი რწმენით აღფრთოვანება, რომელიც ჩვენი საუკუნის დამდეგში მოიტანა, უნახავს ხალხის მიერ დიდი ხნით ნანატრი და ნაოცნებარი

განთიადის ამობრწყინება, თეითონაც უბრძოლია იმისათვის, რომ „შეების დილა“ მოსულიყო და დამკვიდრებულიყო ხალხის ცხოველებაში:

შესოვეს დილა მოციმიმე,  
შეების ცრებლით ანათროლი,  
ციურ მნათობს შესცინდა  
უკენეთან შენაბრძოლი.  
შიის სხივებში ბანაობდა  
გარდ-ზამბაბი და ბილილა...  
შესოვეს დილა, შეების დილა...“

მაგრამ „წამიერი“ გამომდგარა ეს ლხენა. „ქვესკნელთ სამყარო-ლან“ ამომტყდარა მძინვარე ქარი, რომელსაც შავ ლრუბელთა გრიფა დაუჯახებია ახლადამოსული მნათობისათვის:

—და დაქრდილა შეების დილა,  
წერთერად ანათროლი,  
ცისკიდურზე გაშოსახა  
შევი ლრუბლის შევი ზოლი...  
შავპნელ ნისლში მოამწყდო  
გარდ-ზამბაბი და ბილილა,  
ჩაქრა დილა, შეების დილა...“

ამ სიმბოლიური მნიშვნელობის სურათში გამოხატული აზრი საფ-სებით ნათელია და გასაგები. ბრნების ნათელ და ბნელ, ბოროტ და კეთილ საწყისთა ამ დაპირისპირებაში პოეტი იმ დიდ სოციალურ მოვლენებს განასახიერებს, რომლებითაც ჩვენი საუკუნის პირველი ოთეული წელი აღინიშნა.

1905 წლის რევოლუცია, ხალხის დიადი საბრძოლო ლოტროთვანება, აქ განცდილია და გამოხატული, როგორც „შეების დილა“, როგორც კაცობრიობის ცხოვრების განთიადი, ხოლო რევოლუციის დამარცხება, რეაქციის ძალთა დროებითი გამარჯვება — ნათელას ჩაქრობად, წყვდიადის ზეიმად არის დასახული.

სინამდევილის მგვარი განცდა წარმოშობს იმ მძაფრ სულიერ დრამის, რომლის პოეტურ ანარეკლსაც „მზის სიცილი“ წარმოადგენს. სულის შემხუთველ უძრაობად, მკვდრულ სიჩუმედ, ღამის შეცდიადად არის წარმოსახული ამ წიგნში სოციალური სინამდვილე, ქავეყნიური ცხოვრება:

„ღამის მანტიკით შემოსულრეულს სინავეს სოცელსა,  
გლოვის სიმები მეცდრულ სიჩუმეს დაუწყვეტია,  
შევ ჩრდილო ქსოვილი წამოუსხმის უტყვ შინდრ-ველსა,  
რაც აღარ მოსოდებას, მისაც სინავეს, ხმა გავმერდია.“

უძრაობით, იდუმალებით და შეუვალი წყვდიადით მოცული პე-ზეეკი მკაფიოდ გვისურათებს ლირიკული გმირის სულიერ განწყო-ბილებას; პროტესტისა და უქმაყოფილების გრძნობას აქ ერთვის უიმედობისა და სასოწარკვეთილების განცდაც. ამ ლექსების გმირი ირა მარტო მტრისაგან ძლეულად, დამარცხებულად გრძნობს თავს, არამედ განიარაღებულადაც:

„სო ეჭაპა დაატყვევა  
სასოებით ვინც მიყვაჩდა  
და ხელიდან, მტრისგან ძლეულს,  
ბასრი ხმილი გმირიარდა!“

აქედან ბუნებრივი იბატება სწრაფვა ადამიანთა საზოგადოე-ბისაგან განდგომისა და განმარტოებისა, წარმოიშობა სულიერი ობლობის დრამა, ამქვეყნიური მიწიერი ცხოვრებისაგან, ადამიანუ-რი გარემოცვისაგან განკერძოების ილუზია:

„პიტალო თხემზე ანაფრენი  
მსუბუქ ნიავით,  
მსუბუქ ნიავით ცოდვილ მიწას  
დამირებული,  
ვიდექ ბედისა შომდრავი,  
კაცთა სიავით,  
კაცთა სიავით გულნატყენი, დაღონებული“.

სასოწარკვეთილ, გულმოკლულ ამ ადამიანის სულიერ სამყაროს შევი აჩრდილი დაუფლებით, რომელიც ცასა და მიწას წალეკვითა და განადგურებით ემუქრება:

„და ცას წიაღში, ვარსკელავთ შორის, შევი აჩრდილი,  
შევი აჩრდილი სიყვდომია ინატებოდა,  
შევ სხივთ იურქევედა ცას კაბადონს ას ცელგაშედილი  
და ცელგაშედილი დედამიწას ემუქრებოდა.“

ასე მძაფრად და ღრმად გამოიხატა „მზის სიცილში“ იმ უიმე-დობის და გულგატეხილობის განწყობილება, რომელიც რეაქციის მძვინვარე წლებში ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს დაუუფლა და, რომელმაც ღრმა კვალი დააჩნია მე-20 საუკუნის პირველი ათე-ული წლების წინა პერიოდის მთელ ქართულ ლიტერატურას.

„მზის სიცილის“ ავტორი ერთადერთ გამოსავალს იმაშიღა პოუ-ლობს, რომ „შევი აჩრდილის“ სამფლობელოდ ქცეულ ქვეყნიერე-

შას გაექცეს და თავშესაფარი სინათლისა და სითბოს დაუშრეტელ  
წყაროს — მზის წილში, ზეციურ სამყაროში დაიმკიდროს. ასე იშა-  
დება მზის საღიძებლად ოლვლენილი პიმინი, რომელიც ქვეყნიური  
ცხოვრებისაგან მიღლვნილი გლოვის პანგის პარალელურად გაისმის  
„მზის სიცილში“. პოეტი უმღერის და ოდიდებს მზეს:

„მზე შევენირო, მნათობ მეფევე, ქნოველმუსველო,  
სიცილის წყაროვ საეურთხეველის ცეცხლო ფასუ,  
ლუვებრდ სიცილცეში ოქროს სხივთა ამთხოთებელო,  
სხივთან ზღვაო, ქვეყნის ღილვე, ცას განთადი!“  
„შენ მიღლივ გულში ცეცხლი აშენთებელი  
და შენს სხივებში ვიწინ სულის სათუ სიმებია,  
შენ საღიძებლად ვაჭებ ფილას, სულით შეებული  
და ლამის წყვდიას კენესთ ერმლერ გლოვის პიმნებსა.“

ამ დაუპირისპირა პოეტის ფანტაზიაშ ქვეყნად გამძვინვარებულ  
წყვდიას — მზის წილი. მხოლოდ მზის სხივთა მანათობელ და მა-  
კოცხლებელ მორევში ეგულება ამ ლექსების გმირს მარადისობისა  
და უკვდავების საწინდარი. აღამიანი მიელტვის მზეს, თუმცა ქვეყ-  
ნიერი „შავი აჩრდილი“ განუყრელად სდევნის მას და საშუალებას  
არ აძლევს მოლიანად მზიურ სამყაროში გადასახლდეს:

„და რომ სხივთ ისარს მეტრდს მიეუშეერ ხელებგაშლილი,  
მზისენ ვეაურენ სულს ვაწმენდიას თქროს ფრინველად,  
იმწამევე გვერდით გამინნდება შავი აჩრდილი  
და ჩამისურებეს: „შენთან ვაჩ შეც განუყრელად“.

ეს ჭიდილი, შავი აჩრდილისაგან თავდაღწევის, მზიურ ტალღათა  
მორევში სამუდამოდ გადახიზვნის მღელვარე მისწრაფება ასაზრდო-  
ებს ამ მძაფრ სულიერ დრამას, რომელიც გადმოცემულია „მზის  
სიცილში“ — ამ თითქოს ერთიან ლირიკულ მონოლოგად დაწერილ  
წიგნში.

პოეტს ზოგჯერ ეჩვენება, რომ მიაღწია იდეალს:

„ტალღად ლილივში განვიცადე სულისა შეება,  
ცეცხლის მოწევში შევსრიალდი ხელებგაშლილი...—  
მარადისობის ვიგრძენ ძალა და უკვდავება...  
გასწყდა მიწისა შავი სიმი... გაძქრა აჩრდილი...“

აქ მეტიონ არის გამოთქმული ის აზრი, რომ მარადისობა და  
ცეცხდავება, სულის შეება და ბეღნიერება მხოლოდ მიწასთან, ქვეყა-  
ნისთან, აღამიანთა საზოგადოებასთან დაშორებით მოიპოვება. პოეტი

ისწრაფების გაითქვითოს ბუნების წიაღში, შორს გასცილდეს მეცნიერების ჩიაღში, ნიურ ჩიაღში და ცხოვრების ორთმტრიალს, სადმე მიუვალ კვარც ცხლბეჭზე მიუჩინოს ნაეთსაყუდარი საკუთარ განდგომის სულ:

„მთის კლდოვან თხემზე გამოვეველო საკურთხეველი,  
შიგ დაბინავდა სოფლის ჩიაღში დაშორებული;  
და — ზედ დამცერის მნათობით მეფე ცეცხლის მორქეველი,  
ღამე — მიუქებს ჩიაღში ტაძარს ვისკვდავთ კრებულია.“

ზეციურისაკენ მისწრაფების, ქვეყნიური ცხოვრების გადალაპვისა და მისგან დაშორების ეს იდეა არა ერთხელ მეორედება „მზის სიცილში“:

„განელო ვამშა, ცა ვამოჩნდა,  
ლრომ შემახო თვესი ურთები,  
სულ გასწყვიტა მონის ჯაჭვე,  
გამავინა სულ სხვა ხმები,  
ფრთა შემახო ნიავეარის,  
მაღლა ცასკენ გამიტაცა,  
დამავიწყა მიწის კვრება,  
დამავიწყა თვეო მიწაცა.“

პოეტი უმღერის და ადიდებს მზეს, როგორც კოსმიურ, ზექვებული საწყისს, რომელსაც ვერ წვდება უამთა ბრუნვის უკუღმართობა, მზე მაღლა დგას სიკვდილ-სიცოცხლეზე, დროთა ცეკლები-დობაზე, მაშინ მარადიულობა და უკვდავება განხორციელებული. ამიტომაც მიელტვის მას უამთაბრუნვის სუსტით დაწყლულებული, ქვეყნად გაბატონებული ბოროტებისა და უკუღმართობის გამო აღმფოთებული სული:

„მზეს არ ასსოეს შობის წაში, მზეს სიკვდილი არა სუკრა,  
მან სიცოცხლე უკვდავების სიმთა კლერით ააძვრია  
დროს წაართვა ძლევის კვერთხი და დათრეგუნა შით სიკვდილი —  
ნეტავ იმს, ესიაც ესმის აღმაფრენი მზის სიცილი...“

შემთხვევით როდი წარუმძღვარა პოეტმა ეს სტრიქონები თავის ლექსთა პირველ წიგნს „მზის სიცილს“. მა სიტყვებში ავტორის მთელი პოეტური მსოფლმხედველობა, მისი მსოფლშეგრძნობაა განსახიერებული.

„მზის სიცილში“ გხვდებით ისეთ მოტივებსაც, რომლებიც პოეტი ზეციური წიაღიდან ისევ „ცოდვის დედამიწაზე“ ჩამოიყანენ ხელმე. კრებულის მთელ ჩიგ ლექსებში პოეტი „რისხეის ღმერთს“

ეძახის და დაეძებს; ზოგჯერ პოეტი თვითონ გრძნობს და აღიარებს, რომ... „უძლურია გლოვის ჰანგი“, რომ ქვეყანის „ცეცხლის მგლისათვალი ნი“ ესაჭიროება, — მებრძოლი, ბედის წინაშე ქედუხრელი სულის-კვეთებით და ვაჟაპური სმით:

„უძლურია გლოვის ჰანგი,  
—ცეცხლის მგლისათვალი დაუქახეთ,  
რომ ქვეყანის მოეკლინოს  
ბრძოლის სიტყვის მოქარნახედ,  
ის მოუხმობს წყევის გრიგოლს  
კლდის სალტეო დასამსხვრევად,  
ცეცხლს აღგზნებს, დედამიწის  
მუკავავ ალმი გასაჩვევად“.

ზოგჯერ პოეტი ძალა-ღონესაც იქრებს იმისათვის, რომ თავის ხეედრს შეერტყინოს, რომ უშიშრად წინ დასძრის თავისი ნავი, მომავალს მიაშერთოს:

„პატ, ტალი ჩემო ხეედრო, ბედო წყებლა!  
ნეტავ შემს პრეციალებს, სისხლით ნილებს, თუ გავეცლებიში?  
ნავო, წინ გამწი, ჩემო ნავო, ზეფერს ჩემულო  
თეორია ურინეველი წინ მიგვიძლვის, გზას წე ასცდება“...

კიდევ მეტაც. „მზის სიცილის“ აეტორის ყურთასმენა წვდება ხალხის გულის სიღრმეში დაგროვილ მრისხანებისა და გულისწყრო-მის ფარულ, მაგრამ სამედო გუგუნს. პოეტს სწამს, რომ ის მრის-ხანება ოდესმე აზვირთდება, ცხოვრების გარღამქმნელ, განმაახლე-ბელ ძალად იქცებს:

„პა, ხომ გესმის? — გუთის კენება  
შეუერთდა გრძელის ზანხარის! —  
ეს ნორი ჩხა გაისრდება,  
სამშობლოს მტრის დასცემს თვალის  
ჯერ თე ჩუმად, ვით ჩანჩქერი,  
ხალხის გულში მოჩებილებს,  
ლრთ დალგება, ზღვაზ იწყევა  
და ზეიზო-ქალით დაიქცებს“.

აქ უკვე ყოველგვარი პოეტური საბურველის გარეშე გამოხატულია წინაგრძნობა ხალხის ახალი საბრძოლო მოძრავებისა, გამოთქმულია ახალი ქარიშხალის მოლოდინი.

მაგრამ ეს მოტივები მხოლოდ გამონაკლისის სახით გაისმის

„მზის სიცილის“ კაეშნით მოცულ საგალობელში. ამ წიგნის ლირული გმირის სულიერი ვითარებისათვის უფრო ტიპიური და დამახსასიათებელია სწორედ საწინააღმდეგო განწყობილება, ის განწყობა-ლება, რომელიც ავტორს ათქმევინებს:

„მერალ საშსხვერჩლოს ცეცხლს ვერ უნობ,  
წარევეთა კანლელს სხივი,  
ჩაქერა გულში ჩირალდანი,  
წუთიერად განაღვივი,  
გრძნობის ქრუას, სხიერასფეროლალს,  
დაუცულა ფიქრი ცივი,  
ცა არ მისმენს როს ცლცულობ,  
მიწა მდევნის, როცა ვერივი.“

ვინ არის „მზის სიცილის“ გმირი? ვისი სულიერი ცხოვრება, ვისი ტკივილები და მისწრაფებანი ასახა პოეტმა თავის ამ ლირიკულ ციკლში? იგი ჩეენა საუკუნის დამდევის ის ახალგაზრდა დამიანია, რომელიც რწმენითა და ოლფრთოვანებით შესცემეროდა საუკუნის გარიერებულება ამომტყდარ დიად გამათავისუფლებელ ქარტეხილს. იგი გამჟვა ამ ქარტეხილის ქროლებას, განვლო რუსეთის პირეველი რევოლუციის ქარცეცხლი. მაგრამ რევოლუციის საქმის დროებითმა დამარცხებამ გატეხა მისი სულიერი მხნეობა და გამძლეობა, იგი დააფრთხო და სულიერად დააუძლურა რეაქციის მძვინვარებამ. მართალია, იგი განუზომელი მძულვარებით და ზიზღით შესცემის ცხოვრებაში გაბატონებულ შაებნელ ძალებს, თავდავიწყებით მიელტფის ნათელსა და მზიურს და ამ მხრივ საუკუნის მოწინაურ აღაშიანად გამოსჩანს, მაგრამ, მეორეს მხრივ, მას უიმედობისა და სასოწარევეთილების, განდგომილებისა და ქვეყნიური ცხოვრებისაგან განკერძოების ის გრძნობა დაუფლებია, რომელიც მას გამოითავსეს რევოლუციის მებრძოლი და მამოძრავებელი ავანგარდისაგან.

ასეთი სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად საჭირო იყო შესაბამისი პოეტური ფორმის გამომუშევებაც, სულიერი იმპლობის, განწირულების, ქვეყნიური ცხოვრებისაგან განკერძოებისა და ზექვეყნიურისაგან მისწრაფების განწყობილებანი ბუნებრივად უკანახებენ პოეტს ქართული კლასიკური ჩავალისტური ლირიკის ტრადიციებისაგან გადახვევას, დასავლეთ ეკრანიდან მომდინარე მთაცერნისტული პოზიციებთან დაახლოებას.

„მზის სიცილში“ ჩეენ ვერ ვპოვებთ სიციალური სინამდვილი! კონკრეტულ მოვლენათა გამოხატულებას. მასში სრულიად გამორიცხულია ყოფითი მასალა, ყოფაცხოვრებითი სურათები. პოეტური გამოსახულების უშუალო საგანს აქ უპირატესად ბუნების სას-

ყარო წარმოადგენს, მაგრამ „მშის სიცილში“ პეიზაჟი ბუნების უშეალო განცდის ჩოდი ეყვარება. აქ ბუნების სერათი ყოველთვის სიმბოლიურ-ალეგორიული მნიშვნელობისაა. მასში პოეტი თვის სოციალურ თვალსაზრისს, საზოგადოებრივი ცხოვრების მოელენებისადმი საფუთარ დამოკიდებულებას განასახიერებს. პოეტის პალიტრა მელანქოლიური განწყობილებისათვის შესაფერი მუქი საღებავებით ხასიათდება, დრამატიზმით გამსჭვალული პათოსი უძევს საფუძვლად ამ ლექსებში აეღვირებულ მუსიკას. რიტმი განზრას შენელებულია და ხაზგასმულად სტატიური.

პოეტი ამაფრებს ყურადღებას ლექსის გარეგნული ფორმისადმი, ხშირად მიმართავს ალიტერაციას და ე. წ. „ბგერწერის“ ხერხებს. ამ გზაზე ივი არაიშვიათად ღალატობს კიდევ რეალისტური ლირიკისათვის დამახასიათებელ ბუნებრიობას. ხელოენტურობა ხშირად თავს იჩენს ხოლმე პოეტურ სახეთა ისტატობაშიც. ყოველივე ეს სავსებით დამახასიათებელი იყო მოღერნისტული პოეზიის პოზიციებისაკენ გადახრილი ახალგაზრდა პოეტისათვის.

„მშის სიცილი“, როგორც ვხედავთ, მრავალმხრივ სიმპტომატური და საყურადღებო მოვლენა იყო რევოლუციამდელ ქართულ პოეზიაში. სწორედ ამიტომაც ამ წიგნის გამოსვლამ თვის ღროწე ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია.


\* \* \*

ლექსების მომღევნო კრებულში „ანთებული ხეივანი“ ალ. აბაშელმა განაცრიდა და განაეკითარა „მშის სიცილში“ განხორციელებული იდეურ-ესთეტიკური კონცეფცია. პოეტი კიდევ უფრო მეტი მანძილით სცილდება რეალისტური ლირიკის პრინციპებს. აქ იგი უკვე პოეტური შემოქმედების ესთეტიკური თვითმიზნურობის, საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებისაგან მისი გამოთიშევის ნიაღაგზე დგება:

„მე არ მინდა ვისიმე გახატება, ან წყენა,  
ჩემს სიმღერის შედეგებს მე როდი ვანგარიშობ;  
მშის შემოსილ სივრცეში მე ფრენით დაეთარეშობ  
და ვაცა, რომ არ არის შარჯენა და შარტენა“.

ლექსში „სისხლის ლაქა“, რომელიც 1916 წელს არის დაწერილი, კიდევ მეტის სიმკეთრით არის დეკლარირებული „სპილოს ძღვის კოშქში“ გახიზენს, ცოტხალი ცხოვრების მღინარებისაგან პოეზიის განყენების აზრი. აქ პოეტი ისწრაფვის თავისი ჩანგი დაიცვს მძვინვარე ბრძოლის ხმაურისაგან, ააცილოს მას მიწიერი ცხოვრების ცრემლი და სისხლი;

2. ა. აბაშელი



ადა მა, ქნარი კელავ ღალაზებს,  
კელავ ყცრს ვეგძებ ლოცვას ზექსტას.  
მე არ ვიცი, სხეს ჩა უნდა,  
მე ცას კუმლები, მე ასე მსერს,  
მე რა ვეყო, რომ აქ ველად,  
ბრძალის ცეცხლი არ ვანელდა?  
მე რა ვეყო, რომ აქ ცრემლი  
ისე მწევებად მეტაველდა?  
და, ნერავინ ნე მომისმენს  
ნერც იქა და ნელარც აქა,  
ოლონდ ფრთხებზე ჩემს სიმღერას  
ჩამოვბანთ სისხლის ლაქა".

ამ წლებში უფრო და უფრო ღრმავდება პოეტის უიმელო, სევ-  
დიანი განწყობილება. თუ „მზის სიცილში“ ქვეყნიური სინამდევილით  
გულა-ტკენი, იგი მზის წიაღში, ზეციურ სამყაროში მაინც გულისხ-  
მობდა რაღაც თავშესაფარს, ახლა კს იძელიც გაცამტვერებულია.  
ახლა უკვე მისთვის თანაბრად ცარიელია უცხო მიწაც და ზეცაც:

„მიწას გავიძელ, ცამ არ მიმიღო  
საწუთოს მსჯელით წუნდადებული.  
ჩემი მფარეველი არავინ იყო,  
მიწას გავიძელ ცამ არ მიმიღო,  
და შეაღამის სეედა მიმიჩმო  
გმირი, დალითე დამარცხებული".

ახლა ბუნების სამყარო პოეტს მხოლოდ თავისი გულგრილობით  
და უგრძნობელობით ხიბლავს, უნარით, — უეცრად იცვალოს სახე  
და ერთბაშად დაიღიწყოს განცდილი უბელურება. ლექსში „დილა“  
(1915 წელი) პოეტი განცვილებით და აღტაცებით შეპყურებს, თუ  
როგორ ერთბაშად წაიშალა ბუნებაში განცლილი ღამის კვალი, რო-  
გორ უეცრად იქნა დაიღიწყებული ღამის წყედიაღიც, ღუმილიც და  
უმოძრაობაც. პოეტი შენატრის ბუნების ამ უნარს და ცდილობს ის-  
წავლოს ბენებისაგან „განვლილ ჭირთა“ დავიწყების საიდუმლო:

„იყო ეძმი: ცა მეც მწამდა,  
მზის სამოსიც ღილაში მეცვა,  
მაგრამ როცა ღამილამდა,  
ვერ შევიძელ ჩრდილო დაცვა...  
ჩემი სელის ნათესავნო,  
ოქროს სხივი და ტბის ჭიდა,  
განვლილ ჭირთა დავიწყება  
ოქვენგან მინდა შევისწავლო".

„მზის სიცილისაგან“ განსხვავებით, „ანთებული ხეივნის“ ლირიკული გმირისთვის დახშულია მზის წილიც, მშეც ჩამქრალა და ფერწერის ფლად ქცეულა მისთვის, ასეთი განცდით არის გამსპევალული ლექსი — „სული ეული“, რომელშიაც უკიდურესი სიმძაფრით არის გადმოცემული ადამიანის განწირულობის, სულიერი ობლობის, მიზნობრივულობის დრამა. ამ მხრივ ეს ლექსი ერთ-ერთი უძლიერესი პოეტური ნაწარმოებთაგანია რეკოლეუციის წინაპერიოდის ქართულ პოეზიაში. იგი ამ მხრივ შეიძლება მხოლოდ გალატიონ ტაბიძის „მე და ლამეს“ და ნოე ჩიკევაძის „№-ს“ შევადაროთ:

„სული ეცლი, უთვესტოშო, კრული წაცელი,  
ტრიადაშევებული ლანდად დაჭრის შეესაფარი,  
მის შეუხარ გრძნობას შავად ბურის შევ ფიქრო  
უაფარი,  
გრძის სიმებზე შავ გველებად შემოხვეულია“.

როგორც ვხედავთ, პოეტის აღრინდელ ლექსებში გამოხატული უიმედობის გრძნობა აქ უკვე სკეპსისის საზოგრაფდეა მისული. „ანთებულ ხეივანში“ აღარც „რისხვის ღმერთისადმი“ მოწოდება გაისმის და აღარც საძულველ ხვედრთან შეტყინების წყურვილი იგრძნობა. პირიქით, პოეტი ბედისადმი დამორჩილების, მუხლმოდრეუს, ქედისმოხრის განწყობილებას ნერგავს:

„წრიას იტყეო, — ღმის დუმილს შენც დუშილით შეეყარე  
და უსახლვრო უფსკრულის წინ კრძალვით მცხლი მოიყარე“.

უღრტვინველად დასცერის ამ წიგნის ლირიკული გმირი მიწაზე გართხმულსა და სისხლის მოჩერეში მცურავ დროშას. იგი აღარწმუნებულია, რომ ბრძოლა საბოლოოდ წაგებულია, რომ მზიანი დილა აღარისდროს განმეორდება, ჟაბეუის ბედნიერი დღეები აღარ დაბრუნდება.

„და ჩემი ტრიშეც მისა აგდია სისხლში მცურავი.  
სული შემექმნა უიმედო და ნალელიანი,  
არ დაბრუნდება სიჭაბუკე ხალისიანი,  
არ აყვავლება მეორეჯერ დილა მზიანი“.

პოეტური ფორმის სფეროში ამ პერიოდში ალ. აბაშელი უფრო და უფრო უახლოედება ამ წლებში ჩეკენ ლიტერატურაში უკვე საკმაოდ მომძლავერებულსა და თითქმის გაბატონებულ დეკადენტურა-

სიმბოლისტურ მიმართულებას. ეს დაახლოება გამოხატულებას პოულობს ალ. აბაშელის ლექსთა სახეობრივ სისტემაშიც, ლექსიკაზე, რიტმშიც; პოეტური მხატვრობის იმპრესიონისტული მანერა მკვიდრდება მის შემოქმედებაში. საილუსტრაციოდ საყმარისია ჩამდენიშე სტრიქონიც:

„და სანამ ცა კების პფარჩულა,  
ჭალწულმა შევები ჩიცევა,  
ჟერში ვარდები გაშევდა  
და უკალ უინელი დაიწევა“.

ასეთი განწყობილებებით მოცული, ასეთს იდეურ-ესთეტიკურ პოზიციებშიც მდგარი პოეტისათვის მოცულოდნელი უნდა ყოფილიყო რევოლუციის ახალი გამარჯვება. მართლაც, თებერვლის რევოლუცია პოეტმა განიცადა, როგორც ჩაღაც უეცარი და მოცულოდნელი ბედნიერება, როგორც შემთხვევითი მონაპოვარი, ბედნიერი წამის სასწაული, ზეცის საჩუქარი:

„ენა როგორ არ დამუნჯდეს?  
თვალი როგორ არ გავადეს? —  
შეს დილითაც არ ეცოდე,  
შეალამით ავიზებინდეს?!”.

პოეტი აღფრთოვანებულ ჰიმნს უძლენის ხალხის ცხოვრისაში ხელახლა ამობრწყინებულ განთადს. რევოლუციის გამარჯვებას პოეტი განიცდის, როგორც მის მიერ დიდი ხნით დატირებული შევების დილის ხელახლად ინთებას, ბუნების ძალათა გამოღვიძებას, წყვდიადის დათევუნვას, ნათელისა და მზიურის ზეიმს:

„კვლავ იქნო ჩემი დილა,  
შევბის ცრემლით ანათროთლი  
ა შესცინის ციცრ მნიობს  
ცეკვითონ შენაბრძოლა“...

აქ თითქმის უცვლელად შენარჩუნებულია და განმეორებული ლექსთა წყობაც, რიტმიც, ლექსიკაც „მზის სიცილის“ ციფლის ცნობილი ლექსისა „ჩაქრა დილა“; ამ ხერხით პოეტს ის მზრი უნდოდა გამოეხატა, რომ რევოლუციის ახალი გამარჯვება სწორედ იმ განთიადის განმეორებაა, რომელსაც ოდესალაც იგი შეპხაროდა და უმდეროდა.

პოეტი მიესალმება ქვეყნად მოვლენილ „ალისფერ გრიგოლს“, 20

რომელმაც კელავ აღადგინა მზის ელვარება და „შევი აჩრდილი განდევნა ცის კაბიდონიდან:

„იშეა გრიგალი ალისფერი და ურთამრავალი,  
კოშკი დაინგრა და გამოჩნდა დროშა სხვა სახის,  
ელვამ აქეცეთა შევი ლანდი ჩჩდილთა კახუასი  
და წითელ მთაზე მზე იქნო ამოავალი“.

თითქოს საფუძველიანად იცელება პოეტის სულიერი სამყარო. მის პოეზიაში მზის ნათელი მეციდრტდება. კარნიანი ჰანგის ნაცელად იგი აღფრთოვანებულ ჰანგს მღერის „ალისფერი გრიგალისა“ და ქვეყნის განახლების საღიძეობლად.

მაგრამ გამძლე და ხანგრძლივი აზ გამოდგა პოეტის ეს აღტაცება. მენტევიზმის კონტრევოლუციური დიქტატურის რეჟიმი, რომელიც თითქმის ოთხი წლის განმავლობაში ბატონობდა საქართველოში, ცხადია, ვერ მისცემდა პოეტს შთავონებას განახლებული შემოქმედებითი ცხოვრებისათვის, ვერ გამოიყეანდა მას დაცემულობისა და უიმედობის განწყობილებათა ტყვეობიდან, ვერ გაუნათებდა გზას მაღალი სტრილის რეალისტური შემოქმედებისაკენ.

კონბილია, რომ ამ წლების მანძილზე ქართულ ლიტერატურაში უკიდურეს სახლვარს მიაღწია ბურეუაზიულ-დეკადენტურ სამწერლო მიმართულებათა ანტირეალისტურია ტყნდენციებმა.

სულ მაღალ ალ. აბაშელის პოეზიაში კელავ ნაღვლიანი და უიმედო ჰანგი გაისმა:

„უვავის ერ გაშლის შევ ზამთრისა სხვევებისაც და,  
ლოდევეშ ნამუთი სიყვარული ვერ გოცინებს,  
ახლა, ვით ვალი მელოდიარე, წეში რუსება  
საფლავის ქვაზე თავდახრილი ჩუმად ქვითონებს“.

პოეტი გვაძლევს თავისებურ ახსნას იმ წუთიერი აღფრთოვანებისა, რომელიც მან განიცადა თებერვლის რევოლუციის დღეებში და რომელიც, როგორც დაეინახეთ, მან მთელ ჩიგ ლექსებში გამოხატა:

„მოულოდნებად შოეურდა ცეცხლი ღამესა  
და შეც თვალები, ალბათ, მიტომ ამითამაშდა;  
მას შემდეგ გულა ეზიარა ბერ სიაშესა,  
მაგრამ ნალექლი ლზინშე უტრო მეტი დამაჩნდა.  
ახლა, როდესაც იშეა კვენესა სულის წვალებით  
და ნათელ სიშთა გამოიქრთა ხმა შეა ჰანგისა,  
ნისკარტისისხლიან ყორამას ვევრებ შემერთალ თვალებით,  
ნაცელად სხვევით ურთამეშეარგულ უარშევანგისა“.

მრიგად, ალ. აბაშელის „შოაგონებას კოლა განწირულებისა და სულიერი დეპრესიის განწყობილებანი ეცდლებიან. იგი კვლავ ღამის პირად-ინტიმურ, ღრმად ინდივიდუალურ განცდათა რეალის მოამწყვდითს თავისი შემოქმედება, ხოლო თუ სოციალური სინამდვილის თემას შეეხება, იგი ცხოვრებას დახატავს, როგორც საბჭობილეს, სადაც ყოველი არსი და მათ შორის აღამიანიც სამრდამოჯდაურულებიათ და არც ლირს ამ ტყვეობიდან თავდაზურებისათვეს ბრძოლა:

„მსოფლიო ციხეა სახარი  
და ტყვეა არსება ყოველი,  
არა იქნას სასჯელსაც საზღვარი,  
რა აჯავდა სიყვდილი მზად არა.  
მის ძაბილ ყოველწიას მოველა,  
მსოფლიო ციხეა სახარი  
და ტყვეა არსება ყოველი“.

(„ტრიოლეტები“, 1919 წ.)

პოეტის გულში კედება ყოველი რწმენა და მისწრაფება. ამავების, ყველაფრის წარმავლობისა და ეფემერულობის აზრი მოიცავს მის სულისკვეთებას:

„ვადივლი ჩუმად წყნარ ხეივნებს და შევჩერდები. ირყვლივ ნირვანად გაიშლება ცის შურდროება,  
წამლებიან ჩემს ხსოვნში ყველა ლმერთები,  
და ანთება ერთი აზრი, ამავება“.

(„ელეგია“, 1920 წ.)

ალ. აბაშელის ლექსების კრებული „გაბზარული სარკე“ ნათლად გვიჩვენებს, თუ ამდენად რთული და ლრმა წინააღმდეგობებით აღნიშნული გზა განვლო პოეტმა, კიდრე იგი, მართალია, არა ერთბაშად, თანდათანობით და დაგვიანებით, მაგრამ სამაგიეროდ საბოლოოდ, ურყევად ჩასწვდებოდა განახლებულ ცხოვრების სიღრმეს, გაიზიარებდა და შეისისხლხორცუებდა მის იდეებს, იქცეოდა ახალ სინამდვილის მხატვრად და მესოტებელ.

თავდაპირებელად პოეტი ეჭვით და უნდობლობით შესკეროდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ დიად გარდატეხას:

„უამედობა, მუდამ იქვე და სინაწელი  
ჩრდილიერი ხალხის ჩემი ფიქრის ყოველ ანთებას“.

ამბობდა პოეტი და მართლაც მისთვის ჯერ კიდევ ნათელი ას

იყო, თუ რას მოუტანდა ქვეყანას ეს განახლება, რით დაბოლოვდებოდა ძოლა ძველსა და ახალ სამყაროთა შორის გაჩალებული შეურიცებელი ბრძოლა:

„რას მოვეცემს ეს დრო, სისხლითა და ძელებით ნათესია  
იქროლებს რამი, მარს დარჩება უორნის წხავილი  
და ფირფება მიუწვდომელ მზის სინათლეზე  
მოუღილენად მოვარდნილ ქარიშხალვით, —  
თუ გარს მიწოდილ ნისლის ზღვდეს ველაზ გაარღევს,  
ვერ გადაიტანა ამ ანთებას შიწის სხეული,  
და სიმუდომიდ დამშვიდებს კაცებიან რატევებს  
საღმე მზის იქით ცის უფსურულში გადასხვარეცდა?!“

ამრიგად, ჯერ კიდევ პოეტისათვის მიუწვდომელია რწმენა რევოლუციის საქმის უძლეველობისა, სულიერ თბლობას, სიმარტოვესა და სევდას შეზრდილი მისი ბუნებისათვის უცხოა და ძნელად შესათვისებელი ის მძაფრი სოციალური ძვრები, რომელიც რევოლუციურ ეპოქას ახასიათებს. პოეტი აშკარად გამოხატავს თავის დატრინობას და უძლურებას ამ დრად ბრძოლათა ქარტუხილის წინაშე:

„ბრძოლის სიშმაგომ გული მატეინა  
და ჩამებინდა თეალებში ნისლი,  
ერ აიტანე ტყევა და რინა,  
ამჟენი ცეცხლი, ამდენი სისხლი“.

პოეტი ხედავს, რომ რევოლუციის გრიგალი ულმობელად ანგრევს მის განკერძობებულ „ბრძოლის კოშქს“. სინანული და შიში იპყრობს პოეტის ოცნებას. მას ეჩვენება, რომ განახლებული სინამდვივე შარავანდედს აცლის პოეტის სახელს, ჩაქრობით ემუქრება პოეზიის „წმინდა სანთელს“.

„უცებ მოვარდა ქარიშხალი ზღაპრულ დევებით,  
და ატორტმენდა მწევანე სივრცე ცეცხლის რკალებში.  
ადგი სემი ბრძოლის კოშქი ცის ნანგრევებით  
და ქარმა სილა მოშავარა ლია თვალებში...  
ჯუგუნებს ქარი და ოცნება თვალს ვეღარ ახელს,  
გამზარდებ მწეს სშირიდ უელის ტანს კრუანტელი.  
შარავანდედი ეკარგება  
პოეტის სახელს,  
ვაიმე, ჰერება პოეზიის  
წმინდა სანთელი!“

პოეტისათვის რევოლუცია ჯერ კიდევ მხოლოდ დამანგრეველ სტექიონს წარმოადგენს. აქ ჯერ კიდევ არ არის განსჭერეტილი და

გაგებული რევოლუციის შემოქმედი, აშალორძინებელი კალა. დეკადენტური პოეზიის ბურუსიდან ჯერ კიდევ გამოუჩავავისა აერთო, რისათვის გაუგებარია ის ახალი იდეურ-შემოქმედებით გუბი, რომელიც გამარჯვებულმა რევოლუციამ გადაუშალა პოეტურ შემოქმედებას. ახალი ცხოვრების მოთხოვნა და კარნაზი აქ პოეზიის „წმინდა სანთლის“ ჩატრობის საფრთხედ არის წარმოდგენილი. ეს აზრი, ნამდვილი და მაღალპოეტური შემოქმედებისათვის რევოლუციური სინამდვილის მიერ თითქოს შექმნილი საფრთხის შიში, კიდევ უფრო მკეთრად გამოიქვეა, ცოტა უფრო გვიან ალ. აბაშელმა ლექსში „ნოე ჩხიფეაძეს“.

თუ რამდენად უსაფუძველო იყო პოეტის ეს შიში და რამდენად მცდარი იყო მაშინდელი თვალსაზრისი პოეტისა რევოლუციის ბენებაზე და, კერძოდ, პოეტის ბედზე რევოლუციურ ეპოქაში, ეს შეტყველი დამაჯერებლობით გვიჩვენა თვით ალექსანდრე აბაშელის შემდგომმა პოეტურმა ცხოვრებამ.

1915 წელს დაწერილ ერთ ლექსში — „მე შეს ვუგალობ“ — ალ. აბაშელი გამოიტვამდა იმედს, რომ ოდესშე შესაძლებელია „მკედრეთით აღსდგეს“ მისი ჩანგი და სავსე სმით, ლალად აწერილდეს:

„შემდევ ვინ იცას? თუ ფლავ აღსდგა ცეკლის თაშაში,  
თუ მსე ახალი ცის სიცრებიში დალავ იტრიალებს,  
ახალ ეარსკელავთა განახლებულ სხივთა გაშმაში  
მკედრეთით ამდგარი ჩემი ჩანგიც დაწერილდეს.“

მართალი აღმოჩნდა პოეტის ეს წინავრძნობა. თუმცა საქმიო დრო დასჭირდა მსა იმისათვის, რომ ეგრძნო და გაეგო ჩვენი დროების ახალი შეს ძლევამოსილი ელვარება, მაგრამ საბოლოო ანგარიშში სწორედ ახალი ცხოვრების, ჩვენი სოციალისტური ეპოქის ნათელმა ააკლერა ალ. აბაშელის პოეზია ცხოვრების სიყვარულით, ცოცხალი სინამდვილის გრძნობით, ლალი და უჩრდილო ჰანგით.

ჩვენი საუკუნის ოციანი წლების მეორე ნახევარში ალ. აბაშელის პოეზიაში უკევ თანმიმდევრულად შემოღის და მკედრდება განახლებული ცხოვრების, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის, ჩვენი ქვეყნის აღორძინების თემატიკა. საგულისხმოა, რომ სოციალისტური აღმშენებლობის კონკრეტული ფაქტები ხდებიან მისი შთავონების წყაროდ და ბადებენ პოეტის აღფრთვიანებულ გრძნობას, რწმენას ნერლის სამუდამოდ განადგურებისა, ნათელის საბოლოოდ დამკეიდრებისა.

ლექსში „თბილისის ლამე“ საქართველოს განახლებული დედაქალაქის — თბილისის ფონზე, ალ. აბაშელი სატავს ღამის წყვდიალი-

სა და დღის ნათელის იმ უკანასკნელი ურთიერთ შებრძოლების  
სურათს, რომელიც ბნელეთის სამყაროს, წარსულის კოშმარის სამო-  
ლოთ გაცამტვერებით ბოლოვდება. წყვდიალი ველაზ უმკლავდება  
მომძღვრებული განთიადის იქრიშს:

„...ვერს გახდება — ბევრიც იბრძოლოს,  
და როს ინათებს დილა სისხმი,  
წავა და საღმე ქაღაქის ბოლოს  
თვეს ჩამოიხტონს თბილის ლმე“.

ასე დაბოლოვდა „შავი აჩრდილისა“ და მზიური საწყისის ხანგრძ-  
ლივი ქიდებილი ალ. აბაშელის პოეზიაში. მიერიღან პოეტი ქვეყნის  
ახალი განთიადის შთაგონებულ მომღერლად იქცა. მაგრამ ახლა  
უკეთ მის პოეზიაში მზე ზექვეყნიურ, მიწიერ ცხოვრებისადმი ღაპი-  
რისპირებულ ძალად კი არ არის გამოსახული, — იგი თვით ცხოვ-  
რებაშია შემოსული მთელი თავისი ცხოველმყოფელი სითბოთი და  
სინათლით. იგი პოეტის წარმოდგენაში აღორძინებული ქვეყნის,  
განახლებული ყოფის ორგანულ და განუყოფელ ნაწილად ისახება:

„თბილის ლაცვარდი შემოედობა  
და მზებ ულევი იქრო დაჭარა;  
ასაღუდებლად მყინვარს ეყოფა,  
რაც იქტომშებრმა აქ მზე დაღვარა.  
აღა სწევს ქუჩებს შემაბანდიაში  
და მზე ბანობს კოველ მინაში,  
და ეჯიბრება მწერად განთიად  
ფერთა უცნაურ დოლის წინაშე.“

(„ლიკონობისთვეში“, 1926 წ.)

როგორც ვხედავთ, აქ უკეთ ალ. აბაშელი მზეს უმღერის არა  
როგორც მისი ფანტაზიით შეთხზულს, სინამდვილის გარეშე და  
ცხოვრების ზემოთ მდგარ ჩაღაც განყენებულ აბსტრაქტის (რო-  
გორც იგი „მზის სიცილში“ იყო წარმოდგენილი), არამედ — რო-  
გორც ცხოვრების საფუძვით რეალურისა და ხელშესახებ მოვლენას.  
ეს ოქტომბრის მიერ ხალხის ცხოვრებაში შემოტანილი მზეა, რო-  
მელიც სხივთა სიუხვით ბანობს ყოველი ბინის ფანჯრის მინაში და  
თანაბარი ძალით ფერადოვნებს მწუხრსაც და განთიადსაც.

ლექსების მთელ ცავლში („თბილისი“, „მტკვარი“ და სხვ.)  
ალ. აბაშელი ხატავს და უმღერის განახლებული დედაქალაქის  
ზრდას, მის სახეცველას, ხალხის შემოქმედებითი შრომის დიად შე-  
დეგს: აქ პირველად შემოდის ალ. აბაშელის პოეზიაში რეალური  
თემატიკა, სინამდვილის კონკრეტული მასალა; ახლა უკეთ არა ზეცი-  
ური წიაღიღდან, არამედ ხალხის შრომითი გენიისაგან მოელის პოეტი  
კეშმარიტ სიხარულსა და ბედნიერებას:

„ჩეინის აუდიტი ჩატრელ მტკეარიდან  
შეიცვალეს დღე ნიალვარელი  
და შემოვიდეს ოთხივ კარიდან  
შრომა, სინათლე და სიყვარული“.

შემოქმედების საერთო კოლორიტთან და განწყობილებასთან ერთად ძირფესვიანად შეიცვალა და განახლდა ალ. აბაშელის პოეტიკა, პოეტური გამოსახულების საშუალებათა მთელი სისტემა. პირველად ახლა ჩნდება მის პოეზიაში 1905 წლის რევოლუციის რეალისტურად აღწერილი სურათები („მოგონება“, 1927 წ.) პოეტი ქმნის ყოფითს მასალაზე აგებულ შესანიშნავი ლექსების ციკლს: „მამის სიკვდილი“, „პაპაჩემი“ და სხვ. ამ ლექსებში არა მარტო ღრმა მხატვრული ძალით აღდგნილია და ცხოვლადა წარმოსახული რევოლუციამდელი სოფლის ყოფაცხოვრებითი სურათები, ამასთანავე დახატულია სისხლ-ხორცით საესე ადამიანური პორტრეტები და ხასიათები. ეს სოულიად ახალი თვისებაა ალ. აბაშელის პოეტური შემოქმედებისა.

ამგვარად გადადის და მკვიდრდება ალ. აბაშელი რეალისტური პოეზიის ნიადაგზე, იწყება ძისი შემოქმედებითი ცხოვრების ახალი ხანა, აღნიშნული ღრმა ინტენსივობით და ნაყოფიერებით, ჰანგთა და ნახატთა სიწრფელით და მხატვრული სიმართლით, შემოქმედებითი აზრის აქტუალობით, მაღალი იდეურობით.

ამ ახალი შემოქმედებითი ცხოვრების შესანიშნავ დოკუმენტს წარმოადგენს ლექსების წიგნი „მზე და სამშობლო“. ამ წიგნში ალექსანდრე აბაშელს საბოლოოდ მოუპოვა ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ისტორიის უცილობელი რეპუტაცია.

კრებული იხსნება მრავალმხრივად საყურადღებო ლექსით „ულადაური“. პოეტი ხატავს საქართველოს შორეული მთიანი კუთხის პატრიარქალური ცხოვრების რღვევის, მასში ჩვენი ეპოქის განმახლებელი სულის მძლავრად შექრის სურათს:

„ახალი ძალა იქმნებით,  
გამოგეცეალათ გუნება,  
აღარ ინდომეთ წარსულით  
მომავლის დაძაბუნება.“

გახარებთ ჩეინის არწივის  
მწევრეალზე შემობრუნება,  
ვეფხის ნატოტაზ ბექობზე  
მანქანის იგუგუნება“.

მთელი ეს ვრცელი ლირიკული ტირადა შეიცავს ამგვარ კონკრეტულ-სახეობრივ გამოხატულებას ჩვენი თანამედროვეობის განვითარებაზე, უამებნელი და ამაღლობისნებელი ძალისა.

საყურადღებოა, რომ ეს ლექსი დაწერილია ვაკე-ფშაველას ებური რიტმით. ეს იმას მოასწავებს, რომ ალექსანდრე აბაშელი ახლა უკვე შეგნებულად და პრინციპულად უკავდებს დეკადური პოეტური სკოლების გზას და მიმართავს ქართული კლასიკური პოეზიის დიდ რეალისტურ ტრადიციას. ვაკე-ფშაველას უკვდავ პოეტურ მემკვიდრეობასთან ერთად ალ. აბაშელის აწინდელი პოეტური ინდივიდუალობის ფორმირებაში უპირატესი როლი მიეკუთვნება აკაკი წერეთლის ლირიკის, აკაკის ნათელი, მსუბუქი, მომხიბლავი ლექსი, მაღალი ხალხურობით ალბეჭდილი მისი სიმღერა, თავის ერთგულ მიმღევარსა და გამგრძელებელს პოელობს ალ. აბაშელის სახით. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია თვით აკაკისადმი მიძღვნილი ლექსის რამდენიმე სტრიქონი გაეიხსენოთ:

„ჩინგურს რომ შენი ცრემლი დასცვია,  
შეტი იელვებს თვალებში წამსევ...  
სფგას საქართველო, ოქროს თასივით,  
შენი ლექსების ნექტარით საესე.“

ალ. აბაშელის პოეზიაში მეცენტ გამოხატულებას პოულობს საბჭოთა ადამიანის, ჩვენი ხალხის უწმინდესი გრძნობანი და მისწრაფებანი. პოეტი აღწევს ხალხის გულასთქმის გამოხატვას, ხალხის სახელით მეტყველების ძალას. იგი პოულობს ღრმა აზრით ალბეჭდილ პოეტურ სახეებსა და მომხიბელელი საზეიმო უღერის მელიდებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენათა გამოსახატვად.

აქ უკვე ნისახიც აღარ არის იმ მელანქოლიური ჰანგისა, რომელიც პოეტს თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის წინა პერიოდებში ახამიათებდა. აქ ნატამალიც აღარ არის შემორჩენილი იმ მუქი, დაბინდული საღებავებისა, რომლებიც წინათ მის პოეტურ პალიტრას განსაზღვრავდნენ.

საბჭოთა პატრიოტიზმის წმინდა და ამამაღლებელი გრძნობა ეცულება პოეტის მთელ არსებას. განუზომელი ბედნიერების გრძნობით შექმარის და უმღერის პოეტი აღორძინებულ სამშობლოს:

„ცის ვარსკვლავები გაფშომაყირეს,  
გულში სინათლე აღარ შეტვევ,  
შეტეავეობა შენი მაბარებს  
და შენი დიდი შემოქმედება“.

პატრიოტიზმის იდეის დამკვიდრებასთან ერთად ალ. აბაშელის პოეზიაში თავს იჩენს ისტორიაზმის გრძნობაც. მის შემოქმედებაში გამოხატულებას პოელობს საბჭოთა იდამიანის სიყვარული და ინტერესი თავისი სამშობლოს გმირული და სახელოვანი წარსულის მიმართ. ლექსში „სამშობლოსადმი“, ამ შთაგონებულ პატრიოტულ პიმნში, სადაც პოეტი ჩვენი ქვეყნის უმაგალითო აღორძინებას უმდერის, აღდგენილია განზოგადებითი ძალის სურათი ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თავდადებული ბრძოლისა სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის.

„მომსედარ ზეავიეთ შენ გზას ომიანს  
შეპეოქებია უადო ელური,  
მაგრამ იმედად გულს ჩადგომია  
ნათელი სიბრძნე რცხოველრი“.

რაც უფრო მეტად უახლოდებოდა და უკავშირდებოდა პოეტი ცოცხალ სინამდვილეს, ხალხის სულიერ ცხოვრებას, მით უფრო ფართოდებოდა მისი თვალთახედების პორიზონტი, მდიდრდებოდა და მრავალფეროვანდებოდა მისი თემებისა და სახეების სამყარო.

ცხოველ პოეტურ სურათებში ხატავს და მგზნებარე ქიმლერებით ადიდებს რცდაათიანი წლების დამდევიდან პოეტი კოლხეთის ცელზე გადაშლილ „ოქროს საწმისს“, განახლებულ თბილისს, ჩვენს უძლეველ საბჭოთა არმიას, ჩვენს დიდებულსა და სამაყო წინაპრებს. ჩვენი გმირული სინამდვილის ყოველი ღირსშესანიშნავი მოვლენა პოულობს გამოხატულებას აბაშელის ლექსებში.

ხალი ყოფის სხივმოსილი სურათის ფონზე ხატავს ალ. აბაშელი ეპოქის გმირის, ჩვენი დროის აღამიანის სახეს. აი, დამახასიათებელი მაგალითი ლექსიდან კოლმეურნეს“:

„უახლოდები ცისცერ ფარიბჭეს,  
შეხვალ ეზოში, უკვე ბინდია.  
შენ ხელებით დარგულ ნარინჯებს  
ესაუბრები, როვორც მინდია.

გვსმის ფოთლების ჩუმი შრიალი,  
ძალი მოჩბის და ჰყეფს მოხარული,  
მაღალი იდა, ლურჯფანჯრიანი,  
დგას შოფიტული და მოყარული.“

ამ ლექსშიც პოეტი კიდევ და კიდევ იმეორებს თავის თითქოს

თანდაყოლილ მოტივს ნათელისა და წყვდიადის იმ ხანგრძლივ  
კიდილისა, რომელიც ხალხის საბეღნიეროდ, სიკეთისა და სინათლის  
სამუდამო გამარჯვებით დაბოლოვდა:

„ზონ ომვადახდილ გმირიეთ მოხეალ,  
შემს დაბრუნებას შექმარის ჩიტაც,  
ხედავ, როგორი სიკეთე მოქვდა  
სინათლისა და წყვდიადის ჭიდილს“.

საბჭოთა აღმიანის მაღალი პუმანური გრძნობა, მისი სულიერი სამყაროს სიმდიდრე, სისპერაჟე და კეთილშობილება განძახიერა ალ. აბაშელმა ლექსში „უკუდავება“. საკუთარი ოცნებისა და ნატერის სახით აქ პოეტმა განზოგადოებულად გამოხატა ეპოქის კრიტიკის მოჩაღური იდეალი:

„ეცოცხლობდე — მეონდეს ქვეყნის ზიარალ  
სითბო, ალექსი, მხე და ყვევილი,  
არ ჩამჩრეს გულში სიტყვის ააჩა,  
სანამ ბოლომდე ჩემს გზას გავიყლო“.

პირადისა და სახალხო განცდის, საკუთარი და საქვეყნო ბედის ერთიანობა — ეს უპირველესი დამახსიათებელი თავისებურება სოციალისტური აღმიანის სულიერი ცხოვრებისა — მკაფიოდ არის ასახული ალ. აბაშელის პოეზიაში მისი ლირიკული პოეზიის გმირი თავისი ქვეყნის ცხოვრების ორგანულ, განუყოფელ ნაწილად გრძნობს თავს. მას მხოლოდ სახალხო სიხარული ახარებს, მისი ბედნიერების წყაროს საშობლოს ძლიერება და კეთილდღეობა წარმოადგენს. ხატავს რა ჩეკი საშობლოს განახლებულ ყოფაცხოვრებას ერთიან აყვავებულ ბაღნარად, პოეტი იმბობს:

„და დღეს ჩემს გულსაც ეს უხარია,  
რომ ვე სინათლე ასე დიდია,  
რომ არც თოველია, რომ არც ქარია,  
და მხეც საშობლოს ცაშე ჰელია!“

და, როდესაც ამ მშეს სასიკედილო საფრთხე დაემუქრა, როგორ ჩეკი ქვეყანის კაცობრიობის უბოროტეს მტერთა გაცოფებული ურალები შემოესაა, ალ. აბაშელის ლალი და უჩრდილო სიმღერა ერთბაშად იქცა უცხოელ დამპყრობელთა დროი მომაკლინებელი გრძისწყრომით გამსჭვალულ მრისხანე ყიფინად. ახლა პოეტმა თა-

ჭისი სიცოცხლისა და შემოქმედების უპირველეს იდეალად კერძოდ  
მტრის შემუსტრა დაისახა: „კალამო, მხოლოდ შემუსტრა მტრითა, კადა  
კადა იყიშე სხვა ყველაფური!“ — მიმართა ომის პირველსაც დღეებ-  
ში აღ. აბაშელმა საკუთარ კალამს და, მართლაც, სამამულო ომის  
დღეებში პოეტის შთაგონების ერთადერთ საგანს მტრის განადგურე-  
ბისათვის, ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის წარმოებუ-  
ლი თავდადებული და შეუდარებლად გმირული ბრძოლა შეადგენდა.

ჩვენი გამარჯვების ურკებები რწმენას მოეროდა და ნერგავდა მისი  
ლექსი ომის ყველაზე დაძაბულსა და საბედისწერო მომენტებშიც.  
ჰიტლერელ დამპყრობელთა ავაზაფური თავდასხმის მეორე დღესვე  
დაწერილ ლექსში პოეტი მთელი საბჭოთა ხალხის ვაჟაპურისა და  
უშიშარ ნებისყოფის გამოხატავდა:

„მიწა დაიწყებს ზანზარს  
ულმიბელ ცეცხლის ურქვევით,  
შტერი დღეს ნახავს საზიარს  
ჩვენი მიჯნების ქვევით“.

ამ რწმენის გალვივებისა და განმტკიცებისათვის პოეტი აღად-  
გენდა ხალხის მესიიერებაში ღრმად დამაჯერებელ სატორიულ ანა-  
ლოგიებს:

„ჩვენს მიწა-წყალზე ოქროს ავერტა  
მტკიცებელ ხროვს კვლავაც უცდია,  
მაგრამ ჩვენს მიწას მტრის დასახვედრაუ  
შეერი ეცეკაცია გამოიუწოდია.  
შემისულ მტრის შესგებებია  
ხალხი, ქადაგი ერთ დღი სხეულად,  
ხალხს გამარჯვება მუდამ რვებია,  
მტრი უკველოვის უავეულა“.

ძნელი არ არის გავითვილისწინოთ ამ სტრიქონების შთამაგონე-  
ბელი და საბრძოლოდ აღმატებოთოვანებელი ზემოქმედების მაღა იმ  
მრისხანე დღეებში, როდესაც ჩვენი ხალხის ყველა უწმინდეს მონა-  
პოვარს, ჩვენი სამშობლოს სიცოცხლესა და თავისუფლებას საესე-  
ბით რეალური საფრთხე ემუქრებოდა სისხლიანი ჰიტლერის კოჯო-  
ხეთავრი საომარი მანქანის სახით.

სამამულო ომის დღეებში აღექსანდრე აბაშელმა იხალი ბრწყინ-  
ვალე ფრცლებით გაამდიდრა თავისი ვრცელი შემოქმედებითი  
ბიოგრაფია. მის პოეზიაში ცხოვლად აისახა სამამულო ომის ყველა

უმნიშვნელოვანების ეპიზოდი: სტალინგრადის ლეგენდარული ექიმის შეა, ლენინის ქადაქის გმირული დაცვა, მოსკოვის კარიბჭესთან გადამდინარებით მართული, შეუდარებელი თავგანწირულებით ოღნიშნული, მარად უპირობი შარავანდელით მოსილი ბრძოლა. როდესაც მტერი კავკასიონის კალთებს მოადგა და უშუალოდ დაემუქრა საქართველოს მიწა-წყალს, ალ. აბაშელია გულის სილრმემდე ჩამწვდომი, აღმაგზებელი საბრძოლო მოწოდებით შიმართა ქართველ მეომრებს:

„შენი შიწა მოტელი და კერის კვამილი აქა დგას,

შენი შეილის ყველი, შენი ფურე აქ არი.

მტერი მოდის, კისერზე რომ უდილი დაგაიდგას,  
კავკაცურად დაუჩვდი, არ მოუშეა, დაკარი!

ომის უმძაორეს ვითარებაში, სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის გარეშეცვაში ალექსანდრე აბაშელი განასახიერებდა მოელი ხალხის რცხებას იმ დიდებულ დღეებზე, როდესაც ქვეყანას კვლავ მშეოდნიბანი შშენებლობის, ამაღლობინებელი შრომის პათოსი მოიცავდა. პოეტი იარაღასხმული საბჭოთა ხალხის ცნობიერებაში განამტკიცებდა იმ აზრსა და რწმენას რომ

„შშილობიანი დე გათენიდა,  
მაღლანან შრომის თველით ნაპერი  
და რაც ლინგრი, კაცე აშენდება,  
ისევ მონახავს აგრძეს აგრძი!“

სამამულო ომში გამოვლენილმა უმაგალითო გმირობამ საბჭოთა ადამიანისა, ჩვენი ხალხის უძლეველობამ და სიცილემ კიდევ მტერად გააღმავა ნაციონალური სიმაყის გრძნობა, პატრიოტული ალფროვანება. ხალხის ეს განწყობილება ღირსეულად გამოიტევა პოეტმა თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში:

„სულ სხვა სინათლე და სხვა იერი  
აზევეს ჩემის ლავგარდის, წევის და ქარსაცა  
ჰყვანადეს შიწა სკეპტიკერი, —  
სხვა საქართველო არ აჩის აჩხად.“

განუზომელი ალფროვანებით უმღერა პოეტმა თავისი და მოელი საბჭოთა ხალხის ნანატრი და ნაოცნებარი დღის 9 მაისის გათენებას:

„სხვა შოგარდა ცხრა მოსის  
ღანცევესაჩინი

და თითქოს ცხრა შეკვეთია  
ჩეენს ცაში ერთად.  
ჩემო ფალაშო, გიხართდეს,  
ხომ მოვესწარით,  
რომ დაინახეთ სანატრელი  
შემუსერა მტერთა".

ომისშემდეგი წლების თავის საუკეთესო ლექსებში ალ. აბაშელია შთაგონებულად უძღერა იმ უმაგალითოდ გმირულ შემოქმედებითს შრომის, რომელიც გააჩიდა დიალი ბრძოლის ქარცეცხლიდან ძლევა-მოსილად გამოსულია საბჭოთა ხალხმა იმით მიყენებული კრილობების მოშუშებისათვის, ჩეენი სამშობლოს სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყოველი დარგის აწალი მძლავრი აღმაღლობისათვის, მსოფლიოს ხალხთა შორის მშეიღობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ისეთივე მგზნებარე და გულის სიღრმემდე ჩამწედომი ლექსით, როგორითაც პოეტი იმის მრისხანე დღეებში საბრძოლო გმირობისათვის უხმობდა და იღაზნებდა ხალხს. ახლა იგი აღიღებდა მშეიუბიანი შრომის ზეიმს, ჩეენი სამშობლოს დაუცხრომელ წინსკლას თავისი დიალი საბოლოო მიზნისაკენ.

-ლავეარდის ფარდას ნიავი არჩევს,  
ხვალინდელი დღის ჩეენებას ეხედავ:  
მოის წყალი მოაქვს სამგორის არჩებს,  
რუსთავის ველზე ქარხნები სხედან.  
თეთრ კედლებს ზრდიან ხარამოები,  
იუშვერიათ მაღლა ხელები,  
წითელ აღმების კაფანოებით  
აყვავებულან სასახლეები".

ასეთი უჩრდილო, ნათელი და ხილისიანი ჰანგი დამკვიდრდა ალ. აბაშელის პოეზიაში. სამამულო იმის დამთავრებისთანავე მისი შთაგონების საგნად საბჭოთა ადამიანის გმირული შრომის დიალი ძალა, ჩეენი ქვეყნის კიდევ უფრო ნათელი და დიდებული ხვალინდელი ცლე იქცა. პოეტის ლალი ოცნება ფრთასხმულად მიესწრავეოდა ამ ხეალინდელ დღეს, ნათლად ხედავდა, შთამბეჭდავად წარმოსთქვამდა მის მომზიბელულ სახეს:

„შესმის გეგუნი მომავლის ქართა,  
და, შთაგონებით თვალანანთები,  
ეხედავ, შორეულ ლავეარდის ქართა  
წევანან ცისფერი განთიაღები".

მა უფრო შეტი სინათლე მოაქვთ,  
ჯერ არნახული სიცოცხლის უერთ.  
შეილაშვილებო, ეს თქვენი ღრაო,  
შე იმ დღეების გაშლაზე ვჰლერი."

თავისი ლექსების უკანასკნელ წიგნში „ოქროს საფეხურები“ პოეტმა მრავალფეროვნად და მრავალმხრივად გამოხატა ტიპიური განწყობილებანი საბჭოთა ოდამიანისა, რომელიც, თავისი ქვეყნის მიერ კაცობრიობის უბოროტეს მტრებზე დაიღი გამარჯვების გამო კანონიერი სიამიყით ოფტროვეანებული, სათავეში უდგებოდა პროგრესული კაცობრიობის ბრძოლას ახალი ომის სისხლიან გამჩალებელთა წინააღმდეგ.

„უნდა დაემხსო ყოველ კუთხში  
ომის მოსურნე და მოტაციალე;  
მათ ვერ უშეველის ძალა უხეში  
და ნაქრიდალი დროშის ფრიალი,  
ომი არ გვინდა — იმის ძაბილი,  
აღმიტოვებული ხალხი აგრესიონი,  
უნდა გადატყედს ომის მახვილი,  
ომი არ გვინდა ომი არ გვინდა!“

ასე ორგანულად, ბუნებრივად, ასეთ წრიტელ და ნათელ პოეტურ სიტყვაში გამოთქვამდა ალ. აბაშელი ჩეენი ხალხისა და მსოფლიოს ყოველი პატიოსანი აღამიანის უწმინდეს გრძნობებსა და მისწრაფებებს. თითქოს შთამომაცელობისადმი კეთილშობილურ ინჟერიძად გაისამა პოეტის მიერ მისი ცხოვრების მიწურულში დაწერილი სტრიქონები:

„შენც ემსიხურდ მშვიდობის საქმეს,  
აღიდე მადლი ჩეენი შრომისა,  
რომ არ მიაღვეს ვარდისფერ აკვეშს  
შუაშემზარევა წრილი ომისა.“

ლექსში „მომაცელის პოეტებს“ ალ. აბაშელმა გამოხატა თავისი და ყოველი თანამედროვე ხელოვანის სიამაყის გრძნობა იმის გამო, რომ სწორედ მათ დაკასრა ისტორიაში ყოფილიყვნენ ახალი სამყაროს დაბადების, მისი ზრდისა და განმტკიცების მოწმენი და მონაწილენი, პირებულად იქსახათ კაცობრიობის ისტორიის ეს დიდი გაზაფხული, პირველად ემღერათ მისთვის.

პოეტმა იცის, რომ მომაცელის პოეტებს უფრო ნათელი დღეები მოელის, მაგრამ თანამედროვე აღამიანის განცემეორებელი უპირატესობა ის არის, რომ მან არა მარტო უშუალოდ იხილა, არამედ თავის აბაშელი.

ეისი კეთილშობილური ბრძოლითა და შრომით დამკვიდრა ქვეყნად  
ახალი, თავისუფალი, სამართლიანი ცხოვრება. ჩვენი ეპოქის დღიური  
ნის ამ შეგნებას გამოთქვამს პოეტი დასახელებულ ლექსში თავისი  
მომავალი მემკვიდრეებისადმი, მომავლის პოეტებისადმი მიძღვნილ  
სტრიქონებში:


„ჩვენს უტებესად იქნებ თქეენმა დრომ მოილხინს  
და უფრო მეტი სიტყო ნახონ თქეენმა შეიღებმა,  
მაგრამ ვერავინ, ვერასოდეს ველარ იხილოს  
ქვეყნის პირველი გაზაფხულის ავავილება.  
ეს ჩვენ გახელა წილად და თქეენც ბევრჯერ მოგენტრებათ  
ჩვენ ეპოქის შეხერ დღეთა შემომტრება,  
რომ თქეენი თვალით დაინახოთ ეს განათება,  
რამაც შესცვალა ძეელი ქვეყნის მეური ბუნება“.

ჩვენი დღეების შექარებაში, წარსულის კოშმარის დამთრგუნავი  
ჩვენი ეპოქის მძაფრ ბრძოლებში და დიად გამარჯვებებში პოულობ-  
და პოეტი ნამდვილი ბედნიერების მიზეზს. ამიტომაც მის სულიერ  
სამყაროს ვერ ეუფლებოდა ხანდაზმულობის სკედა და სიცოცხლის  
მოახლოებული დასასჩულის შიში. პოეტის სულიერ ძლიერებასა,  
მის მაღალ სოციალურ შეგნებასა და პატრიოტულ სიმაყეს მოწმობს  
ის იშვიათი სიმშეიდე და ვაკეაცური უდრტვინველობა, რომლითაც  
იგი თვალს უსწორებდა საკუთარი ფიზიკური არსებობის მოახლო-  
ებულ ფინანსს. თედო სახოკიასადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი  
ამბობდა:

„ჩვენ კიდევ ერთი კარიც შევაღოთ,  
რომ დაენახოთ ახალი მობი,  
ხელინდელ ღებული ხელი შევახოთ  
და შეტე... წყნარიდ ღავეცოთ ფრთხები“.

ასეთი გაუტეხელი და დაუბერებელი სულიერი ცხოვრებით, ასე-  
თი უნიტარული და უნალელო სიმღერებით წავიდა ჩვენგან ალექსანდ-  
რე ბაბუშელი. მან მართლაც „წყნარად დაეცეა ფრთხები“, რადგან  
მშობლიერი ქვეყნის შენაშე ვალმოხდილი, გრძნობდა, რომ წარუშ-  
ოლი კვალი დატოვა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში და ხალხის  
შესსიერებაში.

# ଫେର୍ତ୍ତା ନିର୍ମଳା



ପାଞ୍ଚ ଅ

I

1909

—

1913

## ციცხლი

წყარო ჩანჩქერ-ნაკადისა, მოკაშქაშე თხემი მთისა,  
ვით კვარცხლბეჭი ლაუგარდ ცისა, ამაუ სკეტად აზიდული,  
დაუღვეველ ცრემლის ღნობით, გაციცებულ, მიმქრალ გრძნობით,  
ვარსკვლავებთან ცივ ტატნობით საუბრობდა გარინდული.

ციცხ მნათობთ იღუმალი უნაპირო სივრცის თვალი,  
ეთ სამოთხის ნაპერწყალი მწევერეალს მთისას უცინოდა,  
უსრულებელ უამთა ქროლვა, პირველყოფილ ცეცხლის კრთოლვა,  
ქვეყნის არსთა სულის ლტოლვა სხივთა ქონად მოპტენოდა.

მასში იყო ჩასახული სიცოცხლისა გაზაფხული,  
უხილავი, დაფარული, საიდუმლო ქვეყნის ბედი,  
ძალა ვარსკვლავთ წარმომშობი, ცეცხლის მფრქენელ მშეთა  
შერობი,  
ცვალებადი და უნდობი, საუკუნეთ ჯაჭვის მცედი.

ცვარანკარა ნაკადული, თოვლის ფიფქში მიმალული,  
ხმაჩამედარი, განაბული, ყურს უგდებდა თხემის ჩურჩულს,  
საიდუმლო მოიპარა და ცელქ ნიაეს მიაბარა,  
მთა ლიკლიკით მოიარა, ბარს ეფრქვია პირმოქუშულს.

ნიავმა კი ფრთა გაშალა, მთილან ნისლი გადალალა,  
ცვარნამს სხივი ააცალა და ჩაუქრო წალეოტს ლიმი,  
ვერ დამალა მონაბარი, ააკვნესა მთა და ბარი,  
ფრთა შეიშრო ნამგამდნარი, ამითროთოლა სმენის სიმი:

„უამი მიპქრის, უამი კვდება, ცეცხლით ქმნილი ცეცხლში ჰქება,  
„ცეცხლად ღვივის ვარსკვლავთ ქრება, მარიხი და ოტარიდი,  
„ცეცხლი არის მხოლოდ ერთი — რღვევის ძალა, რისხეის ღმერთი,  
„სამივ ღროთა შემაერთი, არსებობის გზა და ხიდი.



„იგი არის ჯოვანშეთი, ბნელ-ბურუსის ალით მკვეთი, კარავანის „მოძრაობის შემოქმედი, ოქროს მფეთქი შადრევანი, ელვა მჭრელი, მეხ-ტალ-კვესი, პრომეთეის ამაკვნესი, „სიცოცხლისა უხვად მთესი, მისი კუბო და აკვანი..“

1909

## ზამთარი და გაზაფხული

არე-მიღამო თოვლის ფიტქით შესუდრულიყო,  
ყინულის ბორჯილს შეეკუმშა ბუნების გული,  
ირგვლივ ტყე-ველი საცოდავად გაძარცულიყო,  
ოდესალაც ნაზად მობიბინე, აყვავებული.

შნათობთა მეფეს, ცხოველმყოფელს მზეს სსიცდიადსა  
შვეი ღრუბლების მძიმე გრივა ეფარებოდა,  
ბნელი ზეწარი გაემალა ფართოდ წყვდიადსა,  
სიცორებლეს ძალა შეუმჩნეველად ეპარებოდა.  
სდუმდა მონურიად ეს ქვეყანა სასომისძილი,  
მყუდროებაში ჩაფლულიყო ზეცის სამყარო.  
აღარ ისმოდა არც კენესა და აღარც ტირილი,  
უიშედობას გაეყინა ცრემლისა წყარო....

ნიაქმა უცებ გამედულად გაისისინა,  
ხის ტოტი ოდნავ შეარხია, წელში გამართა.  
ზავ ღრუბელს ეცა, შეუქროლა და შეუსტვინა,  
მყერდი გაუპო და შიგ წყრომით შეინავარდა.  
შნემ სხივი სტყორბუნა შავი ღრუბლის გარღვეულ მყერდსა.  
გზა გაიკაფა სოფლისაკენ და ჩამჭერაზ მოლსა  
გული გაუთბო, დაუამა წყლული უმწესა  
და მიანათა ობლად შთენილ მწვანე ფოთოლსა.  
მაგრამ ღრუბელმა გაიმრთელა მყერდი დაჭრილი,  
სხივთა საფრქვევად მზეს დაუბშო სოფლისკენ კარი.  
ფოთოლი დასკუნა, მოლი ხმება ზედ თოვლ-წაყრილი,  
და კვლავ მაგრდება ყინვის ტახტზე მკაცრი ზამთარი....

ჩუ! ქარი იწყებს ზუზუნსა,  
მოშეუის გააფთრებული,  
ტყე ანმაურდა, იღრტვინდა,  
ბობოქრობს აღტყინებული.

ტოტები შხუილ-ხუილით  
 ურთიერთს ესალმებიან,  
 ზურგიდან თოვლის მძიმე ტვირთს  
 იბერტყენ, მსუბუქდებიან.  
 იქექა. ზეცის გუმბათი  
 ელვამ დაჭხაზა, დაჭსერა,  
 და ქარიშხალმაც სიბნელეს  
 მრისხანედ დაჭქრა, დაჭბერა.  
 შავ ღრუბლის გროვა დაჭფლითა.  
 პაერში ააფრიალა,  
 შავილ მოსკერილი ლაქეარდი  
 გასწმინდა, გაპრიალა.  
 შზემ სხივთ ისარი მოქმართა,  
 გაჭქრა და გაჭქრა ღრუბელსა,  
 მთათა მწევრევალი მოალბო  
 და მოაშუქა სოფელსა.  
 ბნელ-უკუნეთი გააქრო,  
 თოვლ-ყინვას ცრემლი ადინა  
 და ქლდის ნაპრალზე ჩუხჩუხით  
 ჩანჩქერად გადმოადინა.  
 იას სიცოცხლე ჩაპბერა,  
 ვარდს გაუნათა სულ-გული,  
 სასიყვარულო ჰანგებით  
 აპიკერია ბულბული.  
 ტყე-ეელი ააზურმუხტა,  
 აბიბინა მთა-ბარი,  
 გაზაფხულს ტახტი დაუდგა,  
 დაასამარა ზამთარი.

## გათიადის მოლოდიზე

ნისლის ნაკუთი ნაჩნარ ნიავს  
 ჩამქრალ ჩრდილად ჩაქედომოდა,  
 ბუჩქნარ-ბაღში ბროლ-ბილილას  
 მწვანე მოლი მოქცენოდა.

სიოს სისინს სასოება  
 დილის დარდით დაჭიარეოდა,  
 ლაფვარდს ლანდთა ლეგიონი  
 ვრძნეულთ გროვად გასწოლოდა.

ალიონის ალმას ამბორს  
 ია ისრად იტაცებდა,  
 ცის ცივ ცრემლით ცრილი ცვარი  
 კორდზე ედემით კისკასებდა.

თეთრ თხემს თოვლის თაიგული  
 ეთერ-ელვად ეშუქოდა,  
 ხავერდ-ხმელზე ხაზად ხნული  
 რუ რაქრაკა რბილად რბოდა.

უჩვევ უუნს ულმობელად  
 წარბ-წამწამი წაექუშა,  
 ვარსკვლავთ ვერცხლი, ვაგლახ, ველად  
 ჩრდილთა ჩანჩქერს ჩაეფუშა.

ფრთისან ფიქრთა ფეიქარი  
 ქნარზე ქროლით ქენჯნას ქსოვდა,  
 ზურმუხსტ ზრახვათ ზეირთთა ზარი  
 შავი შიშის შრიალს შობდა...

## შავი აჩალილი

პიტალო თხემზე ანაფრენი მსუბუქ ნიავით,  
 მსუბუქ ნიავით ცოდვილ მიწას დაშორებული,  
 ვიღექ ბედისა მომდერავი კაცთა სიავით,  
 კაცთა სიავით გულნატყენი, დაღონებული.

ვაჩსკელავთა გუნდი ცის ეკეროდა სხივებმიმქრალი,  
 სხივებმიმქრალი სდარაჯობდა სიცოცხლის საზღვარს,  
 და ცის უფსერულში მიმოქმეროდა ფიქრთ ნაპერწერალი,  
 ფიქრთ ნაპერწერალი, მოწყვეტილი დროთა ნიაღვარს...

სოფელს ეძინა, არ ისმოდა ქეითინი მწარე,  
 ქვითინი მწარე, მიწის მყერდით ამონაყენესი,  
 ნისლს დაებურა მშობლიურად ობოლი მხარე,  
 ობოლი მხარე სისხლში ნაბან, ცრემლში ნალესი...

და ცის წიაღში, ვაჩსკელავთ შორის, შავი აჩრდილი,  
 შავი აჩრდილი სიკვდილისა იხატებოდა, -  
 შავ სხივთ აფრქვევდა ცის კაბალონს ის ცელგაწედილი,  
 და ცელგაწედილი დედამიწას ემუქრებოდა...

პიტალო თხემზე ანაფრენი ნიავის ფრთებით,  
 ნიავის ფრთებით დედამიწას დაშორებული,  
 ციურ სიმბოლოს გვესცეროდი იდუმალ გრძნებით,  
 იდუმალ გრძნებით გამსჭვალული, დაფიქრებული...

თბილი, 1910

## გაწყდა სიმი

(ნ. გამუნია-ცაგარელის ხემონას)

Пусть арфа сломана,  
аккорд еще рыдает,  
Пусть жертвенник  
разбит,  
огонь еще пылает.  
Надсон

გაწყდა სიმი... გლოვის პიმნი კვნესით მოსწყდა ხმას  
მშობლიურს,  
ცის ეთერში გაილესა, შეუერთდა იკორდს ციურს.  
გაწყდა სიმი... მწუხრის ღიმი დაესვენა სახეს ღეთიურს,  
ზეცა ისმენს სხივგაშლილი მოთქმა-ქვითიშ ამჟევენიურს: —  
  
ვინ უკმიოს საკურთხეველს? ვინ ათრთოლოს გრძნობით  
სული?  
მწარე ბეჭში ცრემლის მფრქვეველს ვინ მოჰვევოროს.  
სიხარული?  
გაპტერა ცისქრის ნაპერწერალი, სპეტაკ სულში ანთებული,  
გასწყდა სიმი... ჩამოინგრა ხილი ზეცად გადებული...

მაგრამ ზეცამ მიწის ქვნესას სიმფონიით გამოსძახა:  
სული ცოცხლობს, უკედავია, მხოლოდ ფერფლი დაიმარხა;  
ვით მოქვედბა, ვინც სამოთხის აღმაფრუნი სახე ნახა,  
ვინც სულისა ქვეთებაში უკედავება გამოსახა?!

გაწყდა სიმი... გლოვის პიმნი კვნესით მოსწყდა ხმას  
მშობლიურს,  
ცის ეთერში გაილესა, შეუერთდა იკორდს ციურს...

ავგვისტო, 1910

## ორი სურათი

### I

ღამის მანტიით შემოსუდრულს სძინავს სოფელსა, გლოვის სიმები მკედრულ სიჩუმეს დაუწევეტია, შავ ჩრდილო ქსოვილი წამოუსხამს უტყვი მინდორ-ველსა, რცც აღარ მოთქვამს, მასაც სძინავს, ხმა გაემენდია. ტყე არ შრიალებს, უნიავო, შავად ფოთლილი, თითქო სიჩუმით მასაც გული დაოსებია, და თავჩაქინდრულ ხეთა გროვა, ნისლით მოსილი, სალ-ჯლდეთ მონაბერ უძრავ აჩრდილო დამსგავსებია. ღრუბელთ ზოლები, ცისკიდურზე გადმოწოლილნი, ვით მარმარილოს მყრთალი ფრთხები გამწერიებულან, და მუქ ცის მკერდზე სიერცის სუნთქვით გადმოსროლილი წარსულ სიცოცხლის უკვდავ ნიშნად გაქვავებულან. თხემნი მთისანი, მქრალ სამსხვერპლოდ ცად აზილულნი, ღრუბელთ იალქნებს ცივ მმბორით ეკონებიან და ემთა სრბოლის ქანდაქება ხატად ქეცულნი, მოვარის ცივ შუქით უცნაურად იმოსებიან. ნიავის ფრთხებით კაშანი დაქრის ტყე-ველად, სევდის ჰიმნებით დამსისინებს ყრუ არემარეს... აქ სიკელილია მიმალული სიჩუმის მცემად, ბოროტი სული დაჭახარებს უბედურ მხარეს...

### II

შზის პირველ სწირთა მოციალე კონით მსხერეული, ქალაქს სცილდება ნისლის ჩადრი, ცით მონაბერი, ღამის ბურუსი ნიავს ერთვის, დილით ძლეული, იღვიძებს ბრძოლის საოცნებო ცა მშეენიერი.

ქუჩია გუგუნებს, ქუჩია გრგვინაცს, მაშვრალთ სავანე,  
 უხილავ ძალთა სტიქონით გატაცებული,  
 ცხოვრების ფარგლებს ეხეთქება, ვით ოკეანე,  
 სასტიკ ქარიშხლით ანაკენესი, აშეიროებული.  
 ფოლადთ კერძები, დარიაზმულნი ცეცხლის მფრქვეველად,  
 შრომის ემბლემად, ვით ტაძარნი, ზეაღმართულნი,  
 რაზმთ უყივიან ბოროტ სულთან შესაბრძოლველად,  
 გრდემლის ზანზარში ხმალსა სკედენ ამქუხრებულწი.  
 კენესა, ვაება, უბედობით გამოწვეული,  
 ერთეის განცხრომა-უუფუნების კისკის-სიცილსა,  
 შურისძიების მძლე წყურევილი, მასში რეული,  
 ქმნის აყორდს ციურს, სიმთ იელერებს, სხივით ქსოვილსა.  
 და ამ აყორდში უცხო პიმნის ისშის ხმა ტებილი,  
 მასში გამოკრთის ამომავალ ვარსკვლავთ ცალი,  
 ეგ ბრძოლის ხმაა, მომავლისა გამოძახილი,  
 მასში გაქეივის საუკუნეთ ჩარხის ტრიალი...

თბილისი, 1910

## მზის წიაღში

მზისგან შობილსა, ოქროს ტალღის ალში განბანილს,  
მიწამ მაჩუქა ღამის ჩადრი, შავი აჩრდილი,  
აღმაფრენ იმედს, განუსაზღვრელს, ცით წარმოგზავნილს,  
მან მიაგება სკედის თასი, შხამით აღვსილი.

ეეღარ ვპოულობ მიწის მკერდზე სრულსა ნათელსა,  
აჩრდილი იგი მუდამ თან მდევს შავად გამლილი,  
მან მზით მონაბერ ალთ-ნაკადის ქრიალა ქსელსა  
შერისძიებით შავ-უუნის ჩასცა მახვილი.

შძინარ ქეყუანას რომ ეწევევა დუმილი ცისა,  
ვარსკევლავთ ციმციმი ზღვას გაუმხელს პირველს ხეაშიადს,—  
შავ აჩრდილს მპარავს იღუმალი სუნთქვა ღამისა,  
ის უერთდება, გულში ეკერის, ფრთაგაშლილ წყედიადს.

მაშინ დავეძებ სულის ლტოლეოთ ჩემს მშობელ მზესა,  
ცისკარს ცუყიფი მომავალს, განთიადს ცელი,  
მსურს მიევეგბო ხოტბაშესხმით სსიცოსან დღესა,  
მსურს დავინახო ცის მნათობი, ცეცხლის მფრქვეველი.

მალე ვერცხლის თმას ძირს გაღმოშლის დილის ცისკარი,  
მოპარულ სსიცებს მთვარე მორცხვად გააბნევს ველად,  
ცეცხლის მახვილით გაიღება ლაქვარდ ცის კარი  
და მზეც ამოვა, მოელენილი სიცოცხლის მცველად.

და რომ სხიეთ ისაჩს მკერდს მიეუშვერ, ხელებგაშლილი,  
მზისკენ ავაფრენ სულს განუშედილს ოქროს ფრინველად,—  
იმწამსვე გეერდით გაშინდება შავი აჩრდილი  
და ჩამჩრისულებს: „შენთანა ვარ მეც განუყრელად!“...

დილის ცეარი მოკამქამე,  
ვერცხლად ათამაშებული,  
მეტის ლხენით ანატირი,  
ვარსკევლავივით ანთებული,

მზეს შესცინის, მის პირდელ სხივს  
იქერს გაალმასებული  
და სულსა ლევს, ორთქელად ღნება,  
წუთიერად არსებული.

კოკობ-ვარდი, ახლადშლილი,  
იცდის — ჩოლის გათენდება,  
ამბორს უყოფს მზის პირველ სხივს,  
სპეკალ მტკერით აბზინდება,  
კიურ ცეცხლში ნამს დაადნობს,  
სიხარულით ატირდება,  
სხივში დასწვავს ნორჩ სიცოცხლეს,  
სუნმიმქრალი თითონ კვდება.

ტბის ანკარა ზედაპირი,  
ბროლის სარკედ ჩამოსხმული,  
მზეს ეგება ფიანდაზად,  
ცისფრად ელვარებული,  
მას ნიავი განთიადის  
აატოკებს ფრთაშესხმული,  
სხივთა კონა განიბნევა,  
ოქროს ცერებად დამტვრეცლი.

მთის ჩანჩქერი მოჩუხჩჩებე  
ცრემლებს აფრქვევს კალთას კლდოვანს,  
მზის ამოსელას შესთამიშებს,  
ჰიმნს უგალობს კეთილხმოვანს,  
ფრენით იქერს სხივთ ნაკალულს,  
სურათს ჩატავს ყვავილოვანს.  
წინწერებს ისერის, სხივებს ამსხერევს,  
მძივებს აწყობს შვიდფეროვანს.

ცა ფირუზი განთიადზე  
ოქროს ჩიდით იქაშმება,  
გრძს იქაჩგავს მზის სხივებით  
და ვარსკულავთა კრებაც ღნება,  
თეალწარმტაცი ცეცხლის ვარდი  
ცის კიდურზე იფერჩქნება,  
ზღვა ცას ერთვის და მზის სახე  
ზღვის უფსერულში იყარგება.

მაგრამ მზის სხივს განუყრელად  
მუდამ თან სდევს შავი ჩრდილი.

მასთან ერთად დანაბალი,  
 მასთან ჰქენება მიწის შეილი;  
 იგი არის ცეცხლის მტერი,  
 ჯოვანხეთით მოელენილი,  
 ზეცამ იცის მისი ძალა, —  
 და მას ებრძეის სხივგაშლილი.

შევ მშვენიერო, მნათობთ მეფევ, ცხოველმყოფელო,  
 სიცოცხლის წყაროვ, საკურთხევლის ცეცხლი დიადო,  
 ლაყფარდ სივრცეში ოქროს სიმთა ამთროლებელო,  
 სხივოსან ზღვაო, ქეცენის დილავ, ცის განთიალო!  
 შენსკენ ისწრაფვის შენით ცოცხლობს ქვეყნად ყოველი,  
 მხეცი, ფრთოსანი, ნაზი ია პირმოლიმარი,  
 უსულო მტცერი, მობიბინე ზურმუხტ ტყე-ველი,  
 ზღვის ცელქი ტალღა, დილის ცვარი, ცრემლად დამდნარი.

თვით დედამიწა, შენს წიაღსა მოშორებული,  
 ცეცხლთ იკეანის მეზნებაზ ტალღად გაღმონასროლი,  
 შობის დღიდანევ შენსკენ ილტეის გაქანებული,  
 ცოდვის ტრიალით გზას იყაფავს მარადის მსრბოლი.

შენი მიღვიყის გულში ცეცხლი აზვირთებული  
 და შენს სხივებში გაწნავ სულის სათუთ სიმებსა,  
 შენს სადიღებლად ვაქებ დილას, სულით შეებული,  
 და ღამის წყვალიას კვენესით ვუმდერ გლოვის ჰიმნებსა...

ოჲ, რად არ ძალმიძს მოვიშორო ფრთა აჩრდილისა,  
 სიკედილის ნიშნად ქვესკნელიდან გაღმონატყორცნის?  
 სუნთქვა ღამისა უკუღმართის, შავად შლილისა,  
 ნათელს ცოტრისა რად აჩნელებს, სხივს რისთვის ჰეოცნის?

ღამის ჩამქრობის მნათობის  
 ვიხილე აღმოცენება,  
 ეტლი ბრწყინავდა, ჰერინავდა,  
 ხილული ეითა ჩეენება.  
 ჩრდილით მსხერეულის სხეულის  
 ნათელმა იწყო შენება,  
 ოქროდ შლილისა დილისა  
 ვიგრძენ აღმტაცი მშეენება.  
 ფრთებსა სწურავდა, სცურავდა  
 ტოროლა დილის მხმობელი,  
 მნათობთ მეფისა — ფებისა  
 წერიალით შემამეობელი.

მზეს უყიოდა, ჰეიოდა  
 კისა ფრენითა მპობელი,  
 ჰაერს არღვევდა, არხევდა  
 მუსიკა დამათრობელი.

შორით გაისმა ზარის ხმა,  
 ცას ჰიმნი მოსწყდა ღვთიური,  
 სხივი აქრთოლდა, ათრთოლდა,  
 აქლერდა ჩანგი ციური.  
 სიმთა კისკისმა რისხეის ხმა  
 ჩაახშო დემონიური,  
 ჩრდილი გაქვავდა, აყვავდა  
 გულისთქმა ტიტანიური.

შზევ, სხივმნაოო, შენსკენ მოვეჩერები!  
 შენს გულ-მეერდზე მსურს ავაწყო სიმები;  
 მეც ტორიოლას ფრენით დავედარები,  
 რომ ტებილ ხმებში ჩავაწვიმო სხივები.

შენს სტიქიონს, დაუძლეველს ეამითა,  
 მსურს ვეფრევიო მიწის ობოლ ცრემლადა,  
 რომ ჩემს აკვანს ნეტარების წამითა  
 დაეცებრენდე სხივში დამწვარ ფერფლადა.  
 მსურს ვაჩსკვლავთა მოციმციმე ერებულითა  
 მოგიქარგო გული ოქროდ გაშლილი;  
 მსურს გავაქრო შენს წიაღში ცეცხლითა  
 დადამიწის შავფრთიანი აჩრდილი!

ზეცით მოვისმე ოქროს ნავი, ცეცხლით ნაჟედი,  
 და შევაცერე ლურჯ ეთერში ცის კამარადა,  
 მას მიეანდევი სულის სწრაფვა და ჩემი ბედი,  
 ჰაერს ვევევთე, ავაედერე სხივი ქნარადა.

მზის ისრებს გაეყევ ცისკიდურზე, მაღლა ფრენითა,  
 სხივთ რევანეს ავეტოვე ტალღა მთრთოლვარე,  
 ზღვა უნაპირო ათამაშდა ზვირთოა დენითა,  
 გადაიშალა თვალუწედენი ცა მოელვარე.

ოქროდ ფერილი ლრუბელი გუნდი, მწყობრად, მფრინავი,  
 მთის მწევერვალს ჰბურავს, დედამიწას თავს დასტრიალებს,  
 ნაეი კი მიპქრის, ცად მიიღოვის, ლალად მცურავი,  
 ფირუზ ტალღებში სხივებს ანთებს და მისრიალებს.



შევი აჩრდილი კი თან მოშდევს, აღარ მშორდება, არ გადავა  
სამოსს მიკოცნის, მზეს ემალვის შეშინებული...  
დედამიწასა და ჩემს შორის სიმად გაება,  
უკან მეძახის, ბოროტ ზრახვით აღტყინებული.

აპა, მზის მკერდიც, მოგუნგუშზე, გაუქრობელი,  
თავს დამჭათქათებს, გულში მწედება ცეცხლ-ნაკალულით,  
სხივს დავეწაფე, ალი შეესვი ცხოველმყოფელი  
და ვეზიარე ცის კოცონსა მგზნებარე გულით.

ტალღათ ლივლივში განვიცადე სულისა შვება,  
ცეცხლის მორევში შეესრიალდი ხელებგაშლილი, —  
მარადისობის ვიგრძენ ძალა და უკვდავება...  
გაწყდა მიწისა შავი სიმი... გაძქრა აჩრდილი...

1910

## ۱۶ ۷ ۰ ۳ ۰

( ა. ხასევანის ხსოვნა )

მთრთოლვარე თითებს სიმთ გაეკრავ, ჩანგს აფავენესებ გლოვითა,  
 ზეცას მიეუძლენ მწარე ჰანგს მდუღარე ცრემლის თოვითა,  
 ავაწიოკებ ჯოჯოხეთს ციურის სიმის თრთოლვითა,  
 თაყვანს ეცემ გმირის საფლავსა ვრძნობის ცეცხლეულ კრთოლვითა.  
 ყვაცილებს მოვკრებ ცის მკერდზე საფლავის შესამკობადა,  
 ნიავს ნელ დუღუნს მოვსტაცებ ჩინგურზე ასაწყობადა,  
 ქვეყნად მიმოვფენ ბრძოლის ხმას მეგობართ დასატებობადა,  
 სულის შხამს მეხად გარდავჭმი ბნელეთის დასამხობადა.

იმავ არწივს კლდე დაეგდო, მზის სხივებით ჩიისრული,  
 ლურჯ ეთერში მისცურავდა, ცის ქამარად აწურული,  
 დედამიწას უყიოდა, ქარიშხალის მონატრული,  
 ბრძოლის წყურეილს უმტკიცებდა მავნე სულთა ზრახვა მტრული.  
 მომავალის ქარის ქროლეა მის ნაზ სმენას მისწედომოდა,  
 უცხო ჰანგი მყობადისა ვრძნობის სიმაღ ჩაპქსოვოდა,  
 ამომავალ ვარსკვლავთ გუნდი მას მეგობრად გამხდომოდა —  
 დიდი ჰქონდა სულის სწრაფვა, რომ სურვილი ამხდომოდა.  
 მაგრამ ღამის ბოროტ ძალას მზე ცის რისხვად მოეჩენა  
 და შექმურდა არწივისა თავისუფლად აღმა ფრენა,  
 დაატყვევა ფრთოსან-გმირი, აატირა მალლით ზენა,  
 ბნელეთს მისცა დასანგრევად ჩაც სინათლემ ააშენა...  
 ვერ გაუძლო ბნელ გალიას ცის ქამარას დაჩვეულმა,  
 ბორჯილთ ჩხრიალს ვერ შეუწყო ჰანგი ცისა ამავ სულმა,  
 წყედიადს შერთო სულის ქშენა, ბნელ საკანში მომწყელეულშა,  
 ვერ იხილა ცისკრის შუქი განთიადის მონატრულმა!..

ქვემდრომთ ლაშქარი რას აქნეეს წუთიერ გამარჯვებასა!  
 გესმით? — არწივი ძვლავ ყივის, წერიალი გააქვს ებანსა,

პიმნს უთხზავს ვარსკვლავთ ფერსულში სიცოცხლის განაწლებას, დილის ქისყასზე მოცინარ ალიონს უძღვნის ქებასა. წყვდიადის ქურუმთ ხარხარი ვერ მოშლის ბედის ტრიალსა, ვერ გაამეფებს ცის თაღზე შავლრუბელთ გროვას ტიალსა, საძილისპირო სიმღერად ვერ იხმარს ბორჯილთ ჩხრიალსა ალქაჯთა სუნთქვით ვერ დაპშრეტს შუქურ ვარსკვლავის ციალსა!

1910

## სსსს... უუუუ...

ბნელი ღამეა. ცა იცრემლება, ა  
 მიწას შესტირის შიშით მოცულია;  
 მთის კაეშანი ჩრდილად იშლება,  
 წყველიადს უძახის ბოროტი სული.  
 სიკვდილი დაძრწის, სიცოცხლეს სცელავს,  
 აჩსით იმედი... აჩსით შეელა!..  
 მხოლოდ ხანდახან ცის კიდე ელავს,  
 ელავს და ჰქრება, და ისევ ბნელი!..  
 სხივს მიესდევ ფიქრით, დავეძებ მზესა,  
 სიმართლეს ლტოლვილს მსურს დავეწიო.  
 შორით კი ისმის ლერწიმის კვნესა...  
 სსსს.... სისინებს სიო.

მდუმარე ტბაზე სიჩუმეს სძინავს,  
 ისლოვან ნაპირს არ აჩხევს ქარი...  
 ობოლი სული კვნესის და გმინავს,  
 მოქანცულ სიმით ქეთინებს ქნარი.  
 ცას აღარ ესმის მიწის გოდება,  
 მიწას არა სწამს სიმართლე ცისა;  
 ქვესკნელის შიშით სოფელს შორდება  
 ცხოველმყოფელი სინათლე მზისა.  
 ღამემ წალკოტის მოსპობა სცადა  
 და ღააურქევია შავბნელი ნისლი.  
 თპ, განთიაღო! სადა ხარ, სადა?!.  
 უუუ..... შრიალებს ისლი.

ცას გაეცინა, ელვის ისარმა  
 გააპო ღამე პირქუში, ციცი,  
 მაგრამ იმწამსვე ქვესკნელის ქარმა  
 გაშალა ფრთები, გააქრო სხივი.

დუმილით მოცულ ტბას ისევ სძინავს,  
 ცა იცრემლება, ლამეა ბნელი,  
 ბოროტი სული დაძრწის, დაძრინავს,  
 არავინ არის სიცოცხლის მხსნელი.  
 გამაგრდი გულო! მსურს გავაპნიო  
 მთით მონაბერი შავბნელი ნისლი!..  
 სსსს..... სისინებს სიო,  
 უშვშშ..... შრიალებს ისლი.....

1910

## ამ ნაკვეთი

ნეტავ ვიცოდე, რად ელვარებს მზე ცის წიაღზე,  
 როცა სამყაროს გარს ოჩტყიდა უკუნი ბნელი,  
 თუკი ვერ დაძხევს ღრუბლის რიცეს, ფენილს ლურჯ თაღზე?!.  
 ნეტავ ვიცოდე, რად ელვარებს მზე ცის წიაღზე,  
 სხივთა შფრქვეველი?!

სავაზაფხულო რად გაისმის ჰანგი ციური  
 და რად მავიწყებს წუთიერად სულის ობლობას,  
 თუ მას მოპყვება ყრუ ხარხარი დემონიური?!.  
 სავაზაფხულო რად გაისმის ჰანგი ციური,  
 რად მიშლის ვრძნობას?!

სულისა ლტოლეა რად ესწრაფვის მაღლა ცისაკენ  
 და რად მინერგავს უკვდავების აღმაფრენ წყურვილს,  
 თუკი ცხოვრება მიმაქანებს უფსკრულისაკენ?!  
 სულისა ლტოლეა რად ესწრაფვის მაღლა ცისაკენ,  
 რად მიგწნებს სურვილს?!

თელისი, 1910

\* \* \*

ღამის წყვდიადმა შექსუდრა სხივმნათი ცისა კაძარა,  
 რწმენის ყვავილი დააჭინო, იმედი დაასამარა,  
 სულის წარმტაცი სიმბოლო უკვდავი სიყვარულისა  
 გოლვოთის წრდილად აქცია, შავ სვეტად ამართულისა.

დრო გაიყინა, გაქვავდა ცვალებადობა ეამისა,  
 მიღუნდა მაშვრალთ სავანე, წყარო ძალა დასაბამისა,  
 საამო ზრახვით დელვილი სულის კვეთება გმირისა  
 ყრუდ განიავდა, ვით კვნესა მწუხრის ეამს ანატირისა.

თითქო ქვესკნელის მფლობელი დაეპატრონა ზენასა,  
 ფრთა შეეკვეცა სურვილის კადნიერ აღმაფრენასა,  
 ელეგიურმა გულისტქმამ დასწყეიტა გრძნობის სიმები,  
 გლოვამ მოიცეა სოფელი, ხანმოკლედ განაღიმები...

ოცნების სრიალს გაეყვები, სწრაფვის დაფიტქბობ წამისას,  
 დავტოვებ აწმყოს უმაღლოს, ბურუსს გავაპობ ღამისას,  
 დაკოლილ სულის აჩრდილად მომავალს მოეევლინები,  
 რომ მას მოვსტაცო ჩაგრულთოვის სამოციქულო ჰიმნები.

ვნახავ სრულყოფას რწმენისას, გონებით მიუწვდომელსა,  
 ვიხილავ ბრძოლის ახალ ზღვას, სტიქიონს დაუცხრომელსა,  
 ჩანგზე ავაწყობ სიმღერას, დვთიური ცეცხლით წრთობილსა,  
 შიგ ჩაეშუქებ ხსნის იმედს, ოცნების მხარეს შობილსა.

და დედამიწას მოვასმენ მომავლის გამოძახილსა,  
სასოწარქეეთილთ ავუნთებ წინსელის ციურსა სახმილსა;  
იმედის ვარსკვლავს მოეუვლენ ლოდინით განაწამებსა  
და მებრძოლთ შემოსაჭრებად ჩამოვკრავ დილის ზარებსა!

1910

## თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა

ციმციმებს ზეცა! ელეარებს ზეცა!  
 ციური ქნარის კვლავ მესმის ელერა!  
 ვლალადებ მეცა! ვლალადებ მეცა!  
 ცის მნათობთ სწვდება ჩემი სიმღერა!

კვლავ შეეცერთდი ნიავის ქროლვას,  
 მიცენდე სივრცის მსუბუქ ზეირთებსა  
 და აველევნე ღრუბელთა სრბოლას,  
 დაეტოვე მიწა, ავეკარ მთებსა.  
 სულის ტყეეობის დაიმსხერა ზღუდე, —  
 ცის ლაქვარდს ვარხევ ვარსკვლავთ ფერხულში,  
 სხივმა ჩაპტერფლა კაშნის ბუდე,  
 რწმენის პატრუქი აინთო გულში.

მზის სხივებს ვიქერ ეთერის ზღვაშე,  
 ვეირგვინს ვწნავ, ვეირგვინს უკვლავებისას  
 და ქერუბინთა გალობის ხმაშე  
 ჰიმნს უუთხზავ მყობადს გამარჯვებისას!

ციმციმებს ზეცა! ელეარებს ზეცა!  
 კვლავ მესმის ელერა ციური ქნარის!  
 ვლალადებ მეცა! ვლალადებ მეცა!  
 იტაცებს ჩემს ჰანგს ხმა ნიავერის!

1910

## საზაჲაფაულო

ელეამ დაპსერა, —  
 გველმა ალისამ, —  
 შავი წყველიაღი  
 ბნელი ღმისა.  
 ქარმა დაპბერა  
 აღმოსაელისამ  
 და განთიაღი  
 გაახალისა.

მიწას ეძინა,  
 ისმოდა კვნესა  
 და ჩუმი ბგერა  
 ტყვევნილ გულისა.  
 ცას გაეცინა...  
 სხივსან მზესა  
 მოსწყდა სიმღერა  
 გაზაფხულისა.

ზღვამ მოიტაცა  
 ხმა, ცით მოსული,  
 და ჩააქსოვა  
 მღელვარე მყერდსა.  
 შეკრთა მიწაცა,  
 სხივთ თაიგული  
 გადმოეთოვა  
 ყვავილთ ხავერდსა.  
 მთას გაეცალა  
 ციფ ლრუბლის ქსელი,  
 კით გუნდი ფრთოსანა  
 გაცურდა ბარად...

წეტამ შესცვალა  
სიკედილის ცელი  
სიცოცხლის მგოსანთ  
წერიალა ქნარალ.

1910

## მ უ ზ ა ს

მწუხარის ნისლმა დამიჩრდილა გზა მზისაკენ გასაკიფი,  
 მთის შავ ქედზე შავ ღრუბლებში ჩინხლართა სხივთა ძაფი.  
 ცის ვეშაპმა დაბტყვევა სისოებით ეინც მიყვარდა  
 და ხელიდან, მტრისგან ძლეულს, ბასრი ხმალი გამივარდა..

და პა, მუზავ, შენთან მოველ, ხელთ ავილე შენი ქნარი,  
 მსურს შევცვალო სიმთა ულერით უნეგეშო გლოვის ზარი.  
 მსურს ქარიშხლის მახარობლად მოვევლინო ჩემს ქვეყანას  
 და აეხალო შავი ფარდა ბრძოლის მწარე ამოცანას.

შენს ქურუმად ორ მსურს ყოფნა მწარე ბედქევეშ დანაბადსა—  
 ვით ვიმღერო, როცა ირგველი ესპერეტ სისხლნარევ ცრემლთ  
 ნაეალსა? —

მე სხვა მყავდა სულის კერპი, — ღრუბელთ შორის ელვად მჩენი,  
 მაენე სულთა დასათრეუნად მიწის მკერდზე ცეცხლის მფენი.

შენს ტაძარში მისთვის ეგალობ, რომ გამოჩნდეს ჩემი ღმერთი!  
 რისხეის ღმერთი! რისხეის ღმერთი!

ძალა მომეც, რომ ტებილ პანგად ჩავეჭსოვო ჩემს სიმღერას,  
 შეების ცრემლად დავეფრქვით მიძინებულ მაშერალთ კერას;  
 რომ ჩემს ხმაში გაისმოდეს წარსულ დროთა ბედის წყევა,  
 აწმუნს კვნესა და მომავლის საოცნებო სიმთა რჩევა.

რომ ზღვის დელვით გადმოსროლილთ დაუამდეთ გულის  
 წყლული,

კვლავ აფეთქდეს რწმენის ცეცხლით განთიადის სიყვარული.  
 კვლავ ისმინდს დედამიწამ მზის შემამკობ ტოროლის ხმა  
 და აყვავდეს სანეტარო სულის სწრაფვა და გულისთქმა.

და რომ ზეცა დაიკუქებს, იგრიალებს ქარიშხალი,  
 ღრუბელს დატულეთს ცის ლაუვარდზე ელვის მწვავე ნაპერწყალი,—  
 მაშინ შენს ქნარს შენს ტაძარში დაეისვენებ დადუმებულს,  
 მე მოვეძები ჩემს რეინის ხმალს, ბრძოლის ვეზზე მივიწყებულს,  
 რომ მტრის ლაშქარს შევეგებო ბოროტების დასამხობად!

დასამხობად! დასამხობად!

1910

## ჩატჩა ღილა

მახსოვეს დილა მოციმციშე, შეების ცრემლით ანათრითოლი,  
ციურ მნათობს შესცინოდა, უკუნეთთან უნაბრძოლი.  
წალეოტს გული მოექარგა მძივად წყობილ ალმას-ნამით,  
ირგვლივ ორ მოხიბლული ნეტარებდა ლხენის წამით.  
მზის სხივებში ბანაობდა ვარდ-ზამბახი და ბილილა...

მახსოვეს დილა, შეების დილა..

ცა ღელავდა, ლურჯ ეფერში იქროს ტალღებს ატოებდა,  
ცის ჟეტირი ფრთაგაშლილი ვარდად ფურჩქვნილ სხივებს პერებდა  
და შექნაფეთქ დედამიწას დააბნეედა უვავილთ კონად,  
სიხარულის დასაპყრობად, სიცოცხლესთან შესაკონად.  
თან სოფელიც მომავლისთვის უკედავების გვირგვინს სწნავდა...

ცა ღელავდა, ცა ელავდა!

საუკუნეთ განაქედი კაცი ბორკილი იმსხვრეოდა,  
ძეელი ქეყენის ძეელი ჰანგი ახალი ჰიმნში ინთქებოდა.  
გულში ნაგუბ სულის სწრაფვა ფრთაშესხმული ზეცად პფრენდა,  
მომავლისა ნაპერწერილი შორეულ გზას ნათელს პფრენდა.  
ბრძოლის ცეცხლში იცვლებოდა უკულმართი მონის ბედი, —

საუკუნეთ განაქედი..

ახლად შობილ ახალ ჰანგსა უთანსმებდნენ გულის ძეერის,  
საბრძოლველად უყიოდნენ დაუწილობელ ბედისწერას.  
იმაყ გრძნობით გამსკვალულნი ნათელ მზისკენ მიიღოვოდნენ,  
ციურ არსთა საგალობელს დედამიწას უგალობდნენ,  
და მკონებიც სასოებით აქსოვებდნენ იქროს ჩანგსა —

ახლად შობილ ახალ ჰანგსა..

მაგრამ ქვესკნელთ სამყაროდან უცებ ქარმა დაიქროლა,  
ღრუბელთ გროვა წამოშალა და მზის სხივებს შეებრძოლა.  
გამარჯვების თაოგული უკუნს შერთო, გაამტევერა,  
და შესცეალა მწარე კვნესად ტუბილი ჰანგი და სიმღერა.  
სულს ოცნების ფრთა წააჭრა და წარილო შავმა მტერმა —

ქვესკნელიდან მონაბერმა..

და დაჩრდილა შეების დილა, წუთიერად ანათროთოლი,  
ცისეიდურზე გამოსახა შავი ღრუბლის შავი ზოლი...  
წალეოტს მყერდი დაუბნელა, ააცალა ეერცხლის მძივი  
და შესუდრა ირგელივ არე, ჩაუფერფლა ზეცას სხივი.  
შავბნელ ნისლში მოამწყვდია ვარდ-ზამბახი და ბილილა, —  
ჩაქრა დილა, შეების დილა!

მარტი, 1911

## აღ დ გ მ ა

### I

მომაველის შეიღნო, ამქუსრდეს დღეს ჩეენი დაფი, ნაღარა!  
 ვაქოთ, ვინც ჩაგრულთ სახსნელად უმანქო სისხლი დაღვარა!  
 დღეს მაინც ვიგრძნოთ სიამე დაკოდილ სულის შეებისა,  
 ეს ჩეენი დღეა — სიმბოლო ნათელ მზის გამარჯვებისა!

და ბნელოდეს გარშემო, სვავნი, ყორანი ჰყიოდნენ,  
 სერაბიმთ ნაცვლად ალქაჯნი სამოთხის ბეჭედ ჰყიოდნენ!  
 ცის თაღი, შავად მოსილი, მოვქარგოთ ვარსკვლავთ ერტცხლითა,  
 რწმენის ყვავილი გაეფურჩქნოთ, გრძნობა ავანთოთ ცეცხლითა.  
 გულში მოზღვადეს წარსულის უმწიდელო მსხვერპლთა

გოლება,—

ტანჯვით განცლილი ეკლის გზა სულს შხამად მოაგონდება, —  
 იშმუომ გაშალოს შავი ტრთა — ემბლემა ბნელწყვდიადისა:  
 ღამის წილში მზალდება კვარტხლბეკი განთიადისა!

დრო მოვა: ლამეს ჩაისრივს შუქურ ვარსკვლავის ციალი,  
 ცის ეთერს ააკაშებს მზის ცხოველ სხივთა სრიალი.  
 ეინილავთ ჩეენსა გოლგოთას, ჩეენივე სისხლით მორწყულსა,  
 დიდების შუქით შემოსილს, უკენობ ყვავილით მორმულსა..

მაშ აემქუსროთ, ჩაგრულნო, დღეს ჩეენი დაფი, ნაღარა!  
 ვაქოთ, ვაღიდოთ, ვინც ჩეენთვის უმანქო სისხლი დაღვარა!  
 დღეს მაინც ვიგრძნოთ სიამე დაკოდილ სულის შეებისა!  
 ეს ჩეენი დღეა — სიმბოლო ნათელ მზის გამარჯვებისა..

### II

თქეენ კა, სველაღნო! რა გალხენო, ვის უმღერთ ქებათ-ქებასა?  
 ვისთვის აეღერებთ წინწილსა, ვის უწერიალებთ ებანსა?!  
 ცხოვერების წიგნი გამალეთ, ნახეთ თუ შიგ რა სწერია:—  
 წარსულში ჯვარის გამჭედი დღესაც სიმართლის მტერია!

იქნებ თუდას ამბორმა მოგტაცათ ლხენა გულისა  
 და მოგიწამლათ სიმშეიდე უმიშნოდ მთენილ სულისა?!

და რომ გაუქროთ სიცხადე მრისხანე მოჩვენებასა,  
 თქვენც შეპლაღადებთ სულმოკლედ სიცოცხლის განახლებასა?!

ან იქნებ, შიშით მოცულნი, მომავლის წინავრძნობითა  
 სიმართლის მკედრეთით აღდგომას ვერ ეგებებით გმობითა  
 და ფარისეულორ ღიამილში ფიქრობთ დაფარვას მტრობისას,  
 ცეცხლში დანაკვეს სიმღერას უწყობთ ჰანგს მეგობრობისას?

პო, ორგულნო! ჩვენს პიმნსა, ძლევის იმედით შეთხეულსა,  
 მომავლის ხიდად განატყორცნს, რწმენის კოცონით გზნებულსა,  
 ვით მისწედეს თქვენი ფუსფუსი, უტყვია სმა შავ უფსკრულისა,  
 შიშის წიაღში ნაშობი ყრუ ამოკვნესა სულისა?

მაშ რა გახარებთ, სკელალნო! ვის უმღერთ ქებათ-ქებასა?  
 ვისთვის აეღერებთ წინწილსა, ვის უწერიალებთ ებანსა?  
 ცხოვრების წიგნი გამალეთ, ნახეთ თუ შიგ რა სწერია:  
 წარსულში ჯვარის გამჭედი დღესაც სიმართლის მტერია!

1911

## ჰ ღ ვ ა

ზღვა ისეენებდა... ლურჯ გულ-მყერდზე ქაფშეფრქვეული,  
შოქანცულ ზეირთებს ძალმილეულ სუნთქეით არხევდა,  
საძილისპირო სიმფონია, გლოვად ქცეული,  
ტალათ ყრე ჩერჩელს სკედის ჰანგად მიმოაბნევდა.  
საღამოს ჩრდილი, ცისკიდურზე შავად გაშლილი,  
მზის მიმქრალ სხივთა ობოლ კრთოლვას ნისლით არობდნენ,  
მთათა მწვერვალი, მეფერ წყრომით ზეცად აწვდილინი,  
ზღვის გულჩათხრიბილ მწარე დუღუნს ვარსკელავთ ანდობდნენ,  
შორით მონასმენს ყურს ვუგდებდი უცხო სიმთ ელერას,  
იღუმალ ხმებით მოხიბლული, სმენად ქცეული,  
და ეერ გამეგეო, ეის უთხზავდა გლოვის სიმღერას  
მნათობთა სარკე, ლურჯ გულ-მყერდზე ქაფშეფრქვეული!..

მთა ლოცულობდა. ცა უსმინდა ქურუმს ღამისას.  
ხომლი ვარსკელავთა საიდუმლოს იზიარებდა.  
ზღვას კი ეძინა... მთის კალთაზე ცრემლებს ნამისას  
წყლით ანასხლეტი მთვარის შუქი აელვარებდა.  
ნისლით დაბურულს, ძალად წისულს ნაპირს მღლუმარეს  
ესიშმრებოდა ტალლათ კოცნა ქალწულებრივი,  
ზღვას კი ეძინა, არ იძეროდა და ფერმკრთალ მთვარეს  
სარკედ გაშლილი იხტებდა, უგრძნობი, ცივი.  
სტიქონოთ ძალა გამდნარიყო ბუნების ძილში,  
ცაც იძინებდა, ფერს იცვლიდა, თითქო ჰქონებოდა...  
ეერ მიემხედარიყავ, რას ფიქრობდა ზღვა ამ დუმილში:  
იმედს ჰმარხავდა, თე მთის ზღუდეს ემუქრებოდა!..

იღმოსავლის კარს ცისკრის შუქი თეორად ქარგავდა,  
ლაქვარდ სივრცეში ეერცხლის სხივებს აყისკასებდა,  
ღამის წყვდიადი იშლებოდა, ძალას კარგავდა,  
ზღვა იღვიძებდა, დილის შიერის ნათელს სტაცებდა.

ზეირთთა ლაშქარი გასაშლელად ემზადებოდა,  
 დილის ქარიშხალს უყიოდა მთიდან არწივი;  
 ტალღათ სრიალში უცნობი ხმა იბადებოდა,  
 თხემს შესცინოდა ოქროდ ფერილ ბრჭყვიალა სხივი...  
 მეც ვაჟლერებდი ზღვისთან ერთად ჩემს ბრძოლის ჩანგა,  
 ტალღებთან ერთად მეც ვმლეროდი აღტაცებული:  
 მივხვდი მწერის ქამს, ეის უთხზავდა ზღვა ვლოვის პანგა,  
 მივხვდი ძილის დროს, რას ფიქრობდა, დადუმებული!..

1911

## სა მომავლიდან

მე სმა მესმის იდუმალი ოცნებად ქმნილ მომავლისა,  
 ობოლ სულის სანუგეშოდ ვარსკვლავთ შორის ღანაკვესი,  
 მაღალ ლტოლვათ შემოქმედი ღმიაფრენი ხმა ზეცისა...  
 — ეგ სმა არის მიწის მკერდზე ტანჯვით მიმქრალ სიცოცხლისა:  
 ზეცას სწყევლის მიწის სული, ბნელ წავდიალში ანაკვნესი.

სიცრტის ლაჟვარდ თუეანეს, კხედავ, მოსწყდა მქრთალი ელვა,  
 ძილად წასულ ზეცის მნათობთ სხივთნაკადად დაეფრქვია  
 და მათ კრთოლვას შეუთანხმა ცის ეთერის ტალღათ დელვა...  
 — ეგ — შუქეგამქრალ მიწის ბურთმა ერთხელ კიდევ გაიელვა  
 და ქაოსის ციც ბურუსში საუკუნოდ გაეხვია.

ვხედავ, ღამის სამთავროში დაქქრის, დაქქრის ღმერთის ჩრდილი,  
 ებრძეის, მესრავს შეუწყევეტლივ ჯოჯონეთის მაენე ძალებს,  
 სურს მზის ცეცხლით ააფეთქოს ცის სამყარო შავად შლილი...  
 — ეგ — ბნელ სიცრტის სამარეში, სიცოცხლის ძაფს მოწყვეტილი,  
 დედამიწის შავი კუბო მქრალ მზის ირგვლივ დასრიალებს.

ივლისი, 1911

## მიზის სიმღერა

ვარსკვლავთ გვირგვინს მოვახვიყ ღამით შობილ ფიქრის ძაფი,  
 სული ზეცად ავაფრინე, ვით ქვესენელის ელვა სწრაფი,  
 მზეს გაქცეულს დაეეწიო და მოვსწყვიტე ოქროს სხივი,  
 ისრად ესტუორცნე სევდის აჩრდილს, შეცუწყვიტე სუნთქვა ცივი.

მარად მქროლავ მზეთა სრბოლით ამუსიკდა სიერცე ცისა,  
 ლურჯ სარკეზე ალიბეჭდა სხივთ-ნაყალი ალმასისა,  
 ოცნების ფრთა გამჭვირვალე, მთევარის შუქით განბანილი,  
 ვარსკვლავთ ციმციმს ჩაექსოვა, უკვდავ სულის ცეცხლად ქმნილი.

მიწის კომლი ცას სწერდებოდა, ნიაექარით მონაბერი,  
 მაში ეპოე ჩასახული ქანდაკება შშევნიერი, —  
 სახე ცუანი ანგელოზის, უსილავად განაექროლის,  
 ხმა მომესმა ციურ ზარის, საიდუმლოდ ანათართოლის:

— „აქ რას ეძებ, ცის წიაღმი, ვარსკვლავთ შორის, მიწის შვილი,  
 რად დასტოვე დეტამიწა, ბრძოლის ველად გადამლილი?!  
 რად გაექცე მიწის კვნესას, მიწის ნაღველს დაგუბებულის?  
 ტანხვეის ტრემლის ოკეანეს და სისხლის ზღვას აზერთებულს?!...“

თუ გაშუოთებს მიწის აწმუო, მომავალიც აღარ გჯერა,  
 და გსურს გამცნონ ვარსკვლავებმა არსებობის ბედისწერა?! —  
 ცა მუნჯია და უგრძნობი, არას გეტყვის, ნურას პჟითხავ...  
 მიწის სევდას გაეცანი — ვარსკვლავებსაც წაიკითხავ!..“

აგვისტო, 1911

## ზღვის ზღაპარი

მთასა ვკითხე, ცალ აბჯენილს, ვარსკელავებთან მობაასეს:  
 „ეინა მშობა, ვინ აღმზარდა, ვინ ჩამბერა ცეცხლის სული?“  
 ვინ მიტუბობდა გრძნობის ფიალს, ტანჯვისაგან სევდით სავსეა.  
 ვინ მაჩიუქა მიწიერსა ზეცის წრფელი სიყვარული?..“

მთის ნიავმა მთის პასუხი ჩემს სმენამდის მოაწვდინა:  
 „ველარ აეხსნი საიდუმლოს, დროთა მიერ უცხოდ ნაქსოვს,  
 ვინც შენ ქვეყნად მოგცა ბინა, მეც იმ ძალამ გამაჩინა, —

ზღვის თუ ახსოვს! ზღვის თუ ახსოვს!“

ზღვისა ვკითხე... იმ დროს მთეარე მის ტალღებში ბანაობდა,  
 ზღვის ტსკერს კოცნას უგზავნილა, კოცნის შუქით უფსკრულს  
 ქვედა;

კნებით დამთვრალ ტალღათ სივრცე უხმო ბგერით ქანაობდა,  
 მთეარის სახეს, წყალში მთრთოლავს, სათუთ ღელვით

დაარხევდა...

ზღვის ნიავმა ჩამჩიურჩიულა: „ზღვა უტყვია, უტყვი ხშირად;  
 ჯერ ისვენებს, გრძნობის წიაღს წყალში გაშლილ შუქით ინთებს;  
 ქარი მოვა აღმოსავლით, მაშინ მოდი შენც ზღვის პირად —

ჰყითხე ზეირთებს! ჰყითხე ზეირთებს!“

დავუცალე ქარის მოსკელას, სტექიონის სასტიქ ბრძოლას:  
 ცა გრგვინაველა, კლდეს ამსხვრევდა ზეირთა მწყობრი ლეგიონი,  
 ყურს ვეგდებდი ქარის შხეილს, გაესცექეროდი ელვათ სრბოლას,—  
 ტალღათ ჩოჩქოლს გამოეყო ხმა, მკაფიოდ გასაგონი:

„შენი მოსკელის საიდუმლო ჩვენ ქარისგან შეგვიტყვია:  
 ზღვის სიზმარში ღრუბელთ შორის ელვის ფერად უნახავხარ,  
 ქარს ტალღებში ჩაუგდიხარ, — ზღვის სიზმარი სრულუყვია...“

ჩვენთან იშვი, ჩვენი ძმა ხარ!..“

## სივრცის ჰანგი

მომერიდეთ, შხამს ნუ მასმევთ!.. ჯერ არ მითქვამს რის თქმაცა  
მსურს!

ნუ მიყურებთ შებრალებით, ეით ულონოს და უსუსურს!  
ჯერ არ იცით ვის ვემლერი ან რას ვეძებ სევდის ჩანგში,  
ჯერ არ იცით რა ძალაა ჩემს კაეშნით მოცულს ჩანგში!  
თუ სიცოცხლის საიდუმლო მზემ ცივ ზლეაში ჩაიტანა, —  
დაეცუცადოთ მზის ამოსვლას; იქნებ აეხსნათ ამოცანა...

ღიღხანს ვიყავ მიწის მკერდზე მონურ გრძნობით მიჯაჭვული,  
დიღხანს ვიყავ სასტიკ ბედევეშ უიმედოდ განაბული;  
ტანჯვის ცეცხლის ნაპერწკლებით დასერილი მქონდა გული,  
სულს სწამლავდა მწვავე გესლით მწარე ცრემლის ნაკადული.

განველო ვამშა, ცა გამოჩნდა. ლრომ შემახო თვისი ფრთები,  
სულს მოსწყვეიტა მონის ჯაჭვი, გამაგონა სულ სხვა ხმები;  
ფრთა შემასხა ნიავეარის, მაღლა ცისქენ გამიტაცა,  
დამავიწყა მიწის კვნესა, დამავიწყა თვით მიწაცა.

ნაზ ოცნებით ანაფრენი, ცის ეთერში დაებინავდი,  
მთევარის შევის ცივ ტალღებში ვერცხლის ფრთებით დაუფრინავდი;  
ხან ცის მნათობთ ვევგალობდი, ხან ვარსკვლავთა გვირგვინს

ვწინავდი,  
ხან უცოლველ ძილში მყოფი ტებილ სიზმრების ზლაპარის ეთხზავდი.

მაგრამ ბოლოს ცის სივრცეში ვერ გავუძელ მარტოობას,  
სულს მოსწყინდა ცაში ფრენა, ისევ ავყევ მიწის გრძნობას;  
მომავონდა ცრემლის გუბე, მომავონდა მონის სუნდი,  
და ცხოვრებით გულნატენი ისევ მიწას დავუბრუნდი.



მაგრამ სხვაა ახლა ჩემი სულის სწრაფვა და გულისტქმა, —  
ტანჯვის ჰანგში გაილესა ქერუბინთა გალობის ხმა, —  
სულის წიაღს მოეახიე ჯოჯოხეთის შავი რიდე,  
მწუხრის ჰიმნი უკუცაგდე და ჭმუნვის აღს განვერიდე.

სეედის ცრემლი მინდა დავწვა, მინდა დავწვა ცრემლის ნამი,  
და მის ორთქლში მსურს გავლესო წარსულ ღროთა წყევის შხამი,  
და ვით მეხი, ესტყორცნო ზეცას, რომ სამყარო შევარყიო,  
ციურ არსთა უცხო წალკოტს მიწის ცრემლი დავაფრქვიო.

და თუ მიწის ახვრა-კვნესა ცის სიხარულს შევუერთე,  
და და მიწა შევარიგე, მიწის შეილი გავაღმერთე, —  
მაშინ მოექსოვ ცეცხლის კიბეს ამომავალ მზის სხივებით,  
შიგ ჩავაქსოვ ცისარტყელის, მოკრთავ ცისკრის ფერიდ ქვებით

და გაებამ მიწით ცამდე გაუქრობელ ცეცხლის ხიდალ,  
პნელ ცხოვრების მძიმე ტვირთის ცის წიაღშე ასაზიდად,  
რომ ღმერთების ქეყნად ყოფნა არვის უჩნდეს საკირველად,  
მიწის შეილი ცისკრ ცლიდეს საიდუმლოს სახილეელად!..

მომერიდეთ, შხამს ნუ მასმევთ! ჯერ არ მითქვამს რის თქმაცა  
მსურს!

ნუ მიუტრებთ შებრალებით, ვით უღონოს და უსუსურს!  
ჯერ არ იცით ვის ცემლერი ან რას ცეძებ სევდის ჰანგში,  
ჯერ არ იცით რა ძალაა ჩემს კაშინთ მოცულს ჩანგში!  
დრო გაიელის... საიღმლოს გამოვტაცებ ბედისწერის, —  
მაშინ მოდით ჩემს ტაძარში, ყური უგდეთ ჩემს სიმღერას!..

თქმაშერი, 1911

## თეთრი სეიცი

ცის ღრუბელი ფრთხებსა შლიდა, თეთრ პეპელად ანაცერი,  
 მზის სხივების მწევავე კოცნით ზღვის მკერდიდან ანაწური;  
 ცის პეპელა სხივებს პერეფდა და ჰფანტავდა ვით პატრუქი,  
 ზღვის საჩუში ისახოდა, ცის სარკიდან მონაშექი.

დასაელისკენ გადახრილ მზეს გამოეყო თეთრი სხივი,  
 თეთრ ღრუბლისკენ გაექანა, ტროობის ალით განალვივი,  
 ცის პეპელას, გამტევირეალეს, ცხელ მბორად ჩაექსოვა,  
 გაახსენა შობის წამი, შვების ცრემლი მოსწოვა.

ცის ღრუბელშია წმინდა ცრემლი ციურ ნამად გადმოლეარა,  
 ვით ნიავით დანაბლერტი ვარდის ცეარი სხივანკრა;  
 თეთრი სხივი ცრემლში დადნა, წვიმის ფილქად დაიცალა  
 და, შვიდ ფერად დამსხერეული, ცისარტყელად გაიშალა.

ცის შვიდ ტალით ნაქსოვ ეთერს ვერ გალესავს ღრუბელთ  
 ღელვა,  
 ცისარტყელას ვერ გააქრობს ვერც ზღვის ქარი და ვერც ელვა:  
 იისფერი ლურჯს ცცინის და ცისფერი — მწევნე ზოლსა,  
 ვარდისფერი წითელს ეტროის, ყველა ეძებს თავის ტოლსა.

ღრუბლის ქულა — ცის პეპელა — ცრემლთა დენით დაილვა,  
 ცისარტყელას ფერად ტალებს მზის სიცილი დაეფრქვევა,  
 ზღვის გააპობს ცის ლიმილში აკინძლული სხივთა მძიევი,  
 და დაჭიარგავს ფერად ყვავილს: კვლავ იფეთქებს თეთრი სხივი.

იგი ცრემლში გაიფურჩქინა შვიდფეროვან ნაყადულად,  
 სიყვარულის წარმტაც ნიშნად ცას მიექრა თაიგულად:  
 მზის წიაღში ნაშობ გრძნობამ უნდა დაწვას ნორჩი გული, —  
 რასაც დაშლის ტროობის ალი — კვლავ აღადგენს სიყვარული.

## მთვარის სახი

ტყის ცელქ ნიავს, გზადაკარგულს,  
 ხშირ ფოთლებში ჩაეძინა...  
 მთვარის შუქით მკერდმოქარგულს  
 ცის კამარის გაეცინა...

ოტარიღმა ტბის საჩკეში  
 მთვარის სახე დაინახა  
 და ვარსკვლავებს ცის სივრცეში  
 შუქშეფრქეცეით მიაძიხა:

— „ცის ასულმა თვისი სახე  
 ბროლის ნისლით ვერ დაფარა,  
 იგი მიწამ, — მე თვით ენახე, —  
 მოიპარა, მოიპარა!..“

ოქტომბერი, 1911

## მ ჟ უ დ ა ლ ი ბ ა ა

ჩრდილგადაქრულ მდუმარ ველზე, ღამის ნისლით ფრთებ-  
 დანამულს,  
 აბრეშუმის სარეცელზე სძინავს ნიავს სულგანაბულს...  
 შეწყდა ტრაფობის ნაზი პანგი, მწუხარის ლოცვის შეწყდა ხმაცა:  
 კით ნაკურათხი მიწის ჩანგი ვარსკელავებმა აიტაცა.

მინდვრის ბალახს ოღარ ესმის ტბის ტალღების ნელი რხევა  
 და მძინარ ტბას მთის კორდილან გრძნების პიმი არ ეფრქვევა;  
 ბაგეგაბსნილ კიკლუც იას, საამბოროდ მომზადებულს,  
 სურს აუწყოს ტოლს გულისთქმა... და ვერ უთქვამს გარინდებულს.

მთვარის დისკო მთის მაღალ ქედს ალმაცერად გადაპყურებს,  
 შექს იმერთალებს მოკრძალებით, მყუდროებას ადასტურებს;  
 ველზე ვაშლილ ჩრდილთა რიდეს შორით უცლის, თვალს არიდებს:  
 ვზეს უტოვებს ჩრდილში მთვლემარ ნამის ცოცხალ მარგალიტებს.

ცისეიდურზე ლრუბლებისგან ბინდის ქარით აშენებულს  
 მარმარილოს ციხე-ქალაქს, უნიავოდ გაქვადებულს,  
 სძინავს უხმოდ, უსიცოცხლოდ, მთის თხემიდან ცად აშიდულს,  
 კით ოცნების ზღაპრის კუნძულს, ცის ეთერში გამოყიდულს.

მთამ არ იცის, ლრუბელთ გროვა თეთრ კოშკებად რამ აქცია!  
 უკირს: ქარმა ნისლის ზღუდე ნუთუ ველარ წაქცია?!

და გამწყრალი გადასკერის უძრავ სივრცეს ულრან ტყისას,  
 ფიქრობს, ფიქრობს... ვერ მიმხედარა საიდუმლოს ამ ქვეყნისას!..

დეკემბერი, 1911

## ღამი მთებზე

შავ მანტით დაბურული მთების ჯაჭვი ზღუდავს არეს,  
 მთის გადაღმა მძინარ მთვარეს იპყრობს ხევი, მთის უფსერული,  
 და ტყის შრიალს, კვნესას მწარეს,  
 ღამის სიო სწნავს ჰანგებად და იდუმალ, უცხო ხმებად  
 ჰქონტავს მთებში.

**და მი ხმებში**  
 ისმის ლიცეა მწუხრის ეამის, ვაჩსკვლავებთან ავლენილი;  
 და მთის მყერდზე დადენილი ცივი ცრემლი ციურ ნამის,  
 ნისლის ქსელში განწმენდილი,  
 საკმეველის ორთქლად დნება და ღრუბლებში იკარგება.

წყაროს პირად, მაღალ მთაზე, წყლის ფერია ნისლზე ცურავს,  
 წყლით დანამუდს თმასა სწურავს, — მძიებს აფრენევს ნისლის  
 ზღვაზე, —  
 მთების ჩივილს, მათ სამღურავს,  
 სკენის ტბილ ჰანგად, მღერის, მღერის  
 და თეით ჰქრება მთის ჩანჩქერის  
 ცივ ზეირთებში.

**და მის ხმებში**  
 ისახება მთის სიზმარი, ტყის შრიალში ზმანებული,  
 და ოცნება ტრთაშესხმული ქსოვს ცის ზღაპარს შუქმფინარი...  
 მთვარის დისკო ანთებული  
 სტოებს უფსერულს, კლდეთ ნაპალებს და შექსა ჰქონს მთის  
 მწვერვალებს.

აგვისტო, 1911

## ახალი წელი

წარსულის ჯატეს გარდაეჭდო კიდევ ერთი ცეცხლის რგოლი...  
ერთჯერ კიდევ მოტრიალია დედამიწა, მზისკენ მსრბოლი!..  
მიპერის, მიპერის მიწის ბურთი, უფსკრულს აპობს ელეის ზოლი,  
ლავევარდს ცისას ქარი არხევს, ვარსკვლავთ შორის განაქოლი...

მზის თეთრ სიცილს — სხივთა ტალღებს — ფირუზის აქსოვს  
სივრცე ცისა,  
მწევნე ხავერდს ოქროდ ჰქანავს ცეცხლის მფრქვევი სახე მზისა,  
ეთერს ამეობს ელვათ ქრომითა სხივთა ციმციმ-ქისეასისა,  
ყიდრ წალკოტს წვიმად სცვივი ელვარება ალმასისა.

მზე სატრუთა დედამიწის: მიწამ სული მზეში ჰპოვა,  
უსრულებელ ნდომის შუქით მის მწველ სხივებს ჩაექსოვა,  
შეყრის წამის მონატრულმა, ჩრდილო სავანე ძირს დატოვა  
და სატრუთოსკენ გაექანა, გაიძლოლა მნათობთ გროვა.

მზე მიიღლეოს, მიპერის მიწა, სატრფოს კოცნით ჩიისრული...  
ეინ იხილოს ცის წიაღში შეყრის ნატერა შენასრული?..  
დროს არა აქეს დასაწყისი, დროს არა აქეს დასასრული,  
არეინ უწყის საიდუმლო, ეამთა მტკერში დაფარული!..

სხივგაშლილო ცეცხლის ეტლო! სად მიაფრენ ასულს ცისას?  
სად მიაფრენ ცის დედოფალს, ნათელ დედას სიცოცხლისას?  
რას გიმზადებს ცის უფსკრული, — ახალ გვირგვინს ვარსკვლავისას.  
თუ ქვესკნელის საშიშ ნაპრალს, შავ სამარეს ამ სოფლისას?..

ცის ასულო! ვარსკვლავთ კრებულს მოუსმინე სიმთა ელერა,  
სჩიოლით ნეკეთ ნაპერშელებში ჩაიქარგა ჰანგთა ბგერა,  
შენგან მომსკედარ ცეცხლის ზეირთმა ცის სამყარო ააძგერა  
და ეთერის ლურჯ ტალღებში უცხო ჰიმნი ამოპერა.



აქა, ნახე დედამიწა: შენი შეურა განუზრაბავს,  
სულის სწრაფვა სასიცოცხლო შენს კოცონში დაუმარხავს,  
სახეს შენსას გულში იქრავს, — ზღვის სარეეში ჩაუსახავს,  
შენში ჰპოვა მან სიცოცხლე და სიკუდილსაც შენში ნახავს!

წარსულის ჯაჭვეს გარდაექდო კიდევ ერთი ცეცხლის ოგონი,  
ერთჯერ კიდევ მოტრიალდა დედამიწა, მზისკენ მსრბოლი..  
მიქერის, მიქერის მიწის ბერთი, უფსერულს იძობს ელვის ზოლი,  
ლაქვარდს ცისას ქარი იჩევს, ვარსკვლავთ შორის განაქროლი..

1 იანვარი, 1912

## თეთრი ურიცველი

გზას ნუ აგაცდეს, ჩემო ნაეო, ტალღათ ჩოჩქოლი,  
 ზღვა უნაპირო არ გაგეწირავს, არ გაგვიმეტებს...  
 თეთრი ფრინველი, ლრუბელთ ქსელში გამონაქროლი,  
 გვსმის? — გაპკიფის: ჩენ გვეძახის, ჩენ გვაიმედებს.  
 ის წინ მიგვიძლეის, გზას გვიყაფავს ნაპირისაკენ,  
 შორით გვინათებს, ეით ობოლი ვარსკელავი ცისა!..  
 ნაეო, ნუ შეერთი! ნუ იწევი უფსკრულისაკენ!  
 გულს ნუ გაგიტეს ხმა უცნობი ბნელი სივრცისა!  
 ეგ ბრძოლის ხმა, ლრუბელთ შორის მიმორხეული,  
 შერისძიების ცეცხლ-ბურუსად აწეირთებული,  
 ტალღათ სრიალში დანაჯესი ჰანგი გრძნეული,  
 ქარის ზუზუნთან მტრიბის უინით შეერთებული.  
 ნუ შეგაშინებს შავი ნისლი, ზღვაზე გაშლილი,  
 თეთრი ფრინველი სხივს გააკრობს, გზას გაგვინათებს;  
 და თან გვდევდეს უარყოფის შავი აჩრდილი, —  
 ის ვერ მისწევდება, ვერ გაიგებს ჩენს გულის ნადებს!..

სადაც ლავეარდ ცის კამარას ზღვა ცივ მყერდში გრძნობით  
 იქრავს,  
 განთიადის ანგელოზი ღმის წყვდიადს სხივით ისრავს;  
 სადაც სიოს ერექტა ნაპირიდან მწვანე ისლი,  
 მთის გვერდს უვლის მოკრძალებით ბაშბის ქულა — დილის ნისლი;  
 სადაც ცივი მთის მწევერვალი მზის პირეელ სხივს ელოდება,  
 თოვლის გვირგვინს ეცინება, ყინვის კოშკზე ღიმი კრთება;  
 სადაც ფირუზს გაშლილ ზღვისას ზედ ეფრქვევა ოქროს მტვერი,  
 განთიადის სამთავროდან ყისკრის ფრთებით მონაბერი, —  
 ჩენ იქ ეპოვებთ, ჩემო ნაეო, ნაეოსაყუდარს დამშვიდებულს,  
 იქ ეპოვით ალთქმის წალკოტს, უცხოდ მორთულს, აყვავებულს;  
 იქ ვიხილავთ მზის ამოსელას, შეების ნიშანს საემბლემის,



იქ მოკისმენთ ციურ დაღადს, მწყობრ მუსიკას საედემოს; არა ვა ის განახლეთ ცოცხალ ყვაეილს ხორცესს მულის ოცნებისას, ვნახავთ გვირგვინს საქორწინოს განთიადის და ღამისას; აბრეშუმის ლურჯი ქოლგა — ცის გუმბათი უფრსკელავო — სიოს მოგვებერს სუნნელოეანს, მოგვასევენებს, ჩემო ნავო!..

ჯერ კი წინ გასწი, დრო არაა შესვენებისა,  
არ დაგვევარებოს შევ ღრუბლებში თეთრი ფრინველი,  
ჯერ კიდევ მოჩანს ელვარება მისი ფრთებისა,  
ჯერ კიდევ ისმის სანუგეშო საგალობელი!  
წარსულთა დღეთა მოგონება, აწმყო საზარი,  
ტანჯვის ცრემლებში გალესილი მწარე ნაღველი,  
ნაპირს დაგრებულს დაუუტოვე... ახლა სხვა არი  
ჩემი გულისთქმა, მისწრაფება, გრძნობის აშლელი.  
მე რა ეინაღველო, ჩემს წარსულში რა დამრჩენია?  
რა მომავრნდეს, უმეგობროდ განმარტოებულის?  
ობლად შთენილსა მხოლოდ მწარე ცრემლი მდენია,  
მხოლოდ ნაღველი მინთხევია გაბოროტებულის!..  
ჰაუ, ტალო, ჩემო ხეედრო, ბეღო წყეულო!  
ნეტვ შენს ბრჭყალებს, სისხლით ნაღებს, თუ გავეცლები?!.  
ნაეო, წინ გასწი, ჩემო ნაეო, ზღვაურს ჩეეულო!  
თეთრი ფრინველი წინ მიგვიძლეის, გზას ნუ ასცდები!..

ნოემბერი, 1911

## ზუგდიდი

არ მსურს დავმარხო ნანგრევთ შორის გამქრალ ზრახეათა  
 უკანასკნელი ამოქნესა ობოლ სულისა,  
 არ მსურს ჩავფერფლო თაიგული ტებილთა სწრაფვათა,  
 არ მსურს ჩავიყდა გულში სევდა სიყვარულისა!  
 ეთ დავდარო მთის ხროკზე გაშლილს ყვაეილსა,  
 უნამოლ დამჭენარის, უსიცოცხლოს, სუნმიღებულსა?  
 ეთ წარმექვეთოს ხსნის იმედი საწუთროს შეიღსა,  
 მეგობართაგან დაიწყებულს, დაობლებულსა?  
 და დატოვონ, დამიერწყონ როგორც სიზმარი,  
 შეუღამის ეამს წუთიერად მოზმანებული, —  
 მეც მიერთარეთ მათ მიღამოს კით უჩინარი  
 ღამის ჩვენება, შეუმჩნევლად მოელინებული!..  
 შესხმის დაღადი მათგან ბევრჯერ მომისმენია,  
 მეც გამიშლია წრეული გული ნიშნად ნდობისა,  
 მავრამ ღალატის მწარე გესლი არ ამცდენია,  
 არ ამცდენია მომწამელელი შხამი გმობისა...  
 ქებას რას ვაქნევ ცბიერ გრძნობით გამოწვეულსა?  
 რად მინდა ფიცი რწმენის სხივებს მოკლებულისა? —  
 გზის ვერ შეუცვლის ტებილი სიტყვა ღალატს ჩვეულსა,  
 ფიცი ფუჭია ანგარებით სავსე გულისა!..

განშორებული სოფლის ღრტვინეას, ამაოებას,  
 რძევების დემონის საკურთხევლის წინაშე მდგარი,  
 ღოცეად აღვავლენ სულის ლტოლვათ უმანქოებას,  
 ტანჯეოთ ანაშეოთს ხელთ მიპყრია მრისხანე ქნარი.  
 წყვის ცეცხლს ვანთებ, ქარს ვუძახი ცის უფსკრულიდან!  
 ძრწოდეთ, მცოდნოთ, ბიწიერნო! დაღვება წამი,  
 და თქვენის ისრით სისხლისაგან დაცლილ გულიდან  
 გადმოინთხვეთ ცეცხლის ქარად ცხოვრების შხამი!..

შავიდ შესულროს ცამ მნათობთა ლურჯი სავანე,  
 და მესს გაყრიდეთ, ლრუბელთ შორის გამონაკრობსა!  
 მქუხარ ღეართქაფად გაგეშალოთ ზღვა-ოკეანე,  
 ლამის წყვდიალში გერ ხედავდეთ ციურ მნათობსა!  
 ვეღარ იპოვოთ ტანჯვის ველზე თავშესაფარი,  
 უგზოდ ვიდოდეთ, ყეცხლის ელვით დაბრძავებულნი,  
 სიკედილის წამის მოსწრაფების ხმა შესაზარი  
 შორით გესმოდეთ, ქვითინებდეთ ატირებულნი!  
 ნერევის ზეზენით ახმაურდეს ირგვლივ ტყი-ველი  
 და ხმა ისმინოთ ქვესკნელისა, ხმა ამაზრზენი!  
 შეელის ითხოვდეთ, — არლა გიჩნდეთ არსით მშველელი,  
 მიწა გდევნიდეთ, ცა დაყრუვდეს — არ ესმას თქვენი!

ნოემბერი, 1911

## მ % 0

### დილა

ფრთანაცემეტი დილის სით ზღვის მუქ ნაპირს გაეყარა,  
შთის ქეჩოზე მისვენებულ ნისლის მკრთალ გუნდს მიეპარა,  
ფრთა შემოჰერა, გააღვიძა, უცხო ქიმი შექსისინა  
და, ვით გელთა მწყობრი რაზმი, წამოშალა, ააფრინა.

ცისკიდური ზღვის ტალღებში ვარდის წყლითა გაილესა.  
ზღვა ათროთოლდა, მთვარე ჩაქერა, ღამემ ტყეში დაიკვნესა.  
დილის ვარსკელავს სხივი მოსწყდა, — ის ნიავმა მიწას სტყორცნა;  
მიწამ ზეცას გაუღიმა, — დაუბრუნა ვარსკელავს კოცნა.

ცივ სალ კლდეზე დანაღენი მთებში წყარო აწერიალდა,  
მას ხეეხუემა ბანი მოსცა, ნაძვ-ტირიფი აშრიალდა,  
ცის მნათობთა მქრალი ზუქი ცისკრის ამბორს ჩაექსოვა,  
ირმის ნახტომს გაემწერივა ოთხრად პენტილ ღრუბელთ გროვა.

შავფრთხებიან ღმის თავაღს განთიადი გაეპარა,  
ცის ლაევარდზე გაიშალა, მის ტალღებშე დაემყარა.  
პა, აპოლლომ ცეცხლის ეტლით ცა გაპკეთა, გაარღვია,  
და ქვეყანას მკერდმოქარგულს ოქროს წეიმა დააფრიქეია.

### შუადლე

ცეცხლის მახეილმა გააპო ეთერის ლურჯი გუმბათი,  
ცის თალზე ალის კვარცხლბეჭე მზე დაესცენა სხივმნათი,  
შექერდა დენა ეამისა, მისწყდა ხმა ფოთოლთ რხევისა,  
მიწამ სცნი ზეცის სიუხვე, სრულყოფა სხივთა ფრქვევისა.

მზის ნაპერშელებით დაჭრილნი ჩრდილნი უძრავის სისანი,  
ღრუბლის ნაწყვეტთა სახენი და ლანღნი მაღალ მთისანი, —



უცნაურ შიშით პყრობილნი, მზის სახეს ემალებიან,

მაგრამ აღთ-შეფით მსხვერეულნი, სხივებგაყრილნი ჰქებიან და მინდონია.

თეთრად აინთო მთის თხემი, თოვლის გვირგვინით შემუშლი, ვით სიყვარულის სამსხვერპლო, წმინდა კოცონით გზნებული, და მიანათა მთაგრეხილს ცით მომსკდარ სხივჩანჩქერადა, მწვანედ ფოთლილი მიდამო წარმტაცად ააფერადა.

ზღვამ ვერ გაუძლო ცხელ ისრებს, ზეცის მწველ თვალის ცქერასა და ყარაბა სულის სამშეიდე, უმატა გულის ძერასა, აღრტვინდა სივრცე უსაზღვრო, დაიმტერა სარკე ბროლისა, ზეირთო აედევნა ნელი ხმა ზღვაურ ნიავის ქროლისა.

### საღამო

მწერების ეამის ცივმა სუნთქვამ ტყეს სიცივე აგრძნობინა, მზის ალერისით დამთვრალ იას აუთროთოლა მყუდრო ბინა;

მიწის ფიქრი ცის ნაფიქრალს გარდააჭდო, ერთად შეწნა,

ფერი უკრთა მთის ლურჯ ზოლებს და შესუდრა წყლის პირს

ძეწნა.

ცის დასავალს ოქროს ფერი ზღვამ ტალღებით ჩიმოპშანა, წყალი ეთერ შეუერთდა — შეთხა სივრცის ამოცანა!...

შავად მოსილ აღმოსავლეთს მოვარემ ჩრდილი მოახია

და მარიხის წითელ საწოლს ვერცხლის ბაღე მოახვია.

შორს ვარსკვლავი მოსწყდა სივრცეს, უფსკრულისკენ გაეშურა, ცეცხლად იქცა და წინწელებად ცის თეთრ ყვავილთ დაესხურა, ძირს, უნისლო ზღვის სიღრმეში, გაიელვა ცეცხლის ხაზშა, — ვერცხლის ციმციმს მიემატა ოქროს სხივთა აიაზშა.

მყუდროების ანგელოზმა ბინდის სით მიაძინა,

მარმარილოდ გაიშალა ზღვის უჩრდილო ზეირთოა მინა.

ცა გაიხსნა. სხივი გაერთა ცივ სამყაროს კიდე-პირალ.

ლოცვად დადგა დედამიწა: — მსხვერპლს ამზადებს შესაწირად...

იანგარი, 1912

## მზის სიცილი

მზეს არ ანსოდეს შობის წამი, მზეს სიკედილი არა სჯერა!  
 მან სიცოცხლე უკედავების სიმთა ელერით ააძერა!  
 ღრმოს წაართვა ძლევის კვერთხი და დათრგუნა მით სიკედილი!..  
 ნერავ იმას, ვისაც ესმის აღმაფრენი მზის სიცილი!

მფეთქავ სხივთა შალრევანშია შუა გამყო სიცრცე ცისა,  
 ცეცხლის ტალად გაიშალა ოკეანე უშრეტ მზისა,  
 მან სიცილი ოქროს სიმთა მიმოფანტა ყოველ მხარეს:  
 გააგონა ფირუზ-მიწას, მიანათა ბროლის მთვარეს.

მზის სხივებით ნაქსოვ რიდემ მთა დათრთვილა ოქროს ფიფქით,  
 საქორწინოდ მორთო მიწა და დაათრო შვების ფიქრით;  
 კვლავ გაფურჩქნა, რაც წყვდიადმა შავ ლრუბლებში ჩაალესა,  
 ნორჩ სიცოცხლის ყეველებში ტრუობის ცეცხლი ჩააკვესა.

ცად ნაშობი ძლევის პანგი მთის ორწოხში ჩასრიალდა,  
 მთა ატირდა, ცივი ცრემლი კლდის ფიქალზე აწკრიალდა,  
 განახლების აკორდ-წყობით ამუსიდა ტყე და ხევი,  
 ნისლად დადგა მიწის ფიქრი, ლოცვის ეამად ასაქმევი.

ვის უმღერის ტყის ფოთოლი, ცელქ ნიაჭით დარჩეული?  
 ვის შესცინის ვერცხლის ნამი, ვარდის ყლორტზე დაფრქვეული?  
 ვის უკინძევს გრძნეულ პანგებს ბროლ-ანკარა მთის ჩანჩქერი?  
 ვის შექნარის დედამიწა, ტრუობის ალით ანაძერი? —

ტყე არ იტყვის:—ვინ გაიგებს ფოთოლთ შრიალს, სიოს ფრენას?—  
 არც ჩანჩქერი: — ვინ მიხვდება ცივ ტალღების უცხო ენას? —  
 მაგრამ ნამი, დილის ნამი, ვარდის ტუჩზე ანათრთოლი,  
 ვერ დაპირავს საიდუმლოს, ვით — ჩანჩქერი ან ფოთოლი...



დილის ცრემლი — თეთრი ნამი — ვარდის ემბაზის აციმციმებს,  
თეთრად ღებაეს მზის სხივების კონად წყობილ ნათელ სიმებს,  
სხივთა კოცნით განალეივი იწვის, იწვის, ორთქლად ღნება, —  
მზეს უცდიდა ვარდის ყლოჩტზე და მზის სხივში წამი პერება!..

მზეს არ ახსოეს შობის წამი, მზეს სიკვდილი არა სჯერა!  
მან სიცოცხლე უკვდავების სიმთა ელერით ააძვერა!  
დროს წაართვა ძლევის კვერთხი და დათრგუნა მით სიკვდილი!..  
ნეტავ იმას, ვისაც ესმის აღმაფრენი მზის სიცილი!..

მარტი, 1912

## 3 1 ს უ 6 0

რისთვის შეახე სათუთი ხელი  
 ჩემი ნაზ სულის იდუმალ სიმებს? —  
 ლოცვას ეერ გეტყვის წყევის შემთხველი,  
 დაბშული ბაგე ვერ გაგიღიმებს!..  
 სევდა ციური თუ მფლობს, — მასშია  
 ჩემის ძიების ტაძარი წმინდა;  
 ჩემი წარსული შავბნელ ზღვაშია, —  
 მე კი ცის მკერდზე მზის ხილვა მინდა!..  
 და რატომ გინდა მომპარო სული?  
 ჩემს ფარულ კვნესას რად უსმენ შორით?  
 ოჲ, მეგობარო! გამობარი გული  
 რად გამიყინე ცივის ამბორით?..

მარტი, 1912

## სისხლის წვიმა \*

არცა ჰქონდა ქარიშხალი, არც კა იყო შავად შლილი,  
 არც ცისკილურს სდარიაჯობდა გველეშაპის შავი ჩრდილი,  
 გაზაფხულის ნაში ჰანგი ცივ ნიავში ირხოდა,  
 შიშის სხივები თოვლის ვარღზე ფერად მძიევად იმსხერეოდა...

შაგრამ შევმა სტიქიონშა ცის სინაშე დაარღვია,  
 სპეტაკ თოვლის წმინდა ეელზე სისხლის წევიმა დააფრქვია,  
 სისხლნარევი თოვლის ცრემლი მოსწყდა ზღუდეს ვით ჩანჩქერი  
 და შეპლება წითლად, წითლად მიწის მეტრზე ოქროს მტვერი.

მომაკედავთა მწარე თხვრა, გამჭრალ სულთა წყევა-კენესა,  
 ელვად გაურთა თბოლ ველზე, ცივ სივრცეში გაილესა;  
 შორს გაისმა ხმა საზარი, მთა დაუხვდა სისხლის ძანილს, —  
 ოთხივ კიდემ ბანი მისცა წყევის მქუხარ გამოძახილს.

სისხლნატრქევეი გაშრა ეელი, თოვლი ცრემლად დაიცალა,  
 ტანჯვის ცეცხლში დაღნა ცრემლი, წითელ ორთქლად გაიშალა,  
 მზე აცურდა წითელ ნისლში, შეიღება წითლად მთვარე  
 და ცის ნისლის წითელ ალით შეიმოსა არემარე.

აპრილი, 1912

---

\* მეფის შოაფრობის მიერ 1912 წ. 17 აპრილს ლენის ოქროს მაღნების შესების დახვრცის გამო.

## მომღერალი

მე შენ გისმენ, შენს ტკბილ ხმაში აღმაფრუნის ვპოვე ძალა,  
 ჩემს ავადმყოფ გულისთქმაში, ვგრძნობ, სურვილი არ ჩამქრალა:  
 მყდარ ოცნების მკრთალი სახე ტანჯვის ფერტულში სხივად კრობა,  
 სკელის ზღვაში რაც დავმარჩე — შეების ჰანგში კვლავ ღვიყდება..

მე შენს ხმაში მესმის ცათა საიდუმლო ჰანგთა რხევა,  
 უხმო კენესა ამაყ მთათა, ქარის ოხერა, ქარის წყევა,  
 ზეირთთა ელერა, ზეირთთა ომი, ზღვის ჩოჩქოლში ჩამარხული,  
 ტყის სიმღერა მიღწვდომი, ღამის ფიქრში ჩასახული...

მე შენ გისმენ მოხიბლული. სძინავს მიწას, სძინავს ცასა,  
 მორცხვი მთვარე შებლშეერული ლრუბლით ჰმოსავს ეერცხლის  
 თმასა;

შორს გაესცერი, ფრთაშესხმული, ნისლდაფენილ მდუმარ მთასა,  
 თან მიძყვება ჩემი სული შენს ჯაღოსნურ უცხო ხმასა...

არ ვინალელი, თე შენი ზმა ჩემი ფიქრის დასწყევებს ძალებს, —  
 ნორჩი ზრახვა და გულისთქმა შვების ტალღებს მომისწრაფებს...  
 და ე მოსწყდეს სული სოფელს, შეუერთდეს სიერცეს ცისას! —  
 მიწის ჩრდილში საგალობრელს ვინ მოისმენს ცის დასისას?!

ოქტომბერი, 1912

## ღ ა მ თ

ლაშვარდ სივრცემ მზე დაჭიარგა, ცა დაობლდა სხივჩამქრალი,  
 ორებლით ნაქსოვ შავ ძაძაში გაეხეია მთვარე მერთალი,  
 უსიცოცხლოდ მთვლემარ სოფელს ჯოჯოხეთი ემუქრება,  
 ცეცხლი ჰქონდა!

კლდეთა სალტით შებორჯილი ზღვა არ იძვრის, თითქო სძინავს,  
 ზეირთთა გროვა ჩაძირულა, ზღვის ნიავი არ დაფრინავს...  
 ნისლის გვიფი სწამლავს ჰაერს, ყრუ დუმილში გაქვავებულს,  
 ცა არა ჩანს, არც ცის კიდე, ვერც მიწას ვკვრებ ფერმილებულს...

მთა სად არის? ვერა ვხედავ. — მთის მწვერვალებს ნისლი  
 პბურავს? ეგ ვინ არის — შავ ბურუსში ცელგაწუდილი რომ დაცურავს?  
 ეგ ვინ ტირის? ვისი ისმის საზარელი სულის კვნესა?  
 ეკლის გზაზე ნაფრქვევ სისხლში ვისი ცრემლი გაიღესა?!

უძლერია გლოვის ჰანგი! — ცეცხლის მგოსანს დაუძახეთ,  
 რომ ქვეყანას მოევლინოს ბრძოლის სიტყვის მოქარნახედ.  
 ის მოუხმობს წყევის გრიგალს კლდის სალტეთა დასამსხვრევად,  
 ცეცხლს ალაგზნებს დედამიწის მფეთქავ ალში გასახვევად! —

თორემ ჰქონდა მოლლილ სულში რწმენის შექი სხივგამქრთალი,  
 ცის სიერცეზე აღარც მზეა და არც მთვარე სახემერთალი,  
 უსიცოცხლოდ მთვლემარ სოფელს ჯოჯოხეთი ემუქრება,  
 ცეცხლი ჰქონდა..

## სული ურაშურო

საღამო იყო. ცის დასავალი  
 ალისფერ ლრუბლით იქარგებოდა,  
 მთათა შუვერვალებს მზე ჩამავალი  
 სხივებს აცლიდა, ეთხოვებოდა;  
 წყნარი მძინარე, სმაგაქმენდილი,  
 ტყეთა ბურუსში იკარგებოდა,  
 და მთის გადაღმა ცა მოწმენდილი  
 მთვარის ციც ბაგეთ ექონებოდა...

ლოცვის წყურებილით გულალგზნებული  
 ცას შევყურებდი ხელაპყრობილი,  
 მაგრამ უცრემლო, სულით ვნებული,  
 ლოცვას ვერ ეთხზავდი სევდით პყრობილი...  
 ყურს ჩამწიდა ფრთადაშვერებული  
 მწუხრის ნიავი, მთიდან მოსული:  
 „ლოცვას ვერ შესძლებს სული ურწმუნო,  
 იცოთა ქაოსით გარემოცული!“

კლდეთა ხრიოქზე ამაყად მდგარი  
 მიწას ვერულავდი, ზეცას ვწყევლიდი,  
 ცეცხლს აკესებდა მქუხარე ქნარი,  
 საჯოვლენეთო სიმღერებს ვქმნიდი;  
 წყევად ვასმენდი მთა-ბარს და ტყე-ველს  
 იდუმალ ლოცვის დაშრეტილ წყურეილს,  
 შორით ვეძახდი წინასწარმეტყველს,  
 შურისძიების კვერთხით იღჭურვილს...

მთის შუვერვალზე კი ცა მოწმენდილი  
 განთიადის შუქს ათამაშებდა,

წყნარი მდინარე ხმაგაქმენდილი  
 მთვარის თეთრ სხივებს იქაშეგაშებდა,  
 და დილის სიო, ფრთააცევეტილი,  
 ყურს ჩამწიოდა, მთიდან მოსული:  
 „ლოცვას ვერ შესძლებს სული ურწმუნო,  
 იჭვთა ქაოსით გარემოცული..“

აზიანი, 1912

## ღ 6 ღ

უძრავ საფლავს სიცოცხლისას საუკუნო პფარავს ღამე,  
 არ დაპნათის ქვესკნელს ზეცა, ვარსკვლავთ წომლით მოქამდებე, —  
 მზე არ არის, — იქნებ იგი არც ყოფილა არასოდეს, —  
 ვინ მოჰყება ზღაპარს ცისას? — ვინ იქნება რომ ანსოდედეს?

სივრცის ეტრატს, შავად მოსილს, ყრუ დუმილში უხმოდ სძინავს,  
 ბნელ-წყედიაღით გარემოცულს უკუნ-ქაოსს ჰყინავს, ჰყინავს...  
 ღრო კი მიღის. სივრცის ძილში ქვეყნის სევდა ელვას ჰსახიავს..  
 ნეტავ იმას, ეინც ამ სიზმარს სივრცის მქერძე სრულებრივს  
 ნახავს!..

ქვეყნის საფლავს ქარი არხევს, საფლავს ცეცხლის აკენად  
 ქცეულს,

შესთამაშებს მუეთქავ სივრცეს, მჩქეფ ტალღებად მიმორხეულს.  
 ღმის შევ ფრთხებს ელვა ამსხვრევს, ქაოსიდან გამომკრთალი  
 და სიცოცხლის კვარცხლბექს სქედავს პირველყოფილ ცეცხლის ალი.  
 ცა იღვიძებს, ელვათ კრთომა ბურუსს ცეცხლად აციმციმებს,  
 ახლად შობილ მზის გვირგვინი ცაშე აწყობს ოქროს სიმებს.  
 შით მომსუდარი ცეცხლის ბურთი პაერ-სამოსს ალაევარდებს  
 და აღსავსე ღეთიურ ზრახვით ჰქმნის სიცოცხლის უჭინობ ვარდებს...

ღრო კი მიღის. მზის მწველ გვირგვინს ღამის სული ჰპარავს  
 სხივებს,

დაპქრავს უამი — და ცეცხლის ვარდს სულ დაავენობს, ვააცივებს...  
 დედამიწა ლაევარდ სამოსს დაპხევს ყინვით გათოშილი,  
 ცას ვააქრობს სხივჩაფერფლილს ღამის კალთა შავად შლილი.  
 ღრო ვაიცლის. მიწის ლეში ჩიებევევა თავის მშობელს,  
 კვლავ დაპტარავს ბნელი ღამე კუბოდ ქცეულ წუთისოთველს;  
 სივრცის ეტრატს ცის ქაოსი თვის შიალში კვლავ დამარხავს  
 და მის ძილში ყოფნის სევდა კვლავ სიცოცხლეს ვამოსახავს...

დაქმბერი, 1912

## ჩემი ტაძარი

მთის კლდოვან თხეშეჲე გამოვყეთე საკურთხეველი,  
 შიგ დაებინავდი, სოფლის ჩოჩოლს განშორებული;  
 დღე — ზედ დამცქერის მნათობთ შეფე ცეცხლის მფრქვეველი,  
 ღამე — მიშეუძებს რწმენის ტაძარს ვარსკვლავთ კრებული.

მთების ქურუმსა ხელთ მიპყრია ჩანგი ლეთიური,  
 ცას შევღალადებ უკოდავების გამომსახველსა,  
 ლოცვად გარდავქმნი მწუხარის მოთქმა, — ხმა შმობლიური,  
 და მის ცეცხლში ვსწვავ გულში ნაგუბს ცრემლს და ნაღველსა.

მსურს ჩემი ლოცვა, სულის შხამად ცად ავლენილი,  
 ღრითა ბურუსში გაძერიოდეს ვით ხმა წყვევისა,  
 რომ მკასანს იჭირო არ მაკრთობდეს, სევდად შთენილი,  
 და ეამო უფსერულში არ დაინთქმა ცეცხლი ძლევისა.

მაგრამ თუ უმი დაემუქრა ჩემს რწმენის ტაძარს,  
 შავმა ღრუბელმა თუ ჩააქრო კანდელი ცისა, —  
 შედი ვერ გამტეხს, ვერ აღმომხდის გლოვის ხმას საზარს,  
 თავშევ დაშვებულს ვერ მიხილავს ბილიკი მთისა.

ღრის არ დავაცლი ჩემი სულის ბინა ჩატერთლოს,  
 სიკედილის შავ ფრთებს არ გავატან იმედის ჰანგსა, —  
 მე თვით დავანგრევ უძლურ ტაძრის ჩამქრალ სამსხვერპლოს,  
 მე თვით დავამსხვრევ შიშით მთრთოლავ ულონო ჩანგსა..

## მთვარის უცი

ზღვის ლურჯ ტალღაშ ჰეითხა მთვარეს,  
 ზღვის თეთრ ქაფში მონარნარეს:

„რატომ არის შექი შენი

, მიწიერის ცად ამფრენი?

„შენს ლიმილში რად გამოკრთის

, ცის ამბორი უცოდველი,

„გაშლილ ზღვის და პიტალო მთის

კრთნაირად მომხიბვლელი?..“

მთვარემ უთხრა ტალღას გრძნეულს,

ცის მნათობის საჩუდე ქლეულს:

„ჩემს გულმკერდზე მზესა სძინაეს,

„ჩემი სახეც მიტომ ბრწყინავს...“

„ჯადოთ საესე ჩემი შექი

სიზმარია მძინარ მზისა,

„ნაზად მქროლი, ფრთამსუბუქი,

„ვით ოცნება ლაქვარდ ცისა!..“

აქტილი, 1912

## ე ლ ე გ ი ა

ავადმყოფ მთვარის ქვეშ მწუხარის უამს ხილული,  
რეს პირად გაშლილი, ნამით დათრთვილული,  
ტიროდა ნარგიზი, ნიავით რხეული,  
ტიროდა, სცვიოდა ცრემლი დაფრქვეული...

და იგიც ტიროდა... სევდით დაბინდული  
ქალწულის ოცნება, ცრემლად აკინძული,  
უსიტყვო გოდების ნალველში ღნებოდა...  
ვხედავდით: განკითხვის შავი დღე დგებოდა...

განველო დრომ... ცხოვრებამ დამიხშო კარები.  
განვშორდი ქვეყანას, — არებს ვეკარები.  
რაც-იყო არ მჯერა, — ვამიქრა ყოველი,  
მომავლის არჩა მწამს, — აღარას მოველი...

მაგრამ, სულდაჩრდილულს, მუდამ მაგონდება  
რეს პირად ქალწულის უსიტყვო გოდება  
და ფერმერთალ მთვარის ქვეშ მწუხარის უამს ხილული  
მტირალი ნარგიზი, ნამით დათრთვილული..

დეამბერი, 1912

## გზოსნის სული

ცხოვრების შეილო! პა ჩემი სული,  
 სევდა-კაუშნის ცეცხლში ნაწილობი,  
 მწესავით წმინდა, შეესავით სრული,  
 ტანჯულთა კვნესით გამონახმობი!  
 ცეცხლის ჩირალდნად აზიდე მთაზე,  
 ამაყ არწივის მოისხი ფრთები,  
 ნუ შეგაშინებს კლდის ზღუდე გზაზე,  
 ნურც ჯანყ-ბურესის შევი ზეირთები!  
 და მთის მწვერვალზე, სადაც ნიავი  
 ებრძების ღრუბლის ჯარს ტრთაშვებული,  
 ააციმციმე როგორც ვარსკელავი,  
 ლამის წყვდიადში მოელინებული.  
 ცხოვრების ზღვაზე უმიზნოდ შოენილთ  
 ვზის გაუნათებს ლამპარი მთისა,  
 და ღრუბელთ, მთაზე შავ რიდედ ფენილთ,  
 ნისლად ასწურავს ლაუვარდი ცისა...  
 შეების კოცონში, ზეარაյად სსნისა,  
 და დაწევს სული გზნებული, —  
 ცეცხლის ტალღაა სული მგოსნისა,  
 რწმენის ქურაში აფეთქებული!..

1912

## ჩემი სიტყვა

ჩემი სიტყვა ცის ცრემლია, ნორჩი წალკოტშე დანაწევიში,  
 ჩემი ენა ხან გრძემლია, ხან ჩონგურის ნაზი სიმი.

ჩემი სიტყვა ელვას მოსწყდა, ღრუბელთ შორის აუეთქებულს,  
 გარდაეჭდო მთის ცელქ ნიავს, ზღვის მკერდისკენ დაქანებულს,  
 ზღვის სივრცეზე გასრიალდა, ხმა აკრიფა ზვირთთა რჩევის,  
 შეირთა მიწის კვნესა, — მოძახილი უფსკრულ ხევის.

ჩემი სიტყვა ვარდზე იშვა, დილის ნამით ანატირზე,  
 როცა ფოთოლს, ვარდის ფოთოლს აუთრთოლდა ცრემლი პირზე;  
 შიის სხივების ჩემი რეკა, ვარდის მტევრში ვაბნეული,  
 ჩემს სიტყვაში ჩაიქარგა, იცნო სიტყვამ ხმა გრძნეული.

ჩემი სიტყვა წყვევის ხმა, დაქრილ სულის დანაკვნესი,  
 ცის წიაღში მონავარდე, ბრძოლის ველზე ცეცხლის მკვესი;  
 გულისტემაა ლოცვის ეძმის, მთვარის შუქით ვანწმედილი,  
 მიწის ფიქრი საიდუმლო, ცის ტაძრისკენ ავლენილი!..

ჩემი სიტყვა ცეცხლის ფრთაა უხილავი ანგელოსის,  
 ჩემი ენა მუსიკა, ტებილი ქნარი ეკლოსის.

1912

## ობოლი სილი

იქვით დაუოდილ სწერლ გონებას  
 შიით დანაცვესი ვასმინე ჰანგი,  
 ზეცით მონაბერ ზემთაგონებას  
 ღავეუმორჩილე ცხოვრების ჩანგი;  
 ლოცვა უსიტყვო, ფად ასაკმევი,  
 ნისლად ქცეული, ქარს გავატანე  
 და სულის სწრაფეა, ცრემლად ნაფრქვევი,  
 სხივით განაშუქ ნაშიი გაებანე;  
 ლავვარდ სივრცეში ავაწყე სიმნი,  
 ვცანი ვარსკვლავთა იდუმალობა,  
 მოვარის ღიძილში ავრიფე პიმნი,  
 ცა გაეავონე უცხო გალობა;  
 დაწან გვიარგეინი შშვენიერების,  
 ურვა სულისა შიგ ჩაექსოვე, —  
 მაგრამ სავანე ბეღნიერების  
 იუფით მოცულმა მაინც ეერ ვპოვე!..

სელო ობოლო, ცათა მპყრობელო!  
 სულო ეულო, სოფლით ლტოლვილო!  
 შავბნელ ცხოვრების უარმყოფელო,  
 თვით ცხოვრებისგან უარყოფილო!  
 გზად არ შექვეცო სასტრე ბრძოლაში  
 მწერვალზე ქროლვით მოლლილი ფრთხები!  
 ცეცხლად გაშალე, ელვათ სრბოლაში,  
 ლამით ნაშობი შეით ფიქრები!  
 და თუ ეერ მისწვდეს საზღვარს შენი ჩმა,  
 და ეერ ისმინა ლოცვა შვებისა, —

ప్రపంచంలో నేడుకొనుతున్న లభ్యతే గుర్తిస్తామా,  
నీశ్వరాద సిఫ్రాప్రథలో గానాశల్పుభిసా!..  
డాగ్ పోస మధ్యారథమా నగరమనో త్రిప్రాణిలో  
ఐప్రోప్ డాయార్థిల్ స్వేచ్ఛల గుర్తిసా,  
డా విశ్వేస కొండ్రాధ్రేస త్రిమండ క్రిప్రాలో  
శ్రుంతోసాగ్రమ, నథంల స్వులోసా!..

1912

## მოგონია

მახსოვეს, — ტბის პირად ვისხედით, ნიავს ფოთლებში ეძინა,  
 სდუმდა ტბის სარკე: პფარიადა რაც ტყის შრიალში ესმინა;  
 კიდემოქარგულს ნაპირსა ზედ მყრთალი ნისლი პფენოდა,  
 ყელმოლერებულს ყაყაჩის ალის მანდილი პშვენოდა.

უცნობის გრძნობით ტყვევნილსა მხიბლავდა სახე ქალისა,  
 და ეერ ებედავდი მის ჰერეტის, — ელვა მაქრობდა თვალისა,  
 ქრძალვით აღვსილი ვარჩევდი ტბის ზედაპირის ცქერასა  
 და ეერ ვაცხრობდი ნორჩ გულის გაჩქარებულსა ძერასა.

ტბაში ვიხილე ხატება ქალის დაპრილი სახისა,  
 ვიგრძენი ჯალო უწევე ი ორთა ვარსკვლავთა მახისა,  
 ტბაშ ეერ დამილა ისარჩ უცოდველ თვალთა ელვისა, —  
 სიჩუმე გახდა მოწიმე ფრთაშესხმულ სულთა ლელვისა.

1912

## მ უ მ ი ლ დ ი ს ა რ ი

ვით ისარი ფრთაშსუბუქი ცას ვესროლე ჩემი სული,  
 მე ძირს დაერჩი, — მშეოლდის ლარი, — ფრთაწავრილი, მოქანცული.  
 ვით გაევემც ცას მუქარის, ვით გავფანტო სევდა კრული?  
 ვით წარეხოცო გულს მჭმუნვარეს კაეშანი დალად სმული?!

ცივ თვალებით ვსცერეტ ცის ლაჟვარდს, მსურს გარღვევა ცას  
 ეთერის.  
 რომ ვიხილო თრთოლვა სულის, სიმთაწყვეტით ანაედერის.  
 ასე ვარდი თავდახრილი მძინარ ტალღის თავს დასცექერის.  
 რომ იხილოს გამოკრთომა შიგ ჩასახულ მწვანე ლერის...

მაგრამ თვალი უძლურია, ის ცის უფსურელს ვერ ჩასწედება.  
 უოცნებო ფიქრის ქროლვა ღამის კალთებს ვერ ასცდება.  
 სულო ჩემო! ნუ დამტოვე, განშიახლე წუთის შეება!  
 ობლად შთენილს ცა ვერა მცნობს, ლოცვის პიმნი უხმოდ კედება!..

1912

## შინაგანი ციფრები

ლალ ოცნებით აფრიკალმა, მთაზე ფრენა არ ვიქმიარე,  
ცას ავევარ ხილულ ღმერთად, მთის მწვერვალებს გავეყარე,  
ავედევნე ღრუბლის ქულას, მე თვით ღრუბელს დავედარე,  
ძირს დავტოვე დედმიწა, მზის სხივებში მოელვარე.

მე თეთრ ღრუბელს მიესდევ ფრენით ცის ლურჯ სივრცის  
გაშლილ ზღვაზე,  
სიმებს ვაწყობ თეთრ ღრუბელზე, — მარმარილოს გათლილ ქვაზე,  
ცის ასული ოქროს ტალღებს ათამაშებს ცეცხლის ტბაზე,  
ფერად სხივთა წყობით ჰქარგავს ცეცხლის გვირგვინს ფირუზ ცაზე.

მე ვალვიძებ დილის ნიავს, მე ვაქროლებ მწუხრის სის,  
მე ღმერთი ვარ ოცნებისა, თავს დაესცერი მთელს მსოფლიოს;  
წუთიერი ჩემი შვება საუკუნემ ვერ დასძლიოს,  
ვერ გამასწროს მომავალმა, ვერც წარსული დამეწიოს!..

მე თეთრ ღრუბელს მიესდევ ფრენით ცის ეთერის გაშლილ  
ზღვაზე,  
სიმთ ვაუღერებ სანეტაროდ ცისიერთა უცხო ხმაზე;  
შიშის სევდა დავსწევი სხივით მარმარილოს ღრუბელ-ქვაზე,  
ფერფლი წიავს გავატანე, აეაცურე ფირუზ ცაზე.

1912

## ღმლობილ ზღვაზე

მე ცივ ტალღას მივსდევ ზღვაზე, შორს დავტოვე სალტე  
კლდისა,

კისკიდურის სარეცელზე მივაძინე სახე მთისა;

ცის მეტოქედ ავაჩქეფე თვალუწვდენი სიერცე ზღვისა,

ტალღას მთრთოლავს, თავისუფალს, მსურს სიმაგრე მივცე ქვისა.

ცა მებს მაყრის, ელვის თეთრ გველს ათამაშებს ცეცხლის ალში,  
მე წინ მივჭრი, ცეცხლის ისაჩის ხელით ვიქერ, ვაქრობ წყალში.

მე ტალღა ვარ, ზღვაში ვიშეი, — მოციმციმე მიწის თვალში, —

თუ წარსულში კლდეს კეონიდი, — კლდეს დავინგრევ მომავალში..

მე ზღვის ქაფის თეთრ ვარდებით, ვით ცის წიაღს, ვამეობ ზღვასა,  
წყალზე მცურავ ვარსკვლავებით მსურს ალეუდრა შური ცასა...

ცელში ტალღა გასტებს მთვარეს, — ცა ვაიჩენს მთვარეს სხვასა, —  
ასლა დისკრს მერთალი ნისლი დაუჩრდილავს შუქით ფრთასა.

მე ცივ ტალღას მივსდევ ზღვისას, ელვას ვაკრობ ზეირთობ  
მთაზე,

მიწის სევდას ესკენი ჰანგებად, სიმთ ვაეღერებ ბრძოლის ხმაზე;

ცის მშენება გამოვსახე მთრთოლავ ტალღის ბროლის ქვაზე

და შძივებად დამსხვრეული მიმოვფანტე ღელვილ ზღვაზე.

1912

## AVE MARIA

(შუბერტის კომპოზიციით)

სულის კვნესა შეიწირე, ტქბილ თცნების ფარულ სახეევ!  
მომარიდე მოგონება, — ტანჯვის ჩვეულს მე ვერ დავხევ!  
გულს ოღმიგზნე რწმენის ცეცხლი, — შევძლებ ტირილს, ცრემლს  
დავაურქევი.  
სევდის ყვავილს, სულში გაშლილს, შვებულ გრძნობის ცეცხლში  
გავხევი!  
სულის კვნესა შეიწირე, წყევის მანევილს მომარიდე!  
მომარიდე! მომარიდე!

გულს მოაწვა ცრემლის გუბე, გულში სევდა ჩაიმარხა,  
განელილ დღეთა შავი ჩრდილი სულის წიაღს ჩამესახა;  
ვეღარ ვამცნე სოფელს უგრძნობს რაც თცნებამ მიკარნახა,  
ცამ მომპარა ყოფნის სარეკე, — სახე ჩემი მან ვერ ნახა.  
და ცელგაწვდილს საშიშ აჩრდილს, შავად გაშლილს, ვუცქერ შორით!  
ვუცქერ შორით საშირ აჩრდილს!

შერალ სამსხვერპლოს ცეცხლს ვერ ვუნთებ, წარეკვეთა კანდელს  
სხივი,  
ჩაქერა გულში ჩირალდან, წუთიერად განაღვევი;  
გრძნობის ქუჩას, სხივჩაუერფლილს, დაეუფლა ფიქრი ცივი,  
ცა არ მისმენს, როს ვლოცულიბ, მიწა მდევნის, როცა ვკივი.  
შენ ნუ წარმკვეთ სასოებას, ჩემი ლოცვა შეისმინე!  
შეისმინე, შეისმინე!

ცოდვის ფიქრთა ცეცხლის ალი ლოცვის ღრუბლად გარდავშემენი.  
შენთან მოვალ ახალ გრძნობით, უკუცარე ჩაც შევქმენი.  
შეიწირე წრფელი ლოცვა, ტანჯვის ჰანგად აღნაელენი.  
გულს მომზადლე წმინდა ზრახვა, ტყვევნილ სულის აღმაფრენი.  
და შენს არეს, აღთქმის მხარეს, სხივმფინარეს, დამამკვიდრე!  
დამამკვიდრე აღთქმის მხარეს!

1912

## ორი და

ერთს — მზე უცინის, ცეცხლის ეპიდად ცაზე გაშლილი,  
 ოქროდ ნაქსოვი სხივთსამოსი უმეობს სხეულსა;  
 ზღვა მას უმღერის ზეირომჩქეფარე, გრძნებით აღვსილი,  
 სიო უკოცნის თმას სხივოსანს, ზილფდარსეულსა.

მეორეს — მთვარე, მშენარ სუმბულად ცაზე გართხმული,  
 მერთალ შუქით ჰმოსავს, მის თეთრ ჩაღრსა დაპყურებს კივად;  
 ვარსკვლავის ციმციმს მის ბრელ თვალთა შავი უფსკრული  
 ცის მკერდზე აქრობს და წყვდიადში ჰკარგავს მქრალ სხივად.

ერთი წინ მიღის, ხელთ უპყრია შვების სანთელი, —  
 ღამე გზას უთმობს სხივთ შადრევანს, ელვათა მკეცსავს, —  
 ცეცხა ასული, ვით ნაპერწელებს ცეცხლის კანდელი.  
 ცხოვრების ველზე ყოფნის მარცვლებს სთესავს და სთესავს.

ასულს მეორეს, დადუმებულს, ბრმად მოარულსა,  
 ღამის ჩრდილო შორის ხელში მჭრელი ცელი უელავს, —  
 პირველის ნათესს იგი იმკის, ის ჰქმნის წარსულსა,  
 ცხოვრების ყვავილთ, ნორჩის თუ გაშლილს, სცელავს და სცელავს.

1912

## გ ა მ რ პ ა ხ ი ლ ი

მთაო, მითხარ, როცა მიწამ ცეცხლის თართქლით ამოგტყორცნა,  
 რა იხილე ნათელ ცის ქვეშ: — ანგელოზთა ნაში კოცნა? —

თუ სიცოცხლის კაშანი, ფრთავაშლილი შავი სევდა?

— სევდა!

სევდით მოცულს ყოფნის წალკოტს ტანჯვის ცეცხლი ხომ არ  
 სწავდა?

სიყვარული ბორკილს სკედდა, თუ სამოთხის გვირგვინს სწნავდა?  
 ან რა მოძყვა პირველ კოცნას, ლოცვის ხმა თუ მწარე წყევა?

— წყევა!

მითხარ, მთაო! შუაღამით, როს სიჩუმე ათრობს წყედიაღს,  
 რას ფუსფუსებს ვარსკვლავთ გროვა; ხომ არ პფარევს ცის ხვაშიაღს?  
 რას გვიმშაღებს მომავალი, უკვდავყოფას თუ შავ სიკედილს?

— სიკედილს!

1912

## ჩიზი ცელი

შე ვარ მხოლოდ ნაფისაღური, მყუდრო ბინა ჩემი სულის,  
განუსაზღვრელ ფიქრთა ზღვაზე მარად ქროლეით მოქანცულის;  
მე ას ვიცი ჩემი სული რას მიელტეის, სად დაფრინავს. —  
ჩემთან იგი ფრთებსა ჰქეცავს, ჩემთან იმის მხოლოდ სძინავს.

ფრთებს რომ გაშლის, მე ძირს მტოვებს, თვით ცის მყერდზე  
იწყებს ქროლის,  
შორით ვუსმენ კვერსა-ლაღადს, შორით ვუმზეო სასტიკ ბრძოლის,  
და ვერ არყვევს ჩემი სმენა შორით ნასმენ რევას ციურს,  
სუსტი თვალი ვერა სწვდება ბრძოლის სურათს ტიტანიურს.

უსაზღვროა მიწის მყერდი, უსაზღვროა სიკრცე ცისა,  
შევად გამილილ ღამის კალთებს ოქროს რიღე მოსდევს მწისა...  
ვით ვარსკვლავი მოწყვეტილი დაპქრის სული ზღვიდან ზღვაშილის,  
ყინვის მთიდან ცეცხლის მთამდე, ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდის.

ზან ძველ ქვეყნის ნანგრევებზე გამოიხმობს ძლეულ ღმერთებს,  
ძველ ქრისტიანობის ხმას ახალ ლოცვას შეუერთებს,  
ზარს დაურეკს ჩამქრალ ტაძარს, დროთა ბრუნვით კლდეშენგრეულს,  
და წარსულის მოთქმა-ქვითის ყურს დაუგდებს ნალველრეულს.

ზან ცის თეთრ რგოლს, ცის თეთრ სარტყელს, ვარსკვლავებით  
მოვამეამეს,  
მოსწყვეტს ზეცას და წილებს, დაუმალავს გრძნეულ ღამეს,  
და ზღვის ფსკერზე გაშლის ყვავილს, ვარსკვლავთ მტკერით  
ყლორტმოქარგულს,  
ჩიგ ჩამარხავს საიდუმლოს, ცალ ნაშობს და ზღვაში ჩარგულს...

და რომ ფრენით ფრთებს დაპქანცავს, მყუდრო ბინას ეძებს  
სული კარგი დღის დროს

ვით ხომალდი დელვილ ზღვაზე ქართან ბრძოლით მოქანცული,  
შორით ვუსმენ, როცა მღერის, შორით ვუმზერ როცა ფრინავს  
ჩემთან იგი ფრთებსა პკეცავს, ჩემთან იმას მარლოდ სძინავს.

1912

## ორი ცა

ძილში მყოფმა ზღვა კიხილე მთვარის შუქით ანათროლი  
 და ცის კიდე;

ცისკიდურზე ზღვის ებურა მთვარის მქერდით მონასროლი  
 ვერცხლის რიდე.

ცის ულრუბლი ლაუგარდ გუმბათს ჯადოსნური ზღვის ლიმილი  
 იტაცებდა;

ზღვის სიღრმეში ჩავიხედე: შიგ ცის სივრცე სხივგაშლილი  
 კისკისებდა.

ვარსკვლავთ გუნდი აშეუებდა ზღვის ციც ფსკერზე გამოსახულს  
 მეორე ცას;

შასაც მთვარე აშეუებდა, ვით ღამის უაშ ცწადად ნახულს  
 ხილულ ზეცას.

გამიცვირდა: თუ ცის სივრცე მოსწყდა ზესკნელს, დაჭვესკნელდა,  
 გადმობრუნდა,

რად არ ჩაქრია ვარსკვლავთ გროვა, ან რად მთვარე არ დაბნელდა,  
 იქ რა უნდა?..

სულმა მითხრა: ცა ორია, — ერთზე ცეცხლად ისახება  
 ყოფნის სხივი,

და მეორეს სიკვდილი პფლობს, იქ ჭარსულის იმარხება  
 სახე ცივი.

ზესკნელი შობს სურგილთ ჩანჩქერს, ქროლვის უინი იქ ლეივდება  
 სანეტარო,

და ქვესკნელში საუკუნოდ კვდება... კვდება... და ციცდება  
 ცის სამყარო!..

## ს ი მ ი

როცა ღამის შუალტონება ფრთას შეისხამს აღმაფრენას,  
 ცის ლურჯ გუმბათს დაეფრქვევა აღმასი და იაგუნდი,  
 და მდინარის მთვლემარ მეერდზე წყლის ნიავი შესწყვეტს ფრენას,—  
 შენ გაჩუმდი!

როცა დილის სხივთა ქრომა მფეთქავ მიწას უძღვნის სალამს  
 და ცის თალზე გაიშლება მზის ყვავილთა ოქროს გუნდი,—  
 ცას ესტუმრე გრძნეულ სულით, იყარი ცეცხლის ალამს —  
 და გაჩუმდი!

მაგრამ როცა აღგიკვეთენ აღმაფრენას სანუქვარსა,  
 სულის სწრაფვას შეგიბორეავს ჯალათების ჩენდი, —  
 სიმად იქეც და გაები ეოლოსის სათუთ ქნარსა  
 და ამქუხრდი!..

1910

## მ მ მ მ ა რ ს

ხელთ ავიღე მგოსნის ქნარი, მოჭედილი ზურმუხტ-ლალით,  
 განვიახლე აღმაფრენა, გრძნობის წიაღს დაფარული, —  
 შეუჩის დავხატო შენი სახე გაუქრობელ სხივთა ალით  
 და ჩვებერო შექმნილ სურათს უკადავების ცეცხლის სული.

ბეჭედის კალმად სხივებს ვიხმარ, ფერადებად — ცისარტყელას,  
 სახატ ტილოდ — ცის ლურჯ ნატეხს, ფირუზივით მოქამკამეს,  
 თვალთა შუქად — ცოოშილ ვარსკვლავს, — თეთრფრთხებიან ცის  
 პეპელას, —  
 საწამწამოდ გიშრის ისრებს გამოვტაცებ უკუნ ღმეს.

შენს უცოდველ გრძნობის წალკოტს ავარიდებ უცავილთ ჰქნო-  
 ბას,  
 უკვდავსა ვყოფ ხსოვნას შენსას, მიწიერსა ცამდის აგწევ,  
 შენი სულის ფარულ ლოცვას, სევდით სავსე სათუთ გრძნობას,  
 მარგალიტად წყობილ ლექსის ტკბილ ჩუხჩუხად გადავაქცევ.

დრო გაივლის, აწმუოს რვეულს ქირს გაატანს ბედისწერა, —  
 ვერავინ სძლევს უამთა სრბოლას, — სიკვდილის ცელს ვინ ას-  
 ცდება?.. —  
 მაგრამ როცა ლექსის წაკადს ააჩქეფებს სიმთა უღერა,  
 განახლებულ ხმათა პანგში შენი სულიც გამოკრთება.

თებერვალი, 1913

## მე თვალს გარიდებ,— შენ რად ეძებ ჩემს თანაგრძნობას?

არა მსურს ენახო შენს ტუჩებზე ღიმილის ვარდი! —  
 ვიცი, ვერ დავძლევ ცეცხლად ნაფეთქს საშიშარ გრძნობას,

ვიცი, დავკარგივ სულის ვარსკვლავს — თუ შემიყვარდი!

გრძნობის უფსერული ცეცხლის ზღვაა, ბენელით მოცელი,  
 მის მწველ ტალღებში სძინავს დემონს, — რღვევის ანგელოს,  
 შენ კი ქარიშხლის ფრთებზედა ხარ ჩემთან მოსული, —  
 შენგან აღძრული ცეცხლის ქარი ვინ გაანელოს?!

მე ჩემი სულის ლავვარიდ ცაჲე ენაჲე ვარსკვლავი  
 და მის სხივებში მინდა დავწევა შავ ფიქრთ საფლავი,  
 რომ ფრთაგაშლილმა შევძლო ცისკენ ლალად ნავარდი;  
 შენ კი გსურს სული ამიშფოთო და ღამიჩრდილო!..  
 ამ, მომარიდე შენი სახე, რომ ცა ეიხილო,  
 თორემ დავკარგავ სულის ვარსკვლავს — თუ შემიყვარდი!..

1912

## ს ა რ კ ე

(ძღვნაზ ელ. ხ. ალექსი-მესხეთვალი)

სიხარულის მზიურ სიცილს, მზის სხივებად მიმობნეულს,  
ზღვის სივრცეზე ოქროდ გაშლილს, მთის მწვერვალზე ვერ-  
ცხლად ფრქვაულს,

დაედევნე და აყრიცე, შევყარ სხივთა თაიგული,  
ზედ თეთრ ჩამად დაესხურე მგოსნის გრძნობა, მგოსნის გული.  
თაიგული ცას ეესროლე, ოქროს ძაფით შევინძული,  
ლურჯ ფიცარზე აღიბეჭდა საოცნებო სხივთა წნული.  
ზღვის გულმერდზე მთრთოლავ ტალღამ ცას მოსტაცა ყვა-  
ვილთ კონა, —

მოსწყდა ლავვარტის თაიგული, ბროლის ტალღას ჩაეკონა.

მწუხარების შავ კალთაზე მწარე ცრემლის ვპოვე გუბე,  
ტანჯვის ცეცხლში დაეწვი ცრემლი და შავ ლრუბლად დავაგუბე,  
შიგ ჩავმარხე განწირულის უიმედო ბედისწერა  
და სიკედილით დაჩრდილულის უსიცოცხლო გულის ძეერა.  
გლოვის ქარმა ცის ლავვარტი ბნელი ძაძით გადაპბურა,  
მწუხარების შავი ნისლი ზღვის სივრცეზე გაცურა.  
ზღვის გულმერდზე მთრთოლავ ტალღამ შავი ნისლი დაინახა,  
გული სარკედ გაუშალა, თვის წიაღში ჩაისახა.

მე ეს ტალღა გამჭვირვალე ბროლის სარკედ ამოვჭერი,  
ჩარჩოდ ძოწი მოვიხმარე და ზღვის ქვები მრავალფერი,  
და ჰა, შვებით ანატოკი, შენ მოგიძლვნი ამ სამქაულს,  
ამით მინდა მივეგებო მელპომენის დღესასწაულს.

ამ სარკეში ჩასახულა სიხარულის თაიგული,  
მასშივეა ჩამარხული მწუხარების, სევდის გული, —  
ძლენად მიიღე, ეგ სარკე ხომ ემბლემაა შენი სულის,  
ხან სიამით სხივმოსილის, ხან კი ჭმუნეით ჩაისრულის.

თებერვალი, 1913

## 0 8 0 4 0

(ვახტანგ იაჩელიანის ხსოვნა)

ხშირად ფიქრი, მწარე ფიქრი შშობელ ერის მომავალზე,  
 უნუგეშო ცრემლის მძიებად დამემსხერევა ღია თვალზე,  
 ძილგამტყდარი ვაცქერდები შავიდ გაშლილ ღამის წყვდიალს,  
 და ვერ ვხედავ ცაშე ვარსკვლავთ, ვერც მშის სალამს — ცის  
 განთიალს.

შავი ფიქრი მომწყვეტს აწმყოს, სევდის ნისლად დაგუბებულს,  
 მომაჩიენებს წარსულის ძეგლს, ერის ტაძრად მთად აგებულს, —  
 მაგრამ ღამის შავი კალთა შავად მსახაეს ძეგლს დანგრეულს  
 და შავ დროშად არხევს მთაშე წინაპართა ბედის რვეულს.

გულს ნაღველი ამიტოკებს, ძირს დაუშვებს ფრთხებს იმედი,  
 ვჩივი: „ცალ რისთვის გაეჩნდით, თუ ასეთი გვქონდა ბედი? —  
 გზა, განვლილი სისხლის ნთხევით, უმნიშვნელოდ დაქარგული,  
 წინ — სავალი უფსკრულისკენ, ტანჯვის ჩრდილით დატარული..“

ამ დროს ასწევს ღამის ფარდის ცის ასული მშვენიერი  
 და მომასმენს სამოთხის ხმას: „არ მოკედება შენი ერი!  
 მისი ბედის შუქურგარსკვლავს შავი ღრუბლის ჰფარაეს რიცე,  
 ხელთ აიღე ბრძოლის ჩანგი, ჭმუნვა-ქვითინს განერიდე!

პა, ხომ გესმის? — გუთნის კვნესა შეუერთდა გრდემლის ზან-  
 ზარს! —  
 ეგ ნორჩი ხმა გაიზრდება, საშშობლოს მტრებს დასცემს თავზარს!  
 ჯერ თუ ჩუმად, ვით ჩანჩქერი, ხალხის გულში მოჩუხჩუხებს, —  
 დრო დადგება, ზღვად იქცევა და ზეირთქაფით დაიქუჩებს.



და ზარდამცემ რისხვის გრიგალს, დროთა დენით ცეცხლად

[ნაფეთში, დაიმოული]

საუკუნეთ ტანჯვის ტალღად ერის მკერდით ამონახეთქს,  
ბრძოლის ჰანგი ცად ასტყორცნის, რომ ლრუბელი გააბნიოს,  
და დღეს ბნელში მოელემარ წალკოტს სხივის წვიმა დააფრევიოს!“

1913

## მ ი ს ი მ ი ს ი

შემი ვხედავდი მარმარილოს ციცსა მშეენებას,  
ლეთაების ხელით ფიქალ კლდიდან გამონაკვეთსა,  
და თაყვანს გცემდი ეით ხილულსა ციურ ჩვენებას,  
ლოცვით გიქმევდი გრძნობას, გულით აღმონაკვეთსა.

მაგრამ მოეტყუვდი: მარმარილოს წმინდა სხეული  
სისხლით აჩქროლდა და თვალთაგან გამოქრთა ელვა, —  
ვიხილე უცხო ქანდაკება ჩემ წინ მსხვრეულია...  
გულში დამკვიდრდა ვნების ალის მტანჯველი ღელვა...

ვგრძნობ — ვერ გაპტანტავს სულის წყველიადს ფიქრი მიმქრალი,  
უჩვევ გულისთქმა მომიწამლა გრძნობა ანკარა, —  
მე შენმა სახემ დამიჩრდილა გონების თვალი,  
ფრთა ჯადოსნური ტყვიანილს სულსა გადააფარა;

შეაღამის ეამს ლოცვად მდგარსა შენ მევლინები  
და ჩუშენის შუქი ცოდვის ნისლად გარდამექვევა,  
შავად დამცეკრის ცის წიალი შენაგინები  
და ყურს ჩიმწივის ჩემი ღმერთის სასტიქი წყივა.

დილის რიერაეზე ღამის ტანჯვეით განაწვალები,  
როცა მიეაპყრობ მოლლილ თვალებს შიქრის ციურსა, —  
ნაცვლად ცისკრისა დამცეკრიან შენი თვალები  
და შიშით ვისმენ უცნობ ხარხას დემონიურსა...

მითხარ, ბორკილი რად დაადე უხილავ სულსა?  
ლოცვით ნაკმევე წმინდა გრძნობა რად მაწყევლინე?  
ესდენი ძალა ვინ ჩიგბერა ცოდვის ასულსა?  
მარქეი: ცისიერს მიწიერი რად მომევლინე?..

თბილი, 1913'

## 3 ა 6 ღ 0

მშობელ ერის საკურთხევლის კიდევ ერთი ჩაპტერა სწავი,  
 ჩაპტერა სხივი მაღალ ოწმენის, სიკედილის ფრთით განაცივი...  
 გულს ჩავიყალ მწველი გრძნობა, ერის დრტვინვით განაღვივი,  
 და სამშობლოს სამსხვერპლოზე გადავკიდე ცრუმლის შივი.  
 დღეს ვერ ვიტყვი, რის თქმაცა მსურს, დღეს ვერ გავშლი გუ-  
     ლის დარღა:  
 ვხედავ ორგულო საზარ გროვას, ბრძოლის ველზე — ეკლნარ-ბარდა...  
 ჩემი სიტყვა ტყვეტბნილია, დღეს ვერ შესძლებს ცად წავარდა...  
 ვაგლახ! მტერი ფიქრსაც ჰბორეავს... წავალ, მოვსწივეორ ობოლ  
     გარდა:  
 ღრთ დადგება, ვნახავ ერთ მებრძოლო ტაძარს უშენებდეს,  
 ვნახავ მგოსანს, მაღლით მოსილს, მათ საქებრად ლექსებს შერებდეს  
 და ხსნის ღროშა სხივგაშლილი მათ ციც ძეგლებს შექს  
     აფრევევდეს, —  
 მანამდის კი გმირის საფლავს ჩემი ვარდიც ამშვენებდეს!

მარტი, 1913

## ორი სფერო

ცის ლურჯ მკერდზე დავინახე  
 მზის სხივების თაიგული,  
 ცად აფრენა განვიზრახე,  
 მშემ მოჰსიბლა ჩემი გული.  
 ვთქვი: თუ წვიმა ოქროს მტვერის  
 და ციმტიმის სხივთ ჩანჩქერის  
 ცამ მე მიძღვნა მოსალხენად,  
 მეც შეურს ცისკენ ასაფრენად  
 ტრთა გავშალო,  
 რომ ცის ვარდზე ცეცხლის ნამით  
 გადაებანო შხამი სულსა,  
 ზედ დავაკვდე შვების წამით  
 ყვავილს ცაშედ ამოსულსა  
 და გულიდან სეედის ჩრდილი,  
 ჯოჯოხეთის სახედ შლილი,  
 ამოგშალო!

ცის მკერდიდან დავინახე  
 შავ უფსკრულის შავი ვარდი,  
 შიგ ვიხილე ჩემი სახე, —  
 ვთქვი: ჯოჯოხეთს შევუყვარდი,  
 და თუ ღამე გამლის კალთას  
 და ქვესკნელის მიუვალ მთას  
 ღამინახებს უფსკრულიდან,  
 მეც მოვსწყდები მაღლა ციდან,  
 შთავალ წყვდიადს,  
 რომ იქ ეპოვო ჩამქრალ მშეთა,  
 უსინათლო თაიგული,

మధ్యార్థ గ్రహించి శాఖస్వరూప అల్పతా,  
శామతా శరీరమణిత లాభించులుంటా,  
దా గ్రహించుకున్న లాభిత ర్ఘృత్యజ్ఞమనిలు,  
శాయ దుర్గుసిత సాంగ్రహించుకున్నిలు.  
ప్రాం గానంతంాడు.

1913

## ჩიხს მუზას

დროს გარე მყოფი, ჯერ არმობილი,  
მე შენის ტრუობით ვიმსჭვალებოდი,  
თვით მოუვლენი, ჯერ არყოფილი,  
შენს მოელინებას კელოდებოდი.  
და აწ ცხადყოფილს ციურ სიზმარსა  
ღვთიურ სიმღერად ვასმენ სოფელსა,  
შეილი მიწისა ვრუკავ ცის ზარსა,  
იმედს კულვივებ ჭირში მყოფელსა.

ცხოვრების წილკოტს საკედილის ქარმა  
ბევრი ფოთოლი დააყრევინა,  
შეუბრალებელ დროთა ისარმა  
მეც მწარე ცრემლი დამატრევევინა,  
მაგრამ მე შენი უჩინარ სულის  
გავიზიარე სიბრძნე და ენა  
და შევისწავლე ჩემის წარსულის  
ლექსთა ტებილ ხმაში მკედრეთით ალდგენა.

მიწის სიბრძემ მე, ცით მოსულსა,  
ვარსკელავთ სავანე დამაწყევლინა,  
მაგრამ წყვდიადით გარემოცულსა  
მე შენი სახე მზედ მომევლინა.  
და ცეცხლს ღვთაებრიეს ეეცი თაყვანი,  
დავგმე სხვა ღმერთთა ძეელი ხატება,  
იმ ცეცხლში ვპოვე ჩემი იყვანი  
და ჩემი კუბოც იგი განდება.

მთის ბილის აყყივ, მინდა აეანთო  
მთაზე ჟინელილი მზის სხივებისა,

რომ წინ სავალი გზა გაევანათო,  
 გამოვიჩინო არე შეებისა.  
 ვით კოშკ-ტაძარი, რაც მთად ააგეს  
 ჩემთა წინაპართ მომავლისთვისა,  
 დე, სსის ემბლემად ეჩს ზედ დაადგეს  
 ცეცხლის კოცონი სამშობლოს მთისა!..

1913

## ლურჯი ვარსკვლავი

მთის მწევრების ლოცვად მდგარმა ყური მოვკირ ზღაპარს ცისას:

მთვარე კდემით უამბობდა თეთრად გაშლილს ყვავილს მთისას.  
სივრცე გამჭრა... ცის წიაღით ძირს დატვა ვარსკვლავთ გუნდი,  
ცით მოსული ტყე მიწისა სულით ზეცას დავუბრუნდი.

წა მომესმა ვარსკვლავთ შორის ცის მნათობთა ქნარის ელერა,  
ზეამფრენი სიმფონიის მომხიბლველი ჰანგთა ბგერა,  
უჩვეუ თრიობად განვიცადე ჯადოსნური სულის ტკბობა  
და მსოფლიოს სიმთა წკრიალს შევუერთე ჩემი გრძნობა.

ციდან მიწას გადმოვხედე, მსურდა შორით დამენახა,  
კლავ ტრიალით გზის იყელევდა თუ უფსურულში დაიძარხა —  
და რა ენახე! — მზის სხივთ გვირგვინს მნათობთ გროვა იტაცებდა,  
და მათ შორის დედამიწა ლურჯ ვარსკვლავად კაშკაშებდა!

და ლალადვეუავ: მიწის შეილნო! ყური უგდეთ ციურ ზღაპარს,  
როცა მთვარე მზის მწევრ ამბორს ვერცხლის შუქად მოპტენს  
მთა-ბარს,

ეინც აპყვება მთვარის ძანილს და სულს მასევ მიაბარებს —  
მისოვის მიწა ცის ეთერში ლურჯ ვარსკვლავად იყლვარებს.

აპრილი, 1913

## ტბაზე

თვალდაჩრდილულ მძინარ ღამეს მთვარე უხსნის ვერცხლის  
 ღილებს,

ცის გუმბათი მოუქარგავს ვარსკელავების თეთრ ყვავილებს.

ჰერს სძინავს. უძრავ ფოთლებს სიო კოცნით დაკვდომია,

შთა ყურს უგდებს ვარსკელავთ ჩურჩულს: მდემარ ფიქრით ცას  
 სწრუდომია...

მიწა სიზმარს მოუხიბლავს, ცაშ არ იცის რა დრო არის,—

უამის ისარს პფარავს ცაზე ვერცხლის რიცე სავსე მთვარის.

ტბა მთვლემარი სარეის მკერდზე აკამდამებს ღმის სამოსს,

წყლით ანასხლებ შუქის მარმაშს მოქრძალებით ჰუცენს მიღამოს.

ნავი დალგა და ნიჩაბი ატივტივდა მძინარ ტბაზე,

დამფრთხალ ტალებს გაეღვიძათ მცურავ ნიჩნის რხევის ხმაზე.

მეგობარო! ნავი დალგა, მე ნიჩაბი ტალებს მივე,

ეც შეგაერთობს ცელქი ზეირთი, მთვარის შუქზე მოლივლივე!..

შენი სახე სხივგაშლილი ცის ჩეენებას ედარება,

სულს მოესხა შეების ფრთხები, გულმა იგრძნო ნეტარება!

საუკუნო ეამთა სრბოლას მოსწყდა წამის ნაკადული,

ამ წამშია სიყვარულის საიდუმლო დაფარული!

ური უგდე ტბის საჩერეზე მთვარის სხივთა უცხო ელერას,

უური უგდე შენს ნორჩ მქერდქეეშ გაჩქარებულ გულის ძგერას  
 და მიენდე ტრფობის სურვილს — ცეცხლად გიქცევს გულის

ტკივილს,

უტყვი ღამე შეინახავს გრძნობანაფეთქ სულის კივილს!..

... გრძნებით საუსე ღამის სახე შენს თვალებში ჩამარხულა:  
 ჲა, ცის კიცე და ტყის პირი, ჲა, მთის თხემზე ღრუბლის ქულა,

თეალდაბირდილულ ღამის ასულს, ვხედავ, მთვარე უხსნის ღილებს,  
ცის გუმბათი მოუქარგავს ვარსკვლავების თეთრ ყვავილუბს. შენს თვალებში ვსჭრეტ ვნების ვარდს, შეების ცრემლით დანათრ-

თვილსა,

ელვად ესახავ შიგ გამომყრთალ წამწამებით ნაფრქვევ ჩრდილსა,  
ვხედავ, ნაპირს ქოლგად პხერავს ფართატ ნისლის თეთრი ტილო,  
და მთვარის შუქს ათამაშებს ტბის მორთოლავი მარმარილო.

1913

## ტ ჟ ე შ ი

ტყეში ვიყავი. ტყეს ეძინა, შავად დაბერულს.

ფოთოლს წიავი ეერ აჩევდა უძლურ სისინით.

შე ჩემს გაებას, სინანულის ურემლად დაწურულს,

ტკის შავ წყვდიალში ვაწევეთებდი უხმო ქვითინით.

შე ვიტანჯოდი. ტყეს ეძინა, უხმოდ გარინდულს.

ფოთოლს მძინარეს არ ესმოდა სენთქვა ღამისა.

ფიტეს შევსცეროდი, თავჩალუნულს, ტოტებჩაქინდრულს,

მსურდა ნუგეში განშეცადა ლოცვის ეამისა.

ღამის სიჩუმეშ ტყის სიზმარი გამიზიარა:

ენახე ლაუვარდი ცის კამარა, ცეცხლდაფრქვეული.

უჩვევ სიამედ შემეცვალა გულის იარა,

სული აღმენთო ნეტარებით, სევდას ჩვეული.

მხემ სხივთ გვირგვინი თავს დამალგა, წითლად მფეთქავი,

ცეცხლის პორფირი წამომასხა დაგვირგვინებულს,

მითხრა: „მეუე ხარ, ცის ტაძარში ზარის მრეკავი.

რეკე! ზარის ხმა გააღვიძებს სულს მიძინებულს.

ტკბილ სიზმარშია მიწის სული, წამით მძინარი...

რეკე! აღსდგება მიწის სიერცე, ცა შეირყევა,

და ცის ლაუვარდშე დანაქარგი ოქროს სიზმარი

ციურ რეკეაში დღის სიცხადედ გადაიქცევა!..“

ტყეში ვიყავი. ტყეს ეძინა, ფოთოლდანამულს.

ხეთა ჩუმ გროვას ეხვეოდა ჩრდილი ღამისა.

ცა მიცინოდა, ფიტეს ტოტს ქვეშ უხმოდ განაბერს,

და გულს მიტებობდა მყუდროება ლოცვის ეამისა...

## სულის სამეფო


მე მწუხარის ჩრდილი შემაყვაჩა ლოცვის წყურეილმა,  
 შექი ღამისა — მთვარის სხივთა იღუმალობამ;  
 განთიადის ცეცხლს შემაქსოვა ფრენის სურვილმა,  
 ვარსკელავთა გუნდსა შემათევისა ციურ ვალობამ.

გუშინ აღვაგვ მთის მწვერვალზე საკურთხეველი,  
 დღეს ზღვის ფსკერიდან ამოეზიდე ძეირფასი ქვები,  
 ხვალ ცად მექნება დროებითი სასუფეველი,  
 ხან ცეცხლის ხმა ვარ, ხან — წყვდიალის, მუდამ ვიცელები.

დღეს თუ მზის ვარდის ფოთოლი ვარ, ცაზე გაშლილი,  
 ხვალ ის ტუჩზე მთვლემარ ცვარად გარდავიქმნები.  
 მე აქ ელვა ვარ, იქ კი — ქარის გამოძახილი,  
 დავიმორჩილე დრო და სივრცე... ვიყავ... ვიქნები..

1913.

# ათენის ხეილი



წ ა გ ნ ა  
II

1913 — 1920

# შარევანდები

## დილის ლოცვა

დილით აღრე ჩემ სარემელთან აგუგუნდა სხივთა ზარი.  
 მე ვიტიქერე: მზის ლოგინთან ლოცვად დგება ცის ტაძარი.  
 მაგრამ როცა ცეცხლის ტალღა ჩინჩქერივით აწყარუნდა,  
 ვთქვი: ამდგარა ცის სული და თვალს ძილი აშ არ უნდა.

და წამოვდეგ თვალთა ფშენეტით, და დაეტოვე სარეცელო.  
 ეთქვი: აქ ბნელა და გარეთ კი სხივფერადობს არე ერცელი, —  
 და მოვკიდე ზონარს ხელი, და ივწიე სარემლის ფარდა, —  
 აჩანჩქერდა სხივთა ლვარი და ოთახი აელვარდა.

ჩემ თვალთაგან ცის სიშორებ სხივთა წყარო ვერ დაფარა.  
 მზეს თვალები გაეუსწორე, მზემ ვარდები მომაყარა.  
 და განათდა ჩემი გული, და გაბრწყინდა ჩემი სახე,  
 თითქოს ლმერთმა დამინახა, თითქოს ლმერთი დავინახე.

ოქტომბერი, 1916

## ცისა რტმელა

მზემ პირბადე გადაიძრო, გაუცინა ღრუბელს მტრირალს, —  
 პგავდა ქალწულს ოქროსთმიანს, ლურჯ სარქმლიდან გამომზირალს.

ღრუბელს ცეცხლი წაუკიდა, ფრთა შეასხა ალისფერი,  
 თმაჟუეუნა თეთრ წეიშაში ამოავლო სხივის წვერი  
 და აკინძა ცეცხლის ძალით ლექსი ცაზე დასაწერი.

ღრუბელს მკერდზე დაეკიდა შვიდფერ მელნით აღბეჭდილი  
 მზის სონეტი შუქმრავალი, შეიდ სტრიქონად დაწერილი.

ნოემბერი, 1915

## ჩიმ „მასწავლებლებს“

უსინათლო ლამპარნო, მხოლოდ ჩრდილთა მფინარნო,  
 მარად უცოდინარნო და მუდამ ქმაყოფილნო!

თქვენ მოგმართავთ ამ ლექსით, ვიწროდ შემოღობილნო,  
 თქვენ, უფრთხოდ შობილნო და უსინმროდ მძინარნო!

თქვენს ოცნებას უმზეოს, — უჯეჯილო ყანასა,  
 ცივი მტკვერით შემოსილს უყვავილო წალკოტსა,  
 მე რა ვწნა, რომ სიმღერამ ჰანგით ველარ აყოცა!  
 მე რა ვწნა, რომ ჟანგი სქამს ყველას თქვენისთანასა!

რომ მიწუნებთ გალობას, რატომ აհ მეეითხებით,  
 თუ კუიქრობდი მე თქვენზე ჩემ ლექსების წერის დროს?  
 ჯობს, თვალებით სნეული მზის სინათლეს ერიდოს!  
 უქმად მოღალადენი თვითუე გაიკიცხებით.

განა ისე დაცსუსტდი, თქვენი ასაყიდი ვარ?  
 ან საშეელად როდისმე ხელი წაგიპოტინეთ?  
 მე თქვენ არ დაგიცადეთ, მე თქვენ არ გალოდინეთ,  
 მე ჩემი მაქვს მიზანი და ჩემს გზაზე მიეღივარ.

და თქვენ გული რად მოგდით? რა გაწყინეთ ნეტავი?  
 თქვენს გარეშე ვცხოვრობდი, თქვენთან საქმე აհ მქონდა:  
 დღით მე ამ ქვეყანაზე მზის ყვავილი დამქონდა,  
 და ღამით კი — ღრუბელი, თეთრად დასაპენტავი.

მე თუ ცა მასწავლიდა, მიწასაც ვუკეროდი,  
 ჩემთვის ზეცა და მიწა განუყრელნი არიან.  
 თქვენ სიმღერას მიწუნებთ! — თქვენი რა მაბარია?  
 თქვენ მოსაწონ ჰანგებსა ნეტავ როდის ემღეროდი?

სარკე მზისა ჩოტულია, ისე ღრმა და უძირო  
 რომ შიგ ერთნაირად ჩანს ცოცხალიც და მკვდარიცა;  
 ერთნაირად ციმციმებს ცრემლიც და ნექტარიცა, —  
 და რად გიყვირთ, რომ მუდამ მე იმ სარკეს ვუცემორო!

მე არ მინდა ვისიმე გახარება ან წყენა, —  
 ჩემ სიმღერის შედეგებს მე როდი ვანგარიშობ!  
 მზით შემოსილ სივრცეში მე ფრენით დავთარეშობ,  
 და ვიცი, რომ არ არის მარჯვენა და მარცხენა.

არის მხოლოდ სიმღერა სევდაამოწურული  
 და არწივის ფრთათა ქვეშ მოშრიალე პაერი;  
 მზის ამოსვლა და ჩისვლა, ფერი ათასნაირი  
 და ეგ ჩვენი ქვეყანა, ზეცით გაღახურული.

ზედავთ, წითელ ღრუბელზე სქევივა იაგუნდები:  
 მზე ანთებულ აუზში ბანაობას აპირებს.  
 თქვენც წამოდით, თუ გნებავთ, ნახავთ ზღაპრულ ნაპირებს.  
 არა გნებავთ? — მშეიდობით! თქვენთვის არ დაებრუნდები!

თებერვალი, 1916

## არზივის ფრთხი

1

ეერცხლის ღრუბელი ოდნავ, ოდნავ ოქრონარევი,  
 ხან ბავშვის ღიმილს და ხან ზამბაბს ემსგავსებოდა,  
 ნისლმოხევეულ მთას მწვანე მკერდი რძით გაესებოდა  
 და სიზმრით მოსილ თვალს იფშვნეტდა ნაშძინარევი.  
 და თეთრი ნისლი, ზღვის ქაფივით ძირს დაფრქვეული,  
 კლდეში ამოჭრილ ვიწრო ხევში ცერ თავსდებოდა,  
 და დილის ნიავს მოელოდა ფრთაშერხეული.

2

ჯერ მთა საბანში ნებიერობდა და ძირს ბნელოდა,  
 როცა მას ზეცაშ ღრუბლის ჭრაქით დილა ახარა.  
 ნისლმა აკრიფა ოქროს შექი და იქ დაყარა,  
 სადაც არწივი მზის ამოსვლის ნიშანს ელოდა.  
 აქა, აფრინდა, მზეს უყივლა, მიწას დასძახა,  
 ანთებელ ღრუბელს მუქი ჩრდილი გადააფარა,  
 და ცის ლაუვარდზე ფრთხი წითელ დროშად აპსახა.

3

შენი სულიც ხომ არწივია, კლდეზე მჯდომარი,  
 ღამის ბურუსით შემოსილი, შავფრთებიანი,  
 და შენს თვალებსაც ხომ სწყურია დილა მზიანი?  
 და შენს გრძნობაშიც განთიადზე ფიქრი ხომ არი?  
 თუ შენი გული მწეველ სიყვარულს მიეგებება,  
 და მაღალ გრძნობით განათდება ფიქრი გვიანი, —  
 შენი სულის ფრთაც წითელ შეიღებება.

ოქტომბერი, 1916

## პირველი სეიზო

მთა დილის შექმა გარდისფერი ფიფქით მოპტინა.  
 ჩეენ მთის მწვერვალზე მზის ამოსელას ეეგებებოდით,  
 და წითლად ნაფერ ცის გალავანს ვაკეირდებოდით,  
 უცებ გულისთქმამ თვალი შენსკენ ამაპურობინა.

და დაეინახე შენს სახეზე სხივი პირველი.  
 შენი თვალიდან ამოფრინდა ლურჯი ფრინველი  
 და სიყვარულის დაბადება შემატყობინა.

თელავი, 1916

## ჩემი გზა

1

ჩემი გზა იყო უფსერულიდან ამოწეული,  
კლდეზე ნაჩეხი და ღამის ქვეშ ოდნავ მჩინარი.  
მე არ ვიცოდი ძირს ვინ იყო, ან წინ ვინ არი,  
და მივდიოდი მთის ძაბილით აღმა წვეული.

ჩემი ოცნება ბორბიკობდა გზაანარევი,  
ეით ღამის ფიქრი თვალდაბშული, ნამძინარევი,  
ჩრდილდაფრქვეული, ბრმად მავალი, შავად მდინარი.

2

ჩრდილდაფრქვეული, ბრმად მავალი, შავად მდინარი  
გზა შავ გველივით ბნელ სოროდან ამოღიოდა.  
ჩრდილთა სამეფოს განთიადი თავს დაქვიოდა,  
მაგრამ დილის ჭრაქს არ ანთებდა ღამე მძინარი.

შორს ცისკიდეზე შტო მზიური, ჩრდილში მცინარი,  
ღამის სახეზე ვით ჭრილობა წითლად ღვიოდა.  
და ჭრილობიდან შეუმნეველად დაბლა სცვიოდა  
სისხლის წვეთები სხივანქარა და შუქმფინარი.

გზას ვერ სწვდებოდა შექის წვეთი, შორით ხილული,  
და მე ეტიროდი ცივ ბურუსით თვალდაჩრდილული.  
წყედიადით მოცულს ან რა მქონდა მოსალხინარი?

ღამეს ეძინა. ცისკიდეზე სხივი ქრთებოდა,  
და ჩემი ფიქრიც ხან ელავდა, ხან ჩაქრებოდა.  
მე მივდიოდი უსინათლო და უჩინარი.

მე მივდიოდი უსინათლო და უჩინარი.  
ნემ წინ გზის ხაზი უცნაურიად იყრინებოდა.  
და ჩემი ფიქრი ჩემს ოცნებას ეკითხებოდა:  
სხივი სად არის? იქნებ ივი აღარც წინ არი!

ცრემლი, ღაწვებზე ფიქრთ საოხად დასაღინარი,  
ცეცხლის წვეთებად წამწამებს ქვეშ ირიყებოდა.  
და მოქანცული, დაბინდული, ჩრდილს მიძყვებოდა  
თვალი, მზის სხივთა უნაყოფოდ ნალოდინარი.

უცებ აყვაედა ცისკიდეზე ღამის ჭრილობა,  
სხივმა შეეონა დასაწვევეად ჩრდილთა ყრილობა  
და ათამაშდა მზის მახვილი სხივდაბეჭული.

ხევში წვებოდა მომაკედავი ღამის აჩრდილი  
და მე მიერბოდი სინათლისკენ ხელებგაწვდილი,  
ვით პატიმარი, საკანიდან გამოქცეული.

#### 4

ვით პატიმარი, საკანიდან გამოქცეული,  
მე არემარეს ვიპარიადი მშიერ თვალებით.  
გზას მივიყელევდი ჩრდილთა შორის ტანჯვა-წვალებით..  
სული მიპქროდა უფრო ჩქარა, ვინემ სხეული.

და ჩემი ფიქრის ბნელი კალთა ნალველნთხეული,  
ვით მზის პორტირი ენთებოდა ზურმუხტ-ლალებით.  
და ოქროს ჯავერი, აყინჭული ცეცხლის ჩკალებით,  
ძირს ეშვებოდა ლრუბლებიდან სხივკურთხეული.

და შემეცვალა მე გულისთქმა პატიმარისა,  
ვპოვე ბილიკი, მოციქული სულ სხვა კარისა,  
და ხმა ჩიგაქრე საწუთროზე ავად მზრახველი.

ცეცხლის მუსიკამ აყვავა სხივთა ნარგისი.  
და როს დაეცა ღამის სული ფრთაუვარგისი,  
უცებ ავანთჲ მე სიმღერით ჩემი ნალველი.

უცებ ავანთე მე სიმღერით ჩემი ნაღველი,  
 და ახალ ქვეყნის სამღოცველოს კარი გაიღო.  
 ვიგრძენ, რომ ცრემლში დამალული სიმღერა იყო,  
 ჩემი ოცნების თეთრ ყვავილის გამომსახველი.

თუ ბნელში მყოფსა მე არავინ არ მომცა ხელი,  
 და არ ვიცოდი ჩემი ყოფნა ქვეყნად რა იყო,—  
 ახლა მოფრინდა ფრთა მზიური და თან წაიღო  
 მზით შემოსილი მოელვარე ჩემი სახელი.

და ჩემს გრძნობაში სევდის ალი რომ კელავ არ იშევას,  
 მე გზა მივეცი დაგუბებულს სულის ქარიშხალს  
 და ხელთ იეილე საბრძოლველად ცეცხლის მახვილი.

შუქი დავლოცე, ცასკიდდეზე აყვავებული,  
 ჩრდილი დავტოვე, სამუდამოდ დამარცხებული,  
 ცეცხლით შევმოსე თვალი, ესდენ ჭირთა მნახველი.

ცეცხლით შევმოსე თვალი, ესდენ ჭირთა მნახველი,  
 გავიზიარე აყვავებულ ცის სისარული  
 და მოვიშორე შეუმნინევლად შემოპარული  
 შიში მაცდური, საოცნებო ფიქრით შემლახველი.

ზეცაშ ღრუბელი ააფეთქა სხივთშემნახველი,—  
 ცეცხლის გველივით დაიკლავნა ცა გაბზარული,  
 და ღამის აჩრდილს ზედ დაუცა ცეცხლი ფარული,  
 წითელ ღრუბლებში ქუხოლის ეამს ამონახველი.

ცის გალავანზე მზის შიერიე იბაღებოდა.  
 ღმე ხედავდა ცეცხლის ხაზებს და ფითრდებოდა  
 და ჩრდილთა გროვა შორს გარბოდა უკუქეცელი.

აღმოსავლეთმა შეიღება წითლად ლოყები,  
 ცაშ ლურჯ სარქმლიდან გადმოყიდა ჭრელი ნოხები,  
 და ჩემ წინ ღროშად აღიმართა მზის ძოწეული.

და ჩემ წინ დროშად აღიმართა მზის ძოწეული, —  
 ათას ფერებით მოღალადე ცეცხლის მარაო.

და მე კლოცულობ: „სხივდაშრეტილ დღეთა მპარავო!  
 შენ დამხსენ წყვდიაღს და ამინთე სული სნეული.

მე შენთან მოველ, რომ ვიზილო ცა გარდევეული,  
 ვაჩსკვლავთა ბალის ფირუზისფერ თოველით მფარავო!  
 მე შემს შეუქში ვარ გაზევეული, ცეცხლის კარავო,  
 და შენ გიძახის ჩემი სული ფრთაშერხეული”.

და ჩემს გალობას ისე სცეივა ლოცვის სიტყვები,  
 ვით ყვავილებში გადაყრილი ძვირფასი ქვები, —  
 სული ფერადობს ვით ჩანჩქერი სხივდაფრქვეული.

როგორც სიზმარი, მაგონდება ეამი განვლილი,  
 და ცას შევსძახი, ნათელ მზისკენ ხელებგაწედილი:  
 ჩემი გზა იყო უფსკრულიდან ამოწეული!

ჩემი გზა იყო უფსკრულიდან ამოწეული,  
 ჩრდილდაფრქვეული, ბრმად მავალი, შავად მდინარი,  
 მე მივდიოდი უსინათლო და უჩინარი  
 ვით პატიმარი, საკანიდან გამოქცეული.

უცებ ვეანთე მე სიმღერით ჩემი ნაღეელი,  
 ცეცხლით შევმოსე თვალი, ესდენ ჭირთა მნახველი, —  
 და ჩემ წინ დროშად აღიმართა მზის ძოწეული...

თბილი 1917

## მზე ამოღის

სოომ სარკმელს შეცსისინა: მზე ამოღის.  
 გააცინა ფანჯრის მინა: მზე ამოღის!  
 შემომძახა: ცისკიდეზე ქორწილია,  
 და შენ რალამ დაგაძინა: მზე ამოღის!  
 მიწამ თმები გაიშალა ზერმეტისა,  
 ცამ ღრუბლები ააფრინა: მზე ამოღის!  
 ცის ასული ისე მოჩანს ცეცხლის ნავში,  
 ვით ქალწული პაწაწინა: მზე ამოღის!  
 დღე ებრძოდა ლამის თავადს და ქალწული,  
 მან საცოლედ დაიჩინა: მზე ამოღის!  
 დღე ჯვარს იწერს ცის ასულზე დილით ადრე,  
 ლაქვარიდს ოქრო დაეფინა: მზე ამოღის!  
 ამა, საქმრო მოახლოედა ღრუბლის ჯარით  
 და მონახა ქალის ბინა: მზე ამოღის!  
 ცეცხლის ტუჩით პეტრის ვაჟკაცს პატარძალი,  
 კოცამ ცეცხლი გააჩინა: მზე ამოღის!

თელისი, 1916

## ს ა ღ ა მ თ

ზეციდან მომექსმა ძახილი.  
 ავმართე წამწამი თვალისა:  
 სისხლიან ღრუბელზე დახრილი  
 ვიხილე ხატება ქალისა.

შშენოდა იისფრად ალდალვრილს  
 გვირგვინი შორეულ მნათობთა.  
 ღრუბლებში მზის კუბოს, ბალდახინს  
 ლაუვარდი ფირუზებს ათოვდა.

და სანამ ცა კუბოს ჰეფარჩიავდა,  
 ქალწულმა შავები ჩაიცვა.  
 ჰერში ვარდები გაშავდა,  
 და ყველა ქინქლილი დაიწვა.

1916

## ჭლვის პირად

არ დამიჯერე, თორემ ხომ გიოზარ, მე არა მსურდა  
 შენთან ზღვის პირად მზის დაწოლის ეამს გასეირნება,  
 არ დამიჯერე, და შენი ნება, ამა ასრულდა!  
 ახლა ნუ ნანობ: შენმა სურვილმა ასე ინება.

იქაც მღეროდა შენს ლურჯ თვალებში ზღვა დარხეული  
 და შენს მკრთალ სახეს ელვა ვარდისა იქაც არ აყლდა,  
 შაგრამ ფრთებსა შლის აქ შენს სახეზე ეიღაც გრძნეული  
 და შენს თვალებში ეიღაც უცნობი ალაპარაკდა.

ხედავ ზღვის ტალღა ჩოგორი ქანაობს ცეცხლის რკალებში!  
 ცეცხლით ჩასწერე თვალში ეგ წამი მოსაგონარი...  
 შეე ჩამივალი ტალღებს აძინებს შენს ლურჯ თვალებში  
 და წამწამებში ფარდას დაეძებს ოქროს ზონარი.

ოქტომბერი, 1916

## მზის ამოსოლა

დილით ცამ დამიძახა. მეც არ დავიგვიანე  
 და ცისფერი ოცნება ასაფრენად აეუშვი.  
 ცას შევხედე მფრინავმა: ფირუზისფერ აუზში  
 ბანაობდა ლივლივით ქალი ოქროსთმიანი.

ბანაობდა სხივებში და გარშემო ჰყვაოდა  
 მარმარილოს არშია, ღრუბლით შემოფარგლული.  
 ვარდიც იყო, ყაყაჩოც, ფერი სხეადასხეობდა,  
 ჰერცი წალკოტს ღრუბელი, ცეცხლით ამოქარგული.

და შიკეირდა: ეგ ბალჩა მარმარილოს ფიცარზე  
 ცის ღედოვალს მიწიდან ნეტავ ვინ აუზიდა?  
 ბანაობდა ქალწული და ცისფერ აუზიდან  
 ალისფერი შეფეხი იღვრებოდა მიწაზე.

და ეხედავდი: იმ ნაჯაღს, ციდან რომ იღვრებოდა,  
 მიწა ეგებებოდა ზეიმით და შექებით.  
 ფირუზისფერ აუზში ქალი სხივით თვრებოდა,  
 ძირს მთა იღებებოდა ქარვისფერი შეფეხით.

სხივთ გვირგვინი ქშენოდა ყვავილჩაცმულ დილასა  
 და პაერში ისმოდა უცნაური ლალადი.  
 ფერადობდა ღრუბელი, ცეცხლის ძაფით ნახატი,  
 და ტყის მწვანე საბანზე ჰყრიდა ოქროს სილასა.

ზობი, 1917

## მზე ჩადიოდა

მზე ჩადიოდა თმაგაშლილი და სხივმფინარი,  
 ლრუბლის ქარავანს ლალ-ზურმუხტის მტვერი სცვიოდა.  
 მთა დაგრეხილი, უკავშნო და უწყინარი,  
 თითქოს შორეულ ბურუსიდან ამოდიოდა.

ლრუბლის თეთრ სვეტებს ეყრდნობოდა სხივნართი ოდა,  
 და შიგ ელავდა სახე უცხო და უჩინარი,  
 და იმ კოშკიდან ცეცხლის კიბე ჩამოდიოდა.  
 მზე ჩადიოდა თმაგაშლილი და სხივმფინარი.

მთა კითხულობდა: იმ ოდაში ნეტა ვინ არი?  
 მაგრამ პასუხი აჩსაიდან არ მოდიოდა.  
 ვერცხლის ვარდებში დასცურავდა ცა პირმცინარი,  
 ლრუბლის ქარავანს ლალ-ზურმუხტის მტვერი სცვიოდა.

და მექარავნე მთიდან მთაშე გადადიოდა,  
 ეთ ცეცხლის ზოლი, ციდან ოქროდ ჩამომდინარი,  
 მაგრამ ითმენდა ცეცხლის შოლტებს და არ ჩიოდა  
 მთა დაგრეხილი, უკავშნო და უწყინარი.

ოქროს სიზმრებში ისვენებდა მიწა მძინარი,  
 ცა ფერს ჰყარგავდა და ვარსკევლავებს თითქოს სციოდათ,  
 და ჩასული მზის კიდობანი, წითლად მჩინარი,  
 თითქოს შორეულ ბურუსიდან ამოდიოდა.

ოქტომბერი, 1916

## მ უ შ ე ბ ს

ჩემი ქნარის ხმა ვარსკელავს ანთებს თქვენს სიმღერაში,  
 მე თქვენს გზაზე ვარ და მიყყენებით ჩენ ერთ მდინარეს.  
 მეც თქვენთან ერთად ვაღვიძებდი ქუხილს მძინარეს,  
 და მეც თქვენსავით ცრემლი ვპოვე ბედისწერაში.

სხვამ ვინ ჩაყარა ცეცხლის ჰანგი ჩამჭრალ კერაში?  
 მზით ვინ შემოსა თქვენი დროშა ჩემს უწინარეს?  
 ვხედავ, მტრის გროვა შედრეა, მაგრამ კიდევ წინ არის,  
 და შურისგების სამოსელით მოვრთე მე ჩაში.

ვამი გაიცლის, გზა უვალი ვაითქმება,  
 გაუჭირდება დალლილ ლრებელს მზის დაბნელება.  
 მუდამ უკუღია ეგ სოფელი ვერ იტრიალებს.

და როცა ზეცა განთიადით შეიღებება  
 და თქვენი რაზმი მზის ამოსელას მიეგებება,  
 თქვენს სიმღერაში ჩემი ქნარიც დაიწყრიალებს.

1915

## ନିର୍ମାଣ ପଦାଳ

(ଅ. ଶ୍ରେଷ୍ଠଙ୍କାଳ ଶ୍ରେଷ୍ଠଙ୍କାଳ)

ର୍ଯ୍ୟା ବୀମିଲ ପୁଣ୍ୟାଲ୍ ମେଳିଲାନ, — ଉପରୁକ୍ତି ଗଲିଲେ କୋଣି  
 ତାତକେବି ଶଲାକା ପରିପୂର୍ଣ୍ଣିବା, ପିଲ କୃତିଲିଲିଲ ଶେଷାଦାରୀ;  
 ର୍ଯ୍ୟା ବୀମିଲ ଦା ଏହି ପିଲ, ଶାରୀ ବାଜ ର୍ଯ୍ୟାକ ଦା ଶାଜ ଏହା  
 କିନ ଅବସରେଖାବ ମତେଲେ କ୍ଷେତ୍ରକାନ୍ଦି କିନ ମନମ୍ଭବାରୀ?  
 ଅଧିକାମିତିକିଲ ପୁଣ୍ୟାଲ୍ କୃତିକେ ମର୍ମବରୀଲ ନିରଦିଲି ଫଳିତିଲା,  
 କିନ୍ତୁ କିମ୍ବାଲା ଦା କିନ୍ତୁ କିମ୍ବାକେବା ମନିତିକ ଫଳିତିଲା ପାଞ୍ଚପାଲିବ...  
 ଲାରୁପଦେଶ ପରିବା ବାଲାକ୍ଷେତ୍ରକିଲ ବିନ୍ଦୁରପିତ ଲାନତକମ୍ଭାଲ ମନାନୀବି  
 ପିଲିଲି  
 ଦା ପୁରୀର ଶୁଭରେଖା ପାରିନିରଦିଲି ର୍ଯ୍ୟାକ-ଶୁଭରୁଣ ଅଭ୍ୟେଷନିରାଳି...  
 ଏହି ରା ଏହା? — ପିଲକୁଲାପରିଶ୍ରେଷ୍ଠ କିଲାପ କାନ୍ଦିଲି ଆପିତିପିଲିମ୍ବାବ  
 ଦା ଦାନିରଦିଲାପ ମନିତିକ ପରିବାଲୀକ ମନାନିରାଜୀବ ନାଜିଲା ନାମିବି,  
 ତାତକେବି ପ୍ରେପିଲିଲ ଶାଲରୁକ୍ତାନି ଲାଲ ଲାକ୍ଷିତିକେବା ପାର୍କିରାବେଲି,  
 ଏହାମ କିମ୍ବାଲାଦିନାକ ଶ୍ରେଷ୍ଠ ଦାବାଦିଗୁପ୍ତ କ୍ଷେତ୍ରକମ୍ଭାଲ କିମ୍ବାଲି...

ବିନ ଶଲାକା ବିନ୍ଦୁରପିତ ଏକାନିରାଜୀବ, ପାତାକାରୀପରିତ ଶ୍ଵେତିକିର୍ତ୍ତାରୀ,  
 ଶ୍ଵେତଶିଳାଲା ମାଶ୍ଵରାଲାତ କ୍ରୀରା, ଶିରମିଲା ଶ୍ଵେତିକାରୀ, —  
 ଗଲାକାଳ ଫଳା, — ନିରଦିଲାପ ଲାକ୍ଷିକାରୀ ପାତାକାରୀପରିତ ଗମିନି, —  
 ମନ୍ଦିରପରିତ ମନ୍ଦିରିଲିଲ ମନ୍ଦିରିଲାପ, କାନ୍ଦିଲିଲ ମନ୍ଦିରିଲାପ ପାନାକିରାଳ!  
 ର୍ଯ୍ୟା ବୀମିଲ ପୁଣ୍ୟାଲ୍ ମେଳିଲାନ, — ସ୍ଵେଚ୍ଛା ଏହାକ ମେଳିଲାକମ୍ଭାଲ ଗଲାକାଳ  
 ମନମିଶିଲିଲ ଶ୍ଵେତିକାଳ ଏହା ଶ୍ଵେତକମ୍ଭାଲ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପରିମିଳିଲା ତଥାବା  
 ଏହି ଏକାକିଲାକ ପରିପୂର୍ଣ୍ଣକେବା ଶଲାକା, ଏକାକିଲାକ ପରିପୂର୍ଣ୍ଣକେବା!  
 ଏହିମେନିଲ ଏଲିମି ଗାନ୍ଧିକା ପରିପୂର୍ଣ୍ଣକେବା କ୍ଷେତ୍ରକମ୍ଭାଲ  
 ମନ୍ଦିରିଲିଲ ପରିପୂର୍ଣ୍ଣକେବା ମନ୍ଦିରିଲାକ ପରିପୂର୍ଣ୍ଣକେବା ମନ୍ଦିରିଲାକ  
 ମନ୍ଦିରିଲାକ ଏହିମେନିଲ ପରିପୂର୍ଣ୍ଣକେବା ମନ୍ଦିରିଲାକ ପରିପୂର୍ଣ୍ଣକେବା  
 ଏହିମେନିଲ ଏହିମେନିଲ ପରିପୂର୍ଣ୍ଣକେବା ଏହିମେନିଲ ପରିପୂର୍ଣ୍ଣକେବା.

ଅଗ୍ରମ୍ବନୀତି, 1913

## მოღა ლომთათიძეს

რა მივუძლენა მე შენს საფლავს, ნეტავ რითი დავამშეენო?  
 რაც დაიმსხერა სამუდამოდ, ცრემლით ოოგორ ივაშენო?  
 სად მოენახო მე სიტყვები, ისი ცრემლით დანათესი,  
 ვით პეპელა ფრთაფაქიზი, თვით იაზე უნაზესი,  
 რომ ავკინძო ცრემლის ძაფით და საფლავზე დავასვეენო?  
 რა მივუძლენა შენს სამარეს, ნეტავ რითი დავამშეენო?

მე მიყვარდა შენი ფიქრი, ციურ ჰანგად დაჩხეული,  
 ისე ნაზი და უმწიყელო, ცისფერ ნისლში გახვეული,  
 ვით ლურჯ ზღვაზე ანარეკლი თეთრი ლრუბლის მარმარილი,  
 ვით ხსოვნაში ჩარჩენილი საღლაც ნასმენ ლოცვის კილო.  
 მე მსმენია შენი ლოცვა, ლოცვა ზეცად აქმეული,  
 და მიყვარდა შენი ფიქრი, ციურ ჰანგად დაჩხეული.

შენს სტრიქონებს სისხლდანაწვეთს ვეითხეულობდი ვარსკვლავთ  
 ვეითხეულობდი და ვიხილე მე სიმრუდე ცის სასწორის...

შორის,

შენს სიტყვებში მზეს ეძინა, მზეს, დაფერფლილს ღამის ჩრდილით,  
 შენს სიტყვებში მზის ალერსი იღვიძებდა სისხამ ღილით.  
 შენი სიტყვა ისე კრთოდა, როგორც ელვა სხივთ მშორის,  
 შენს სტრიქონებს სისხლდანაწვეთს ვეითხეულობდი ვარსკვლავთ  
 შორის.

სანამ გლოვას მოვისმენდი, სანამ ტირილს დავიწყებდი,  
 ჩემი სულის ყვავილნარში შენთვის სათუთ ვარდებს ვერეფდი.  
 და დასეტყვა ცრემლმა ბალი, დაიჩრდილა სიერცე სულის,  
 აწმუნს ზღუდედ აემართა მოგონება შავ წარსულის.  
 ვეფიქრობ: შენთვის ვარდს რომ ვერეფდი, მაშინ როგორ ვიფიქრებდი,  
 • რომ გლოვის ზარს მოვისმენდი, შენშე ტირილს დავიწყებდი?

ეხლა რა გქნა, მე საფლავი ნეტავ რითი დაგიმშევენო?  
 რაც სიქვდილმა დამიშსხვრია, ცრემლით როგორ ავიშენო?  
 საღ მოვნახო მე სიტყვები, იის ცრემლით დანათესი,  
 ვით პეპელა ფრთაფაქიზი, თვით იაზე უნაზესი,  
 რომ ავკინძო ცრემლის ძაფით და საფლავზე დაგისცენო?  
 რა მიუუძღვნა შენს სამარეს, ნეტავ რითი დაგიმშევენო?..

ნოემბერი, 1915

## სისხლის ლაპა

როცა მეხი ძირს დაეშვა ქვეყნის ბოძის შესარყევად,  
 ხმილმა ხმალი გადაჭქულნა ძმათა სისხლის დასაწილევად,  
 როცა სისხლი მიაფურთხა იმ ქვეყანაშ იმ ქვეყანას  
 და ნამგალი ჩაეხვია ნორჩ სიცოცხლით საესე ყანას;  
 როცა ტყვიით ნაფრქვევ ელვაშ შემოხაზია ცეცხლის ზღვდე  
 და გალესა ცეცხლის ტბაში სამართალი და სიმრტედე,  
 როცა დედის შწარე ცრემლშა დასწვა ჰანგი ხმანარნარი  
 და მთა-ველზე მჩქეფავ სისხლმა სთქვა სიმღერა შესახარი, —  
 მე დაეხედე ჩემ ქნარს შიშით და... სიმებზე ვნახე სისხლი...  
 გულმა რაღაც შემომხივლა და უჩევევი ეიგრძენ ზიშლა...  
 გავკარ სიმებს და ჩრდილიერით აშრიალდა ჩემი ჰანგი,  
 მაგრამ ახლა ჩემს სიმღერას აღარ ეცვა მზის პერანგი.  
 წინათ ლალი, ფრთაკამაზა, ცის ლაუგარდის მოზიარე,  
 კრთოდა შავად შავი ლანდი, ვით ასული მგლოვიარე;  
 წინათ მზებრ სხივანეარა, მზის პორტირით შენამოსი,  
 ახლა შავად ლივლივებდა, ვით აჩრდილი საღამოსი.  
 და შავ ფრთებზე, სადაც წინათ ცისარტყელა ფერადობდა,  
 სადაც მწყობრად მუსიკობდა სიხალისე ცის მნათობთა,  
 ახლა ენთო სისხლის ლაქა, ვით კრილობა აგზნებული,  
 ვით თვალები მოღალატის, ბოროტ ზრახვით ანთებული.  
 და ვიფიქრე: ჩემს სიმღერას, წინათ თეთრად გამოწყობილს,  
 ვინ მიიღებს ამგვარ სახით, შავად მოსილს, ლახვარსობილს!

და დავმალე ჩემი სული, და დავმალე ჩემი სახე,  
 სისხლნაფრქვევი ჩემი ქნარი საღლაც ტყეში შევინახე.  
 და ვიღოდი ჩემად, უხმიდ, როგორც ჩრდილი ჩრდილთა შორის,  
 მეშინოდა ზღვის ძახილის, მეშინოდა სხივთ ამბორის. .  
 ჩემს თვალთა წინ მზით დიმთერალმა რაშდენმა დღემ გაიარა,  
 აჩც იყოთხა ჩემი ურვა, აჩც მზის მეჯლისს მაზიარა,

და რამდენმა ოქროს ჰანგმა გრძნობა ისე გაირჩინა,  
რომ ეერ პპოვა ჩემს სიმებში დაქარგული თვისი ბინა.  
მზემაც ბევრჯერ დამირეკა სხივთა ზარი მის მომღერალს,  
მაგრამ ასცდა ოქროს ტალღა ჩემი სულის მდგრად მწვერვალს.  
ჩემი სმენა ეერ სწვდებოდა ნაჩევე ხმათა შუქურ შრიალს,—  
ყველაფერი თან მიპქონდა ზღვად ატეხილ სისხლის ჩქრიალს.  
მაგრამ დასწვა ამ დუმილმა უხმო სევდის შეი ვარდი,  
კვლავ მზის ალი მომენტრა, კვლავ მომინდა ცად ნავარდი.  
და პა, ქნარი კვლავ ღალადებს, კვლავ ჭურს ეუგდებ ლოცვას  
ჭევსურს,

მე არ ვიცი, სხეს რა უნდა, მე კას ვუმღერ, მე ასე მსურს.  
მე რა ვუყო, რომ იქ, ველად, ბრძოლის ცეცხლი არ განეცლა?!  
მე რა ვუყო, რომ იქ ცრემლი ასე მწარედ იმეტყველდა?!  
იქ სისხლია მოღალადე, აქ კი ცრემლი ღებავს სიმებს,  
მე მომბეზრდა სისხლიც, ცრემლიც, მე ოჩივე სულს მიმძიმებს.  
დე, ნურავინ ნუ მომისმებს ნურც იქა და ნუღარც აქა,  
ოღონდ ფრთებზე ჩემს სიმღერას ჩამოვბანო სისხლის ლაქა!

7 ივნისი, 1916

## ମିଥିଆ ଅର୍ଦ୍ଧା ଆତିକଣା

ମିଥିଆ ଅର୍ଦ୍ଧା ସିଲ୍ଲଦାନତକ୍ଷେତ୍ରରେ,  
 ପ୍ରେପ୍ରେଲମା ଦାକ୍ଷାଳୀ ମୁଖ୍ୟ ମିଶନ୍‌ବଳୀରେ,  
 ଶୂରମା ହାତ୍ଯକାରୀ ସନ୍ଦର୍ଭ କ୍ଷେତ୍ରରେ,  
 ସୁଲିଙ୍ଗ ଗାନ୍ଧାରୀର୍ଭିନ୍ନା, ଦାଲପା କ୍ଷେତ୍ରରେ.

ଇତ୍ତିବିନ୍ଦୁ ତ୍ରାମାରୀ କଲାଭେଶ୍ଵରରେ,  
 ସିଲ୍ଲଦାନ ଦାକ୍ଷାଳୀ ପ୍ରାଚୀରୀ ନୟକାରୀ,  
 ମିଥିଆ ଅର୍ଦ୍ଧା ସିଲ୍ଲଦାନତକ୍ଷେତ୍ରରେ,  
 ପ୍ରେପ୍ରେଲମା ଦାକ୍ଷାଳୀ ମୁଖ୍ୟ ମିଶନ୍‌ବଳୀରେ.

ଏହା ମିଥିବି କିନ୍ତୁ କ୍ଷେତ୍ରରେ ପ୍ରେପ୍ରେଲମା କିମ୍ବା  
 ମିଥିବି କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
 କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
 କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
 ମିଥିଆ ଅର୍ଦ୍ଧା ସିଲ୍ଲଦାନତକ୍ଷେତ୍ରରେ.

ପ୍ରେଲମା, 1916

## თმთრი სიზმარი

როცა დაბნელდა, მე ამ ქვეყნად მაშინ მოვედი,  
 უსინათლოსთვის რომ ამენთო შუქი თვეალისა.  
 მე გარ ალისფერ განთიადის წინამორბედი,  
 ჩემი სიმღერა ნაშუქია ციურ ლალისა.

ჩემს ქნარს მნათობად წინ უძლოდა ცეცხლის მახეილი,  
 ზედ აკლებოდა სიმებს ოხვრა გლოვის ზარისა,  
 მაგრამ ამ ხმაში იზრდებოდა გამოძახილი  
 საგანთიადოდ მოგუგუნე ნიავჭარისა.

ახლა მთის არწიეს ფრთა მძინარი ცეცხლით ევსება  
 და ესიზმრება მას ზღვის სიცრცე ქაფმოდებული,  
 და მის თეთრ სიზმარს ჩუმი ლოცვით ეალერსება  
 ჰანგი მზიური, ჩემს სიმებზე დაბალებული.

ვხედავ — ცის კიდე აფერადდა ვარდის ფოთლებით,  
 მალე ზღვის კიდეც ირგველიც წითლად აფერადდება,  
 და დილის ეტლი ცეცხლის რაშით და ოქროს თველებით  
 ზეცას გაპობს და მქუხარ ზღვის ზედ დაადგება.

ოქტომბერი, 1916

## პ კ ა კ ი ს

შენ ჩეენ შორის სხივი იყავ, ციდან დაშეებული,  
 სხივი, ღამის შავ კალთაზე ობლად ანთებული,  
 შენ ჰეთანტავდი ვერცხლის ჰანგებს, ცრემლად ჩამომდინარს,  
 დასტიროდი შენს სამშობლოს, ცივ კუბოში მძინარს.

შენ წახეველი, როცა კუბოს ცეცხლი წაეკიდა,  
 როცა ბედი შენი ერის ბეჭედზე დაეყიდა;  
 როცა ზეცის სამსჯავროს წინ, ბრძოლით ინაგვრი,  
 მქუჩარ ცეცხლის სამოსელში წარსდგა ყველა ერი.

ახმაურდა კიდით კიდე მოგუგუნე დაფი.  
 ზღუდე ზღუდეს დაეჯახა, დადგა სისხლის ქაფი.  
 მიწის სიერცე შემოჰქარება წითელ ყვავილებშა,  
 შეჰქრა რწმენა მომავლისა სისხლისფერ ლილებშა.

ვინ შეიცნობს ბედისწერას? — ბრმაა და ორპირი.  
 ბეერგან ძაბად შეიცვალა სამეფო პორტირი.  
 ბეერგან სისხლმა გზა წალეკა, ტანჯვით აღდგენილი,  
 და გაპეაფა გზა ახალი, ცეცხლით დაფუნილი.

განვლო ფამია. ჩვენს სიყვარულს გაზაფხულმა უღალატა.  
 მარტო დავტანით. შევმა ბედია ტანჯვის ცეცხლი მოგვიმატა.  
 შენა მკითხე: „მითხარ, ღმერთმა ასე რისთვის გაგვიმეტა?“  
 ჩემმა ბაგემ შენი ბაგე მაშინ კონით გამოპყეტა.

დრომ იმედი დაგვიჩრდილა და ღრუბელმა ცა დაპლატა.  
 დაგვეკარგა შუქი მზისა, გულმი იქვი შეგვეპარა.  
 შენ კვლავ მკითხე: „ცის ლურჯ კიდეს ვინ მოასხა შავი რიღე?..“  
 მე პასუხი ვერ ვიპოვე და ალერსით დაგამშვიდე.

ჩვენ ვიბრძოდით, მაგრამ ბრძოლას იღარ უჩნდა დასასრული.  
 წინ ზღვასაეთ ირჩეოდა გზა ცის საზღვარს გარდასული.  
 კვალად მკითხე: „სანამ ვივლით, სანამ ვივლით ტანჯვის გზაზე?“  
 მე დავდუმდი... და პასუხი ვერ მოგეცი ამ კითხვაზე.

დადგა ფამი. ღრუბლის გროვამ გიარა ელვა-ჭეჭით,  
 და, ცხოვერებით მოქანცული, სასაფლაოს მივადეჭით...  
 ეინ მოსულა აქ ნეტავი კმაყოფილი თავის ბედით?!.  
 პეგობარო! რად გაჩუმდი? რად არ მკითხავ — სად მოვედით?..

ოქტომბერი, 1915

## მ თ ვ ა რ ე

ჩუმად! ჩუმად! ვიღაც უცხო, უცნობი და უხილავი  
 ჩემს სარკმელში იხედება, მთეარის შუქის დამჩრდილავი.  
 ჩუმად, სიოდ! ღია სარკმელს გარს ნუ უვლი ასე აძლო!  
 არ დამიტროხო მოჩვენება, იქნებ სულით ცას ვეახლო!

ვიღაც უცხომ, უხილავმა, ვგრძნობ, თვალები მომაჩერა!  
 მე ხომ სარკმელს არ ვუცეკრი? — რომ აქ არის, — მაინც მჯერა!  
 რაღაც ოდნავ აშრიალდა, მესმა — თითქოს დამიძახა.  
 ჩემს პირდაპირ დიდ სარქეში ვიღაც თეთრი ჩაისახა.

მთეარემ სხივი თითო-თითოდ მდუმარ კედელს ააცალა  
 და ოთახში დაბინავდა უცნაური რაღაც ძალა.  
 თითქოს ფარდა ჩამოეშვა, ჩრდილი ფრთხილად მომეპარა.  
 რად დაბნელდა ნეტავ ასე? — ხომ არავინ მომეტარა!

ვხედავ, სარქე გაიშალა, სარქე, თეთრად დაფერილა,  
 და გამოჩნდა ტბა ცისფერი, თეთრ გედებით დასერილი.  
 ტბის დასტერის ცის თაღიდან ვარსკევლავების ჩიჩაღდნები,  
 ცას ხომალდი ამჟობს ღრუბლის, ხომალდი — თეთრი იალქნები.

პა, დაიმსხერა ცის ხომალდი, ვარსკევლავები ძირს დასცეიდა...  
 და იისფერ ტბის ტალღებზე თეთრ ვარდებად ატივტივდა...  
 ანგელოზი ჰქონდენ ვარდებს და ჰყონავენ ცისფერ სხივით...  
 რეკვა ისმის საიდანლაც ტყის ფოთოლთა ჩურჩულიერით...

ოქტომბერი, 1915

## მჟავარი ფილიშვილი

მე ვსეირნობდი, და ტყე შორით ისე მოჩანდა,  
 როგორც ცხედრის წინ ჭირისუფალთ შევი ყრილობა.  
 მე იმ ტყის გარდა ჩემს იარას სხვა ვინ მომზანდა?

მე მომეწონა მდუმარ ხეთა დალერემილობა.  
 და ვით ტუსალი, შეუმნეველად გამოპარელი,  
 მე ტყეში შევეღ, ტყეს უუჩეენ ჩემი ქრილობა.

საამო იყო იქ დუმილი და სიარული,—  
 იქ ყოველი ხე ისე იდგა, როგორც აჩრდილი,  
 და ყოველ ფოთოლს ათრთოლებდა სევდა ფარული.

მე ჩემი ფიქრის შევი ნისლი, შევად აშლილი,  
 აფერადებულ სტრიქონებად გადავაქციე,  
 და ავამდერე მწარე სევდა, ცრემლად დალვრილი.

მაგრამ წყეული შევი ფარდა ველარ ავწიე,  
 ვერ განვიახლე დალლილ სულის შემოქმედება,—  
 სიკვდილის ლანდი, ჩემთან მდგომი, ვერ გავაქციე.

ქარი მოვიდა. ვის ესმოდა ფოთოლთ ვედრება!  
 მჟენარი ფოთლები ბუმბულივით სცვიოდა ხეებს...  
 და მე ვფიქრობდი: ჩემი სულიც ტყეს შეედრება,—  
 და ქარს ვაძლევდი, ვით მჟენარ ფოთლებს, ლექსის ნახევებს.

ოქტომბერი, 1916

## გამოთხოვება

ქრება სინათლე, წიგნიც თავდება  
(და მეც ვაჩერებ გაფრენილ ცხენებს).  
ესეც იმ ყუთში დაბინავდება,  
სადაც უფროსი და განისვენებს.

იქნებ მეტია ეს გალაშქრება  
ლექსთა ნაღვლიანთ და ხან მცინართა.  
თუმცა თვალებში ცრემლი არ შრება, —  
ეს მოჩევენებაც გაუჩინარდა.

მოდის საღამო სხივალმაცერია,  
ზალე სიშავე ცას დაეტყობა.  
მევე შემძულდა ჩემი ნაწერი  
და მინდა ჩქარა გამოვეთხოვო.

ერთი წუთისთვის ხეთა მწვერვალებს  
ჟინელილებივით არ ავანთებდი,  
მაგრამ სუსუროდა შუქი ჩემს თვალებს  
და მეწამული შარავანდედი.

ქარვა წალეკა ფოთლების ღვარმა,  
ტყე დაიჩრდილა და დაიჩაგრა.  
ოქროს სევანი დახია ქარმა  
და ჩირალდნებიც ჰაერში ჩაქერა.

ფარისის ფარდული წიიქცა ბალში  
და აიმართა თოველის კარვი.  
ატირდა, როგორც უდედო ბავშვი,  
გულა, აქამდის გაუმწარევი.

და უქანასკნელ კარებთან მისცვლით  
 გუახლოვდები შორეულ ნაპირს.  
 ციფრ საღამო იისფერ ნისლით  
 ამერიკალებს საზღვარს, სისხლით შენაფერს.

აქ დავისვენებ, შორს მიმავალი,  
 რომ შემდგომ მეტის გახალისებით  
 ვიმღერო, ზეცამ რაც დამავალა,  
 და გაეანათო ახალი გზები.

მესმის ქუჩილი, უკვე დროც არი  
 გაიხსნას კარი უფსერულისაჲენ,  
 აენთოს ხაზი გასოოცარი  
 და გამზარული გამონიდეს სარკე.

ନୃତ୍ୟ ସିଦ୍ଧାନ୍ତକାଳୀଙ୍କ ଗୀତାଭାଗରିତ ପ୍ରକାଶକଲେ,—  
ନୃତ୍ୟ ଶିଦ୍ଧାନ୍ତକାଳୀଙ୍କ ପ୍ରକାଶକଲେ,

# ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ତଥା କବିତା



F a g n a  
III

1916 — 1929

## მოცემის დღიური

1

მიაფრენს შემქრთალ დედამიწას ფრთოსან რაშივეთა  
 ეს საუკუნე აცეცხლილი და დარკინული.  
 ჩქარი ბრუნვისგან მიწის ლერძი ტყდება გზაშივე  
 და პოლარუსებზე სიცისისაგან დნება ყინული.  
 რეინის ლაგამი ჩასკედიან ძარღვიან ხელებს.  
 — გზა დედამიწას! — ქუხილივით ისმის ძაბილი.  
 შერამს კივილი ამბოხების უფრო ახელებს, —  
 და იწვის ზეცა, გაეცეთილი ელვის მახვილით.  
 ალი ედება ჰაერს, ხმელეთს, ოკეანეთაც.  
 გადამდარ თრბიტს ბლუნავს სიცრცე ძალდატანებით.  
 გზას უნათებენ ფეხის ულანებელ მწვანე პლანეტას  
 დაუკოუჩული ქომეტების ჩირალდანები.

2

ბრწყინავს ჰაერში ძველ შებრძოლთა წმინდა კრებული.  
 თითქო სრულდება მათი წყევა და დანქადი.  
 კუცერი ზღაპრულ გაქანებას განცვილებული  
 და შიშისა და სიხარულის მივლის ნაკადი.  
 რას მოგცემს ეს დრო, სისხლითა და ძელებით ნათესი:  
 იქროლებს რაში, შორს დარჩება ყორნის ჩხავილი,  
 და ივარდება მიუწვდომელ მშის სინათლეზე  
 მოულოდნელად ამოვარდნილ ქარიშალივით, —  
 თუ გარს მოწოლილ ნისლის ზღუდეს ვეღარ გაარღვევს,  
 ვერ გადაიტანს იმ ანთებას მიწის სხეული,  
 და სამუდამოდ დაიმშეიღებს ცეცხლიან ძარღვებს  
 საღმე მშის იქით, ცის უფსერულში გადამსხერეული..

უმიედობა, მუდამ იქვი და სინაწლია  
 ჩრდილივით ახლავს ჩემი ფიქრის ყოველ ანთებას.  
 ვარ გასაოცარ მოლოდინით თვალდანამული,  
 მაგრამ დრო მიღის, და სასწაულს აგვიანდება.  
 მტანჯავს სიტყვებით შებორკილი აზრი თავნება,  
 ხან შიშით საესე, ხან აშეებულ ვნებით მყეფარი.  
 მსურდა საესებით გამომეთქვა გაუგებარი  
 ჩემი ოცნების უცნაური ამპარტავნება,  
 რომ მეგრძნო ცეცხლის დაყუჩება და შენელება,  
 მაგრამ ლექსების თეთრ კუბოში ვერ მოვათავსე,  
 რაც ჩემი სულის მდუმარ კალთაზე  
 ცისფერ ღამეებს დაულერია საშინელება.  
 უნაყოფობას მომავალი რათ დამაყედრის? —  
 მე თუ დავუცი, ჩემი დროშა ვინდა ამართოს?  
 ვერა ვთქვი ქება მე ჩემი ხვედრის,  
 და დავემდერე ბედს უსამართლოს.

და ან მადლობა რათ დაუუწერო, —  
 ბევრი არ მახსოვს მე სიხარული.  
 ხშირად მწონია ლოყა უწვერო  
 მწარე ცრემლებით ჩამოლარული.  
 ახლაც მწუხარეს თუ გახარებულს,  
 მწერას ცრემლი, წინათ რაც დავიდინე.  
 ხშირად ჩემს ოთახს, ბინას ლარიბულს,  
 ესმის უძლური ჩემი ქვითინი.  
 ვხედავ: სიხარულს ცრემლმა აჯობა.  
 ო, რა ბავშვერად მითამაშნია!  
 ჩემი თაობის უილაჯობა  
 დღეს სამარცხევინო დაღად მაჩინია.

ოთხივე კუთხით გამოყეტილი  
 ციხესა ჰგავდა ქეყუანა ჩემი.  
 ილუპებოდა თესლი კეთილი,  
 წინაპართაგან გადმონაცემი.

მძიმე ურდეულით გადარაზედა,  
 ჩეინის ჩიმტვრევას ელოდა კარი.  
 იყო გოდება ცამდე სული,  
 გვენატრებოდა ელვა და ქარი.  
 ქარიშეალს დიღხანს აღარ უცდია, —  
 და ერთ სალამოს, როცა შებინდდა,  
 უცბად იელვა რეეოლცუკიამ  
 გათამამებულ დეპეშებიდან.

### 5

და სანამ თვალი დაინახავდა,  
 აიესო ალით ძეელი კაობი.  
 ამხედრებული ქეჩა აყვავდა  
 მოულოდნელი სანახაობით.  
 მაგრამ მოსწყურდათ ბრძოლა ტიტანებს, —  
 და დაიღრიქა მთათა კიდენი...  
 სუსტმა თვალებმა უერ აიტანეს  
 ლვარად მომსკდარი ცეცხლი იმდენი.  
 ახალი ძეელ გზას ვერ შეეთვისა,  
 და გაიზარდა მტრობა და ზინილი.  
 მთელს ქვეყანაზე დარჩა ერთი გზა:  
 ჩეინის და სისხლის რეინის და სისხლის!

### 7

წინათ ვფიქრობი: იელვებს უცებ.  
 ფრთებს აისხამენ დროშის ტარები.  
 გადაიმსხვრევა დამპალი ფუძე  
 ახალი ქვეყნის აელვარებით.  
 იქნება ქრისტეს გამოცხადება.  
 გოლგოთა ჯვარუშა, თავშე ეკალი.  
 მაგრამ ამბოხის ზღაპრულ ხატებად  
 გადმოვა ციდან ბრწყინვალე ქალი.  
 და მუხლს მოიყრის მის წინ ყოველი:  
 ოფლის, ცრემლის და სისხლის დამღვრელი.  
 დააცხრობს ტეივილს მზის სიცხოველე  
 და სათნოება განუსაზღვრელი.

ას, ვოცნებობდი თურმე ბალლურად!  
გვიანდა არის აშ დანანება.  
ჩვეული გზები ყველა დაპირის  
მიწის უჩვევება ატორტმანებამ.  
თითქო სინათლეს მეც მიეაშერე,  
მაგრამ გრიგალი როცა მოვარდა,  
გაქრა ოცნება ჩემი ბავშვური,  
როგორც სიზმარი ძუძუმწოვართა,  
ბრძოლის სიშვაგემ გული მატურა,  
და ჩამებინდა თვალებში ნისლი.  
ვერ ავიტანე ტყვია და რეინა,  
ამდენი ცეცხლი! ამდენი სისხლი!

გამასხენდება: თითქო მიწიდან  
ამოდიოდა სკეტად ნათელი.  
ყოველ ნაბიჯზე ლეინი მიცდიდა  
და სიხარული მხნე და ჯანმრთელი.  
ასალი სიტყვით გული განათლა,  
ცრემლმა თვალები შემისევადა.  
მოვიდა შუქი სხვა ქვეყანათა  
ჩვენი ერთეულის ასაწევადა.  
და ბრძოლის აღმურს, ირგვლივ დანათოეს,  
გზა და სურვილი ჰქონდა ორივე,  
რომ დედამიწამ გადაანათოს  
ცათა უფსერული მეტეორივით.

მაგრამ მეორეც გამასხენდება,  
ადრე ნატანჯი და ნაფიქტრალი,  
როცა მესმოდა: არ გათენდება!  
და ჩირალდანიც იყო მიპერალი.  
როცა დაშიძმდა და შევიწროვდა  
ჰაერი, სავსე შავ მოზმანებით.  
სიკედილზე უიქრი ტვინში იძეროდა.  
თავში ჩაქედილ ცხელ ლურსმანივით.

იმ ბურუსიან ქარის დღეებში  
ისმოდა ირგვლივ წყევა, ჩიეილი, —  
რომ დედამიწა გაქრეს ჩრდილივით  
შემოღამებულ ცის სივრცეებში.

## 11

ახლა თვალთაგან სინანულის ცეცხლის მკვესავი.  
ვნანობ, რომ ჩემს გზას მე უშიშრად ვერ გადავხედე.  
ჭირს მოულოდნელს უნდა დახვდე მაგარ კლდესავით,  
და განსაცდელში უნდა ბედთან იყო თავხედი.  
დავკარგე ყველა საგანძურო, თუ რამ მებადა.  
ვწივარ ცივ ქვაზე თავდახრილი, თეალმოხუქული.  
რეკავს ევანი სანეტირო მოგონებათა.  
მესმის ბავშვობის ოქროს დღეთა ტბილი ჩურჩული.  
მოეშორდი თითქო ამ ქვეუანას და ჩავესახლე  
გამქრალ ჩრდილებში. და გაცოცხლდა ისევ წარსული.  
მოჩანს შორიდან ლურჯ სივრცეში ჩემივე სახე  
ყვავილთა ელვით და ნათელით შემოგარსული.

## 12

ვიყავი ბავშვი უნათესავო.  
ვცხოერობდი სოფლად, მქონდა გრძნობა შშვიდი, ვლეხური.  
ჰიყვარდა მუქი, მღვრივ აბაშა მე სათევზაოდ,  
და საბანაოდ — სუფთა ტეხური.  
აზ მყავდა მიამა მოსაჩიდი და არც აღმზრდელი.  
მარტოპერანგა, ფეხშიშველი და უდარდელა  
დავრბოდი მინდვრად, საღაც ჩემებრ ნორჩ მშეყმსებითა,  
როგორც საკუთარ ყვავილებით, ჭარიბდა ველი.  
უხევი ოცნება გმირს მატოლებდა,  
მექირა ხელში ძეწნის ტოტი ერთი მტკაველი  
და ჯოხის ცენი ზლაპრულ ჩაშივით დამძეროლებდა.  
მხიბლავდა პანგი, დარჩენილი ძველ ლექსებიდან,  
და ღრუბლის კოშჩე ანთებული ოქროს წვეთები.  
ყაჩაღს მეძახლნენ ტოლბავშვების ცელქ ქარავანში,  
ფეხშმარდ სირბილში მწევარივით ვიყავ ნაგეში,  
და ჩემს პატარა ამხანაგებში  
არავინ იყო ჩემი დამწევი.

როცა დელეში ჩადგებოდა ცეცხლის სერები,  
ვხოცდი ბაყაყებს გამხმარ ბელტებით,  
და მიყრუებულ კლესის ჩემ გალავანში,  
შეალში ჩაღნულ ბებერ ცაცხვის სმირ ფესვებიდან  
შე გამომყავდა მარჯვენა ხელით  
ცოცხალი კიბო, და ხინ კი გველი,  
მოულოდნელად თავზარდამცემი.

13

ვიკებებოდი ფრინველივით წყალით და ხილით.  
მიყვარდა ღამით ხეტიალი მოუსვენარი.  
შესმოდა ხშირად რუს პირიდან მევნეს ძახილი  
და ტოტის მტკრევა მძინარ წყალზე დახრილ მცენარის.  
დელედან მთვარეს თეთრი ხავსი ამოჰყებოდა  
და ტყეში ნათელ ქსელს აბამდა ვერცხლის ობობა.  
იპყრობდა ხეებს უცნაური ავადმყოფობა.  
ნამს შეიშრობდა ნისლის თოვლი და გალბეებოდა.  
იდგა ჰაერში გაყინული ზარის წერიალი.  
ეუსმენდი ზღაპრებს, შეწისქეილე რომ მოჰყვებოდა,  
ატოკებული სანეტარო გულისფრიალით.  
და დილით, როცა გაივსებოდა  
ტყე და მინდორი მზის წისქეილიდან  
გაღმონათოვი ოქროს ფქვილითა  
და ყვავილებით, —  
მე მოვდიოდი ათას ფერით სავსე თვალებით,  
აღტაცებული ცის და მიწის ფერისცვალებით.  
ჰყაოდნენ გულში სურეილები,  
ბრწყინავდა ყანა მოოქრული და დაცვარული.  
ჯერ ბრძოლის გრგვინგა არ გამეგონა,  
და გულუბრუებილს ასე მეგონა,  
რომ ყველაფერი იყო სითბო და სიყვარული.

14

ახლა მგონია, შხამით ნამთვრალევს,  
რომ მოლალატე და უსწოროა  
გზა ჩემი ბედის, ოცნებათა ცეცხლით ამგველის.  
წინათ, ვით ბავშვებს თბილ აკვნებში,

ეძინათ ტკბილად წამწამებში  
ჩემს ღრა თვალებს.  
ახლა კი ჩემი ორი თვალი ორი სორთა,  
ორი ცეცრად გაცოფებულ შხამიან გველის.

### 15

შფოთიან დღეებს ვინ მიმაწება!  
გაწუხებს ფიქრი ჯერ გაუმნელი.  
ყოველი მხრიდან გრძნობას აწვება  
ულმობელობის მძიმე უღელი.  
ო, როგორ მინდა, ენახო სიზმარი,  
რასაც სიყრმითვე ვეთვისებოდი,  
ნიავჩამდგარი სულის სიწყანარით  
კვლეინდებურად აეისებოდე,  
არ ვატარებდე ჩემს სატანჯველად  
დაწვარი იცნების ნაცარს და ნახშირს;  
გაეხდე პატარა, ვით ჭიანჭველა  
და დავიმალო საღმე ბალაბში,  
რომ არ მესმოდეს იქ შემზარველი  
სულის კივილი დაუფარავი;  
იყოს სიჩუმე ჩემი მფარველი  
იყოს სიმშვიდე ჩემი კარავი!

### 16

მაგრამ სიშვიდე ახალმა დრომ არ დაგვაწება.  
განწირულია ჩენი მოღმა ჩბილძეალიანი.  
დღეს საჭიროა კლდის ნაკეთი ადამიანი,  
რეინის ნერვებით და ფოლადის აღფრთოვანებით.  
მე კი დაესუსტდი ყოველ წუთში უკანდახევით.  
ვარ ჩენი დროსთვის სამარცხვინო რბილი ბუნების.  
შევხარი ჰაერს და შინის სხივებს მთის ბალაბივით,  
და მეშინია ცეცხლის ქარის აგუგუნების.  
და ჩემი სულის სამყაროს წინ შავ ელვასავით  
იჩხევა სწრაფად დაქანებულ ფარდის გრეხილი...  
ოხ, მეგობრები! აწ ლექსებით ვის რას ვასწავლი!  
ჯობს თქვენს წინაშე ძირს დაეცეს მძიმე ქვასავით  
უკანასკნელი მეოცნებე ფრთამოტეხილი.

არ შინდა გულში ჩამებულის უიმედობა:  
 გამარჯვებული განვლილ ტანჯვას არ მოიგონებს,  
 დალალულ პოეტს მომავალი აღარ მენდობა  
 და დაივიწყებს უნგეშოდ მტირალ სტრიქონებს,  
 კმარა ტირილი! უნდა აღსდგეს სული მზესავით,  
 რომ სიცოცხლის ჯაჭვს გადაებას ახალ რგოლებად  
 მომიგალ დღეთა გასაკირი და დაბრკოლება,  
 და მოკვდეს იქვი, რწმენისათვის დანის მლესავი.

შევიდობით, ჩემი საყვარელო მელანქოლია,  
 შენსე უტებესი მეგობარი მე არ მყოლია.  
 ბევრჯერ მიგრძენია შენი ციფი ხელის შეხება  
 და დამიღვრია მშუხარება ცრემლის შხეფებად.  
 მეწვიე აღრე, ჯერ კიდევ ბავშვს და უასაკოს.  
 რამდენ იისფერ სალამოს და ლამეს ასარკელს  
 დავუთოვეიგარ სხვა სამყაროს უცხო ნათელით:  
 ჰარადისობის აელვებით და ერთანტელით.  
 იწვევდი ჩემში შუდამ შიშვა და გაოცებას.  
 უკვდავ ლამეში ჩემთან მხოლოდ შენ იყავ ერთი.  
 აქრობდა ჩუმად ჩემი სულის ყველა ოცნებას  
 შენი თვალების უნაპირო შავი ხავერდი.

დროა გათავდეს ჭაბუკური სისხლის თამაში,  
 ნიღაბთან ბრძოლით და ნალეველით სულის გართობა,  
 რომ ჩიესკენის მდუმარების ციფ აკლდამაში  
 ჩემი სიცოცხლის ორმოცი წლის უკუღმართობა.  
 უნდა ესვა სიბრძნე საუკუნის ახალ თასიდან,  
 რომ მეაცრ ლითონის სიმძიმითა და გამძაფრებით  
 ავმართო ცეცხლით დატვირთული რეინის აფრები  
 სულის ტევილის სხვა ნაპირზე გადასაზიდად.  
 რომ კელავ ენთოს აზრი წმინდა და უმაღლესი,  
 იქროლის რაშმა, შორს დასტოვოს ყორნის ჩხავილა,  
 და ეს ქვეყანა, აეივლებულ ქარიშხალიფით,  
 გრევენვით ავარდეს მიუწვდომელ მზის სინათლეზე.

## ჩ 0 0 0

რომ შემოქმედის სახე ცილან ჩამომეუვანა  
დამეთქვა, რომ მე ნაშენი ვარ ღვთისერ ელფერის,  
მე ჩემს თვალებში მოვათავსე მთელი ძველანა  
და ვიქეც სარედ ყოველ ხმისა და ყოველ ფერის.

და ასე ეფიქრობ: ბატონი ვარ ფერთა სიუხვის, —  
ყოველი ფერი ჩემს თვალებში დაიხატება.  
და ასე ეფიქრობ: მეუფე ვარ სიმთა ციურ ხმის, —  
ყოველი პანგი ჩემს სმენაში დაიბადება.

და ჩემს გარეშე ცისარტყელა არ იწერება  
და ვერც ქუხილი ცეცხლის მახვილს დაატრიალებს.  
ყოველი სხივი ჩემს თვალებში დაიფერება  
და ყოველი ხმა ჩემს სმენაში დაიწყრიალებს.

ჩემი სიკედილით ეს ქეყანაც გარდაიქმნება, —  
უსახო მიწას დააკვდება ცა უცნაური.  
მე თუ დავბრჩავდი, ცისარტყელა სადღა იქნება?  
მე თუ დავუჩავდი, — ხომ დადუმდა მიწის ხმაური!

ოქტომბერი, 1916

## २५६७१८४८

हीमो सिवाप्रबलो तिरुप्पेलि डले श्वेषदा सास्त्रियला,  
 उजानास्कन्देलिपि क्वलावि सास्त्रियला दोषमिश्रवेश्वेषदा.  
 सांकेति मोघेल, मे एक विप्रा, दा एक सांक चिंगाल, —  
 देवता दर्मा त्र्यालता विन श्वेषलो श्वेषित वावेश्वेषदा!

मे एक विप्रा, माघरामि प्रमाणा इमदर्कनिन्द्रेला,  
 होगोरुपि सिंहमारी उप्रान्तेला, सुलभा श्वेषिता.  
 श्वेषास श्वेषप्रारुपि दा दाविप्रेक्षरीसि प्रा उच्छिन्द्रेला:  
 वार्षिक्येलावति फारस्तुला प्रासि सार्वज्ञशि एष्मध्योल श्वेषिता.

हीमसि सुलासि मिलेविदार्जसि ग्रस्मिसि हेजा सात्प्रक्षेता,  
 माघरामि ग्रामति सिंहर्दन्तेसि श्वेषी ट्राहर्दा मान व्येरि एवंताला.  
 ताज एक्सादि विप्रा, विप्रा दाविक्षादा श्वेष उच्छिन्द्रेतमा?  
 लाम्भेष उम्भेषोल गान्तिंदालो होगोरी दाविक्षात्ता?..

दा होप्रा श्वेषेदो श्वेषित द्विष्ठिंदा ज्वेषासि चिन्दाश्वे,  
 हीमो ग्रन्तेदा युर्मोदिसि व्यग्रामि व्येलारि श्वेषिन्द्रेदा:  
 मे सास्त्रियलो श्वेषिन्द्रेदा तिरुप्पेलि दिनाशि,  
 उजानास्कन्देलशि विगो श्वेषिन्द्रेदा...

मान्दारो, 1917

## სოფლიში

მახალისებს სოფელი  
 ტრელ ყვავილთა გაშლითა,  
 პურის უარმყოფელი  
 ვძლები პანტა ვაშლითა.

თუ სურვილი იქნება —  
 მოვახტები უნაგირს:  
 მიხარია მიგნება  
 ტყეში მხეცთა ბუნაგის.

დამეს წეიძა დაალბობს,  
 ქარი დაიგუგუნებს,  
 და თოფის ხმა გააპობს  
 თვალშეუდგამ უკუნეოს.

შუალამით ჯავაგნარში  
 ქალი დაითენიობა.  
 ტანი ნაბდის ჯავაგარში  
 კოცონივით ენთება.

ტუჩებს კოცნას დაასევს  
 ბაგე უშეურვალესი,  
 და გულს ცეცხლით აავსებს  
 ნაქურდალი ალერსი.

მზესთან ერთად ამოვა  
 მთაზე ჩემი მერანი.  
 ეპა, რა საამოა  
 ეს სიცოცხლე ვერანი!

## უ ა თ მ ს ა ვ ი

ბინა ვერ ვპოვე, სად გავშალო ჩემი კარავი?  
 უცნობ ქვეყნიდან წამითა ვარ მე აქ მოსული.  
 იწვის სანთელი... და დავდივარ შიშით მოცული,  
 უნაოესავოს მე ამ ქვეყნად არ მცნობს არავინ.

მალე იქიდან მოფრინდება ხმა შემზარავი  
 და უფსკრულის წინ ფრთებს დაუშვებს უმიზნო სული.  
 მოვა დუმილი, შუალამის დროშით მორთული,  
 და კარს დაბურავს ამ ქვეყნისას უცხო მპარავი.

ჰე, ხმა გამეცით, ნათესავნო ჩემი სულისა!  
 ნუ დამარბლეთ, მოპქრის წამი აღსასრულისა!  
 ხომ ხედავთ, მიწას უცნობსავით გამოვეთხოვე...

არსაიდან ხმა. ჩემთან კვდება ჩემი ძახილი.  
 მოდის საღამო. თრთის სანთელი პატრუქდახრილი.  
 ჩემი კარავი ვერ გავშალე, ბინა ვერ ვპოვე.

ოქტომბერი, 1916

## მ მ ბ რ ბ ა რ ს

დაცდივართ ჩუმად და ყევლაფერს ისე ვეცქერით,  
 სხვისი თვალებით ვიყოთ თითქო ჩვენ აღმურვილი.  
 ეურჩებიან ჩვენს გონებას ჩვენი სურვილი,  
 მოკლე სიცოცხლის გვემუქრება ბოლოურცელი.

და ერთი ფიქრი, მეგობარო, მუდამ გვაწვალებს:  
 შორეულ მეზავრებს აქ შეგვეძლო არ დაგვეხანა, —  
 მაგრამ გვგონია — გვესიზმრება ჩვენ ეს ქვეყანა:  
 დადგება წუთი და სხვა სახით გავახელთ თვალებს.

ვინ იცის, იქნებ ჩვენ ამ წუთმა გზა მოგვიძებნოს —  
 ოცნებას შექი სანუგეშო არ დაელევა. —  
 მაგრამ იქნება დაემსგავსოს ეს გაელვება  
 მიცვალებულის ბნელ კუბოში გამოღვიძებას.

1916

## მელაშოლის

როცა ემხობა ფრთამოცვეთილი  
 ზეშთაგონების შუქი მთვარული,  
 ჰუარავს ქვეყანას ჩრდილის კედელი,  
 ციდან უეცრად ჩამოლვარული.  
 ჰქრება სინათლე ცად ასევეტილი,  
 იწვის წამწამი გადაცვარული,  
 რჩება უაზრო და გაცვეთილი  
 ქვეყანა ბნელი და ანგარული.  
 ვზიგარ თთახში გამოქეტილი,  
 მწარე ფიქრებით შემოჯარული.  
 აღარა მჯერა სიტყვა კეთილი,  
 გული უბიწო და მოყვარული.  
 თვალი ბრძავდება შუქდაწრეტილი,  
 კედება ხალისი და სიხარული;  
 ლაქვარდს ესობა შავი წერტილი,  
 ცაში მზის ნაცვლად შემოპარული.  
 და შემომტირის ძარლვგაწყვეტილი  
 გული მტკივანი და გამზარული.  
 სიტყვა ამოღის შხამის წევეთივით,  
 თითქო იღვრება სისხლი ფარული.

1916

## მრინალი საღამო

წყნარი საღამო, დანისლული ცისფრად ჰაერი,  
 უფროთო ნიავი, მდუმარ მთაზე ფიჭვთა ლანდები.  
 ჩრდილთა მუსიკა და სიჩუმე მრავალნაირი.  
 შთა იისფერი და შორს სივრცე სხივანანთები.

ღამის შრიალი ტყის სიჩუმეს უახლოვდება  
 და ვარსკვლავები შეუმჩნევლად ტირილს იწყებენ.  
 ჩემს ოცნებაში მარგალიტის ცრემლი გროვდება, —  
 ვფიქრობ: მე წავალ და ჩემს ჩრდილსაც დაივიწყებენ.

თუ ვარსკვლავებმაც ვეღარ დასწევს გზა შავ ღამისა,  
 და თუ ბოლო აქეს დადებული ყოველ მნათობსა,  
 რა უნდა იყოს ჩემი ყოფნა ერთის წამისა! —  
 ელვას მაგონებს, შავ ღრუბლიდან გამონაერთობსა.

ახლა მეც ვარხევ ნიავიეთ ყვავილთა შტოებს  
 და ვარსკვლავებით საესე არის ჩემი თვალები,  
 მაგრამ სულ მალე ჩემი სული მიწას დასტოვებს  
 და ბნელ ღამეში უცნაურად დაეიმალები.

ეამი გათელის და მოკვდება წელი ათასი,  
 სული მრავალჯერ ატირდება მგონის შიარით,  
 და მუდამ ასე იოცნებებს ღამის კალთაზე  
 წყნარი საღამო, შემოსილი ცისფერ ჰაერით.

და ვარსკვლავები, ჩემს თვალებში რომ ბანაობდნენ,  
 ათას წლის შემდეგ სხვა თვალებში აენთებიან...  
 საუკუნეთა სიტურიუნი სხვადასხვაობენ,  
 მაგრამ მნათობი ერთ საჩეკეში იხედებიან.

და ვფიქრობ: ნეტავ იმ სარკეში სხივს თუ აანთებს  
ვარსკვლავთან ერთად მომაյედავი ჩემი სულიცა..  
ვხედავ: მთის ნისლი დასწოლია წყნარ ფიქეთა ლანდებს,  
და ლურჯ ბურუსით იმოსება მზეჩასული ცა.

ღამის შრიალი ტყის სიჩუმეს უახლოედება  
და ვარსკვლავები შეუმჩნევლად ტირილს იწყებენ.  
ჩემს ოცნებაში მარგალიტის ცრემლი გროვდება,—  
ვფიქრობ: მე წავალ და ჩემს ჩრდილსაც დაივიწყებენ.

სიერთობერი, 1917

## ობობას ჩხელი

მე მიყვარს, როგა ტუეში ღამე დაიბადება  
 და მყუდროება ჩემ სიმღერას დაემსგავსება.  
 ხეთა სიმშეიდეს ლოცვის სითბო მოემატება  
 და ტებილი შიშით აღიგხება ყოვლი არსება.

მწვანე შტოკებში მოდარავე ობობას ქსელი  
 შეიმოსება მთვარის ნამით და ატირდება.  
 ტყიდან ზეცამდე შემოუკლდება მანძილი გრძელი  
 და ტყე მღუმარი ვარსკელავებით დაიტვირთება.

მე ვწევარ ამ დროს მაღალ ხის ქვეშ სურნელ მდელოზე  
 და ტოტებს შორის ნაცნობ ვარსკელავთ ვათვალიერებ.  
 მომეჩენება ლურჯ პატრიში ცის ანგელოზი,  
 და ციურ სიბრძნით მიბრწყინდება თვალთა იერი.

საღლაა მაშინ შემზარავი ომის აჩრდილი,  
 კაცობრიობის ბედისწერა გარღაუვალი? —  
 ყველაფერს პფარავს საცხე მთვარის პირზე გაშლილი  
 ობობას ქსელი — უცნაური თეთრი ვუალი.

1919

## ღ ა ლ ა ტ ი

მახსოვეს მაისი. ჩეენს გარშემო სიმღერა იყო.  
 და ჩემს ოცნებას შენი ფიქრის ეცვა სამოსი.  
 ახლა საღლაა იგი კაში? ქარმა წაიღო  
 ლოცვა გულისა, ვით ლალადი წყნარ საღამოსი.

ჩემს სულს დარღვეულს დაპქეითინებს ცა გამზარული  
 და ფიქრთა ნისლი მიყაეშნებს ტებილ მოგონებას.  
 მე მტკიცა გული. ვინდა მომცეს სხვა სიხარული?  
 ან ვინ დამითრობს მწარე განცდით ფხიზელ გონებას?

ჩემი თვალები შეეჩინა შენს დარაჯობას,  
 და ჩემთა ბაგეთ არ სწყუროდა სხვა სიტებოება.  
 მაგრამ შენს სურვილს ჩემთა ცრემლმა ვეღარ იჯობა  
 და შენს თვალთაგან მემუქრება განმიარტოება.

მე შენთან მოეელ დატვირთული მზიურ ციმციმით  
 და მზის რაინდი შენ გემონე და გეღარეშე-  
 ვერ აიტანე შენ გრძნობათა ჩემთა სიმძიმე  
 და მოქანცულმა გზა მონახე ჩემსა გარეშე.

მაისი იყო, და შენს თვალთა გამოხედვები  
 სხვადასხვა ფერის ყვავილები იხატებოდა,  
 იყო მაისი, და ორ ყვავილს ვვავდით მე და შენ,  
 და ტყის ბილიკებს ჩვენი ნახვა ენატრებოდა.

ახლა მარტო ვარ, ფიქრზე ფიქრი აღმოცენდება.  
 სევდა მწარე და ვრცელია შევი გზა მისი.  
 დღე დაიღევა, დაღამდება, კელავ გათენდება...  
 თი, უფალო! დააჩქირე დენა ეგმისა!..

1919

## მ ა რ ტ ი

გამოამეღავნა მზემ გამზრახულია;  
 ცეცხლი შეუნთო ზეცის ნაპირებს.  
 ცაში შემოლის გრევინვით ზაფხული,  
 მაგრამ ზამთარი ბრძოლას აპირებს.

მზე ხან იღეთქებს ყუმბარასავით  
 და ხან ჩაქრება ღრუბლის ნაცარში.  
 კარი შეგვექნა დასარაწავია;  
 სამოქალაქო ომია ცაში.

მაგრამ იმედი გულში ხომ არი,  
 რომ გაიმარჯვებს მხარე მართალი!  
 აპრილს მოიყვანს მზე ნაომარი  
 და გაბრწყინდება ცა ნამარტალი!

1919

## აპრილის მზე

ჰაერს ცეცხლით შემოსავს სხივთ აუზის ანთება  
და ფერს იცვლის ფირუზი თქროგამორეული.  
ტყე ზურმუხტად იქცევა, ცეარი — ბრილიანტებად,  
ჰაერს ცეცხლით შემოსავს სხივთ აუზის ანთება  
და ლურჯთვალა აპრილი ტყეში შემობრძანდება,  
ვით სევდიან ფიქრებში ოცნება შორეული.  
ჰაერს ცეცხლით შემოსავს სხივთ აუზის ანთება  
და ფერს იცვლის ფირუზი თქროგამორეული.

მზის მარცვლები მიწაზე თესლად დაიფანტება.  
აქრელდება ხეები ყვავილშემოსეული,  
ყვავილებზე სხივები შეისკენება ბანტებად.  
მზის მარცვლები მიწაზე თესლად დაიფანტება,  
ზოგან ლალად დასცეითა, ზოგან ანდამატებად.  
აფარჩდება ყოველგან კელი სხივდაფრქვეული.  
მზის მარცვლები მიწაზე თესლად დაიფანტება.  
აქრელდება ხეები ყვავილშემოსეული.

ღამით მზე დაისვენებს. მთვარე დაგვიანდება.  
სალაში ეტყვის ვარსკვლავებს ფიქრი ლიმმორეული.  
ვარსკვლავთ შუქი იფეთქებს ათას ვარიანტებად.  
ღამით მზე დაისვენებს. მთვარე დაგვიანდება.  
გაციცხლდება მკვდარი ღღე მრავალნაირ ლანდებად  
და ჩემ ცას ესტუმრება გულისთქმა მთვარეული.  
ღამით მზე დაისვენებს, მთვარე დაგვიანდება.  
სალაში ეტყვის ვარსკვლავებს ფიქრი ლიმმორეული.

აპრილი, 1919

## 00სფერი უშაი

იყო, ზამთარი. შენ აპრილი გესიშმრებოდა,  
 მაგრამ თებერვალს თან მოჰქონდა ახალი სევდა.  
 და შენი სული ჩემი მშიურ ლექსით თერებოდა,  
 და შენს ოცნებას მზის იმედი ახალისებდა.  
 დღეს აპრილია. და მზის კაბა ფარჩანახვევი  
 ათასწაირად აფერადებს აპრილიან მთებს.  
 ბალში როგორდაც მზის სამოსის დარჩა ნახევი  
 და აცრემლებულ თეთრ ყვავილებს აპრილიანტებს.  
 მე შენს თეალთაგან თრი ია მეალერსება,  
 და გრძნობის თასი იისფერი შუქით მევსება,  
 და ჩვენს გარშემო ჩამქრალ სანთლებს აპრილი ანთებს.

1919

## ცათა სილურჯე

ცათა სილურჯეს ვარსკვლავებით გაეცინება  
 და ვერცხლის ელვას გააქვავებს ქავებსიონი.  
 მდუმარ ფიჭვნარში წყნარ საღამოს ჩაეძინება  
 და იის ფარდის ჩამოუშვებს ცის ამბიონი.

მთის გაღმა ღრუბელს თეთრი მთვარე დაებადება  
 და ცის გალავანს გამოჰკეტავს მძინარ მთის ტოტი.  
 ჩემი თვალების მინანქარი აფერადდება  
 იით, ზამბანით, ლალითა და ამეთვისტოთი.

წამიყვანს სივრცე, მომაშორებს მიწის შეხებას.  
 თვალებს ამიერებს ჭრელ ოცნებით ფიქრი აზიზი.  
 ვაშლის პარი მთვარის შუქის ცივ აშხეფებას  
 და მიწა შორით გამოჩნდება ეით თაშისი.

სულს უხილავის სხივთა ქრთოშა დაესხურება  
 და აენთება ურიცხვ შზეთა მპყრობელის ქებით.  
 მთვარის ლოგინი ვარდის თოვლით დაიბურება  
 და გამშვენდება მარმარილოს ობელისკებით.

უცებ იელვებს ჩემი გრძნობა თხერ-ტიალის:  
 ცაში დაეკარგავ ძლიერებას, ვით ანთეოსი,  
 და შემაშინებს ვარსკვლავთ შორის მოხეტიალეს  
 უსაზღვრო სივრცის ანთებული პიოთეოზი.

შორით მიიპყრობს შემქრთალ თვალებს მთათა გრეხილა.  
 და გავექცევი შიშისმომგერელ ცათა მეუფეს.  
 ძირს დავეშვები, ვით დემონი ფრთამოტებილი,  
 და ცრემლი წარეცხს ჩემს თვალთაგან შიშდაქმეულ ფერს.

დეკმბერი, 1919

## დათალაზული ფიჩუზი

ათი დღით ვისვენებ, მტრედისფერ აგარაკს  
 ირგვლივ ახვევია სიმწვანე ფიქვების.  
 აქ გადავეჩერი მოსაწყენ ლაპარაკს  
 და აქვე ვიგრძენი სიმწვავე იქვების.

საღამოს ჩრდილები იწყებენ საუბარს.  
 ცრუბლები ანგრევენ მოქრულ ფერანდებს.  
 ჩამავალ სინათლეს ზევიდან ცა უბერს,  
 ძირს ნისლი ჩასძირავს დაღალულ ფერადებს.

ვიღაცა ყოველდღე სადილზე მიბარებს.  
 ქალები გზავნიან ვარდისფერ ბარათებს.  
 და უკვირთ: ვინ არის — არავის იყარებს!  
 ვინ არის, რომ ღიმეს ოთახში არ ათევს!

ვინ ეტყვის ჩემს ნაცვლად ან ვაჟებს, ან ქალებს,  
 რომ მე აქ უშენოდ ცრემლით ვიტვიროთები...  
 საღამოს ჰაერში ფირუზი კანკალებს,  
 და გულში იზრდება ცისფერი ზვირთები.

ცის ფარდა მოიხსნის სხივების ყაითანს  
 და მთაზე დასცვივა ბროლ-იაგუნდები.  
 უშენოდ ხეტიალს სული ვერ იტანს, —  
 და ვტოვებ აგარაკს, და შენთან ვბრუნდები.

## თეთრი ხომალდი

ოპტ. დამიმძიმდა ტვირთი ჩემიց მოსახამისა  
 და დაღლილობის შემომერტყა ირგვლივ რყალები.  
 მომწყინდა მუდამ ერთ ნაპირზე თელა დღე-დამისა,  
 და ზღვას ეესროლე სევდიანი ჩემი თეალები.

დიღხანს ვაწვალე მოქანცული თვალი ლოდინით,  
 მაგრამ ზღვის სიერცემ აჩ მაჩვენა არც ერთი ნაერ.  
 თანდათან კუბოდ გადამექცა ციფი ლოგინი  
 და მეც იმედი მძიმე ლოდქვეშ დავაბინავე.

ჭაბოლოს, როცა აღსასრულის მანძილს ეზომავდი  
 და უკანასკნელ წუთებს თვლიდა ფიქრი გვიანი,  
 უცებ გამოჩინდა ლურჯ ტალღებზე თეთრი ხომალდი  
 და ჩემ წინ ქშენით გაიარა გზა ქაფიანი.

დუკეზერტი, 1919

## მოზანცული თვალზე

რომ არ გამომეთხოვე და უსიტყვოდ წახველა,  
 შენი სული ამაყი ისე რამ შეაშინა!  
 ჩემი გული სკივრია, გრძნობათა შემნახველი,  
 მაგრამ ჩემმა თვალებმა სევდა გამოაჩინა.

და რაც წინათ დაემალე სიტყვები სამისო,  
 შხამის წევთად ციმტიმებს ახლა ჩემს წამწამებში.  
 ფიქრი ეარდებს ჩეეული ახლა ეკლით აიგსო  
 და გველი დაბინაედა სულის ციც ფელდამებში.

წინათ თუ კნეტარობდი, შენთან ყოფნა მშენოდა,  
 ახლა რა ვარ? — საფლავი: შიგ მიწა და გარეთ ქვა...  
 ვამბობ: მას რომ გულისთქმა ოდნავაც შერჩენოდა,  
 ისე არ წავიდოდა, რომ „მშეიღობით“ არ ეთქვა.

და იწყებენ ფიქრები შავი ქსელის შენებას,  
 და მებრძეის მოგონება გამჭრალ დღეთა აჩრდილის.  
 დღით საღამოს მოველი და ღამით — გათენებას,  
 და არა მაქვს სურვილი არც ღამის და არც დილის.

შეალამით ღრუბელზე შუქი დაესვენება  
 და თვალები შენიშნავს სხივთა შეტორტმანებას.  
 იქ ოცნებას ნანატრი სახე მოეჩენება,  
 მაგრამ ქარი გადაპყვის ციდან სათუთ ზმანებას.

დილა მოახლოვდება, ცა ვარსკელავებს მოილევს  
 და ღრუბელი შეამჩნევს ჩრდილში ოქროს შემოსვლას.  
 მოქანცული თვალები ზეცას ზანტად მოივლის  
 და მოოქრულ ნაპირებს ცრემლის ნამით შემოსავს.

†

1920

## ე ლ ე მ გ ი ა

შებინდებისას მწუხარებით შევიმოსები.  
 ღამის ჰაერში ღამძიმდება მძინარე მთები.  
 აიხაზება ცის კიდეზე კვიპაროსები,  
 კით მწუხრის ლოცვით ღალალული მინარეთები. -

გავივლი ჩუმად წყნარ ხეივნებს და შევჩერდები.  
 ირგვლივ ნირვანად გაიშლება ცის მყუდროება.  
 წინშლებიან ჩემს ხსოვნაში ყველა ღმერთები,  
 და აენთება ერთი აზრი: „იმაოება“.

ქვეყნის დუმილი დიდხანს, ღიღხანს არ გათავდება.  
 და ამ დროს ყურში წამჩურჩულებს მავნე პითია:  
 „მალე შენს სულმიც მყუდროება ღაბინავდება,  
 ჰქერება სიზმრები, შენი ყოფნა ღროებითია“...

1920

## ტ ა რ ა ჩ ზ ი

ნოემბრის ქარში ციფ ქუჩაში მოხეტიალეს  
 შემაკრობს ზარი და ტაძარში შევალ შემთხვევით.  
 მოეისმენ ღალადს. ძველი გრძნობა უცებ იალებს.  
 ავანთებ ცრემლით ჩემს წამწამებს და ჯვარს ვემთხვევი.

არ ვიცი ბრძენი განცდის ამგვარს თუ რას დაარქმევს:  
 არა მწამს ღმერთი და მის სახლში რათ მეტირება!  
 გამოვა მღვდელი. საცეცხლური სურნელს დააქმევს  
 და ჩემი ფიქრი ცისფერ კომლში ჩაიძირება.

სიყრმის ბურუსში გაბრწყინდება ღრია შორეული:  
 ალდგომა ღამე. საალდგომო თეთრი ხალათი.  
 მამის საფლავზე დედაჩემი ცრემლმორეული.  
 იქვე სანთელი და საყურთხით საცხე კალათი.

საბრალო დედა! ჩემი გრძნობა უზენაესი  
 შენს მწუხარ სახეს განუწყვეტლივ გარს ახვევია.  
 კეთილი დედა! ჩქარა გაქრა ჩემი მაისი,  
 და ბნელი ღამე, ო, რა მძიმე გასარღვევია!

წერიალებს ვერცხლის საცეცხლური, და საკმეველი  
 აღსავლის კარებს ცისფერ ღრუბლად ენარნარება.  
 მორწმუნეთ შორის ვდგავარ უცხო კათაქმეველი,  
 მაგრამ „განვედი“ ჩემს ოცნებას არ ეკარება.

თაედება ლოცვა. ასენებენ ჯვარზე ნაწამებს.  
 დამავიწყდება რომ შემოველ მე აქ შემთხვევით.  
 ავანთებ ცრემლის ნაპერწლებით დახრილ წამწამებს.  
 გადავდგიმ ნაბიჯს მოწიწებით და ჯვარს ვემთხვევი.

## ღამის მხატვარი

საღამოს ჩრდილში დაისვენებს დღის მოჩენება.  
ხენი ცისაკენ ამართავენ ტოტებს მუდარით.  
მზე გარდაცვლილი ლურჯ კუბოში ჩაესვენება  
და ცას მოაწყენს იისფერი ნისლის სუდარი.

ჩამერალ მნათობის გაბრწყინდება ცაში ხსენება.  
იისფერ ნისლში გათეთრდება კოშკი ღრუბლისა.  
სიზმრად იქცევა სიცხადეში რაც დღეს ენება  
და ცას მოიელის ლმობიერი სიტყვა უფლისა.

სხვადასხვა სახის არ შესწყდება კოშკთა შენება  
და მთელი ღამე იელვარებს ღრუბლის დიდება.  
მაგრამ მოუსწრებს ღამის მხატვარს დღის გათენება  
და ბროლის ქალაქს უცებ ცეცხლი წაეკიდება.

და დაინგრევა წითელ წვიმით ოეთრი შშვენება.  
მაგრამ მწვანე ცას ნანგრევები არ დააჩნდება.  
შეწყვეტილ ზღაპარს კვლავ განაგრძობს დღის მოჩენება,  
და მზე ახალი სხივთ აკვანში ათამაშდება.

1920

## సాధామంస తాపిలి

మంగిలం లంబీ శుచ్ఛనాయ్రాద అనాక్షార్ణేభి,  
డా శేమంసుఫలూ జార్విసట్టేరో సాంశ్రే మిష్టిసా.  
శేసప్రింగ్ డా మిష్టిసా డా దామెంట్రూరా ఠొగవల్లిప్ కార్ణేభి:  
ఎంలోసట్టేర్ టూచర్లింట హిమంబ్మశ్రూరా సార్జమ్మెల్లి ప్రిసిం,  
డా ర్చిమంసిస్సా మింటిటింల్స్ ర్చాన్చీ సింథం బొస్లిసా,  
డా ప్రిసి క్రిడ్యేశ్ మిష్టిప్ కొర్డిల్లింట గాంచ్చ్యోల్లేభి.  
డా మిస్ట్యుడా శ్యుప్ శేలామ్మెబిసి బెంబా గ్యుచ్చొబొ.  
కొఫ్ఫూరా త్యాగ్రహి బెర్చ్చుపొన్వాల్లేభి కాచ్చెచ్చించిని.  
డాశ్చుక్కొ మిష్టిమి డానొసల్ముల్లి మిష్ట్యోన్ త్వాల్లేభి.

స్వే మిష్ట్యుబెర్లిస శామిస వ్యాఘమిపుణ్యి నొశి జాల్చ్చుల్లి  
ఒగ్గుమ్మినొబస సింగ్యోగ్ డా సార్జమ్మెల్లిశ్ హిమంస్ట్రేగ్ స్టూచర్లాస.  
డా మింట్సుఫల్స్ తింబిల్ మింటిసింబిసి డా మింప్యాంపుశ్లి  
మిష్ట్యేబా కొమిండి. డా ప్రసిద్ధుపుణ్యి కొమి ఏర్ ప్రింటింటి,  
డాప్రిష్యుబిసి ల్లంప్రువాస మ్యుఉద్రింగ్ డా మింప్యాంపుశ్లి  
ఎంప్రిష్యుట్ జాల్చిసి డామిష్యోండ్లైబా స్ట్రులొస్క్వెట్లైబా,  
డా త్వేతిర్ బాల్చిష్చీ శ్యేశ్వరింగ్ కొల్లాద డాప్యేట్లైబా  
సింథిరింట డామిండ్రుల ప్రిసట్టేర్ త్వేంతా లొం కార్ణేభి.

1920

## დამის სარქმეზი

ჩაქრა სანთელი და უნებურად  
 ჩამქრალ სინათლეს მეც თან გაეყევი.  
 სივრცე დაბშული ჩრდილს დაებურა.  
 სადღაც ელავდა შექის ნახევი.  
 არ იყო დამე, არც გათენება,  
 აღარც ხმაური და არც სურნელი.  
 იყო სიჩუმე და მოსვენება,  
 ყოფნა უმიზნო და უზრუნველი.  
 დღეთა განელილთა ჭირი და ლხინი  
 ორივ ბურუსით იყო მოცული.  
 იყო ქვეყანა, ვით ბალდახინი  
 ჩუმ სასაფლაოს ქართან მოსული.  
 და თვით სიჩუმე ჩამქრალ სივრცისა  
 იყო გოდება და გლოვის მაჩში.  
 აქ უწინდელი სახე მიწისა  
 მაგონდებოდა როგორც სიზმარში.  
 თითქოს ბურუსში მოჩანდა შორით  
 წამების ჯვარი და აზარფეში.  
 ტანჯვის და ლხინის სიმბოლო თრი  
 მოჩანდა მხოლოდ ღამის სარკეში.

1920

## მე და უნი

„იყო მასი, და იმ უვაყილს  
 ვგავდით მე და შენ...“

შემს დაღლილ სახეს როგორ უხდება,  
 სწეულ სექტემბრის ქარვათა ხაზი!  
 შემს მუქ თეალებში დღე შეწუხდება  
 და ფოთლებს დაჰყრის ოცნება ნაზი.  
 ოქროს ტყეები დაიბინდება,  
 უცებ შეწყდება ფიქრთა თარეში.  
 და შენი სული გადაფრინდება  
 მოგონებათა უცხო მხარეში.  
 შენ მიაღები იქ ნაცნობ კარებს,  
 და დაგიხვდება კარები ლია.  
 ნაღვლიან განცდით კვლავ გატამწარებს  
 ცრემლი, ორივეს რომ დაგვიღვრია.  
 ჩემო ძეირფასო დიღი ხანია,  
 ღამის დუშილში და სიწყნარეში,  
 მეც ჩემი სევდა მომიტანია  
 მოგონებათა უცხო მხარეში.  
 ახ, ჩემო კარგო! გრძნობათა მცველი  
 მხოლოდ ფიქრია, ცრემლში ნალესი.  
 ისევ იეანთე მიასი ძეელი  
 და დაცწვი გული უმხურვალესი.  
 ცრემლმა დატეირთა ჩემი სიტყვები  
 დაუსრულებელ სიმწუხარეში  
 და დამრჩა მხოლოდ ძეირფასი ქვები  
 მოგონებათა უცხო მხარეში.  
 ამიტომ მიყვარის, შემს სახეს დაღლილს  
 რომ სექტემბერი ასე უხდება.

მწე გაანათებს ქარეას, ძირს დაღვრილს,  
 და შენს თვალებში დღე შეწუხდება.  
 დაპხრის წამწამებს სხივთ მრწყინვალება,  
 და ტყე, ლალით და ქარეით ნაშენი,  
 ცისფერ ბურუსში დაიმალება,  
 და ფოთლებს დაპყრის ოცნება შენი.  
 ცეცხლის დანთება კვლავ მოგინდება  
 ყვითელ ფოთლების ცივ სამარეში,  
 და შენი სული გადაფრინდება  
 მოგონებათა უცხო მხარეში.

1920

## შორემული ნავირი

1

იყო უჩვევი და უეცარი  
 ცის უცნაური აელვარება.  
 ციდან დაწვა ცეცხლის ზეწარი,  
 დასწვა ლოდინი და მდუმარება.  
 წუხდა საღამო დაფიქრებული,  
 მოსილი ცისფერ შადრევნის სხივით.  
 სერაფიმების თეთრი კრებული  
 იდგა პატარი მსუბუქ ნისლივით.  
 მოვარდა ქარი ცეცხლის ფაფარით,  
 დასწყვიტა ცაში ყველა სიმები.  
 გარდაიცვალა ძევლი ზღაპარი  
 და გადაფრინდნენ სერაფიმები.  
 სიცრცე დაეთმო შაფროთიან გველებს.  
 ცაში ავარდა ჩყინის აფრები,  
 და პროპელერმა მწუხრის ანგელოზს  
 მოულოდნელად მოსწყვიტა ფრთები.  
 და სადაც წინათ, შეუმჩნეველი,  
 შეს იწრდილებდა შუალლით ფავნი,  
 იქ აეარნდა ტყვეისმფრქვეველი,  
 პატარი გამონაგზავნი.

2

ჩემს სიყმაშვილეს ნაღვლიან ბედმა  
 ყვავილთა ნაცელად დაუგო ნარი.  
 შემოსა სევდის შარავანდედმა  
 სიმღერა სნეისოფის გაუგონარი.  
 და როცა მთვარის თოვლიან ჯამით  
 იღვრება შუქი და მყუდროება,

მე ხშირად მესმის ხავერდის ღამით  
უცნაურ ხმათა მოახლოება.  
თითქო მზის ტვირთი ცამ ვერ აზიდა  
და მიწას ელის ცის დაბნელება.  
და შუქთან ერთად ციურ თასიდან  
იღვრება შიში და სურნელება.  
შორეულ წვიმის ხმა ისმის წყნარი  
ანთებულ ღრუბლის ლია სავანით,  
და იბურება ჩემი სიზმარი  
ჰაერში მცურავ იასამანით.

### 3

ანგელოზიეით ძირს დაიხრება  
ოცნება, სულის ნაზი მხლებელი,  
და დამშვიდებულ გულში იღვრება  
მოგონებათა ნელსაცხებელი.  
გახსნის ნაპირებს ნაკადი ტკბილი,  
მოღის სიზმარი განაცხადები:  
დედის ოთახი, ყოველთვის თბილი,  
დაბალ კედელზე ძეელი ხატები.  
ხატის წინ სამი თაფლის სანთელი,  
და ვერცხლით საესე პატარა ქისა.  
ხატზე დოლბანდი და შარშანდელი  
ფოთოლგამხმარი წმინდა შტო ბზისა.  
ზუაში ჯვარცმა, როგორც საყდარში,  
ირგვლივ — მაღონა, მირქმა, ხარება.  
თარიოზე ტყვიის გაცრეცილ ყდაში  
ძეელი ფსალმიუნი და სახარება...  
აქ იყო ჩემთვის გამონარჩევი  
ოცნება, დედის ცრემლით ნათესი.  
ამ დროს ეკუთვნის კურთხევა ჩემი  
და მოგონება უძვირფასესი.

### 4

არ ვიცი ზეცა თუ რას მიქადის...  
მივყავარ ბედის საშიშარ ქარებს.  
ჩემს სულში ვიღაც უცნობი დადის  
და ეძებს უცნობს აღსაელის კარებს.

არ არის ქარი! არ არის ქარი!  
 უნდა დაიწვას საკანი ძველი.  
 მოვარდა უცებ შზის ნიავლვარი  
 და გადარეცხა ათასი წელი.  
 ათასი წელი, ათასი აზრი —  
 და ერთი წამის დახამხამება.  
 ო, რა ჩეარია, მწველი და მყაცრი  
 დროთა საზღვარზე შემოღამება!  
 პირქუში ზეცა ჯანყს არ გაღიყრის,  
 უამი არ ცხრება მუდამ მბრუნავი,  
 და უვარსკელავო ღამეში შიპქრის  
 შიშით მოცული უაფრო ნაერი.  
 და მოჩანს შორით ზღვაზე დახრილი  
 ცეცხლით და ნისლით ნაფერი სარჩევ,  
 და განწირულთა ისმის ძახილი:  
 ნაპირისაკენ! ნაპირისაკენ!

### 5

დაპქრავს საათი კერპთა დასეტყვის.  
 მიწას მოივლის ცეცხლის მოდება.  
 და ძველ ძვეუნას რექვიემს ეტყვის  
 ჩემი ნაღვლიან სულის ვოდება.  
 ოხ, ჩემთვის ძნელი მისაღებია  
 შურისძიება ახალ მეტოქის.  
 ცეცხლის ექანზე ისახებიან  
 ძვირფასნი ჩრდილნი წარსულ ეპოქის.  
 ცეცხლში უეცრად გადასხვაფერდა  
 ძველი ფიქრები და იმედები,  
 და ილეწება ბორეილთან ერთად  
 წარსულ დიდების თეთრი სვეტები....  
 და ჩემს ფიქრებში ცრემლი გროვდება.  
 ვიღაც ჩურჩულებს: არ არის მჯდარი...  
 დროთა მიჯნაზე საღამოვდება.  
 საღლაც პევითინებს მწუხარე თარი...

### 6

მგოსნის გონება სარკეა სრულის.  
 არ არის მისთვის სამშობლო კერძოდ.  
 ყველგან ერთია მუსიკა სულის,  
 და სული ბრუნავს მსოფლიოს ლერძად.

სხვადასხვა ქვეყნის თერზაურში  
 მუსიკად ისმის შექსპირი, შოთა.  
 ერთად იწვიან სულის აუზში  
 ელვარებანი სხვადასხვა დროთა.  
 მაგრამ სხვა არის — სისხლში ფარული  
 როცა იყლებს ძევლი სახელი.  
 მიქეროლავს რაში ლეგენდარული  
 და წინაპართა ისმის ძაბილი.  
 ჩემი ქვეყანა მიყვარს მე მაშინ  
 განსხვავებულის ლმობიერებით,  
 და ჩემი სისხლის გრძელ პოემაში  
 ბრწყინავენ დრონი ძეირფას ფერებით.  
 გაქრალ სახეებს ფიქრი გარს უვლის,  
 მოგონებებით რომ ავენოვები,  
 და იუერება ჩემი წარსულის  
 ფერგალასული ორნამენტები.  
 და მიყვარს მაშინ მზის სიმხურვალე,  
 ჩემი სამშობლის ცა სხვანაირი,  
 სული, სიახლის მარად მწყურვალი,  
 და ჩემი მიწა, ჩემი პაერი;  
 მიყვარს ეინელილი ნათელ ხელებზე,  
 ერი, ჩირალდნით განათებული,  
 და საქართველო, ცეცხლის ელიპსზე  
 უმთა სივრცეში გაქანებული.

## 7

აქ უყვართ ბრძოლის სპეტაკ რაინდებს  
 მიუვალი გზის ახმაურება,  
 მაგრამ შობილი სულს ვერ თინთებს  
 შშობელი ზიზლით თუ იბურება.  
 და სმულთ ამიტომ აქ ნაძირალი,  
 სული ნაყიდი და გაყიდული.  
 აქ გზას იკაფავს ნათელ სპირალით  
 ახალი ქველთან გადაზიდული.  
 აქ სათნოება უდაბნოელის  
 ერის წარმართულ გრძნობას არა ვნებს,  
 და ძველი კოშკი მუდამ მოელის  
 ოქროთ დატვირთულ ზღაპრულ ქარავნებს.

ო, აქაც უყვართ თამაში ქართან,  
 როცა ინგრევა ზღუდე მაღალი,  
 მაგრამ იციან როდის სოქვან: ფარდა  
 და სად ამართონ მიჯნა ახალი.  
 სშირად მახვილი შეუპიკერთა  
 ელეოთა სისხლით დაიტერება,  
 მაგრამ გრიგალი თუ ამოვარდა,  
 მას შეჰქრავს ჩიტმი და ამღერება.  
 და ნაპირებში თუ აღარ იცდის  
 საზღვარშაშლილი ენების ქაოსი, —  
 უცებ მოვარდნილ ცეცხლის ღვარისთვის  
 მზად არის ჩარჩო ციფ ბრინჯაოსი.

### 8

ტკბილია სისხლით შეზარხოშება.  
 ვრცელია ბრძოლის ხმის ასპარეზი.  
 მზის ნაფლეთები წითელ დროშებად  
 გადმოეკიდა ჩამქრალ მთვარეზე.  
 და მიპქრის მიწა, გიერი პლანეტა,  
 ალისფრად მოჩანს ცა გაფატრული,  
 მიპქრის მძებნელი სხვა სავანეთა,  
 და სხვანირი მზის მონატრული.  
 ძველი ორბიტის ამსხერევა რგოლი.  
 ბურუსში ბრწყინვავს ახალი რეალი.  
 ელვით გამზარულ ცით მონაქროლი  
 მძაფრდება ოშიო რღვევის გრიგალი  
 ეპა, ვინ იცის, შორეულს კიდეს  
 ეს გაქანება ნახავს თუ არა  
 იქნება მიწის სურვილს უდიდესს  
 სატანამ აღრე გადაუარა.  
 მაშინ ცას შეჰქრავს ძველი თაღები,  
 და მზის ამოსვლა დაიგვიანებს,  
 და სხვა ბორეილი, სხვა არტახები  
 შესცვლის აწყვეტილ მერიდიანებს.  
 ვინ იტყვის მაშინ, სად დაშვიდლება  
 რეინის გონება აზივთებული!  
 სად დაემზობა ბრძოლის დიდება  
 და სად ჩაქრება გზა ანთებული!

1921

## ჩამჩრეალი საცოდლი

როგორ მიყვარდა მწუხრის ჩრდილთა ჩემი ვედრება,  
ჩამავალი მზის ბრწყინვალებით განათებული.  
საოცარია დასისხლული ცის გათეთრება,  
როცა ლაქვარდში იძირება მზე ანთებული...

მე ავდიოდი ცისფერ კოშკის მარმარილოზე;  
საფეხურებზე შექი ენთო ფერად ლვარებად.  
სისხლი ჰყეაოდა პორიზონტის ყვითელ ტილოზე,  
და ისვენებდა დაქანცული მზის ელვარება.

უცებ მოვარდა ქარიშხალი ზღაპრულ დევებით,  
და იტორტმანდა მწვანე სიერცე ცეცხლის რკალებში.  
აივსო ჩემი ბროლის კოშკი ცის ნანგრევებით  
და ქარმა სილა მომაყარა ლია თვალებში...

გუგუნებს ქარი და ოცნება თვალს ვეღარ ახელს.  
გაბზარულ მიწას ხშირად უკლის ტანს ერუანტელი.  
შარავანდედი ეყარგება პოეტის სახელს.  
ვაიმე, ჰქერება პოეზიის წმინდა სანთელი..

1921

## ტანჯვის ბარძიში

1

ჩვენ მიღდიოდით და ბალის წინ გაიხსნა ხილი,  
აენთო ცაში დახუეტილი ფირუზის მტკერი.  
გვესტუმრა შიში და უცნობი კრძალვა და რიდი:  
გზა იყო ერთი და გზის ბოლოს მოჩანდა მტერი.  
ფირუზის თოველით დაბურული უცნობი ქალი  
ჩმქრალ თვალებით გვიცეროდა ხილის ბოლოდან.  
ჩვენ იმ თვეაღების გავვაქრობდა შევი გრიგალი,  
რომ საშიშ გზაზე სიყვარული არ გაგვყოლოდა.  
დათრეუნა სისხლის ავავებამ მტრის დანაქადი  
და ერთად შეტკრა ორი გული გაუთმშავი.  
ჩვენმა მელავებმა გადააბა სისხლის ნაკადი  
და ოთხმა თვალმა გაანათა გზა საშიშარი.

2

ო, როგორ მინდა დავიბრუნო ღრო გაქცეული,  
როცა ყოველ წუთს უხაროდა ჩემთან ანთება.  
დაიწვა უჩვე სურკილებში ჩემი სხეული  
და სულს საყანის დატოვება აგვიანდება.  
ნელის ნაბიჯით გამაერებ ქუჩებში ღამეს.  
ავაესე სული ფრთის ნალეწით და დავამძიმე.  
დამინშეს ფრერთა სურნელება და მომიშნამეს.  
ანთებულ გულში ჩამისვენეს ქრისტეს ბარძიმი.  
როგორ მშეურია დავიბრუნო ძეელი ხალისი,  
როცა ყოველ წუთს ანათებდა მზე უეცარი.  
რა ჩქარა გაქრა მოჩეუნება შესაბრალისი!  
ნუთუ სიზმარი და სიცხადე მხოლოდ ეს არი..

გვიყვარდა ფარჩით შემოსილი მიღამოები.  
 მქერდგამზარული ძეელი კოშკი სუროდართული.  
 დამდნარი ქარეით დატეირთული თბილი შტოები  
 და დაბურული ხეივნები, მზით დახლართული.  
 ოქროს ბილიკებს თავს უყრიდა წლვისფერი შეკა.  
 ყვითელ ბურუსში კოშკი ენთო როგორც კანდელი.  
 მზე ჩამავალი იღვრებოდა ათასფერ შუქად.  
 მომაკვდავ ფოთლებს ათრთოლებდა სხივი ერუანტელი.  
 და ჩვენ ვკოცნიდით თბილ ქვიშაზე ჩვენსავ ნატერუალს,  
 გული თერებოდა აუტანელ ბეღნიერებით.  
 და გვიხაროდა, რომ ვისრესდით მზით ინატირ თვალს,  
 როცა პაერი ელვარებდა ზლაპრულ ფერებით.

ჩვენ მიედიოდით და ამალლდა სვეტები ხილის.  
 დაეშვა ციდან მოოქრული თოვლის გედები.  
 ო, უცნაური მოჩვენება რა სწრაფად მიღის!  
 რა ჩქარა ქქრება სიმხტერვალე მწველ იმედების!  
 ჩვენ გადავეშვით სანებიეროდ და სათარეშოდ  
 იისფერ ზლვაში მზით დაუანგულ ვნებიან ტანით.  
 ვესროლეთ ნაირს მარგალიტი უანგარიშოდ  
 და დავასუსტეთ მაჯისცემა ბევრის ამტანი.  
 და როცა ჩრდილი შემოევლო თვალთა რადიუსს,  
 და სისხლის ქაფად დაიწრიტა ხმა განწირული,  
 მოვხსენით თვალი დაშლილ მირაჟს და მარადიუსს  
 ცეცხლის სარდაფში გამოყერეთ ნება გმირული.

და ჩვენ ვფიქრობდით: არ დათვლილა ჯერ ყველა სხივი,  
 კიდევ ბევრია ჯერ უცნობი ტყეში ყვავილი.  
 ყველა სიმღერა ჯერ არ თქმულა, რაც სულში პლეიის.  
 ბევრჯერ იღლვებს სახე ციდან ჩამოყანილი.  
 ჩვენს ირგვლივ ბევრი იმაღლება უცხო სანთელი,  
 და თავის დროზე ჩვენს თვალებში დაბინავდება.

მზეთა ქარავნის უნიპირო კორიანტელი  
არავინ იცის ჩოდის, სად და ჩით გათავდება...  
და შეშინებულ ოცნებაში იშეა აღერსი.  
და დავინახეთ სანუგეშიდ ავადმყოფ თვალთა:  
ბრინჯაოს მთაზე ნარინჯისფერ შექმანალესი  
მარადი ქალის მოსასწამის ბრწყინვალე კალთა.

### 6

ციურო დედავ! აგვიპყრია შენსკენ ხელები,  
ტანჯვის წუთებში დაქტენილი მტკიცან თითებით.  
ბნელი მღვიმეა ჩეენი სული, საესე აევლებით.  
დაგვემსხვრა სკივრი და დაიბნა მარგალიტები.  
ეზა დაიჩრდილა, უჩირალნოდ მივალთ ბარბაცით.  
გვწყურია ლოცვა, სასწაული და დამშეიდება.  
ჩეენს ოცნებაში საფირონის იწევის დარბაზი,  
და თეთრ სასახლეს მაღვე ცეცხლი მოეკიდება.  
შავ გოლგოთიდან ისე მოჩანს იქსოს ჯვარი,  
ვით ბნელ სიერცეში აფრენილი შავი არწივი.  
ციურო დედავ! შეიკრძომე სული დამწევარი  
და აგვაშორე ანთებული ტანჯვის ბარბაში...

### 7

მიღის უნახავ კუნძულისკენ ოქტოს ხომალდი,  
მაგრამ იმედი ისე დასჭირა და გალარიბდა,  
რომ შორეული ნაპირების აღმოხდომამდი  
დალუპავს ხომალდს ზღვაში სცილდა და ან ქარიბდა.  
არის სურვილი ამ ქვეყანას ეთქვას დასტური,  
როცა სიამით ყალბი წუთი გულს დააჯერებს, —  
ცრუ მოჩეკნებას ააშენებს სიერცე მაცდური,  
მაგრამ დიღის ხინთ ცაში კოშქებს არ შეაჩერებს.  
დაპბერავს ქარი. დაინგრევა ცა დაიისხლელი,  
იელებს ჯვარი უიმედო და უტყუარი,  
რომ ფრთადალეწილ აღმაფრენას დარჩეს სირცხვილი,  
და მთელ ქვეყანას — საბოლოო მტკიცე უარი.

### 8

სულ დაგველუბა სამეაული რაც შევინახეთ.  
დროთა ცელისაგან კერალერი გადავარჩინეთ.  
წუთითლა მაბსოვს მზის ქორწილში ჯდომა ინახით.  
შეგვრჩა ბოლომდის მგზავრის პარკი და ყავარჯენა.

არ ვიცი ფამი რატომ დადგა ესოდენ ცუდი:  
 იქნება იგი თავიდანეე იყო ამგეარი.  
 ასწიდ გველივით იქბინება ყოველი წუთი,  
 და თავს ბალიშად ენატრება სისხლის ლანგარი.  
 შევდექით გზაშე, — წინ სავალი ცოტალა დარჩია, —  
 და მოვიგონეთ სულის საჩე რამ დაგვითალხა,  
 გარდასულ დღეთა წარმოგვიდგა უმიშნო გარჯა,  
 და ჩვენს თეალებში გადაიშევრა მდუღარე ტალღა.

9

აღარ მწყურია დავიბრენო დრო გაქცეული,  
 როცა გონებას აბრუებდა ცა გამეეირვალი,  
 საკუთარ ცეცხლში დაითერთლა ჩემი სხეული.  
 მეგობრის კუბოს დაქვეითინებს სული მტირალი.  
 მტკიცე ბრძოლითაც ბედისწერა არ გამოკეთდა.  
 ვარ ცის ქვეშ მარტო და ედარაჯობ ჩემსავე საყიშ.  
 ო, ეს ქეცყანა ყოველ მხრიდან ვინ გამოკერა!  
 დაბმული სული ვერ პოულობს ვერსად ვასაქაშ.  
 ვდარაჯობ კუბოს და მიცემრის ძვირფასი მევდარი.  
 დალეწილ ფრთხებით გაიქროლებს ოცნება მძიმე,  
 ბნელ გოლგოთაზე გაბრწყინდება იესოს ჯვარი.  
 და მთვარესავით იენოება ტანჯვის ბარძიმი.

10

რა პატარაა დედამიწა: სულ მცირე ბალკ  
 დაუსრულებელ სამყარომი მოხეტიალე.  
 ყველა ფოთოლზე დასმულია სიკედილის დალი.  
 ერთია ცეცხლი: უმინნობის უშრეტი ალი.  
 დიდი ხანია დათველილი ყველა სოფელი.  
 დატკეპნილ ტყეში ნაცნობია ყველა ყვავილი.  
 ყველა სიმღერაშ ამოსწურა საგალობელი,  
 და არაეს სწამს ღმერთი ციდან ჩამოყვანილი.  
 მიედივარ მგზავრი, ცისფერ შუქით თვალაბეეული.  
 ყოველგან ვხვდები ჩემს ნაყვალეუს, გაელილს ათასჯერ.  
 დახშულ გვირაბის ნაცნობია ყველა ხეეული...  
 მოღი, სიკედილო, გზა წყეული უცებ გადასქერს...

1922

## ანთებული საღამოები

მე მიყვარს შუქი ანთებულ მიწის,  
 აყვავებული ცის მყუდროებით.  
 ჩემს ოცნებაში ყოველთვის იწვის  
 მზით დასისხლული საღამოები,  
 როცა იცვლება იქ ყველაფერი  
 ათასი სარკის ფელვარებით,  
 და დედამიწის მწვანე ნაპირი  
 შედის უფსკრულში ახალ კარებით.  
 ძირს დაეშვება ოქროს ბოძები,  
 ცეცხლში ცურავენ ზღვის ხომალდები.  
 ელავენ ცაში ანგელოზები  
 და იწვის მთების ლურჯი კალთები.  
 მზე მაღალ მთაზე გადმოაბიჯებს —  
 ქალი ბრწყინვალე და ულმობელი, —  
 და ერთი წამით თვალს გააგიდებს  
 შარავანდედი გაუქრობელი.

1922

## სასახლის ბაღზი

შემოვა ბინდი ღია საჩქმელში,  
 მთაწე ჩაქრება მზის ბაირალი.  
 მოგონებათა ცისფერ საჩქეში  
 აშრიალდება სასახლის ბაღი.  
 ახლდება ერთი ამბავი ლექსში,  
 ცრემლის წვიმებით დანაძველები:  
 იისფერ შექმნე თეთრ ყვავილებში  
 იელუებს ქალის თეთრი ხელები.  
 და შეირჩევა ყვავილთა გროვა,  
 ჩუმი კანკალით მოშეცდება ღერო,  
 და თეთრი ქალი აუზთან მოვა,  
 რომ სიყვარული მეც დავიჯერო.  
 მაგრამ დარეკავს საათის ზარი —  
 და დაეცემა ბაგეზე შხამი.  
 გაქრება უცემ ტებილი სიზმარი,  
 და ატირდება თვალებში ღმე...  
 ნამს ჩამოჰყება მჭენარი ფურცლები.  
 იურვებს მწარედ სული მტკიცანი.  
 და მიმავალი ქალის ქუსლებით  
 ახმაურდება შორს ხეივანი.

1922

## უძილო ღამე

1

არ დამეძინა. შუქი გაესხენი  
 და გადავფურულე ძველი წიგნები.  
 „ტირიან თვალი ცრუმლით საფსენი...“  
 მცირე ხნით მაინც მათთან ეიქნება...  
 სევდით ენთო ჩემი საწოლი, —  
 გარდასულ დროთა ვიგრძენ სურნელი:  
 „... რაინდს უყვარდა სხვისი საცოლე,  
 სტანჯავდა იქვი განუერნელი.  
 ვაერ — ოცნებით ნაყიჩილარი.  
 ქალი — შეელიყოთ წყნარი და ნაზი!..  
 რაინდმა გულში ცეცხლი ჩაჰყარა  
 და თეისი ბედი დასდო დანაზე.  
 — წალი, თაეადი ნახე, წყეული,  
 და ნადირიკით სადმე დაპჟალი!..  
 მოქმედა რაინდმა საქმრო რჩეული.  
 დაქრილ შეელიყით ატირდა ქალი.  
 რაინდმაც სისხლი გადაიხადა:  
 მოკედა მეტოქე და გამთიშველი.  
 მტრიალი ქალი წავიდა ხატთან,  
 შავეად ჩატმული და ფეხშიშველი“.

2

ეს იყო ძველად, როცა სულს სწვავდა  
 გნება ბავშვივით ნასათეთარი;  
 როცა ყოველ ყმას ბატონი ჰყავდა,  
 და ყოველ ბატონს — ყმა საკუთარი.  
 იყო შეჩჩევა მელაქეთ სიმარჯვისა,  
 იყო მშეიღობა ხენასა და მეაში;

ენთო კოშკებზე ღრმაშა ფარჩისა,  
სათოფურებში კეცსაცდა კაერ.  
ეს იყო ძელად. ახლა სხვა არი  
გულის ტკიფილი მეოცნებეთა.  
გარს შემოევლო სისხლის საშლეარი  
ოქროს გვირგვინებს ძლეულ მეფეთა.  
ღრმაშა გაისჩწნა დამპალ ძაფებად,  
ფანგმა შექამა კაერის თოფები.  
მიწას მიათრევს სხვა მისწრაფება.  
ცაში ბრწყინავენ სხვა მნიობები.

### 3

მძიმე ფოლადის მოვარდა დევი.  
სხვა სიხარული! სხვა მწუხარები!  
ვერ იტევს მიწა, ბევრის დამტევი, —  
და ქვეყნის გული სკდება ღარებად.  
მუდამ მრისხანე, მუდამ მწყრომელი  
ეს დრო ჩვენს ლონეს აღემატება:  
ათი წლის ნგრევა დაუცხრომელი, —  
საშიშ ქედების გადანათება.  
ომი, ამბოხი და აღშფოთება! —  
ჰყივიან ერთხმად რკინა და ლევდი.  
ცას ვარსკვლავები სცვივა ფოთლებად,  
ცეცხლის ქარიშხლით ჩამონახვეტი.  
ვის არ მოღუნავს ეს გაბრაზება,  
გმირთა საქმენი და სიმძაფრენი!  
ყველას გვაჩნია შუბლზე ხაზებად  
საუკუნეთა გადანაფრენი.

### 4

და ვფურცლავ ძველ წიგნს მეტის ხალისით,  
სხვისი ტანჯვის და ნალვლის მწოველი.  
მიყეირს, რაინდმა ლამაზ ქალისთეის  
როგორ გასწირა ქვეყნად ყოველი.  
აკვენსდა ქალი — დაჭრილი შეელი, —  
მეტის ტკივილით და სიმწვავითა.

შავად ჩატმული და ფეხშიც შევეღი  
ხატის მხევალი ხატთან წავიდა.  
და მოდის ფიქრი: ჩანს, ყველაფერი  
წარმავეალია ამ ქვეყანაზე.  
რჩება ზღაპარი ცრემლით ნაფერი  
და უანგიანი სისხლი დანაზე.

### 5

წარმავეალია ლხინიც და ჭირიც.  
ო, ყველაფერი მიდის და პქრება.  
რა მიზანი იქვს სიცოცხლის ჯირითს,  
თუ არ ხელების გულზე დაკრება.  
მოჩვენებაა მიზნის მიღწევა  
სახეთა მუდმივ ფერის ცვალებით,  
ბოლოს მატლების ბინად იქცევა  
დღეს მაღალ აზრთა სარკე — თვალები.  
და ბრძოლის გრძელინებით საესე ყურები  
ითვისებიან საფლავის ქვიშით.  
ჩვენი გზის ყველა საფეხურები  
ანთებულია სიკვდილის შიშით.

### 6

რათ არის ტანჯვა და ქბენა თითის,  
თუ უკვდავების ღმერთი აქ არი?  
ო, ყველაფერი პქრება და მიდის,  
და უფსერულისკენ ერთია კარი.  
გაოცლის ხინი — და დღევანდელი  
დაიმსხვრებიან ცეცხლის რაშები.  
იელვებს შორით სულ სხვა კანდელი,  
სხვა განთიალით ნარიერავები, —  
რომ ისიც ჩაქრეს ისე ანაზღად,  
რომ ვერ მოასწროს სხივთა აკრეცა...  
ო, ყველაფერი ამ ქვეყანაზე  
ნისლის ნავივით ჩნდება და პქრება.  
ვიცი: მეც იმ ნაეს მიეცებებები, —  
გაიხსნებიან შავი არხები,  
და ჩემი ქმუნვით და ოცნებებით

მეც იმ წყვდიადში დაეიძარჩები.  
მეც იქ დაელპები, სად მორწმუნეთა  
ლპება იმედი ნანუგეშები,  
სადაც ნაგავი საუკუნეთა —  
ძველ ეპოქათა პურია ლეშები...

7

არ მეძინება. წიგნი გაეხსენი  
და წავიკითხე ძველი ამბავი.  
ბრწყინავენ თვალი ცრემლით სავსენი  
და დანა სისხლით დასავანგავი.  
ციფ სტრიქონებში დაპქრის ქარივით  
წარსულ დღეების ნამოქმედარი.  
პქრება სინათლე ჩრდილის ჩარევით  
და აჩრდილს მისდევს თეთრი მხედარი.  
მთიდან ჩამოლის ჯარი ყინულის,  
და ელვარებენ შუბის წვერები,  
და ველი, თოველით გადაზვინული,  
იწვის შუქნაკრავ წითელ სერებით.  
მოულოდნელი ისმის ბრძანება:  
„ჩააგეთ ხმალი! გათავდა ბრძოლა!..“  
დავხურე წიგნი. ფუჭმა ზმანებიმ  
სინამდვილეში გადმომისროლა...

1924

## სიცხი ჩალაშვილი

ქალაქის მტკერში ყოველთვის მარცხენას  
 ქვიშიან თვალთა ულონო ცქერა:  
 ხიფათი მარჯვნივ, ხიფათი მარცხნივ,  
 არ ვიცი გული რამ დამისერა,  
 არ ვიცი ქარმა სად გამაქროლა.  
 მბეზრდება მუდამ შიში და ძრწოლა  
 და მოლოდინი ყოველ წუთს მარცხის.

გადავარდება ავტომობილი, —  
 ძალლი უჯაჭვო და ცოციანი, —  
 და დაფუთდება ჯონს დაყრდნობილი  
 მგზავრი, ჩემსავით წყნარი, გვიანი.

ცხელ ტროტუარზე ქვა გავორდება, —  
 და გულის წამლებ გრიალს მოვისმენ:  
 ქუჩა იმსხვერპლებს უთუოდ ვისმე.  
 ცხელ ქვაფუნილზე მტკერი გროვდება.  
 ამ ღრის უცრად მომავონდება  
 სოფლის უნისლო და უშვიმარ ცის  
 ალერსიანი, ტებილი სიცხარე,  
 მზე, გაღმოსული ანთებულ ზოლად,  
 ახლად მოთიბულ ბალაბზე წოლა  
 და სურნელება დაუკიდები  
 მიწაზე ფეხით გასრესილ მარწყვის.

1924

## შპრი სარკმები

შე მომაცდავი, უანგიანი სისხლის შუვეთავი,  
გადაიწისლა საფირონის შესამოსელით.  
დარჩა სიმშვიდე, საკმეველი ხარბად მყნოსეელი,  
და ცეცხლის სვეტი ღრუბლით ღრუბელს გადაეხიდა, —  
სიჩუმე ფრთხილი, დაღალული, გაუბედავი,  
როგორც ჩამქრალი საცეცხლური ცას დაეკიდა.

მოულოდნელი პროპელერის ანმაურება  
ცხერის ფარასავით აფრთხობს ცაში თეთრ იალქანებს:  
სულს უხარია უნაპირო ცის დაურვება  
და ჩუმ ოცნებას ჰაერივით შორს მიაქანებს.

შეწეოს თვალები: თითქო ვარსკვლავს სცვიეა მარილი.  
ვხურავ წამწამებს — ერთის წუთით თვალი ჩრდილს დალევს.  
შორეულ დროთა მოპერის შუქი, და სიზმარივით  
სარეის ტრიალი აელვარებს დასუჭულ თვალებს.

სხვა საუკუნის შემომესმა ელარუნი ძვლების.  
გადატყდა წელში ეს ეპოქა ვით მინანქარი.  
ისმის შრიალი აჩქარებით გაფრენილ წლების,  
თითქო მუხაში შემოიქრა წვიმა და ქარი.

ქარი და ელვა! ვერ დაამხობს ელვას ვერავინ.  
იწის ოცნება, დაბეგრილი ძვირფას ხარკითა.  
და მოჩეენება, ჯერ თვალთავან დაუზეერავი,  
იღვრება დახრილ წამწამებზე მბრუნავ სარკიდან.

ტრიალებს სარკე:  
რკინის ქალაქებს ტყვე სახლები გაექცა ყველა:  
დახშულში ქუჩაშ ბეტონით თავი ვერ ისაბელა, —

სულს მოანატრა სხვა სიერცეები,  
ყვავილს ქვა ველაზ დაუმეგობრა,  
და ლურჯ ჰაერში აფრინდნენ მწყობრად  
ფერადი ბროლის სასახლეები.  
და მყუდრო ბინად აფრენილ ნაეთა  
ოქროს ღრუბლებში თეთრად აყვავდა  
ზღვის ქაფის მსგავსად ნაქანდაკები  
რძისფერ სადაფის და ფაიფურის ავარიაკები.

#### ტრიალებს საჩქე:

ძირს არვინ მისდევს მოსაწყენ გუთნებს,  
დაეთმო ტყეებს სახნაეები და პრერიები.  
ტყეს, ვისაც უნდა, ის მიიკუთვნებს,  
და შიგ დასახლდნენ ვეფხვი, ლომი და ფერიები.  
დაყრუედა გზები, ოდესლაც ორთქლით გადაწალახი,  
და ეანგმოდებულ რეინის ლიანდაგს პფარაეს ბალახი.

#### ტრიალებს სარქე:

მანქანა ყველგან, მანქანა რბილი:  
მხეცი მორჩილი, ზრქყალებდაჭრილი.  
მანქანა ბრძენი, თალისმიანი და ჯადოქარი:  
რაღიოწეომა, რაღიოონისლი, რაღიოოქარი.  
სულში საღვურობს გასაკვირელი მზის სხივოსნობა,  
და ელვარებენ მაღალ ძევლებზე სულ სხვა ხატები:  
ზექალურ ბრძოლის და მიღწევათა მწყელი დატები.

#### ტრიალებს სარქე:

უცბად იელვებს რაღიოუნობა:  
„კონგრესი ინტერპლანეტარიული  
წითელი მარსის დელეგატები!“  
კიდევ ზეიმი, იღტაცება და სიხარული.  
სალმუტი ირგვლივ. (აღარ არის ძევლი თოლები:  
არსენალები დიდი ხანია ყველგან დაშალეს).  
ზეცას ესერიან ფერად მაშხალებს  
ზარბაზნებიერით დაგეშილი ტელესკოპები.  
სინჯავენ მნათობთ გაშმაგებით და გახელებით  
მრავალ მილიარდ კილომეტრის სიგრძე ხელებით.  
არ დარჩა მიჯნა ამჟა თვალებს გადაუფრენი  
აღარც მზის იქით და არც მზის აქეთ.  
ზერავენ სივრცეს გასაოცარ სხივთა ქსელებით.

გაშლის წამწამებს პპარატი: და მარსელები, —  
თითქო ფანჯარის მოსადეომიან მოსაცემები, —  
დგანან ეკრანში, მოზიდული რაღიონსაჩენით.  
იზრდება ლალი შემოქმედება ნათელი ჯიბრით:  
ყველა ისწრაფების დაანთოს აზრის სხვა ალიონი,  
მოქერის კომეტა, — ბნელ სამყაროს ფოსტალიონი, —  
მოქეს ამბავი შორეული ელექტროშიფრით.

### ტრიალებს სარკე:

და თანდათან მატულობს ქარი.  
ელვის სიჩქარე შემოვიდა მაჯის ცემაში.  
სწუსს ინეინერი, ხურიოთმოძღვარი:  
„მიწის მარშრუტი სამუდამოდ მზეს ვინდა მისცა?  
დაბერდა რაში

და მცლე ფერდები ვერ გაისუქა.“  
ისკრიან ლოზუნგს პოეტები: „მოიხსნას მიწა!  
მოგვებეზრდა თრევა კუს ნაბიჯით ჯაგლაგ მზის უკან!  
რომ გაუსწორდეს საუკუნეს დღეც და წამიცა,  
უნდა მოტორად გადაიქცეს თვით დედამიწა.  
სხივის სისწრაფე შემოვიდა მაჯის ცემაში, —  
მზეს მოვესსნათ მიწა და შევიდეთ სხვა სისტემაში.  
გაზომეთ სივრცის განი და სისქე —  
ახალი მზისკენ!“

### ტრიალებს სარკე:

გამოდის ბალში უცნობი ქალი ნიამორივით.  
უდგას თვალებში შორი ალერსის შუქის მორევი.  
ხელში უჭირავს წიგნი ლექსების, ყდაგაცვეთილი.  
(ქალს მუდამ დასწვავს გარდასულ უამთა უშრეტი ილი,  
ქალს მუდამ უძევერს ზღაპრებისათვის გული კეთილი,  
სხის ოცნებაში უყვარს ჩაძირვა, და ხეტიალი  
ცრემლიან ფიქრთა ნაწეიმარ ტყეში.)  
გადაშლილ წიგნში წაკითხულ ლექსის ჩანს სათაური:

„ქარი სარკეში“.

„საბრალო ბავშვი! —

ჩურჩულებს ქალი —

თავის კაეშანს იმით იქრობდა,

რომ ხან ცრემლებით და ხან თამაშით,

ჩვენზე ფიქრობდა“.

## తంత్రానికి వ్యాఖ్యానం

మియ్వింగ్స్, ఫింస్‌ట్రైన్‌లి రంథి మాగున్డ్రేబ్స్, —  
 లభిం డల్ఫ్యూబ్స్ మిస్‌గ్రేస్‌సాడ్ ఇసార్తా:  
 గ్రెల్స్ మిండ్‌లాల్స్ ఫ్లూష్‌మా గ్రోఫ్రేబ్సామ్,  
 నాల్ఫ్రెల్లొ ట్రైఫ్రో ఫింస్‌ట్రైన్‌లూ:  
 డ్రెప్రో రాథ ఎర్జ్‌గ్రేస్ గ్రెల్స్ దాసానాన్‌స్,  
 మాగ్రామ... లార్మ్‌శ్యూస్ క్రేమి థ్రెంటాబ్సి, —  
 డామ్‌చ్రూ త్రైట్రో ఇప్పామాన్‌స్,  
 టాప్‌థ్రే గ్రైఫ్‌గ్రేస్‌సాడ్ కింపొన్‌టాప్‌గ్రే.  
 ఎఫ్ ఎర్‌ట్రైఫ్రో మియ్‌మాట్‌ర్చ్రేబ్స్  
 క్రేమి సిప్‌ప్రెక్షల్స్ సాట్‌ట్రే శ్రేణుబాస్.  
 ప్రోవ్‌లొ ఫ్రెంటి న్యూఫ్రోటా స్ట్రీప్‌ఫ్రేబ్స్  
 డాట్‌ట్రేల్‌సిల్ డల్ఫ్యూబ్సిల్ రాంఫ్రెన్‌బాస్.  
 మాల్స్ సాఫ్‌లాప్‌సి ర్హోల్ ఫ్రోప్‌చార్‌తాన్  
 ఎర్‌గ్రేమ్‌బ్స్ ప్రోమ్‌ల్స్ శ్రేమిష్‌సిర్‌గ్రెల్లొ...  
 లభిం డల్ఫ్యూబ్స్ మిస్‌గ్రేస్‌సాడ్ ఇసార్తా,  
 క్షేర్‌బ్స్ సాఫ్‌లాప్‌ప్రూ డార్‌టా కింపొర్‌గ్రెల్లొ...

1926

## საღამო თაგილიცი

მზემ უცნაური დაღვარა სისხლი,  
 აყვავდნენ ცანი უნაპირონი;  
 ჰერში დაღვა ფირუზის ნისლი,  
 აენთო ლალი და საფირონი.

ღრუბელს მოედო შუქი უცები  
 და საოცარი გაჩნდა ბალები:  
 ფოთლები, თოვლი და აუზები,  
 იასამანი და ზამბახები.

უცებ იცვალა ზეცამ ნიღაბი,  
 ცეცხლის ვეზაპმა რქები იყარა,  
 და ღრუბლებიდან ყვითელი ქაფი  
 ქვაფენილებზე გაღმოიღვარა.

გამოეკიდა ზეციდან ქარი  
 ზლაპრულ ფრინველებს, ცხენებს და ძალებს,  
 და გაგიებულ ფერების ჯარი  
 მოედო ცეცხლად თბილისის სახლებს.

მტკვარზე დაეცა ნაშუქი მინის,  
 ჩაიმსხერა წყალში სანთელი შეიდი,  
 და ცისარტყელად თუჯის და რეინის  
 ავარდა ცაში მუხრანის ხიდი.

განწირულ სიიეთა მწუხარე აღმა  
 დაქაორა მთაზე ოქრო ხალასი,  
 და გადამტყდარმა იელვა ხმალმა  
 ზღუდეშენგრეულ ნარიყალაზე.

1926

## უცნაური ამბავი

თბილისის ღამეს შიში სწევევია;  
 ამბავი მოაქვს მტკეარს უცნაური, —  
 ივჭალას ცეცხლი შემოხვევია,  
 ანთებულ რეინის ისშის ხმაური.  
 დაირღვა ძილი და მყუდროება.  
 მიეცა ღამე ერიამულს უჩვევს.  
 ნაძვის სვეტები თეთრ ურდოებად  
 შემოესია თბილისის ქუჩებს.  
 და დაირაზმა შიშველ სვეტების  
 რეინის ფეხებზე შემდგარი ჯარი,  
 დატყვევებული ცეცხლის წვეთები  
 რომ დაარიგოს მეტის სიჩქარით.  
 ის ავჭალიდან სინათლეს ელის  
 და მთელი ღამე არ დაიძინებს.  
 შუშის კბილებით უჭირავს ქსელი,  
 საღაც მორჩილი ელვა იღინებს.  
 როცა სვეტები გადაიქცევა  
 ათასი მთვარის ეშაფოტებად,  
 სნეული ჩრდილი ტად იწევა,  
 იმატებს ღამის გაპორტება.  
 ვერას გახდება — ბევრიც იბრძოლოს,  
 და რომ ინაზებს დილა სისხამი,  
 წავა და სიღმე ქალაქის ბოლოს  
 თავს ჩამოიხსრიობს თბილისის ღამე.

1926

## წერილი ნომი ჩხილვაშვილს

ებრძოდი სიკედილს შენ გახელებით,  
 ვერ დაამსხვერიე მახე მზაცერული:  
 მოკედი გოლგოთის საშინელებით,  
 ჩეინის საწოლის ჯვარზე გაერული.  
 იყავ პოეტი მირონცხებული,  
 გახდი ჯვარცმულის მონათესავე.  
 ასე მცონია: ხარ ქრისტესავით  
 მეშვიდე ცაზე ამალებული.  
 გულზე გაჩნია ნაიარევი,  
 გარს გახვევება შუქის მორევი.  
 თეთრი ვარსკვლავებში დაიარები  
 ტყეს შეფარებულ ნიამორიეით.  
 მაგრამ არ არის ზეცაში ღამე,  
 და ნაცელიანმა თავი ჩაძკილე;  
 გაწუხებს ლექსის ნათელი შხამი,  
 რაც შეუსმელი აქ დაგრჩა კილევ.  
 ბავშვების ბედიც გაფიქრებს ალბათ,  
 აქ რომ დატოვე ორი პატარა.  
 ამ დარწმა იქაც დრო გაეიყალბა  
 და ბევრ ეკალზე გადაგატარა.  
 ნეტავი ერთი გადმოგახედა,  
 გაგედოს ქარნი მაღალ ცისანი,  
 რომ შენმა სახლმა გიცნოს იქედან  
 და სიხარულის მოგცეს ნიშანი.  
 ნახავდი მდუმარ მთაწმინდის ზღუდეს,  
 პოეტთა საღვურს და ბინას მოგვთა.  
 ჰგავს შენი სახლი არწივის ბუდეს, —  
 ბუდე აქ არის, არწივი მოკვდა...

როს იფიქრებდი, როს ამ ბილიკშე  
ბინის საძებრად წერას აშეუდი,  
რომ ცივდებოდა შენთვის თბილი მზე  
და ბინას მუდმივს სხვაგან ნახაუდი...  
ნეტავი ახლა გადმოგახედა,  
გაგელის კარნი მაღალ ცისანი, —  
შენმა ბაგშეებმა გნახონ აქედან,  
სასიხარულო მოგცენ ნიშანი.

ალბათ არ არის ზეცაში ღამე,  
და შენც მოწყენით თავი ჩაქიდე:  
გაწვალებს ლექსის ნათელი შხამი,  
რაც შეუსმელი აქ დაგრჩია კიდევ.  
ქვესკნელს დასთხრილნენ შენი ფესვები,  
მიწას პოეტად რომ არ ეშობე.  
საქართველოში შენი ლექსებშ  
შშიერ მგლებივით დათარეშობენ.  
და ნაომარი პოეტთა გროვა  
საღაც დაღლილი დაიბანაქებს,  
ციდან ყიფილი შენი იქ მოვა  
და გულს ოუნტებს შენს ამზანაგებს.  
და გრევინგა მწევლი და ალდართული  
კვლავ ცივ მყინვარზე დაიგუგუნებს,  
რომ ანთებული სიტყვა ქართული  
გადაანარცხოს ბნელ საუკუნეს.  
როცა იქვებით დამქრალ ოცნებას  
ლექსების ალი წაეკიდება,  
რა მისცემს ჩვენს სულს მეტ გაოცებას,  
რა უნდა იყოს მეტი დიდება!  
არ გვაწევს ტვირთი სხვა იმედების,  
შენ უკეთ იცი, პოეტო ძმაო, —  
ჩვენთვის გარეშე შემოქმედების  
რომ ყველაფერი არის ამაო.  
მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი, —  
დაეცა ლოცვა და პოეზია.  
მოქედა ბრწყინვალე ძევლი შაირი  
და ახალს ჩრდილი შემოესია.  
გაგიკეირდება: ლექსს რათ არ ეშველის, —  
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხალ, —

ციდან ქუჩილი ბარათაშვილის,  
მთიდან ყველილი გაეს ხარისა!  
ახლა ქუჩილი არ ისტამბება,  
ხარი არ ჰყეირის მაღალ მთებიდან,  
ლექსი დაახრიო წვრილმა ამბებმა,  
ამონაწერმა გაზეთებიდან.

1926

## თბილისი

ძეგლი და ახალი

1

ცეცხლად დააწეა ქუჩებს იელისი,  
 და მეც ალმური გამომეკიდა...  
 რა უცნაურად მოჩანს თბილისი  
 შამაღავითის მაღალ ქედიდან.  
 თვალს გავახარებ მე ამაღლებით,  
 მაგრამ აღმართზე დავიქანცები. —  
 ხომალდებიყით დგანან სახლები,  
 ხშირ ანტენების მაღალ ანძებით.  
 მომეჩენება ზღვის ნაპირები, —  
 წყალზე — სერები, ზღვისთვის უჩვევი.  
 ვამბობ: გაქცევას თუ აპირებენ  
 კრეისერებით სავსე ქუჩები.  
 იფეთქა ანდამ უახლოესმა, —  
 თითქოს დაბრუნდა სხვა საუკუნე, —  
 და შეშინებულ ქალაქს მოესმა  
 უცნობ ურდოთა შორი გუგუნი.  
 ისმის ქუჩილი ქართული ლაშქრის:  
 თბილისის კარი მტერს ვინდა მისცა!  
 იწეიმებს სისხლი, რომ აღარ გაშრეს  
 ბარაქიანი ქართლოსის მიწა.  
 უცებ იყიდებს მტკვარი მხეცივით,  
 ვეფხვი დაქრილი და სისხლიანი, —  
 ჰაერს გაბზარავს ხშა უეცრივი,  
 იელებს წყალში ხელი ხმლიანი.  
 მოულოდნელად შეშლილი მტკვარი

გადმოეარდება ნაპირებიღან,  
 და აივება მრისხანე ლეირი  
 სულთანის შებით ნალეწ ჯვრებითა.  
 ცოფიან ტალღებს წარლვნა სწადიათ,  
 ანგრევენ კედლებს შურის მიგებით,  
 და თითო-თითოდ წყალში ჩაღიან  
 ანძამართულ სახლთა რიგები.  
 მტკეარში პირველად გადაეშვება  
 თეორი სიონი — გედი მაღალი.  
 ჯერ არ უგრძვნია მას დაეცვება  
 და მიაქვს მტერთან აღთქმა ახალი.  
 მას მიჰყვებიან, დარაჯებიერი  
 ძელი მეტეზი და ნარიყალა,  
 რომ დაამსხვრიონ ყველა ჯებირი,  
 სიონს თუ საღმე შემოეყარა.  
 გემთა ოლუმი სოღანლუდს შედის,  
 მტერი კი თბილის უახლოვდება,  
 და განახენი სასტიკი ბედის  
 ცაში მეწამულ ღრუბლად გროვდება.  
 ღრუბელი სკდება სისხლიან რუმბად, —  
 თითქო სისხლს ქართლზე ჯერ არ ედინოს. —  
 სვავიერი მისლევს სიონის გუმბათს  
 ულირსი ტახტი ჯელალედინის...  
 გაპყა მდინარეს ქალაქი მთელი,  
 რომ შორეული ზღვები გაქურდოს,  
 წინ წაიმძვაროს ნაღველი ძელი  
 და დასცეს შიში მონგოლთა ურდოს...  
 უქანასკნელმა სახლმა გასცურა,  
 და კალაპოტში ჩავარდა მტკეარი.  
 საღლაც ჯავნარში იყიდლა ტურამ  
 და სველ ტივებზე აენთო კვარი.  
 შემდეგ ძელი ხმით აგუგუნდება  
 ტყიანი ხევი ნათბილისარი,  
 და ისევ ხოხობს გამოუდგება  
 იქ მონაღირის მქრელი ისპრი!  
 თვალი სიცხადის საზღვარს გაიცლის,  
 გამოანათებს შორი ლანდეთი,  
 და როგორც ჩრდილი გაპყვება თბილის  
 ბაგრატიონთა შარავანდედი.

მხოლოდ ხანდახან თუ მოიგონებს  
მეფე ერეკლეს კინმე მთიული,  
და ატირებულ ლექსის სტრიქონებს  
დარჩება ხსოვნა რომანტიული...

შინით დატევირთული ცხელი იყლისი  
ქუჩებს მოედო და მოეკიდა.  
რა უცნაურად მოჩანს თბილისი  
მამადავითის მოხუც ქედიდან.  
ბილიქშე ასელით და ამაღლებით  
მე ისევ ჩქარი დავიქანცები.  
ხომალდებიერით დგანან სახლები  
ხშირ ანტენების მაღალ ანძებით.  
ნათელს მოისხამს წმინდა ალავი,  
ნაპირი ნაპირს შეუერთდება,  
და საყვარელი ჩემი ქალაქი  
სულ სხვა თვალებით მომაცქერდება.  
მტკვარი საწოლში ჩაიკერდება,  
მაგრამ იმდლარებს უბანთა ჯარი:  
თბილისი ხევში ველარ ეტევა, —  
და ილეწება კლდეთა აბჯარი.  
თაოქო ქალაქი ცაში აფრინდა  
დილის სინათლის მოსატანადა, —  
ერთი ფრთა კოჯორს გაღააბინდა,  
მეორე მცხეთს გადაანათა.  
და რაც ინატრეს ლარიბ ქოხებმა  
ზვავად მომსკდარი გრგვინვის წინაშე,  
შემოქმედების ჰშეა ამბოხებამ  
ზეცად ასვერილ ქვა და რეინაში.  
რეინის ქორებმა ლრუბელი დაჭრეს,  
მოტორი ლაქვარდს ეამბორება.  
აჩხებში წყალი არ უნდა დაშრეს,  
რომ ტყე ჩაიცვან შიშველ გორებმა.  
და ასრულდება ძეელი ოცნება:  
გაქრება ლვარი და სიცხეები;  
თეთრი კედლები შეიმოსება  
ცაცხვით, მუხით და ალეის ხეებით.

ფოლადი გრანიტს დაეჯახება,  
 ცად იყარდება კოშკთა ქრებული.  
 ქართული სულის ჩანს აჯანყება  
 მარმარილოში დამშეიდებული.  
 წინათ თუ ელვა ცაში იცდიდა,  
 სანამ დასჭრიდნენ სიერცეს უბნებად,—  
 ეხლა დავდავშნულ ქოროლლის მთიდან  
 რადიო ბერლინს ესაუბრება.  
 თბილისს შორიდან შეკვეთა მოსდის,—  
 რომ იგრძნონ სხვათაც ცა წარმართული,—  
 და იგზავნება რადიოფონსტით  
 მუსიკა, ლხინი და მზე ქართული.  
 გული გაათბო და გაანათა  
 სისხლიან დღეთა ჩიმოშორებამ.  
 მღერის ორკესტრი რთულ მანქანათა.  
 დვანან მუშები დირიჟორებად.  
 ქარხნებში სხივი შეიცუმშება,—  
 მზის ცხელ კონსერვებს ბევრი მოელის:—  
 უნდა გაათბონ ქართლის მუშებმა  
 ყინვაში მყოფი ძმა ჩრდილოელი.  
 თუჯი უკვამლო და უწყინარი  
 დარიალიდან ლოდებს მოიტანს.  
 ელვას დაათვეს შორით მყინვარი  
 ძეელი დიდუბის ძეგლთა მოედანს,  
 სადაც წარსული დაიშიფრება  
 და მომავალი იმედს იანთებს;  
 ექნებათ ბრძოლა და შეჯიბრება  
 უკვდავებისთვის შობილ რაინდებს...  
 ასე იბრწყინვებს დაუცხრომელი,  
 მილიონ გულის ცემით დამტებარი  
 თბილისი მშეიდი, ხან კი მწყრომელი,  
 შექრული რკინით, ცეცხლით და მტკვარით,  
 დღით შემოსილი ოქროს თოვლითა,  
 ლამით ვარსკვლავთა ყდაში ჩასმული,  
 კოჯრის მთებაში დე სვეტიცხოვლიდან  
 მუშის ძარღვებით გადათასმული.

## ზოგიძოშის მზი

ქარეა და ლალის გულს ახარებს დღესასწაული.  
 სკდება მზისაგან მწიფე ლეღვა და ბროწეული.  
 ფერების ჯარში სჭარბობს ოქრო და მეწამული.  
 შვენის ოქტომბერს ფარჩის კაბა და ძოწეული.  
 უფრო გატებება შემოღვიმის მზე გადახრილი,  
 რომ არ შეშინდეს მიწა ზამთრის მოახლოებით.  
 სპარსულ ნოსივით აყვავდება ქვეყანა თბილი  
 წაბლით, ყურძენით და სიმინდის ბაჯალლოებით;  
 დაიბურება ტუკ მოოქრულ სამოსელითა,  
 ულრუბლო ციდან მზე წამოვა ყვითელ ლვარებად.  
 სუფთა ქვევრებში ჩაიღვრება საწნახელიდან  
 ყურძნის მარცელებში დაგროვილი მზის ელვარება;  
 რომ შემდეგ სისხლში კვლავ აენთოს, როგორც სანთელი,  
 და გულს მოუნდეს სიყვარულის დასახელება;  
 იგრძნოს სხეულშია აღტაცება და ურუანტელი,  
 ჩადგეს ძარღვებში მზის სინათლე და გახელება.

1926

## ღვინობისთვეში

თბილისს ღვინობი შემოეღობა  
 და მზემ ულევი ოქრო დაჲყარა.  
 ასაღულებლად მყინვარს ეყოფა,  
 რაც ოქტომბერმა აქ მზე დაღვარა.  
 ალი სწვავს ქუჩებს შუშაბანდიანს  
 და მზე ბანაობს ყოველ მინაში,  
 და ეჯიბრება მწუხარი განთიადს  
 ფერთა უცნაურ დოლის წინაშე.  
 და ყოველ ხის ქვეშ დლითა და ღამით  
 ყვითელ ფოთლების გროვდება ზვინი.  
 აიგსო ზილი თაფლიან ნამით.  
 ღართრო სული მზითა და ლეინით.

1926

## მხა და ჰავრი

მოაღვა ღრუბელს თეთრი ნათელი,  
 ჯერ მორცხვად, შშეიდად და მორიცებით,—  
 შემდეგ გაირღვა ღამის სარტყელი  
 და შექმედ გამოპყო თქროს თითები.  
 მინდა შორიდან მზეს დავუძახო:  
 დამკაცნოს სხივის თბილმა შეხებამ,  
 გადავიწინო ცელი უწაღოდ,  
 რომ შესვან ცვარი შიშველ ფეხებმა;  
 ვიგრძნო, რომ გულში ქველა გატაროსდა,  
 მომესმიას შორით ხმა სასურველი,  
 და ყვავილებში მცურავ წყაროსთან  
 დავლოთ წყალი, მზე და სურნელი.

9

1926

## მ ტ კ ვ ა რ ი

1

მოგაქვს ტალღებით ოქროს მტკიცები,  
 მოდიხარ ლალი და უზრუნველი,  
 მტკარო, გამთბარო მზის შაღრევნებით!  
 მტკარო, საესეო ფიქვის სურნელით!  
 გალის თბილისთან შენ განცეიფრება  
 და საყვირეელი სანახობა:  
 შენს დენას რკინა შეეჯიბრება,  
 რომ დაგაგუბოს მღვრიე ჭაობალ.  
 მაგრამ თავაწედილ რკინის ყირაფებს  
 გადაემსხერევა შენი ზეირთები,  
 გრძვინვით გაიჩინენ მბრუნავ გვირაბებს  
 და ვერცხლის ქაფით დაიტვირთები.  
 რკინა შენს ძალას დაემონება,  
 შენ კი მას უნდა ეამხანავო,  
 რომ მანქანათა ლეგიონებმა  
 თბილისის იჩველივ დაიბანაკონ.  
 დაგევალება ცეცხლის დანთება,—  
 უნდა მოსტაცო შუქი ალიონს,  
 რომ ქვის და თუჯის გოლიათებმა  
 ათას მაჟთულით ალი დალიონ.  
 როგორ შეაქრთობს და გააკვირებს  
 შენს აღელვებულს ჭალარა ტალღებს,  
 როცა გაიელი უცნობ ნაპირებს  
 და საზეიმო ტრიუმფის თაღებს!

2

ერთხელ ბორჯომის ხშირ ხეობილან  
 მტკარმა ტივები ჩამოიტანა.  
 მზე რომ ჩაიდა და შემობინდა,  
 მცხეთას მოადგა მაღალ ხილთანა.

რომ დაინახა მცხეთის კარიღან  
 წყალშე დამდგარი ცეცხლის კრებული,  
 მტკვარმა თვალები ეერ მოარიღა  
 და უცხად შედგა განცვიურებული.  
 რეინა ებრძოდა ცოფიან ტალღებს,  
 პბურღავდა ფოლადს ათასი ხელი  
 და ისველებდა ლითონის ძარღვებს  
 მტკვარს ჩაწოლილი დუღაბი ცხელი.  
 გაოცდნენ მტკვარის მღვრიე თვალები.  
 მან ჯერ ტალღები ბრაზით ალესა,  
 მაგრამ დამშეიდდა, და მოკრძალებით  
 რეინის ჯებირებს მიუალერსა...  
 ჩანს, საუკუნო ტანჯვით დამცხრალი  
 შრომის ხალისი არ იეანგება,  
 თუ ორი მტკრი: ცეცხლი და წყალი,  
 დააჭორწილა მისმა განგებამ.  
 და რომ სიბნელე დღეს ვერა სჯობდეს,  
 იშვა სინათლე, სხივთა მთოველი;  
 დადგა თბილისის სადარიჯოზე  
 ნათლით მოსილი სვეტიცხოველი...

### 3

სოფელს დაიკლის მქუჩარ ზეირთებად  
 ყალუშე შემდგარი მტკვარის გრიალი,  
 თითქო უნახავ საქმეს პპირდება  
 რაში, ბეტრონის უნაგრიანი.  
 და სიზმარივით მოეჩვენება  
 სოფელს ნანატრი ფიქრის ახლომა:  
 გლეხს თვით შეეძლოს დღის გათენება  
 და არ დასტანჯოს ღამესთან ომშა;  
 რომ უსინათლოდ არ აწეალებდეს  
 გრძელი საღამო ზამთრის დღეების,  
 ბინდი არ ეკრას ბავშვებს თვალებშე  
 და გაქრეს შიში ბნელ კუთხეების;  
 ზაფხულში შრომის თანამგზავრობდეს  
 სინათლე დღისით, სინათლე ღამით,  
 და ვაშმის ტაბლა აღარ ჯავრობდეს  
 მხრითავ პატრუქის უშნო სამხამით;

და ვინც ყანაში დრო დაახანოს,  
 სახლში დაბრუნდეს ანთებულ შეკით,  
 და ყოველ ქოში, ყოველ საღამოს,  
 ოქროს ჩიტივით შეფრინდეს შუქი,  
 ლარის ყანის ქეეშ გაიხსნას ზეცა,  
 ჩაჯდეს ბუდეში ვარსკვლავთა ხომლი,  
 რომ მზით გარუავულ თვალებს არ ეცვას  
 კვარის და ჭრაქის მუდმივი კომლი...

4

სურამის ქედი დინამიტს უცდის,  
 რომ ააფეთქოს კლდიანი ზურგი,  
 იყისროს ტვირთი ჯავშნიან ქუსლის,  
 მოიხსნას ცეცხლის და კომლის ქურქი, —  
 რომ შემდეგ ლიხის ორივე მხარეს  
 გადააყაროს დათლილი ქვები, —  
 გლეხებმა დღემდის მიწური თხარეს,  
 ეხლა კი დროა გამართონ მხრები.  
 დროა ფითლების ზღვაში გამოჩინდეს  
 მაღალ სკეტების თეთრი ფერხული,  
 რომ საბოლოოდ მოკედეს და მორჩეს  
 ყოფნა უმშეო და უხერხული.  
 რომ ქართლის მწვანე, ფართო კალთებზე,  
 საღაც ვენაზი და პური პხარობს,  
 აყვავდეს სახლი ათი ათასი  
 და თეთრ კოშებმა მოები დაქუაროს.  
 დღე ხვალინდელი წარსულს გადუხდის  
 განვლილ სიმწარეს სხვა იმედებით,  
 ოღონდ ძარღვებში სისხლი აღულდეს  
 დაუცხრომელი შემოქმედებით.  
 რკინის აქვანში ჩაერულ მტკვარიდან  
 მოვარდეს ელვა ნიაღვარული,  
 და შემოეიდეს ოთხივ ქარიდან  
 შრომა, სინათლე და სიყვარული...

1927

## პატიოლოგიური სოცილად

სოფელს დაეცა რეინა მყეფარი,  
 მოულოდნელად ცა ახმაურდა.  
 ეს რა გაუგუნებს გაუგუბარი!  
 უღრუბლო ცაში ქუხილს რა უნდა!  
 ვლეხი თოხის ტარს დაებჯინება!  
 მზეს მოიჩრდილებს მარჯვენა ხელით, --  
 რეინის არწივის გასეირნებას  
 ჯერ არ ჰყოლია სოფულად მნახველი.  
 გრძნობა უჩრდილო და მამობრივი  
 შეტის სიამით გულს აუჩუყებს,  
 მოწმენდილ ცაში მაღალ ორბივით  
 როცა მოტორი გადაიქცებს.  
 იტყვის: „არა ვარ ხომ მცირე ხანის, --  
 ურემს მიყსდევდი მუდამ კუსავით.  
 არც ერთი ბელტი მე ჩემი ყანის  
 არ დამჩჩნია დაუქუსლავი.  
 ქაბუკობის დროს მიყვარდა რბენა,  
 ეფეხის ნახტომიც ბევრი მქონია,  
 მაგრამ პაერში კაცის გაფრენა  
 მხოლოდ ზღაპრებში გამიგონია.  
 დღეს კი ზღაპრები და აჩრდილები  
 სიცხადეს ციდან გაუკრეფია...  
 სხვა დრო დაგვიდგა: ჩვენი შეიღები  
 ცაში არწივებს ეჯიბრებიან...“  
 და ისევ მოსწევს თოხის ტარს მქლავი,  
 მქლავი მაგარი და უანგიანი,  
 გულს ჩაუდგება მოხუცს ვარსკევლავი,  
 თვალებს აუნთებს სხივი გვიანი.

1927

## ფიზჩი

ვიცი, ბევრი პყავს სულს ნათესავი, —  
 ერთიც რომ იყოს, — ის ერთიც კმარა, —  
 მტკიცან გულიღან ვინაც ჩემსავით  
 მწვევლი ოცნება სისხლით ლეარა;  
 გულით უძლურმა, რწმენით ღარიბმა,  
 ვინც ეს ცხოვრება ველარა პზიდა,  
 და ჩემთან ერთად სვა მწუხარება  
 აღუღებული ცრემლის თასიდან;  
 ვინც მწარე ბედჭვეშ ბევრი ითმინა,  
 მაგრამ ნუგეში ვერ მოისმინა.

ვინც განწირული ბშირად ყოფილა,  
 ვისაც სინათლე მუდაშ სწყუროდა,  
 ვინც ბნელ მიწაზე ძირს დამხობილა,  
 რომ ცის ლაქვარდი გაღმოხუროდა, —  
 და ვერ დაითრი მზის ბრწყინვალებით,  
 მიწა ჩასთვალა შავ ბალდახინად,  
 და ანთებული შიშით თვალები  
 ცივ ვარსკვლავების თოვლით გაპყინა;  
 ვისაც აწვალებს გული მგზნებარი  
 და ურუანტელი გაუგებარი.

მინდა ეს ლექსი მათ წინ ავანთო,  
 როგორც ეინელილი მოულოდნელი,  
 რომ გაქრეს ფიქრი უმარავანდო  
 და გამინათდეს გზა ბოლონდელი;  
 გამოჩნდეს სიერცე, მზით შენაფერი,  
 და ბოლოს მინც იზილონ თვალთა

ნანატრი ქვეყნის შორი ნაპირი  
და შთაგონების ბრწყინვალე კალთა.  
ქმა იყოს ჩემთვის სულ ცოტა რამე,  
ოლონდ დაეშრიტო გულის ვარამი.

სხვა ვინ ყოფილა გრგვინების მსმენელი,  
ერთხელ სიკვდილის შიში სწვეოდეს,  
და გულს ჭრილობა აუცილენელი  
შავ ლაქებსური არ დასჩნეოდეს!  
ვინ გაღურჩება დაუთარისავი  
სიკვდილს, თუნდ იყოს ჩეინით ნაგები,  
თუ სახიკვდილო ჭრილობასავით  
მხესაც აჩნია შავი ლაქები! —  
თითქო მზეზედაც, ცელამოწვდილი,  
დგას და დროს უცლის სიკვდილის ჩრდილი.

აქ დიდი ხანი არეის ჰქონია! —  
ვჩეარობთ, თუ ცოტა შემოგვეხანა,  
და არის წამი, როცა გვეონია,  
რომ სასაფლაოს პგავს ეს ქვეყანა.  
მაგრამ უეცრად ამ ყალბ წამიდან  
გული იპოვის სანუგეშო გზებს:  
ასე ყოფილა დასაბამიდან —  
ყვავილი წხარობს დამპალ ნეშოშე;  
საფლავში ჩადის გახრწნილი თესლი,  
რომ ამოვიდეს სხვა, უკეთესი.

როცა ლურჯ პაერს შე დააჩინდება,  
როგორც სხივების კორიანტელი,  
ყოველ ფოთოლზე სხივი დაჯდება  
და აენთება თითო სანთელი, —  
სიხარულისთვის უნდა ქმაროდეს  
ამ დროს ფოთლების გაშრიალება,  
რომ დავიჯეროთ და გვიხაროდეს,  
რომ ბნელში სხივი არ იმალება;  
და ჩვენი წილი ვსვათ სიხარული,  
მზის აუზიდან გადმოლეარული.

ცა ვინ გაზომა მრუდე სარკითა?  
ვინ თქვა ჯერ სიტყვა უკანასკნელი?

ნისლიან ფიქრის ჩამქრალ სარემლიდან  
უნდა მოჩანდეს ქვეყანაც ბნელი.  
თვალი ბრმავდება სიმუშხარეში,  
მუდამ ნალეველით გამომზირალი:  
ცრემლით დატვირთულ თვალთა კარებში  
შედის ქვეყანა მხოლოდ მტირალი;  
სმენა ეჩვევა წარსულის ძახილს  
და ჩრდილი პფარაეს მომავლის სახეს.

დე, ამოცსოს დროთა არხები  
საუკუნეთა გამშრალ ძელებითა,—  
მოგვაქვს სინათლით სავსე ძარღვები  
ბნელში დამარხულ უფსკრულებიდან;  
და თუმც ბევრია ვერ დაფარული  
გარსკვლავთა შორის მფრინავ სულისთვის,—  
მოგსულვართ ბრძოლით და სიყვარულით,  
ვიცლით ბრძოლის და სიყვარულისთვის,—  
ვიღრე არსებობს გარდუვალ წესად:  
ცაშე იაროს მზემ ოქროს მწყემსად.

როცა იქ მწყემსი, სხიეთა მოესავი,  
ცის ლავეარდის შექერავს ოქროს ღალებით,  
აქ ჩემი გულიც წეშის ხესაკით  
შეიმოსება თეთრი ყვავილებით  
და დაიღვრება მყიფარ ლექსებად,—  
თითქო სინათლე მზისგან გადმოეა  
და ჩემს ოცნებას შემოესევა  
მჩეუავ სიტყვების ნათელი გროვა.  
მშორდება იჭეთა ბურუსი და მეც  
კამბობ: კარგია დღეცა და ღამეც!

## პრეზიდენტის შვაბილი

ჩამავალი მზის უცებ ჩაქრია ილი უშრეტი, —  
 მზე გააქციეს ვარსკვლავების თეთრიმა ეშვებმა.  
 დავხრი წამშამებს: — თითქო ფარდა ჩამოქმება —  
 და საღლაც ტვანში აენთება ერთი უჯრედი.

და უმიზეზოდ, უცნაურად მომაგონდება:  
 წაქცეულ ხეზე დინჯად აღის შავი მამალი.  
 ღობის წნელებში ვახლართულა მზე ჩამავალი.  
 ღობესთან სხვებ და ქალის თმა ერთად გროვდება.

ცისფრად ელავენ ოქროსთმიან ქალის თვალები.  
 გაწვდილი ხელი ატმის ყვავილს უეღარა სწედება.  
 ვიცი — ისარი ისლერი გულს არ აცდება,  
 მაგრამ მიერბივარ, რომ ვუშველო ქალს მოკრძალებით.

ისრება დამლა შტო ატმისა. ყვავილს სწყვეტს ხელი.  
 და, როგორც გროლი მოიტაცოს ცის შავარდენში, —  
 მოულოდნელად ქალის ხელი ტყვედ ჩაეარდება,  
 და გამშურალ თითებს დააცხრება ტუჩები ცხელი.

ქალი სახლისკენ მიბრუნდება და, მიმავალი,  
 მესერის ღიმილით ატმის ყვავილს, თვალანთებული.  
 გული ჩიტიეთა ფრთებს ილერავს დატყვევებული.  
 წაქცეულ ხეზე დგას და ყივის შავი მამალი.

1927

1917 წელი

1

ქარით, წეიმით და ანთებულ გრგვინეით  
 ქუხილმა ჩქარა გადიგრიალა,  
 ლასტოვა ცაში ღრუბლების ზეინი  
 და ცარიელი ცეცხლის ფიალა.

აყვავდა სიტყვა, უნაყოფოდ ნათვეხედარი.  
 ბეჭტავდა ჩრდილში შუქის ნალევი.  
 ყეფდა რადიო: მეცე ტყვევ არი,  
 სისხლშენასვამი და ნამთვრალევი!  
 მოჩანდა ნისლში თუჯის რაში გაუხედნავი.  
 ტიროდა ღამე: მზეს როგორდა შევებრალები!  
 თითქო ესვენა სასახლეში ძეელი ცხედარი  
 და დაპკიოდნენ კუბოს ქალები.

2

მოვარდა ქარი ახალის გრგვინეით  
 და მიწამ რისხევით დაიგრიალა.  
 აენთო ისევ ღრუბლების ზეინი,  
 ცეცხლით აიგო ბრძოლის ფიალა.

იქნევდა მახვილს მოელვარეს რეინის მხედარი,  
 ელავდა ნისლში ცეცხლის ნალები.  
 ელეით გაბზარულ ცის შემხედვარი,  
 ხართბლა ალით საესე თვალები.  
 ყიოდა რაზმი: ბრძოლისათვის მქლავი მხნედ არი  
 მზე დროშასავით იყო სისხლში ამონაელები.  
 უჭირისუფლოდ სასახლის წინ ეგდო ცხედარი.  
 ბრწყინავდა ზეცა ნაგრიგალევი.

1927

## მოგონება

მახარებს გრძნობა ფესტივან ძირის,  
და მომავალსაც ცუდს არ მოეელი.  
მაგრამ ხანდახან გული რად ტირის,  
მოულოდნელის ცრემლის მოვეელი?

თუმც დღეთა ჩბენამ ჩემი წარსული  
წრდილით აავსო და ამოქმისა, —  
მაინც იყლვებს ფერგალასული  
სშირად სინათლე ჩემის ყრმობისა.

გთვლის ჩემ წინ კაცი ან ქალი,  
და უცებ თვალებს ცა მოასკდება.  
და ისევ ბრწყინვა სახე ჩამქრალი  
და ვიცი, გული რომ არა სცდება.

იღებებს ამ ღროს სული მძინარი  
და სამოა წუთების რბენა,  
როგორც გვეგუნი მთაში მდინარის,  
როგორც ლაქვარდში მტრედის გაფრენა.

აი, ამ წუთსაც ისევ ცოცხლდება  
ბრძოლის ერთი დღე დავიწყებული,  
ერთი ამბავი მომაგონდება,  
ცხრაას ხუთიდან ამონთებული...

...წყლის პირს მიტინგი. სიტყვებში იუვის  
მეფის ერთბა უარყოფილი.  
(ხალხს რაც სკირია — თვით უკეთ იცის.  
მცემანა გვეკვია, თუ საპყრობილე?..)

მიტინგზე სახე მარქსის, ბებელის,  
წითელ დროშებით გადმოუენილი.  
შემდეგ... უდროთ მატარებელი,  
ტეხურის ხიდზე გადაფრენილი.

საშიშ ფურცლებით ივისილი უბი,  
თვალები ცეცხლით შემოხაზული;  
მარსელიონით მგრგვინავი კუპე,  
სამი უანდარმით გადარაზული...

შემდეგ — საღვერზე ბრძოლა გმირული,  
თოფის გრიალი მოუსვენარი;  
შიში, ქვასავით გულს ჩაძირული,  
ტყვიები, გველის კბილით მებენარი.

დაბოლოს — მთვარე ამომავალი,  
და შეერცხლილი მთათა გრეხილი.  
მატარებელი უორთქლმავალო,  
გველეშაპივით თავგაჩეხილი...

შშორდება ჩრდილი, თვალთ რომ მებერა,  
გული ბრძოლისკენ მიმიწევს ეხლაც,  
მაგრამ ეს ვიცი, რომ ქელებურად  
დღეს ვეღარ შევძლებ მე მტერთან შეხლას.—

რადგან დავკარგე ძალა ქეიტეირის  
და ალარა მაქვს ბრძოლის უნარი.  
ჰოდა, ხანდახან გული თუ ტირის,  
გული არ არის გასამტყუნარი...

1927

## ახალი ტელი

ეს ერთი წელიც უნაპირო ბრელს შეეხისნა,  
 დაინთქა სადღაც დროთა ფერფლის საკუპნოში,  
 და დამიტოვა ჭალარა თმის კიდევ ერთი ძნა  
 და გულის ტკინის მწვავე კვალი შუბლის ნაოჭში.

მოლის სიბერე, ვზიდარ ვერცხლის გეირგვინოსანი  
 და ველი სიბრძნეს ყოველ რითმის გამოყვანაზე.  
 მინდა ძარღებში დაეიგუბო მზე ღვინოსავით,  
 ოღნავ ზარბოშად რომ ვიარო ამ ქვეყანაზე.

მეუოფა ზრუნვა და სიმწარე, რაც განვიცადა-  
 და სინათლემ დააბრძმაოს ბედი მქორდავი.  
 მოადგა ნაპირს ლერძმებარი ეს წელიწადიც,  
 როგორც ხომალდო, ოქროს ხორბლით დასატეირთავი.

გემზე სიმღერით ავიტანოთ ტვირთი ძეირფასი.  
 შრომას თან ახლავს სიხალისე, ლხენა და მადაც.  
 და თორმეტი თვე, თველით საესე თორმეტი თასი,  
 ვაღავულოცოთ შარადობის უძღებ თამადის.

არ მოგიიჩდება ამ ნაპირზე დიღხხანს ლოდინი:  
 დაღება დრო და მორიც ხომალდს ჩვენც თან გაუჟვებით.  
 იქნება ხსოვნაც ალარ დარჩეს მცირეოდენი,  
 ისე განქარდეს ჩვენი ფიქრი და განზრახვები.

რისთვის გაწვალოთ ნეტავ თვეალი ირგვლივ ცეცებით  
 გვეყოფა სივრცე, მომავლისთვის რაც შემოვხაზეთ.  
 ვიცი, ჩრდილიერ ბოლოს საბმე დაერკეცებით,  
 გაშრება ცრემლი და ღიმილიც დამლნარ ლოყაზე.

სხვა ნურა ვეინდა: გულის ტკენით ირა ეთქვათ მხოლოდ: —  
 თუ ჩამქრებოდა, ყრმობის სიზმარს რადღა ვანთებდით!  
 დაგვრჩეს ბოლომდის, რომ ნუეშად გულს გავაყოლოთ,  
 შრომის ხალისი და ოცნების შარავანდედი.

## პოეტის გული

როცა გულს ეჯიბრება ღამე გაუთენარი,  
გულის ძერის ყურს ვუგდებ სახეგაფიორებელი.  
მიმაქროლებს საღლაცა გული მოუსცენარი,  
სიჩქარეს და განსაცდელს მუდამ შეყვარებული.

უფსკრულის წინ თვალები შიშით გერ არ დახრილა,  
საშიშარი მანძილი ბერჯერ გამიზომია.  
ო, რამდენი სინათლე ჩემს თვალებში ჩაღვრილა  
და რამდენი ვარსკვლავი ფრთებზე შემოძსხდომია!

სასწაული არ ვიცი უფრო შეუცნობელი:  
როგორ უძლებს, — მაკვირვებს, — გრძნობას უმხურვალესს,  
ეს პატარა მანქანა, ასე ღალუცხრომელი,  
ეს პატარა მოტორი უცნაურის ძალისა!

ალბათ გულში მზე ჩადის, ცილან გადმოღვარული,  
მიტომ იწვის მარადეამს გასაოცარ ანთებით  
უნაპირო საწყოთ უზომო სიხარულის,  
საყვირველი ჭურქელი, ამდენ ჭირთა დამტევი.

თუმცა ბრძოლის სიმწვავეს ბევრჯერ გაულეწია, —  
გული მაინც სავსეა სინათლით და რიტმითა.  
გული მაინც სალია, თუმც ჭალარა მეწვია,  
თუმცა ბევრმა იშედმა ბევრი ჭირი იტვირთა.

ვინ დაჩრდილავს პოეტის გულის პატიოსნებას,  
ვინ გაბედავს ამ გულის მზაყვრიბაში ჩათრევას?  
რა გამოლევს ამ გულში სიხარულს და ოცნებას,  
ვიდრე გული არ დაშრეტს სისხლის მზიურ შადრევას?

## ტ ბ ი ზ ი

მსევ ტყეში ვარ, და ფიჭვები თავებს შიხრიან,  
 მხვდებიან, როგორც ნაცნობები და ნათესავნა.  
 აქ მე მჩავალვერ სნეულ მეტდში მზე ჩამიღვრია  
 და წყაროს თვალი მიწოვია დედის რძესავით.  
 მიყვარს ბუნება, მპატიონ ურბანისტებმა.  
 თუმცა უნდა უთქვა, თუჯის ხმაურს არც მე გავუჩინა:  
 ქარხანა ტყეში, — ასეთია ჩემი სისტემა.  
 ვფიქრობ ტრაქტორზე, როცა თვევა ჩამივლის ურმით.  
 ცისფერ ჰაერში რომ იმღერონ ქარხნის ლევდებმა,  
 ჩემთვის ეს არის სანატრელი და სასურეელი.  
 ხომ შეიძლება გწამდეს რკინის შემოქმედება,  
 მაგრამ გერჩიოს ქალაქის მტვერს ფიჭვის სურნელი!

მიყვარს ქაერი. ტყიან მთასაც მიტომ ვაფასებ.  
 მთელი დღე ტყეში ნაღირივით დავებოტები.  
 ღამით ვიძინებ აივანის მაღალ რატაზე.  
 თავს დაშრიალებს თეთრი არყი დახრილ ტოტებით.  
 ასე მგონია, ვარსკვლავები ასხია ტოტებს.  
 ვარ შემოსილი ღამის სუნთქვით და ტებილად მცირა.  
 მოველოდები, როცა ქარი ხეს აატოკებს  
 და ვარსკვლავები ფოთლებივით თავზე დამცირავა.  
 ვუცქერი ზეცას. ლურჯ ბუდეში მერცხლები სხედან.  
 ვიძინებ, როცა ცის დუმილი ჩემში ვადმოვა.  
 და ყოველ დილით, რომ ვიღვიძებ, ბალიშზე ვხედავ  
 სიღან ცრემლივით ჩამოცვენილ ფოთლების ვროვას.

დგის მთა ტახიეთ ჯაგრიანი და აქოჩრილი.  
 ავდივარ ზევით, შემდეგ ხევში გადავეშვები,  
 სადაც აგდია ცხედარივით ფიჭვი მოქრილი,  
 ვიწიქებ მოლზე და ვსვამ წყაროს სავსე პეშვებით.

თეოტი ღრუბელი, თითქო ციდან ჩამონაკლები,  
დამჯდარი მთაზე და ჩემსავით ჩაფიქრებულა.  
წაბლსა და მუხას წამოუსხამთ ოქროს ნაბდები  
და მწვანე ტყეში თულებივით ჩასაფრებულან.  
სშირია არყო, ხარობს თუმცა ფიქვი მეტ წილად.  
ტყეში აქა-იქ ყვითელ ფოთლის ანთია ზეინა.  
შეს ფეხით ვთელავ, ტყეში უხეად რომ ჩალეწილა,  
და გუდასავით ვხერავ ფილტვებს ჰაერის ლეინით.

კარგია წყალი, ტურბინებზე შეელებს რომ ისერის.  
კარგია ნამიც, მზის წვეობით თუ ნასსურია.  
მიყვარს ტყე და მხე არა მარტო სარგებლობისთვის, —  
ფილტვებზე მეტად ტყე მზიანი თეალებს სწყურია.  
ფვას ტყის ნაპირად ერთი ვერხვი განმარტოებით.  
უაველ ფოთოლზე ნაპერწელების ფერხული იწვის, —  
თითქო სხივების დასევია მას კოლოები,  
თითქო ამოდის ცეცხლიანი მახვილი მიწის.  
დაიწვა სახე, ღრუბლის კოშქზე სხივი რომ სწერდა.  
აგრილდა უცებ. მოიხურა ცამ ტყავი ვეფხვის.  
ისმის ჰაერში ერიამშული უჩინარ სწერთა  
და მივიწყებულ სანთელივით ანთია ვერხვი.

მხემ ტყეს ამართულს შეასია ნარინჯის ქობა  
და თეითმეცლელივით გადიჩება ღორღლიან მთებში.  
ისფერ ღრუბელს ოქროს წვიმამ გზა გადუღობა  
და ტყეს დაემხო სისხლით სავსე ფირუზის თელში.  
მოულონელად თუჯის მილში ადულდა წყალი,  
მოახტა მძინარს ბნელ ვეირაბში რეინის ბედაურს.  
ავარდა ქალი, დატრიალდა ცხენი გამწყრალი  
და ცეცხლის ძუა მიაყარა მხედარს უცნაურს.  
და უცებ ტყეში ატყდა ჩუმი შუქის განგაში,  
თითქო ზეციდან გადმოფრინდა გუნდი გარსკელავთა.  
ან თითქო ლამეს, აჩქარებით შემოსულს მთაში,  
დაბურულ ხევში ჩაუვარდა ციური კალთა.

## დ ე დ ა მ ი ზ ა

თუ ჩემს ლექსიბში გლეხურ განცდებს ხშირად ვეხები  
 და სოველ მიწას უბრუნდები მე დაქინებით,—  
 არა იმისთვის, რომ ტალახი ვზიღო ფეხებით,  
 ან თვალს ვამზ ჭრელ მინდორზე გასეირნებით.

მე თუ ქალაქის მტკრიან ქეაბში ვერ ჩივესახლე  
 და გავურბიყეარ უპარის ქუჩის სიმძიმეს,  
 წარსულისაკენ ამ ქეყუანას როდი ვეძახი—  
 ჩემ წინ შორეულ მომავალის ზეცა ციმციმებს.

მე კარგად ვიცი, რომ სოფელში მეტია ძველი.  
 ქალაქი ბრწყინვას, რეინის თაღით ცას მიბჯენილი.  
 ვიცი, მანქანას გზას დაუთმობს უძლური ცელი.—  
 ვარწმუნებ ყველას, რომ არა ვარ ჩამორჩენილი.

(დღეს ხომ პოეტი ძველებურად თვალს ვერ ადევნებს  
 ჰაობის უვაფილო, უსინათლოდ მოსულო ხავს! უკანი კარგი და უკანი მეტად უკანი შედრევენებს  
 მიწის სტომაქი; ადულებულ ლითონით საესე!)

მაგრამ მე ვამბობ: უნდა გვჭრდეს ქვა და ნაცარი,  
 თუ გვინდა გულის მღელვარება არ გვაციოთ.  
 წარსულისათვის დედამიწა იყო ტაძარი,  
 ღროა ის შრომის სახელოსნოდ გადავაქციოთ.

იხარებს მიწა, თაობათა ძელებით ნათესი.  
 მძლე საუკუნე მარცვალიერით მარხია წუთში.  
 ლერჯი ვარსკვლავი, მზის ოჯაბში უპირატესი,  
 ზეცას გაარღვევს ასხივებულ ყინულის ზურით.



მოგვცა ეპიქამ გადამწყვეტი ბრძოლის ნიშანი.

გვაქვს გული გმირის და ხალისი თვალიდა ბავშვის,  
ახალ ბრძოლებში არ შეხვდება გზა გამთიშვი  
ელვარე ტვინის და ძარღვიან კუნთების კავშირს.

ამგვარ იმედით ხშირადა ვარ გარემოცული,  
და როცა ეხედავ, რომ სიცოცხლე მხოლოდ წვეთია,  
შე მიხარია, რომ მიწიდან ვარ ამოსული  
და ბებერ მუხას ჯერ ფესვები არ დამწყვეტია.

მჯერა — აანთებს სამყაროში ჩირალდანს პირეელს  
მიწის კეფაში დაგროვილი ელექტროტვინი  
და იტყვის სიტყვას გაუგონარს და გასაკვირველს  
ეს საუკუნე, დაღალული ელვით და რკინით.

1928

## მამის სიკვდილი

მამა წისქვილში გამხდარა იყალ,  
 ალბათ გალალეს ავმა თეალებმა.  
 წისქვილმა იცის უემური ჰავა  
 და უეცარი აქანკალება.  
 ორი ღლე-ღმე ბრუნავს წისქვილი,  
 და სიმინდს ლეჭავს ოთხი ყბა ქვისა.  
 ბაიასფერი სიმინდის ფქეილი  
 უხდება ტომჩებს, კით ოქრო — ქისას.  
 შეაბამს ურემს ქედმორჩილ ხარებს.  
 დაუდებს ტომჩებს, თეითონ ზედ წვება.  
 იქნებ ავადმყოფს, სათბურით ღარიბს,  
 ოფლი მოპგვარონ ნაბლის ბეწედებმა.  
 არ გაწყდებიან აქეურები,  
 ტაბიე მარჯვედ თუ გადარაზეს,  
 და ჰქვიან ხარებს მოპყავთ ურემი  
 გადაუხვევლად ნაცნობ შარაზე...  
 სახლში დიდმარხვის ორშებათია,  
 და მამას დედა ელოდა გუშინ.  
 ეზოში ქასთან ცეცხლი ანთია,  
 ცეცხლი უნთია დედასაც გულში.  
 — რათ არ მოვიდა, ნეტავ, წუხელი? —  
 ფიქრობს და ხეხავს ჯამ-ჭურჭელს ქვიშით.  
 თანდათან მძიმე და გაუმხელი  
 იბყრობს დედის გულს მეგესლავი შიში.  
 შაეჩინხიანი, თეთრწვერისანი  
 ბაბუ ზის ჯირქზე და თუთუნს აშრობს.  
 ჭა ამართული დგას წერისაუკი  
 და იქვე ძალლი ხბოსთან თამაშობს.  
 ძალლი უეცარი მოპყვება წემუტუნს.

ბაბუ მურიას გაშუავრდება.  
 მაგრამ მაშინვე გადაძყრის თუთუნს,  
 დედასაც თევზი გაუვარდება...  
 უსაპნო ღერძის ახმაურებით  
 მომგერელი შიშის და მწუხარების,  
 მოდის უმამოდ მამის ურემი  
 და მობლავიან გზაზე ხარები.  
 ტომჩებზე მოჩანს შავი ნაბადი.  
 გაფიორებული იყივლებს დედა:  
 „შავიად გათენდა დღეს ორშაბათი,  
 კარის გამლები უფრო შავ დღეთა!..“  
 ჩამოიყვანენ ურმიდან მამას  
 და დაწევენ კარლია სახლში.  
 მიპერიან მეითხაეს ქოჩირა მამალს  
 და მოიტანენ შენალოც ნახშირს.  
 ნაკურთხი წყალი გაჩნდება ღოქით.  
 ვერცხლის ორ შატრს წყალი ჩასძირავს,  
 და ხატს წაულებს ბაბუა ჩოქით  
 აბრეშუმს, თაფლს და სხვა შესაწირავს.  
 ხარშავენ დიღხანს ბალანის ძირებს,  
 ამხობენ გობზე თავდალმა ქოთანს,  
 მაგრამ სწეული ვეღარ იძინებს,  
 თანდათან უფრო იბრძვის და შეფოთავს.  
 დაბოლოს, როცა მძლავრობს ანთება,  
 დაიბარებენ ურია-ფერშალს.  
 მაგრამ წამალი დაგვიანდება  
 და ვერაფერი უშეელის ბეღშიავს...  
 იგლოვებს დედა მწვავე წუხილით.  
 მას შემდგომ ჭმუნეას ვერ მოიცილებს,  
 და ბრჭყალმაგარი ბებერ კრუზივით  
 თავს დასტრიალებს ობოლ წიწილებს.

1929

## გ თ ბ ი ა ჩ ე მ ი

ბებიაჩემი მოყვედა სწორედ ოთხმოცი წლისა,  
 და მთელი ეს დრო მოანდომა წერილმან საქმეებს;  
 დასდევდა მუდა ჩალის ჯოხით ქათმის წიწილსა  
 და ყოველ შაბათს ნაკერძნისალზე პურიდა საქმეველს.

უვლიდა ბოსტანს და ეზოში პრგავდა ხეხილებს,  
 ეჯავრებოდა მწვანე შტრიზე ფითრი და ხავსი.  
 ახალუხისოფის საუცხოოდ სკვნიდა გრეხილებს,  
 ამბობდა ზღაპრებს მაღალ კოშკის მშეთუნაბავზე.

ერიდებოდა მეზობლის ქალს ანჩხლს და კაპასსა,  
 თავის ეზოკარს იშვიათად მოშორდებოდა;  
 კაქლის ზანდუქში ინახავდა ფარჩის კაბასა,  
 რომ თეთრ კუბოში ჯვარისწერა მოჰვონებოდა...

ერთხელ გაჟყიდა ასი კვერცხი ცამეტ შაუჩალ  
 და ექესი წყვილი სეფისკვერი მღვდელს ჩააბარა.  
 დაბრუნდა სახლში, წიწილებთან ვაიხმაურა,  
 დაწვა და ტკბილად დაიძინა... და არ ამღვარა.

ალბათ ყოველთვის სანატრელად მემახსოვრება  
 მიწის ის კუთხე, სად ბავშვობა ჩემი დავყავი;  
 სადაც ჰყვაოდა უდარდელი ჩემი ცხოვრება,  
 შემდგომთა დროთა სიბრძნის ეანგით დაულალავი...

და ვფიქრობ აბლა: არ დავეძებ დიდრონ საქმეებს.  
 იქნება სჯობდეს ჩამოვწიო ქუდი ყურებზე!  
 ხანდახან ჩუმად ნაკერძნისალზე დავყრი საქმეველს,  
 რომ ვიოცნებო ზღაპრულ კოშკის საფეხურებზე.

რა საჭიროა გადავაკვდე უჩნი მოქამათეს,  
მჰამოს ათასმა თეორიამ და ღებულებამ,  
როცა მზე ჩემთვის მხოლოდ ერთი წუთით ანათებს,  
და სხვა სიცოცხლე მიწის გარეთ არ მეგულება!

რათ ჩიებიშარო დარჩენილი წელი ორიოდ,  
ვიდრე მისმობდეს ცხონებული ჩემი ბებია?  
ოთხმოცი წელი გაატარა უთეორიოდ,  
და მისი ბელი, ვიტყვი, ბევრჯერ შემხარბებია!..

1929

## პ ა პ ა ჩ ე მ ი

სწამდა განგება და სიმართლე ღვთიურ წესების.  
 უყვარდა თესლით საცხე მიწა და კა მზრუნავი.  
 ჰქონდა ვონება ბნელს ჩამარხულ მუხის ფესვების,  
 და ნებისყოფა — ძველევასავით გაუღუნავი.

გაუხდა ავად პირმშო შეიღი, ძე ერთადერთა.  
 სიყვდილის ლანდმა ჩამოპბურა ზეცა მაღალი.  
 წარბმოლუშულმა დაიქტხა: „მე ხომ დავბერდი!  
 შესია სოფლის: ძეელი გაქრეს, დარჩეს აზალი!“

გაიძრო ფეხთა, შემოირტყა წელზე ბაწარი.  
 მივიდა ხატთან და შეპკალრა: „რიგი ჩემია!  
 უკვი მოეხუცდი, მეუფეო, და ვარ ნაცარი.  
 შეიღს მზე სწყურია, მე სიბნელე ამირჩევია!“

ხატის წინ ჩოქეით დააღვენთა თაფლის სანთელი.  
 თბილ მიწას ცრემლად დააწურა გული ზეიადი.  
 შემდეგ ჭილრის ქვეშ ააბლავლა ხბო შარშანდელი,  
 და ხატს საძეო გაუმართა წმინდა ხმიადი.

ვერ მოისყიდა ამ ვეღრებამ ცათა მპყრობელი,  
 და ვერც ზედაშემ, იმ საღამოს ჩაც დაიხარჯა.  
 და მოხდა საქმე, მოხუცისთვის შეუცნობელი:  
 მოკვედა საბრალო მამაჩემი, მოხუცი დარჩა!..

მას შემდეგ იმის აღარ უთქვამს ღვთისთვის მაღლობა.  
 დააგდო წირეა. შეიძულა კა მატყუარი.  
 ვერ აპატია ქვეყნის შემქმნელს უსამართლობა  
 და სიკედილის წინ ზიარებას უთხრა უარი.

თავის გაწირვა იყო მისთვის ეს შეკვიდება:  
 დიღია მსხვერპლი, საუკუნო ტანჯვეს თუ ელი.  
 მუდამ მამხნევებს მე ამ ბრძოლის მეცრიდი დიდება, —  
 მორწმუნე გლეხის ეავკაცური ღმერთთან დუელი.

და ხშირად ეფიქრობ: რას გავაწყობ ლექსის ბეჭდვითა,  
 თუ გულში ღველყი ამბოხების დამრჩა უხმარად,  
 რითაც მოხუცი პაპაჩემი ღმერთს შეკვიდა,  
 და ქრისტეს მისი წმინდა სისხლი გადაუღვარა..

1927

## ଅନ୍ତର୍ଭାବ

(ଅନ୍ତର୍ଭାବରେଣ୍ଟ)

ତୁମପୁ ଯେବେନତାଙ୍କ ଗ୍ରହତାଦ ଏହି ମେହିପ୍ରେ ଚିରଲିଖିଛାଇବା,  
 ରାଜୁ ପାନ୍ଧିନୀଙ୍କ ନାତେଲ ଭ୍ରମିତାକୁ ମେହି ବାର ମିଳିଦେଇଲା,  
 ମାଗରାମ ମନ୍ଦିରତାଙ୍କର, ମେଘନାଥରେବା, ରାମକର୍ଣ୍ଣରୁ ମେହିତ୍ତେଇଲା,  
 ରାମ ପାନ୍ଧିବା, ମହାମାତ୍ର ପାନ୍ଧିରୁଙ୍କାଙ୍କ ତାଙ୍କ ରା ମିଳିଲା,  
 ଗ୍ରହତ ଭାବରୁ ମନ୍ତ୍ରଭାବରୁ ଲୈଖିଲା ଉତ୍ସମ୍ଭବ ପ୍ରକାଶିତ ନାହିଁନା,  
 ମନ୍ଦିରଲାଙ୍କରା ମିଳିବାରୀଙ୍କ ପାନ୍ଧିନୀଙ୍କ ଶାସନ ମାନିଲା.  
 ଏହା କି ବାନ୍ଧବଙ୍କର: ରାମପା ବିରାଗିଲୋକ ପ୍ରେପନ୍ଦି ଏହିବା,  
 ଦରକାଳୀଙ୍କ ମାଗରାମର ଅଭିନନ୍ଦରେବା ମନ୍ଦିରରେ ଜୀବାନ.  
 ରା ଏହିଙ୍କ ଲୈଖିଲା, ତାଙ୍କ ଏହି ଗ୍ରହନନ୍ଦିଙ୍କ ପଦିତାନ୍ତିର!  
 ଦ୍ୱାର୍ଦ୍ଧରେତ ମନ୍ଦିରର ଗ୍ରହନିକାତ ପ୍ରମାଣିତ କ୍ରମିତ୍ୟ,  
 ରାମ ଚାକ୍ରିତକ୍ଷେତ୍ରରେ ଭାବରୁ ସିଦ୍ଧାର୍ଥାଲୀଙ୍କ ଗାୟାରକରେ ତାନ୍ତ୍ରି  
 ଦ୍ୱାର୍ଦ୍ଧ କ୍ରମିତକ୍ଷେତ୍ରରେ ଦ୍ୱାର୍ଦ୍ଧ ପ୍ରମାଣିତ ଗ୍ରହନିକାତ.  
 ବ୍ୟା ବ୍ୟାମାରତ ବ୍ୟାପ୍ରକାଶରେ: ଶ୍ରୀଦାସ, କ୍ଷେତ୍ରିନାନ୍ଦ, ବିଜେଶ,  
 ରାମପା ଗ୍ରହନିକାତ ଗନ୍ଧାର୍କଲେବାର ଗର୍ବପାନ୍ଦୀଙ୍କ ଗାରିଶେଖିଲା.  
 ଫଲେକୁ କ୍ଷେତ୍ରର ଗ୍ରହନନ୍ଦାମାତ୍ର ପ୍ରକାଶରେ ଶୁଭୀ ବ୍ୟା ଏହି ଶେଷା,  
 ଦରକାଳୀଙ୍କ ବ୍ୟାମାରତ ଦ୍ୱାର୍ଦ୍ଧ ପ୍ରମାଣିତ ଗ୍ରହନିକାତ.  
 ମିଳିଦେଇବ କ୍ଷେତ୍ରରେ, ଶ୍ରୀଦାସ ତେମିଲିତାକୁ ଦରକାଳ ପରିପାଳିବ.  
 (ଶାତ୍ରରତ୍ନାକରିତାଙ୍କ ଦରକାଳରୁ, ଶ୍ରୀଦାସ ପାନ୍ଧିନୀଙ୍କ ନାମରୁ)  
 ରାଜନୀଙ୍କ ରାଜମହିଦିଲା ଦ୍ୱାର୍ଦ୍ଧରେ ହାତାପ୍ରକୃତ ବିଲାମାଲ,  
 ମାଗରାମ... କ୍ରମିତକ୍ଷେତ୍ରରେ ବ୍ୟା ପ୍ରକାଶରେ ମନ୍ଦିରରାଜନୀତାକୁ  
 ତାନ୍ତ୍ରିକ ଏହା ହାତର ଲୈଖିଲାମି ନାମରୀ ଏହିଙ୍କ ତାଙ୍କ ଏହା,  
 ଦ୍ୱାର୍ଦ୍ଧ ରାଜମାତ୍ର ପ୍ରମାଣିତ ଏହିକାନ୍ତରେ ଏହିକାନ୍ତରେ  
 ପ୍ରମାଣିତ.

ଶାତ୍ରପ୍ରକାଶ

ବ୍ୟାମାରତ

ବ୍ୟାମାରତ

ଦ୍ୱାର୍ଦ୍ଧରେ

କ୍ଷେତ୍ରରେ

თითქმი სტრიქონებს თართველმავალშა გადაუარა.  
 რათ ვინდათ განგებ აურიოთ მეითხელს გზაკეთლი  
 და ყასაბივით კეპოთ ლექსი გულასარევად!  
 მოღუნეთ სიტყვა ძარღვიანი, როგორც ბზაფალი,  
 მაგრამ სტრიქონმა დე იფრინოს მცრელ ისარივით.  
 უმიზნეთ ერთად ყოველდღიურს და საუკუნოს.  
 ეპოქის გრაფინვით შეანგრიეთ-ლექსების კარი.  
 მუგუზალივით ააცეცხლეთ ყოველი პწკარი,  
 რომ მთელმა ლექსმა ხანძარივით დაიგუგუნოს.  
 მოწმეა ძერათა უდიდესთა ჩვენი თაობა  
 და მონაწილე გაუშომელ აღორძინების,  
 მაგრამ ლექსებში ხშირად ისმის ხმა მიძინების,  
 ან მეტიჩრული მკვეთრობის საცოდაობა.  
 გაზომეთ სიტყვა. ჯობს ქადილი მოწიდებული.  
 ეის უნდა ლექსში ანაუკირი „აღმშენებლობა“,  
 თუკი თვით ლექსი ბანალობის ლაფში ეფლობა  
 და თავს აბეზრებს მკითხველს ურიცხვე შორისდებულით?!

ნუ ჩამომართმევთ ამის, ძმებო, ქუუის სწავლებად.  
 რჩევას უბედავს ცხრამეტ არწივს ერთი მერცხალი!  
 მე თქვენზე მეტი დამიღვრია ლექსების წყალი,  
 და მესერხება დამპალ შტოზე ხელის წავლება...

1929

## პ ხ ა ლ მ ა ზ ა ჲ ა ბ ს

შე არ მინდა ეისიმე გაპარება, ან წყვენა —  
 ჩემ სიმღერის შედევებს შე როდი განვარიშობ!  
 მზიან შემოსილ სივრცეში შე ფრენით დაფარატებობ,  
 და ვიცი, რომ არ არის მარჯვენა და მარცხენა.  
 არის მხოლოდ სიმღერა სკელამიწერული  
 და აჩწივის ფრთათა ქვეშ მოშრიალე პატარ,  
 მზის მოსკელა და ჩასკლა, ფერი ათასნაირი  
 და ეგ ჩევნი ქვეუანა, ზეცით გადახურული.  
 ლექსილან: წერის მასწავლებლებს 1916 წ.

მზეს რათ ეტანებიო, — ამ საყეუდურს ვიცნობდი.  
 ახლა კი დამცინიან: ქაობში რათ გლიხარო!  
 ნაგრიგალევ ხესავით როგორ წამოვიზარო,  
 თორემ კალამს უღონოს ხრამში გადავისროდი.

საწყენია უთუოდ და თან გასაკვირალი:  
 მოწინავე არ ხარო, მტუქსავენ და მარცხენენ.  
 მემარჯვენე არა ვარ, იქნებ არც მემარცხენე,  
 მავრამ შრომის დიდების ვიყავ და ვარ მყვირალი.

ჭარსულში გადამრიცხეთ. მაგრამ ერთი მითხარით:  
 განა ჩემი ჭარსული სამარტვინო რამ არი?  
 ჯერ არ შემოგცევთიათ ყმაწეილობის ქამარი,  
 ამიტომ გვემუქრებით გაუგებარ სიცხარით.

ჭარსული მაქეს. არა ვარ პოეტი უთარილო.  
 მე ჩემი გზა ოფლით და სისხლით გამიბანია.  
 არასოდეს მწვევია განლილების მანია:  
 მედილური ყიყილი ჩემს ლექსებში არ იყო.

თქვენ მისინჯავეთ თვალში ბეჭედს საკუთარის ღირეთ,  
იშვიათად მიღიმით და ხშირად იქბინებით.  
ძვირფასო მეგობრებო! ერთი კეთილინებეთ  
და ბრძოლაში სიყვარულს გზა დაუთმეთ მცირედი.

ნუ იქნება ჩეენ შორის თქვენობა და ჩეენობა,  
გზა ერთი გვაქვს, ერთმანეთს ჯობს მოვეპურათ სათუთად,  
სულ ერთია, უჩენოდ ველარ დაისაკუთროთ  
ქართული პოეზიის ბჟემალალი შენობა.

როცა მესმის ყრმათაგან სიტყვა ზოგვერ შმაგური,  
მინდა ვყითხო მათ შორის მეტად მოგანგაშეთა:  
ეს ბრწყინვალე შენობა ნუთუ ისე აშენდა,  
ჩემი არ ურევია აღარც ერთი აგური!

პასუხიც ხომ მსმენია, ნათქეამი თუ ნაშერი:  
„წარსულისთვის — მადლობა, დღეს კი... უკაცრავადო!“  
მოღით, თქვენს ჩირალდნებთან ჩემი ჭრაქიც ავანთო, —  
იქნებ მეც გაეანთო მიწის ერთი ნაშერი.

პოეზიის ფართო გზას არავის ვედავები,  
საცალფეხო ბილიკი ჩემთვის ამირჩევია.  
თქვენ გონიათ გამასწრებთ? შური მე არ მჩვევია:  
მწვერვალზე გამოჩნდება დადაფუნული თავები.

მეგობრები სადაც გუავეთ მეც იქ მიანგარიშეთ:  
თქვენი კარგი მახარებს, თქვენი ავიც — ჩეენია.  
„შეილი მამას ჩომ სვლობდეს, მამულს ის ურჩევნია!“  
ოღონდ რამე გვაჩვენეთ დაპირების გარეშე.

ათასჯერ დაპირებას სჯობს ერთხელ შესრულება.  
თქვენ თუ ფიქრობთ — მიურინავთ, ნახეთ, არც ჩეენ ვგვიანობთ.  
შევვარებულ ქალივით მუდამ ნუ ეჭვიანობთ,  
მოწინავე რიგებში მტრები ნუ გაგულებათ.

საერთო სიმღერებით ამოციესოთ ყელები.  
სიყვარულით შევმოსოთ გული, ჩრდილით ნაბური.  
გაიგონეთ, მიიღეთ სიტყვა ამხანაგური  
და საერთო ბრძოლისთვის გამოწევდილი ხელები.

1929

## თოვლი და მზე

მესმის ქუჩილი. უკვე ლროც არ  
 გაიხსნას კარი უფსერულისაყენ,  
 აენთოს ხშირ გასაოცარი  
 და გაბზარული გამოჩნდეს სარკე,  
 უნდა გა და ხელი ხეივანია.

დროა ქუხილმა გულს დაუძახოს  
 და თვალმა ნახოს ლექესების ბალი.  
 შევაღე კარი, დავხედე ახლოს, —  
 ველარია ვნახე ყვავილი საღი.  
 ბალში მზის ალი დაუშრეტია  
 უიმედობის მსუსხავ მუქარის;  
 მზე ოდნავ ბეუტავს, თოვლი მეტია, —  
 ყვავილთა გროვა თოვლს დაუფარავს.  
 შემქრთალი თვალი მზეს ვერა ხედავს  
 ნათოვარ ლექსთა ნესტიან ბალში,  
 და გული, — თითქო მისტირის დედას  
 გიწრო აევანში ჩაერული ბაეშვი.  
 მზეო, ნათელო! ნუთუ ღამდება?  
 გადმომაფარე ბრწყინვალე კალთა,  
 რომ კვლავ შევიგრძნო გულში ანთება  
 შემოქმედების უცნაურ ძალთა;  
 რომ ტეირთი, მიწამ გულს რომ აქვიდა,  
 შევ აჩრდილივით თან არა მდევდეს,  
 და გაბზარული სულის სარკილან  
 მზის ნაცვლად თოვლი არ ანთებდეს!

1929

## III III

### განზარული ხარკე

ჩემი თვალებო! ბევრი გისვამთ მზის ბრწყინვალება.  
 ლურჯ ნაპირებზე გიძოვნიათ ოქროს ბალაზი.  
 გინახავთ ზეცა, ელვის ჯარით გადანალახი,  
 და დღე და ღამის ჯადოსნური ფერის ცეკვალება.

თუმც ხშირად ცრემლით აგინუსხავთ ბევრი შვალება, —  
 არისტოს ერთად არ გინახავთ მზე და ტალაზი.  
 გუგაზე გქონდათ ალბეჭდილი ერთხელ ნანახი  
 წითელი ღრუშის უცარი აფრიკალება.

მაგრამ როდესაც რეინის რაშმა სივრცე დალეწი, —  
 თქეენ ნახეთ ერთად თავგანწირებაც და სიმხდალეცა,  
 და ცეცხლის ღვარმა შეანგრია წამწამთა ფარი.

მას შემდგომ სარკე დაორთქლილი და გაბზარული  
 წინ აგეფარათ, ანრდილებით შემოჯარული.  
 მიგაფრენთ რაში და ბრძა სარკეს ვშოლტავს ფაფარი.

## II

### ა. აბაშელი

გაწუხებს გული, ამდენ იქვთა თავშესაფარი.  
 უიმედობას რად მიეცი ოცნება ტყველა?  
 მცენარ ფოთოლივით რად დანებდი გაფრენილ დღეთა?  
 მიგათრევს რაში და გისუსხავს თვალებს ფაფარი.


ჭა, შენი წიგნი, ჭირნანახი და ნაჯაფარი,  
ღორღიან გზაზე ამოსული ექლიან ხედა.  
ნუთუ გარშემო სანუგეშოს ვერაფერს ხედავ,  
რომ ფუქის ონცრით აფიცირი ირგვლივ მთა-ბარი!

ცაში მზე დადის. შენს თვალებში რათა დგას ჩრდილი?  
პაუ, ლაჩარო! საუკუნის არა ხაჩ შეილი! —  
როგორ ვერ ზიდე დროს სიმძიმე და სიმძაფრენი?

მოხსენი თვალებს სარკე ცივი და გაბზარული,  
რომ დაინახო კლდე და ველი გადასაფრენი,  
და თქეი სიმღერა, ეპოქისთვის თანამგზავრული!

1929

# ଜୀବନ ଲୀଙ୍ଗ ସମ୍ବନ୍ଧରେ



ଫାଗୁନ  
IV

1932

—

1939

## ცოლადაშალი

მოგესალმებით, ქედებო,  
 შომაქეს სალაში გვიანი,  
 ვაჟა-ფშაველა.

ზამთარმა მთების კალთები  
 დიდხანს აწვალა, აწუხა,  
 ქლდინი ხევი დაკუტა,  
 ყინულით ღაამარწუხა.  
 მაგრამ მოეიდა აპრილი,  
 სალაში გადმოაქუხა,  
 ცაში ნახვეტი ბაჯაღლო  
 ლაჟვარდის ქვაბში აღულა,  
 ღააპირქვავა მიწაზე, —  
 დაცუიდა ოქროს თაეთუხად.  
 მიდი და ქრიფე ყვავილი,  
 სიამისათვის მზა თუ ხარ.

მთებზე შემოსბდნენ ლრუბელი,  
 გამთბარნი ცხელი სხივითა.  
 მიწამ სვა თბილი ჰერი,  
 წინათ ნათოშმა ცივითა.  
 გაიხსნა შუქის უფსკრული,  
 შიგ სიხარულით ვცვივითა.  
 თავზე დაგვემხო ივნისი  
 კოქისპირული წვიმითა.  
 პეშეი მოვრკალე თასივით,  
 სიცოცხლის ჩერი ვსვი მითა.

დილა გადმოდგა გორაზე  
 ქირეისფერ სამოსელითა.

კალთა სავსე იქვს ლალითა,  
მიწაზე დასაღვრელითა.  
გადაიტარჩია მთა-ბარი  
ოქროს ძაფების ქსელითა,  
ტყემ გადივარცხნა ქოჩორი  
სხივების სავარცხელითა.

მოლიან ფერდობს ავყები,  
დაცვარულს ღამის ცრემლითა.  
შესმის წივილი რკინისა, —  
ბალახსა სთიბენ ცელითა.  
მომედინება სურნელი  
ახლად ნათიბის ცელითა.  
გადეკვლი ხევებს კლდოვანისა  
გადასასკელელით ძნელითა.  
გადავალგები იალაღს  
ბილიკით ძველისძველითა,  
ღამიხედვებიან მწყემსები  
ძროხის რძითა და ყველითა.

ცაში გამოჩნდნენ უკურად  
ლრუბელთა შავი გედები,  
ზეცა დაკაფეს ელეითა,  
დაგრიხეს ცეცხლის სვეტები,  
დაუშვეს გრძვინვა-ქუხილით  
წვიმის ქრიალა წვეთები,  
ჩარეცხეს, ჩააზიმზიმეს  
აყვავებული ფერდები.  
წვიმით დაბანილ ქვეყანას  
სიამით შევაცერდები.  
მეალერსება ნიავი,  
დამლულნებენ ქედნები,  
საღამოს სანთლებს ანთებენ  
ფშავ-ხევსურეთის ქედები.

გაუფანტიათ ნისლები,  
ფიქრებად შემოსეული.  
დამშეიღებულან გონებით,  
დაუწყნარებავ სხეული.

თითქოს მღერიან თავისთვის,  
ამაყად თავაწეული.  
ყურს ვუგდებ,— მესმის ნაცობი  
სიმღერა ვაეასეული.  
კიუხო დაეცა ვარსკვლავი,  
ზეციდან გაღმოსრეული.  
ციური შექით განათლა  
ქლდები ჩამორტვეული,—  
ჯიხეის და ირმის სავანე,  
ვაეას ლექსების რეეული.

მოგესალმებით, ქედებო,  
ნაკურთხნო ვაეას კალმითა,  
დამდგარნო სადარაჯონე  
ფარ-ხმალიანის მელავითა,  
შემობურვილნო მრისხანელ  
ელვა-ქუხილის ქვამლითა,  
აჩწიეთა საბუდარებო,  
მყიდვარნო დღით და ღამითა,  
ზამთარ — თაეჩაჩქნიანებო,  
ზაფხულ — მოსილნო მწვანითა,  
თოვლ-ყინეით შეულახავნო,  
მოუღრეკელნო ხანითა,  
ცად აზიდულნო მხარ-ბეჭით,  
ქვესკნელს დაფლულნო ტანითა!

თქვენმა უშრეტმა სინათლემ  
გონება გამიხალისა.  
მახარებს ფერისცვალება  
თქვენის დევურის ძალისა,  
თქვენს ძველ ქერაზე ტრიალი  
ახალ ცხოვრების ალისა;  
მხნეობა დაუცხრომელი  
თქვენის ვაეის და ქალისა,  
წარსულის შარავანდელი,  
შუქი მზიანის ხეალისა.

თითქოს გაისმა კივილი  
ელვით ნაშოლტის ქარისა,—

შაგესმათ შორი განგაში,  
ხმა მოლიოდა ზარისა,  
ისმოდა ბრძოლის გუგუნი,  
აბჯრის ჩხრიალი ჯარისა,  
ლაწანი მაღალ მყინვარის  
ბრძოლით შეკრულის კარისა —  
თქვენთან მოიქრა ყვირილი  
მიწის მჩხვერავის ხარისა:  
გოგოთურს გმირი უმობსო, —  
იმედი მთის და ბარისა —  
კაცი, ბელადად შობილი,  
ფოლადაურის გვარისა.

თქვენ გაივონეთ ძახილი  
ცდაზე დამდგარის გმირისა, —  
ქვესქნელს ატოკდა ფესვები  
უხსოვან დროთა ძირისა,  
ამაღლდა კედლის ნანგრევზე  
კოშკი ქვისა და კირისა,  
პასუხად ცაში ავარდა  
შუქი ფრანგულის პირისა.

ახალი ძალა იგრძენით,  
გამოგეცვალათ გუნება,  
აღარ ინდომეთ ჭარსულით  
მომავლის დაძაბუნება.  
გახარებთ რკინის არწივის  
მწვერავალზე შემობრუნება,  
ვეფხვის ნატოტარ ბექობზე  
მანქანის იგუგუნება.

«ცოდ, ლრო ლალგა ახალი,  
ჭერელი ლავშედა კისრითა,  
შიოლო ბნელ სამარეში  
კუბო შეკრული ფიცრითა.  
ჩერენს ლროს ვერ გამააღგებით  
მამაპაპეულ ისრითა,  
ახალის ბახტრიონის იშენებთ,  
ახალის წესით იბრძეითა,

იმსტევალვით ჩვენი დროების  
მინდიას უკვდავ სიბრძნითა, —  
ლენინისა და სტალინის  
საქაცობრით მიზნითა.

სალიმოს ქელზე ივლივარ,  
სიმღერა მიმაქვს ყელითა,  
შზეს მივაცილებ გორამდე, —  
ჩაეა ალმურით ცხელითა.  
ღამეს დაუუცდი შავფრთიანს, —  
მოდის ნაბიჯით ნელითა,  
ფარდის შეარხევს ციურსა  
შებერვით საკვირველითა.  
სამყაროს კარი იღება,  
ვიგსები მისი ელვითა.  
ცის შუქი დამედინება  
ათი ათასის ხერელითა.  
სულით ცათამდე ვმაღლდები,  
ვარსკვლავებს ვსწვდები ხელითა.

ოქტომბერი, 1934

## ვ ა რ ს პ პ ლ ა ვ ი ბ ი

როგორ უცირად დაღამდა!  
 ზეცა ჩრდილს დაუჭერია.  
 საღაც მზე ჰაერს დაღავდა,  
 იქ ვარსკვლავები მღერიან.

ღამემ ცას ფარდა ამხადა, —  
 ბნელს ბევრი სხივი ერია.  
 გულმა ყველა ეს ნახა და  
 თქვა: „რა ბრწყინვალე მტვერია!“

მზეს თითქო ხელით დაჭყადა  
 ოქროსთმიანი ფერია.  
 როგორ უცირად დაღამდა  
 ზეცა ჩრდილს დაუჭერია.

ღრუბელი მთვარეს ნახავდა, —  
 კისერი მოუღერია.  
 საღაც მზე ჰაერს დაღავდა,  
 იქ ვარსკვლავები მღერიან.

მთვარემ ზღვისპირი დახატა, —  
 სურათი შევენიერია.  
 ღამემ ცას ფარდა ამხადა, —  
 ბნელს ბევრი სხივი ერია.

ცა უზარმაზარ ჭაღადა  
 ვარსკვლავებს შეუქერია.  
 გულმა ყველა ეს ნახა და  
 თქვა: „რა ბრწყინვალე მტვერია!“

აგვისტო, 1932

## დილიპოსი და მებაღე

დიალოგი

სტუმრად ვიყავ მებაღესთან  
ძველ სასახლის ბაღში.  
ფარშევანგი იდგა ხესთან, —  
ცომს აჭმევდა ბავშვი.  
იქვე მეშა ღარსა სთხრიდა,  
იღერებოდა ოფლად.  
თბილი მიწის სუნი იდგა,  
როგორც ხნულზე სოფლად.  
თხრილის კიდეს ბელტზე ბელტი  
ეცემოდა მწყობრად.  
წყალსაცავში თეორი გედი  
დაცურავდა ობლად.  
და მებაღე შუბლწაკრული  
კვალზე ყვავილს რგავდა.  
ბალის კუთხე მოქარებული  
ქრელ ხალიჩას ჰგავდა.

ლირიკოსი შემოვეიდა  
თავდახრილი, ფრთხილი.  
თითქოს უცბად შემობინდდა,  
შუქს დაეცა ჩრდილი.  
მწარე ნალექელს დაემძალა  
სახე, წყრომით სავსე.  
„გამარჯობა“ დაიძიხა  
და ჩამოჯდა ქვაზე.  
მას მებაღემ გაუცინა,  
დაჩოქილმა კვალზე,

და სალაში აუწვდინა  
ყვავილების აღზე:  
— გაეგიმარჯოს! როგორა ხაჩ?  
წყენის გატყობ ხმაში.  
მან მიუგო: — რომ გორივხარ  
ყვავილების ზღვაში,  
რა იქნება, რომ ხანდახან  
მიწილადო მეცა?  
მიწამ ჯავრით ხომ დამდალა! —  
აღარ მწყალობს მზეცა!..  
— რადა, ძმაო, რას წუწუნებ?  
სამდურავი რა გაქვს?  
ამ ქვეყანას რას უწუნებ?  
ახლა ვინდა გჩაგრავს?  
გამოგონილ ბეღშაობას  
ბაეშვესავით რომ არწევ,  
რად გაურჩი მუშაობას,  
ლექსებს რატომ არ წერ?

ლირიკოსშა წამწამები  
შეაფინა წარბებს.  
— აღმაფრენა ნაწამები  
პოეზიას არბევს.  
— ეს კი მეტობს კაცის ქვლასაც! —  
ძალას ვინდა გატანს?  
ვინდ უმღერე მიწის ლაშათს,  
ვინდა ზეცის ტატანს!  
ლირიკოსი დასწვდა ყვავილს  
და დაუწყო სრესა.  
— მე არა ვცნობ ენის ქავილს  
პოეზიას წესად.  
ლექსს სინათლე თუ არ ახლავს  
უხილავი სხივის,  
თუ არ ანთებს სიტყვის ანალს,  
როცა ღმე ჰქივის;  
თუ არ სტანჯავს საქუთარი  
ამღვრეული სისხლი,  
სტრიქონებში ტბად დამდგარი  
ნაღველი და ზიზლი;  
არ აწვალებს სილრმე ვნების,

ყველაფერი იცის,  
 შეუცნობელ შთაგონების  
 ცეცხლში თუ არ იწვის, —  
 მხოლოდ კალმის ვარჯიშია  
 ამნაირი წერა.  
 პთეტისთვის საშიშია  
 უხალისოდ მღერა...  
 — მერე, ძმაო, ვინდა გიშლის  
 სინათლეს და ხალისს?  
 ნუთუ მხოლოდ თვალი გიშჩის  
 და სიტურუე ქალის,  
 ან გუგუნი ძველის ქანგით  
 ამღერებულ ქვების  
 არის ლირის შენი ჩანგის  
 ხალისიან ქების?  
 რისთვის სდემხარ? რისთვის მღერა?  
 მიზანს რად არ იჩვევ?  
 ბრძოლა გინდა? განა მტერი  
 ცოტა არის ირგვლივ?  
 ვისაც ღონე ერჩის მკლავში,  
 ან ფხა უქრის აზრის,  
 ის ჩვენს რეინის ეპოქაში  
 უმუშევრად არ ზის.  
 ვინ გაძალებს ზერელობას,  
 ან ყველაფრის ცოდნას?  
 ოლონდ სკედდე მაღალ გრძნობას, —  
 დავვერდებით ცოტა.  
 — იხლა გრძნობას რა შეარჩევს?  
 აღარ არის თემა.  
 ჩაქუჩივით ურტყამს ძარღვებს  
 გმირის მაჯისცემა.  
 ვის რად უნდა დღეს, მითხარი,  
 სალმურის კენესა,  
 როცა გრგვინივს ელვის ქარი,  
 ელვა იპობს კლდესა?  
 ყური უგდეთ, ვისაც გინდათ,  
 ორთქელით მყვირალ დეპოს.  
 დღეს ლირიკამ ხმა გაქმინდა,  
 გზა დაეთმო ეპოსს.

პოეტის ქნარს ძველი სიმი  
იღარ შერჩა ლერიც.  
ფოლადს გააქვს დღეს ციმციმი,  
თრთქლმავალი მღერის.  
— ნუთუ ასე გაირიყა  
ძალა სიმთა კუთხის?  
ვისთვის არის, მიშ, ლირიკა,  
თუებ გმირებს უფრთხის?  
— ვისი გულიც ჭურჭელია  
მოწამლული სისხლის.  
ვისაც ოსერა ურჩევნია  
გაუგებარ სიცილს.  
ვინც ბნელში ზის და განთიალს  
ელოდება მწარედ.  
ვისი სულიც საკანშია,  
და უშვებენ გარეთ.  
— ვამოღის, რომ შენი ჩანგი  
მხოლოდ ლამით მღერის.  
თუ გათენდა — შესჭამს ეანგი  
და შემოსაეს მტკერი!  
— ლირიკოსი, მართალია,  
მხოლოდ ბნელში ყივის,  
და მოკედება, თუ დალია  
ცხელი შექი სხივის...  
მეც ხომ ასე მომივიდა:  
ტყვე შევიქენ ლანდთა:  
მტერს ვებრძოდი ლომივითა,  
ვიდრე მტერი ჩანდა;  
ჩრდილს მიედევლი გამალებით,  
ნესტიანს და ციესა,  
ვუყიოდი მამალივით  
ამომაეალ სხივსა.  
მიგრამ როცა ელვამ გაპქრა  
და სხივებიც დაჩნდა,  
ვაქცეული ჩრდილი გაქრა  
და... ჩემს გულში დაჯდა...  
— სცდები, ძაო, — სთქვა მებაღებ  
და წამოდგა ზეზე. —  
შტო დამზრალი ბევრჯერ ენახე,

რომ თბებოდა შეჲზე.  
 ბევრს თუმც ქნარი გაუვარდა, —  
 ვერ გაუძლო ხანძარს, —  
 ბევრმა კილო შეუფარდა  
 ცხელი რეინის ზინზარს.  
 და ახლების გუნდთან ერთად  
 ზოგს ძველებურს მგოსანს  
 გზის სინათლის შესასვედრად  
 ცეცხლის ილი პმოსაეს.  
 და თუ კვნესა შენებრ ობლის  
 კიდევ საღმე დარჩა,  
 მას ჩააქრობს მშენებლობის  
 მაღლიანი გარჯვა.

ნერვიულად ჩაახვედა,  
 ჩანს, ეწყინა პოეტს.  
 — პოეტია განა ყველა,  
 ვინც ორ რითმის პპოვებს?  
 ვინც მუზასთან აშლილია,  
 ზეპირად სწერს ლექსებს,  
 სადაც ქვა და ნახშირია,  
 რითმებსაც იქ ეძებს?  
